

საქაობისა

კრებულშიგამოქვეყნებულიაერთგვაროვანისასამართლოპრაქტიკისჩამოყალიბებისადასამართლისგანვითარებისათვისმნიშვნელოვანიგადაწყვეტილებები.ამდასხვასაქმეთამოძებნაშესაძლებელიასაქართველოსუზენაესისასამართლოსვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2014, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on **Administrative Cases**
(in Georgian)
2014, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2014, №4

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2014, №4

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქტორის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

ფართის მოსარგებლები ცნობა
აფთიაქის სადაცო ფართის მოსარგებლები
მითითების საფუძველი

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-576-566(კ-12)

31 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის გამოცემა

აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 18 ივნისს მ. ფ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის მამას – გ. ფ-ეს ქ. თბილისში,
დაბა ავჭალაში, ამჟამად ... ქ. ... №...-ში ჰქონდა 1924 წელს აშე-
ნებული საკუთარი საცხოვრებელი სახლი. 1957 წლის 20 სექ-
ტემბერს ავჭალის ... მმართველ გ. დ-ესა და გ. ფ-ეს შორის დაი-
დო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გ. ფ-ემ თავისი საც-
ხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, ქუჩის მხარეს მდება-
რე ოთახი მიაქირავა ... გ. დ-ეს. საცხოვრებელი სახლი გაქირავე-
ბულ ფართთან ერთად საინვენტარიზაციო ბიუროში აღირიცხა
1957 წლის 23 ნოემბერს, როგორც უპროექტო და უნებართვო
ნაგებობა. ამავე თარიღით შედგა სააღრიცხვო ბარათი
№010218. გ. ფ-ე გარდაიცვალა 1977 წელს, ხოლო გარდაცვლი-
ლის სამკვიდრო ქონებაზე 2009 წლის 25 მაისს გაიცა სამკვიდ-
რო მოწმობა. მ. ფ-ის მიმართვის საფუძველზე ქ. თბილისში, ...
(ყოფილი ...) ქ. ... №...-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავში-
რებით თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღ-
რიცხვის არქივის მიერ 2011 წლის 3 თებერვალს მომზადდა ცნო-
ბა-დახასიათება, რომელიც მოსარჩელის მოსაზრებით, არ შეე-

საბამებოდა არსებულ მონაცემებს. მ. ფ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს 2011 წლის 3 თებერვალს გაცემულ ცნობა-დახასიათებაში უსწორობის გასწორებისა და 1957 წლის 23 ნოემბრის №010218 სააღრიცხვო ბარათან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით. მარეგისტრირებელი ორგანოს 2011 წლის 16 თებერვლის №22238 გადაწყვეტილებით განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა მ. ფ-ემ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 27 აპრილის №62673 გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რის საფუძველზეც თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 2011 წლის 3 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ხარვეზის შესწორების შესახებ. 2011 წლის 3 მაისს მომზადდა ცნობა-დახასიათება, სადაც ამოირიცხა №4 ოთახის სახელმწიფო საკუთრება და მის მოსარგებლები კვლავ არარსებული აფთიაქი მიეთითა. მ. ფ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობისა და №4 ოთახის მოსარგებლები აფთიაქის ნაცვლად გ. ფ-ის მითითების თაობაზე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მოსაზრებით ეფუძნება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორ შეფასებას.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში, ... ქ. ... №...-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ 1957 წლის 23 ნოემბერს შედგენილი სააღრიცხვო ბარათი №010218, რომელიც მითითებული უნდა ყოფილიყო ყველა ცნობა-დახასიათების მომზადების საფუძვლად. აღნიშნული სააღრიცხვო ბარათით №4 ოთახის მოსარგებლები აფთიაქი აღრიცხული არ არის და არც სააღრიცხვო ბარათში ინახება სარგებლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. სააღრიცხვო ბარათის მე-3 გრაფაში აღნიშნულია, რომ №4 ოთახი წარმოადგენს იჯარის საგანს, მე-4 გრაფაში კი მეიჯარედ მითითებულია აფთიაქი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. ... №...-ში მდებარე უძრავი ქონება 1989 წლის დეკემბრამდე წარმოადგენდა უკანონო და უპროექტო მშენებლობას. მასზე 1989 წლის დეკემბერში შედგა ტექნიკური პასპორტი, რომელშიც აფთიაქზე გაქრავეული ოთახის მოსარგებლები და აფთიაქი მიეთითა აფთიაქი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის მი-

ნისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით უძრავ ნივთზე არ არის აღრიცხული სახელმწიფოს ან სხვა პირის საკუთრების უფლება, უფლებამოსილი პირი ვალდებულია ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან უძრავ ნივთზე ინფორმაციის, ცნობა-დახასიათების გაცემისას მიუთითოს, რომ უძრავ ნივთზე უფლება არ არის აღრიცხული. ამავე ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათზე უფლება არ არის აღრიცხული, მაგრამ სააღრიცხვო ბარათში ინახება უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, ტექნიკური აღრიცხვის არქივი ინფორმაციას გასცემს სააღრიცხვო ბარათში დაცული შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით. დადგენილია, რომ 1957 წლის 23 ნოემბრის სააღრიცხვო ბარათზე სახელმწიფოს უფლება არ იყო აღრიცხული და არც სააღრიცხვო ბარათში ინახება უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, რაც გახდა 2011 წლის 3 თებერვლის ცნობა-დახასიათებიდან №4 ოთახის მესაკუთრედ სახელმწიფოს ამორიცხვის საფუძველი.

მოსარჩელის განმარტებით, 1957 წლის 23 ნოემბრის სააღრიცხვო ბარათში აღრიცხული, №4 ოთახზე აფთიაქის იჯარით სარგებლობის უფლება ძალადაკარგულია, რაც დასტურდება 1957 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულებით, რის გამოც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მოსარგებლედ აფთიაქი არ უნდა იქნეს მითითებული.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის №95670 გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 3 მაისის №ტტ2011029795-04 გადაწყვეტილების საფუძველზე 2011 წელს 3 მაისს მომზადებული ცნობა-დახასიათების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, კერძოდ, ცნობა-დახასიათებაში №4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქის ამორიცხვა და მის ნაცვლად გ. ფ-ის მითითება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება საჯარო რეესტრის ეროვნული საა-

გენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მესამე პირებად ჩაეტენ ზ. გ-ი, ც. უ-ე და ა. გ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 დეკემბრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაება საქართველოს ეკონიომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის №95670 გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 3 მაისის №ტტ2011029795-04 გადაწყვეტილება, რომლითაც მომზადდა ცნობა-დახასიათება და №4 ოთახის მოსარგებლების თანამოსარგებლებით მიეთითა აფთიაქი; თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ცნობა-დახასიათების მომზადება ქ. თბილისში, ... ქ. ... №...-ში მდებარე უძრავი ნივთის შესახებ №4 ოთახის მოსარგებლებიდან აფთიაქის მითითების გარეშე; მ. ფ-ის მოთხოვნა ცნობა-დახასიათებაში №4 ოთახის მოსარგებლებიდან აფთიაქის ნაცვლად გ. ფ-ის მითითების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის 2011 წლის 4 თებერვლის ამონაწერით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა საკუთრების უფლება ქ. თბილისში, ... (....) №...-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე (მესაკუთრები: ზ. გ-ი – შენობა №1-ის მე-2 სართულიდან 78.90 კვ.მ. ფართი; ც. უ-ე – საერთო ფართი 29.09 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებელი ფართი 20.79 კვ.მ.; სახელმწიფო; ა. გ-ი – 64.41 კვ.მ., მ. ფ-ე – ნილი გაურკვეველია). საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... (....) ქ. ..., №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ 2011 წლის 3 თებერვალს მომზადებულ ცნობა-დახასიათებაში №3 და №4 ოთახების მესაკუთრებიდ მითითებულია სახელმწიფო, ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად 1957 წლის 23 ივნისს გაცემული №010218 სააღრიცხვო ბარათი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 27 აპრი-

ლის №62673 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა სამსახურში არსებული საარქივო მასალების საფუძველზე ... (...) ქ. ... №...-ში მდებარე უძრავი ნივთის შესახებ ცნობა-დახასიათების მომზადება. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 3 მაისის №ტტ2011029795-04 გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ 2011 წლის 3 მაისს მომზადდა ცნობა-დახასიათება, რომელშიც №4 ოთახის მოსარგებლედ კვლავ აფთიაქი მიეთითა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივარი 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობისა და ცნობა-დახასიათებაში №4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქის ნაცვლად გ. ფ-ის მითითების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან ვერ იქნა ნარმოდგენილი რამე დოკუმენტი, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო 1957 წლის №010218 სააღრიცხვო ბარათში №4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქის მითითების საფუძველი. ამასთან საქმეში ნარმოდგენილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქსტატის 2010 წლის 8 დეკემბრის №5/1-06/25 ნერილისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... (...) ... №...-ში მდებარე შენობა-ნაგებობის №4 ოთახში, რამდენიმე ათეული წელინადია არ არის განთავსებული აფთიაქი.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადებულ ცნობა-დახასიათებაში №4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქის მითითება არ ასახავს რეალურ ვითარებას, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა №4 ოთახზე მოსარგებლედ აფთიაქის ნაცვლად გ. ფ-ის მითითების ნაწილში და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციას სცილდება აღნიშნული საკითხი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარით ნაწილობრივ გაასაჩივრეს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ამავე საა-

გენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების – სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და აფთიაქის მითითების გარეშე ცნობა-დახასიათების მომზადების დავალების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება მ. ფ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმუცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის №416 ბრძანებულებით სსიპ ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის სამსახური ლიკვიდირებულ იქნა და სამსახურში არსებული მონაცემთა საინფორმაციო ბანკი არქივის სახით გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რის შესაბამისად, სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება გასცეს ინფორმაცია მხოლოდ სამსახურში არსებული საარქივო მასალების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათზე უფლება არ არის აღრიცხული, მაგრამ სააღრიცხვო ბარათში ინახება უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, ტექნიკური აღრიცხვის არქივი ინფორმაციას გასცემს სააღრიცხვო ბარათში დაცული შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით. 1957 წლის 23 ნოემბრის №010218 სააღრიცხვო ბარათის საფუძვლზე ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... №...-ში მდებარე უძრავი ნივთის მოსარგებლებს ნარმოადგენდნენ: გ. ფ-ე, გ. გ-ი, ვ. ს-ე, ... ქარსანა და აფთიაქი. ტექნიკური აღრიცხვის არქივში არ ინახება

№010218 სააღმონიცხვო ბარათისაგან განსხვავებული დოკუმენტაცია, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ინფორმაციას გასცემს მხოლოდ სამსახურში არსებული საარქივო მასალების საფუძველზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 3 მაისს მომზადებული ცნობა-დახსასიათება სრულად ასახავდა ქ. თბილისში, ... (...) ქ. №...-ში მდებარე უძრავ ნივთზე სამსახურში დაცულ დოკუმენტაციაში არსებულ მონაცემებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ფ-ემ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები, გინაიდან საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედდა საქმის განხილვის შედეგზე. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია საქმეში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

კასატორის განმარტებით, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ მომზადებული ცნობა-დახსასიათება არ შეესაბამებოდა ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივში რეალურად არსებულ 1957 წლის 23 ნოემბერს შედგენილ №010218 სააღრიცხვო ბარათის მონაცემებს. კერძოდ, ტექნიკური აღრიცხვის არქივში, დეღნის სახით არსებული დოკუმენტაციის გაცნობისა და შესწავლის შედეგად, ცხადი გახდა, რომ 2011 წლის 3 თებერვალს მომზადებული ცნობა-დახსასიათება არ იყო მომზადებული სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივში რეალურად არსებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით და იგი არ გამოხატავდა ქ. თბილისში, №...-ში მდებარე უძრავი ქონების რეალურ მონაცემებს.

კასატორის მითითებით, ის ფაქტი, რომ ... გ. დ-ე იყო სადავო ოთახის დამჭირავებელი და არა მესაკუთრე, დასტურდებოდა საქმეში არსებული მასალებით. სადავო ოთახი ეკუთვნოდა ან. გარდაცვლილ გ. ფ-ეს, რომელმაც 1957 წლის 20 სექტემბერს გააქირავა ... გ. დ-ეზე.

კასატორმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დააზუსტა საკასაციო განაცხადი და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივ-

რებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის №95670, თბილის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და 2011 წლის 3 მაისის ცნობა-დახასიათებიდან ქ. თბილისში, ... (...) ქ. ც. №...-ში მდებარე №4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქის ამორიცხვის სარეგისტრაციო სამსახურისათვის დავალება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ფ.-ის საკასაციო საჩივრარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 24 იანვარს მოსარჩელე მ. ფ.-ის მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 3 თებერვალს მომზადდა ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... №...-ში მდებარე უძრავი ქონების შესახებ ცნობა-დახასიათება, რომლის მიხედვით, მითითებულ მისამართზე მდებარე, 485კვ.მ მინის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის მოსარგებლებს წარმოადგენდნენ: მოსარჩელის მამა – გ. ფ-ე, გ. გ-ი, ვ. ს-ე, ხოლო №3 და №4 ოთახები აღრიცხული იყო სახელმწიფო საკუთრებად, ამასთან, №3 ოთახის მოსარგებლედ მითითებული იყო ... ქარხანა, ხოლო №4 ოთახის მოსარგებლედ – აფთიაქი. ცნობა-დახასიათებაში უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებული იყო 1957 წლის 23 ივნისის №010218 სააღრიცხვო ბარათი. გარდა აღნიშნულისა, მ. ფ.-ის მიმართვების საფუძველზე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სხვა-დასხვა დროს გაცემული იყო ინფორმაცია უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელთა თანახმად, რიგ შემთხვევაში №4 ოთახის მოსარგებლედ მხოლოდ აფთიაქი იყო მითითებული, ხოლო რიგ შემთხვევებში მესაკუთრედ – სახელმწიფო, მოსარგებლედ კი – აფთიაქი. 2011 წლის 4 თებერვალს საჯარო რეესტრში ქ. თბილისში, ... (...) ქ. ც. №...-ში მდებარე უძრავი ქონება მ. ფ.-ის, ზ. გ-ის, ც. ჟ-ისა და სახელმწიფო საკუთრებად აღირიცხა. მ. ფ-ემ არასწორად მიიჩნია სარეგისტრაციო სამ-

სახურის მიერ გაცემული ინფორმაცია, რამდენადაც ქ. თბილისში, ... (...) ქ. №....-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ჯერ კიდევ 1924 წელს აშენებული იყო მისი მამის – გ. ფ-ის მიერ, მამის გარდაცვალების შემდეგ მან მიიღო მემკვიდრეობა, №4 ოთახი მხოლოდ 1957 წლის 20 სექტემბრის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დროებით ჰქონდა გადაცემული ... გ. დ-ეს, რომელიც სულ რამოდენიმე წელი ფუნქციონირებდა მითითებულ მისამართზე. დღეის მდგომარეობით კი №4 ოთახი მ. ფ-ესა და მის ოჯახს ჰქონდა დაკავებული. შესაბამისად, მ. ფ-ემ მიჩნია, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს საარქივო მასალების საფუძველზე გაცემულ ცნობა-დახასიათებაში არ უნდა მიეთითებინა №4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქი, ხოლო მესაკუთრედ სახელმწიფო და განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს 2011 წლის 3 თებერვალს გაცემულ ცნობა-დახასიათებაში დაშვებული შეცდომის გასწორებისა და ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივში დაცული 1957 წლის 23 ნოემბრის №010218 სააღრიცხვო ბარათან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, რამდენადაც სახლის აღრიცხვა მოხდა 1957 წლის 23 ნოემბერს, როდესაც შედგა №010218 სააღრიცხვო ბარათი, ხოლო 1957 წლის 23 ივნისის თარიღით სააღრიცხვო ბარათი არ შემდგარა და ასეთი არც საარქივო მასალებში იყო დაცული.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 16 თებერვლის №22238 გადაწყვეტილებით მ. ფ-ის განცხადება 2011 წლის 3 თებერვლის ცნობა-დახასიათებაში არსებული უზუსტობის შესწორების შესახებ არ დაკამაყოფილდა, რამდენადაც მარეგისტრირებულმა ორგანომ მიიჩნია, რომ ცნობა-დახასიათება ზუსტად შეესაბამებოდა ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცულ დოკუმენტებს. მითითებული გადაწყვეტილება მ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე გაუქმდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 27 აპრილის №62673 გადაწყვეტილებით და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა სამსახურში არსებული საარქივო მასალების საფუძველზე ქ. თბილისში, ... (...) ქ. №....-ში მდებარე უძრავი ნივთის შესახებ ცნობა-დახასიათების მომზადება, რამდენადაც ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ №3 და №4 ოთახების მესაკუთრედ სახელმწიფოს მითითება უძრავ ნივთან დაკავშირებით ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობის მოტივით კანონსაბინაღმდევრო იყო. აღნიშნულის შესაბამისად, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა ცნობა-დახასიათება, რომლის

მიხედვით, ამოირიცხა №4 ოთახზე სახელმწიფო საკუთრება, ხოლო მის მოსარგებლედ კვლავ მიეთითა აფთიაქი. მ. ფ-ემ მინისა, რომ აღნიშნული ცნობა-დახასიათება კვლავ შეიცავდა არასწორ მონაცემებს, რის გამოც ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვა ხარვეზის გასწორების შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობა და 2011 წლის 3 მაისის ცნობა-დახასიათებაში შესწორების იმგვარად შეტანა, რომ №4 ოთახის მოსარგებლედ ნაცვლად აფთიაქისა მითითებული იქნებოდა გ. ფ-ე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მ. ფ-ე სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შედეგად ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის №95670, ცნობა-დახასიათებაში უსწორობის ნაწილობრივ გასწორების შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და 2011 წლის 3 მაისის ცნობა-დახასიათებიდან ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... №...-ში მდებარე №4 ოთახის მოსარგებლედ აფთიაქის ამორიცხვის და გ. ფ-ის მითითების სარეგისტრაციო სამსახურისათვის დავალებას ითხოვდა.

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ფ-ის სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში სადაცოდ არ გაუხდია მ. ფ-ეს და სააპელაციო საჩივარი არ ნარუდგენია, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ, სასარჩელო მოთხოვნის დაქმაყოფილების ნაწილში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრდა. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შესულია კანონიერ ძალაში და სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე იმსჯელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მოთხოვნების ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვე-

ტილების მიღებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის №95670, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და 2011 წლის 3 მაისის ცნობა-დახასიათებიდან ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... №...-ში მდებარე №4 ოთახის მოსარგებლებ აფთიაქის ამორიცხვის სარეგისტრაციო სამსახურისათვის დაგადადებას ითხოვდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ავჭალის სადაბო საბჭოს თავმჯდომარის 1960 წლის 5 მარტის ცნობის თანახმად, გ. ფ-ეს დაბა ავჭალაში ჰქონდა 1924 წელს აშენებული საკუთარი საცხოვრებელი სახლი. 1957 წლის 20 სექტემბერს გ. ფ-ესა და მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ავჭალის აფთიაქის მმართველს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც გ. ფ-ემ მიაქირავა მისი კუთვნილი, დაბა ავჭალაში, ... №...-ში მდენარე, ქუჩის პირას, სახლის პირველ სართულზე არსებული 35კვ.მ ოთახი. დამტირავებელმა იყისრა ვალდებულება შესაფერის ფაროში აფთიაქის გადასვლისას გაეთავისუფლებინა აღნიშნული ოთახი. დაბა ავჭალაში, ... №...-ში მდენარე უძრავი ქონების ტექინიკენტარიზაციის ბიუროში აღრიცხვა მოხდა 1957 წლის 23 ნოემბრის როგორც უპროექტო და უნებართვო სახლი და გაიხსნა სააღრიცხვო ბარათი №010218, რომლის მიხედვით, სახლის მფლობელებად მითითებული იყვნენ გ. ფ-ე, გ. გ-ი, ვ. ს-ე, ხოლო №3 და №4 ოთახების მოსარგებლებად – ... ქარხანა და აფთიაქი.

გ. ფ-ის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილმა – მ. ფ-ემ მიიღო მემკვიდრეობა, მათ შორის ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... №...-ში მდებარე უძრავი ქონების კუთვნილი წილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მარეგისტრირებული ორგანოს მიერ მ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით სადავო №4 ოთახის მოსარგებლებ აფთიაქის ნაცვლად გ. ფ-ის მითითების შესახებ მოთხოვნის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ტექ.ბიუროში არსებულ მონაცემთა საინფორმაციო ბანკი გადაეცა არქივის სახით, შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო ინფორმაცია გაეცა მხოლოდ სამსახურში არსებული საარქივო მასალების საფუძველზე. ტექნიკური აღრიცხვის არქივში არ ინახებოდა სააღრიცხვო ბარათისაგან განსხვავებული დოკუმენტაცია, მათ შორის ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც ადმინისტრაციულ საჩი-

ვართან ერთად წარადგინა მ. ფ-ემ, ხოლო სააღრიცხვო ბარა-თის მიხედვით ქ. თბილისში, ... (...) ქ. №....-ში არსებული უძრავი ქონების მოსარგებლეებს წარმოადგენდნენ გ. ფ-ე, გ. გ-ი, ვ. ს-ე, ... ქარხანა და აფთიაქი. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 3 მაისს გაცემული ცნობა-დახა-სიათება სრულად ასახვდა მითითებულ უძრავ ნივთზე სამსა-ხურში დაცულ დოკუმენტაციაში ასახულ ინფორმაციას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანომ ცნობა-დახასიათებაში უსწორობის გასწორებისა და ინფორმაციის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა და გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოსცა საქმის გარემოების გამოკვლევისა და დადგენის გარეშე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის თანახმად, სააღრიცხვო ბარათი წარმოადგენ-და სარეგისტრაციო ფურცელს, რომელიც დგებოდა თითოეული მიწის ნაკვეთზე და მოიცავდა ინფორმაციას ამ ნაკვეთისა და მასზე არსებული სხვა უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობისა და საზღვრების შესახებ, აგრეთვე რეგისტრირებული უფლებების ობიექტების გეგმას. ამავე კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სააღრიცხვო ბარათზე მოცემული ჩანაწერები წარმოადგენდა ამ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითად იუ-რიდიულ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახური ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის №416 ბრძანებულებით და ამ სამსახურში არსებული მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და არქივი გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში აღრიცხული უძრავი ნივთების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საჯარო რეესტრის სამსახურების მიერ ინფორმაციის გაცემისას მხოლოდ არქივში არსებული მონაცემების ტექნიკურ გადმოტანას, არსებული მასალების ურთიერთშესაბამისობისა და მონაცემების დამუშავების გარეშე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-10 მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელ ორგანოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინფორმაციის მომზადებისას თავად დაადგინოს გარკვეული მონაცემები, კერ-

ძოდ, თუ ტექნიკური ალირცხვის არქივის მონაცემებით კონკრეტულად არ დგინდება მიწის ნაკვეთის ნაწილების ფართობები და საზღვრები, იგი თავად ადგენს ფართობს და საზღვარს აღნიშნული ნაწილების შეერთების წერტილების მიხედვით; მას შეუძლია დაამოწმოს ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს სააღრიცხვო ბარათში არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები სათანადო წესით, თუ ისინი ინახება დაუმოწმებელი სახით; თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში ერთ უძრავ ნივთზე მოცემულია რამდენიმე სააღრიცხვო გეგმა და შათზე არსებული მონაცემები ერთმანეთს არ შეესაბამება, უფლებამოსილი პირის მიერ უნდა გაიცეს ის სააღრიცხვო გეგმა, რომელიც შეესაბამება ამ უძრავ ნივთზე არქივში დაცულ ბოლო მდგომარეობას; თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათზე დატანილ თანამესაკუთრეთა სიაში არ არის მითითებული უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული რომელიმე თანამესაკუთრე, ასეთ შემთხვევაში ცნობა-დახასიათება ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი უფლებამოსილი პირის მიერ უნდა გაიცეს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით დადგენილი ბოლო უფლებრივი მდგომარეობის შესაბამისად; თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათზე უფლება არ არის აღრიცხული, მაგრამ სააღრიცხვო ბარათში ინახება უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, ტექნიკური აღრიცხვის არქივი ინფორმაციას გასცემს სააღრიცხვო ბარათში დაცული შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით.

ამდენად, საკავასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონშესაბამოა ადმინისტრაციული ორგანოს მითითება არსებული მდგომარეობისა და მონაცემების გაუთვალისწინებლობის შესახებ. საკავასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკითხის ხელახლა განხილვისა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა დაიცვას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, სადაც საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ საქმის გარემოებებისა და არსებული მასალების სათანადო გამოკვლევის შედეგად და იმსჯელოს არსებობდა თუ არა სადაცვო ფართის მოსარგებლებ აფთიაქის მითითების საფუძველი, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი 1957 წლის 20 სექტემბრის ქრავნობის ხელშეკრულებით ფართი დროებით ჰქონდა გადაცემული ... გ. დ-ეს. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქართველოს მიერ 2010 წლის 2 და 8 დეკემბრის №5/1-06/25 და 5/1-06/24 წერილების თანახმად, საქართველოს საწარ-

მოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემთა ბაზაში სააფთიაქო სამმართველოს ავჭალის სახელმწიფო აფთიაქის შესახებ ინფორმაცია არ იძებნებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ ყველა დოკუმენტისა და მასალების ურთიერთშეჯერების საფუძველზე და განახორციელოს ცვლილება 2011 წლის 3 მაისს გაცემულ ცნობა-დახასიათებაში, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამორიცხა სადაცო №4 ოთახზე სახელმწიფო საკუთრება, რამდენადაც არ არსებობდა სახელმწიფოს საკუთრებად ფართის აღრიცხვის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, ასევე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა უნდა იმსჯელოს არსებობს თუ არა აფთიაქის სადაცო ფართის მოსარგებლედ მითითების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივში არსებული მონაცემებით უძრავ ნივთზე აღრიცხული სარგებლობის უფლება ძალადაკარგულია, მაშინ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ ინფორმაციის გაცემისას აღნიშნული უფლება არ მიეთითება, ხოლო მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით უძრავ ნივთზე არ არის აღრიცხული სახელმწიფოს ან სხვა პირის საკუთრების უფლება, უფლებამოსილი პირი ვალდებულია ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან უძრავ ნივთზე ინფორმაციის ან ცნობა-დახასიათების გაცემისას მიუთითოს, რომ უძრავ ნივთზე უფლება არ არის აღრიცხული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ აღ-

ტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოქმედინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩინირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა იმ ქირავნობის ხელშეკრულების, 1957 წლის 23 ნოემბრის №010218 სააღრიცხვო ბარათისა და სხვა მასალების სრულყოფილი გამოკვლევა და სწორი სამართლებრივი შეფასება, რაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი თქვა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იგი ინფორმაციას გასცემდა არქივში დაცული დოკუმენტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებული წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზდა, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაეთება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადაც სა

კითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფა-სების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გა-დაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გა-დაწყვიტოს სადაც საკითხი, ვინაიდან უძრავი ნივთის უფლებ-რივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ნარმოადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილებას, აღნიშნული ინფორმაციის გაცე-მა გულისხმობს საარქივო მასალების დამუშავებას, ურთიერ-თშეჯვრებას არსებულ დოკუმენტებთან, შესაბამისად, საკა-საციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გა-მოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:

1. მ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-რივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება; და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნო-ბილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-რეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 3 მაისის №ტტ2011029795-04 და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს 2011 წლის 23 ივნისის №95670 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაე-

ვალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ მიიღოს ახალი ინდიკიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქ. თბილისში, ... (...) ქ. ... №...-ში მდებარე უძრავი წივთის შესახებ ცნობა-დახასიათებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონიერი მოსარგებლებისა თვის ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა

განხილვა

№ბს-410-405(ქ-12)

29 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ქ. ვაჩაძე,

ქ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ტ. მ-ა

მოპასუხები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახური; ი. პ-ე

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 24-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება

სარჩელის საგანი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის №912 ბრძანების ბათილად ცნობა;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული №236 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობა;

3. 1996 წლის 15 აპრილის ... აგროსამრეწველო კომბინატის მიერ რ. პ-ის სახელზე გაცემული №59 ორდერის არარად ცნობა;

3. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი

№...) ი. პ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა;

4. დაბა ..., მდებარე ბინა №20-ში (ამჟამინდელი ... ქ. №41) პირველ სართულზე არსებულ 79,06 კვ.მ. საერთო ფართსა და ამავე ბინის მეორე სართულზე არსებულ 78,68 კვ.მ. საერთო ფართზე ტ. მ-ას კანონიერ მოსარგებლედ ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: ტ. მ-ა 1957 წლიდან ცხოვრობდა და სარგებლობდა ოზურგეთის რაიონის დაბა ..., მდებარე ბინა №20-ში (ამჟამინდელი ... ქ. №41) მეორე სართულზე არსებული 78,68 კვ.მ. ფართით, ხოლო 1987 წლიდან კი, ამავე ბინის პირველ სართულზე არსებულ 79,06 კვ.მ. ფართით.

2011 წლის 8 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის №912 ბრძანებით ი. პ-ეს კანონიერ სარგებლობაში გადაეცა დაბა ..., ... ქ. №9-ში პირველ სართულზე მდებარე სამი ოთახი, საერთო ფართით - 65,45 კვ.მ, რაზედაც გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა №236. აღნიშნული ბრძანებისა და შესაბამისად საკუთრების უფლების მოწმობის გამოცემის საფუძვლად მითითებულია 1996 წლის 15 აპრილის ... აგროსამრეწველო კომბინატის №59 ორდერი. მოსარჩელის განმარტებით, მითითებული ორდერი თავისი შინაარსით, ასევე გამოცემის წესით არ შეიძლება წარმოიშობდეს რაიმე სახის სამართლებრივ საფუძველს უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ (დირექტორის ნაცვლად ხელს აწერს დირექტორის მოადგილე), გაურკვეველია და გადასწორებულია ორდერის გამოცემის თარიღი, არ არსებობდა ორდერის გამოცემის საფუძველი, ასევე გაურკვეველია ჰქონდა თუ არა ... აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორს ან მის მოადგილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს №574 დადგენილებით ორდერის გამოცემის უფლება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ოზურგეთში, დაბა ..., ... ქ. №9-ში, პირველ სართულზე მდებარე 65,45 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №...) მესაკუთრეა ი. პ-ე. უფლების დამდგენ დოკუმენტებად მითითებულია ოზურგეთის რაიონის გამგებლის ბრძანება №912 და საკუთრების უფლების მოწმობა №236, მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული რეგისტრაციაც უნდა გაუქმდეს და ტ. მ-ა ცნობილ უნდა იქნეს დაბა ..., ... ქ. №20-ში პირველ სართულზე მდებარე - 79,06 კვ.მ-ისა და ამავე ბინის მეორე სართულზე არსებული - 78,68 კვ.მ. საერთო ფარ-

თის კანონიერ მოსარგებლედ, ვინაიდან, სს „...“ მიერ დამოწმებული აქტებითა და ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მოწმეების ახსნა-განმარტებებით დადასტურებულია, რომ ტ. მ-ა 1957 წლიდან ცხოვრობდა და სარგებლობდა სადავო ფართით.

სამართლებრივი: მოსარჩელის განმარტებით, სადავო აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60¹ მუხლების საფუძველზე.

მოპასუხის – ი. პ-ის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეს 1982 წლამდე დაკავებული ჰქონდა დაბა ქ. №9-ში და არა ბინა №20-ში, მდებარე საერთო საცხოვრებელი სახლის მე-2 სართული, ხოლო შემდეგ დაიკავა იმავე ბინაში სამი ოთახი, აღნიშნული ფართი მას კანონიერ სარგებლობაში არ გადასცემია და იგი უკანონოდ ჰქონდა დაკავებული. მოპასუხის განმარტებით, ტ. მ-ა არ წარმოადგენს სათანადო მოსარჩელეს და მას არ აქვს უფლება იდავოს სადავო აქტის კანონიერებაზე.

რ. პ-ის სახელზე 1996 წლის 15 აპრილს ... აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორის მოადგილის სამეურნეო დარგში ვ. დ-ის მიერ გაცემული საცხოვრებელი ბინის ორდერი №59 არის კანონიერი და მისი არარა აქტად აღიარების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე მუხლის, 218.2 მუხლების შესაბამისად არ არსებობს 1996 წლის 15 აპრილს ... აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორის მოადგილის სამეურნეო დარგში ვ. დ-ის მიერ გაცემული საცხოვრებელი ბინის ორდერის №59 არარა აქტად ცნობისა და სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

შესაგებლით სარჩელი არ ცნო ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამაც.

საქმის გარემოებები: ტ. მ-ა 1957 წლიდან ცხოვრობს ოზურგეთში დაბა იმავე პერიოდიდან დაინყო მუშაობა ... ჩაის საპჭოთა მეურნეობაში, IV რაიონში, პლანტაციის მუშად, სადაც მუშაობდა მის რეორგანიზაციამდე. მეურნეობის დირექციამ მას სარგებლობაში გადასცა საცხოვრებელი ფართი, მეურნეობის საერთო საცხოვრებელში II რაიონში, ბინა №20-ში, II სართულზე, სადაც ცხოვრობდა ოჯახთან ერთად.

მოსარჩელის ოჯახი თანდათან იზრდებოდა და ამიტომ ესაჭიროებოდა მეტი ფართი, რის გამოც 1987 წელს მას მეურნეობის ხელმძღვანელობამ ნება დართო დაეკავებინა მისი ბინის I

სართულზე არსებული 4 ოთახი, რომელიც იყო თავისუფალი და განლაგებული იყო ზუსტად იმ ოთახების ქვემოთ, რომელიც მეორე სართულზე სარგებლობაში ჰქონდა მოსარჩელის – ტ. მ-ას ოჯახს.

ამჟამად მოსარჩელე არის 80 წლის და მისი ოჯახი შედგება 5 წევრისაგან, რომელთაც სარგებლობაში აქვთ ორი ერთმანეთისაგან იზოლირებული საცხოვრებელი ფართი I და II სართულზე.

მოსარჩელის მითითებით, 2011 წლის 24 სექტემბერს მის ვაჟიშვილს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ჩაბაროვაფრთხილება, დაბა ..., ... ქ. №20-ში მდებარე საერთო საცხოვრებელი სახლის 1 სართულზე მათ სარგებლობაში არსებული ოთახების გამოთავისუფლების თაობაზე, ვინაიდან მასზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო ი. პ-ზე. ტ. მ-ას ოჯახმა ნებაყოფლობით გამოათავისუფლა აღნიშნული ოთახები.

2011 წლის 8 სექტემბერს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის №912 ბრძანების საფუძველზე, ი. პ-ეს საკუთრების უფლების №236 მოწმობით საკუთრებაში გადაეცა ოზურგეთში, დაბა ..., ... ქ. №9-ში პირველ სართულზე მდებარე 3 ოთახი – 65,45 კვ.მ. და უფლება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში.

მოსარჩელის განძარტებით, ზემოაღნიშნული აქტები დაფუძნებულია არარა აქტზე, კერძოდ, 1996 წლის 15 აპრილს რ. პ-ის სახელზე გაცემულ ორდერზე. ორდერში აღნიშნება ჩასწორებები თარიღთან მიმართებაში, გაურკვეველია რის საფუძველზე გაცემული ორდერი, გადასწორებულია თარიღები, ასევე გაურკვეველია ვისი ხელწერაა დაწესებულების ხელმძღვანელის ადგილას, არ ირკვევა გვარი, ორდერზე არ არის გერბიანი ბეჭედი, გარდა ამისა ორდერი გაცემულია 48 კვ.მ. ფართზე, ხოლო ბრძანებით ი. პ-ეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა 65,45 კვ.მ ამასთან, მას ბრძანებით საკუთრებაში გადაეცა ფართი მდებარე №9-ში კორპუსში, ი. პ-ემ კი მოითხოვა ოთახების გათავისუფლებულ №20 კორპუსში.

მოსარჩელის განმარტებით, მას სურს აღნიშნული ფართების საკუთრების უფლების რეგისტრაცია, მაგრამ მას არც ერთ ფართზე არ გააჩნია კანონიერ მოსარგებლედ ცნობისათვის საჭირო დოკუმენტი, რაც გათვალისწინებულია „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცე-

ბის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №73 ბრძანებულებით.

რაიონული სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ მოითხოვა 1996 წლის 15 აპრილის ... აგროსამრეწველო კომბინატის მიერ რ. პ-ის სახელზე გაცემული №59 ორდერის არარად ცნობის ნაცვლად ბათილად ცნობა და ასევე მოითხოვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის №912 ბრძანების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული №236 საკუთრების უფლების მოწმობისა და საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...) ი. პ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა და დაბა ..., მდებარე ბინა №20-ში (ამჟამინდელი ... ქ. №41) პირველ სართულზე არსებულ 79,06 კვ.მ. საერთო ფართსა და ამავე ბინის მეორე სართულზე არსებულ 78,68 კვ.მ. საერთო ფართზე ტ. მ-ას კანონიერ მოსარგებლედ ცნობა.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ტ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ოზურგეთის რაიონის დაბა ..., ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველი სართული ფართით – 65,45 კვ.მ. საკუთრების უფლების მოწმობით დაკავებული აქვს ი. პ-ეს.

ამავე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებული რამდენიმე საცხოვრებელი ოთახი დაკავებული აქვს ტ. მ-ას ოჯახს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

1996 წლის 15 აპრილს ... აგროსამრეწველო კომბინატიმა გასცა №59 ორდერი რ. პ-ისა და ი. პ-ის კომბინატის კუთვნილ საერთო საცხოვრებელში ჩასახლების უფლების თაობაზე. ორდერი გაიცა ... ქ. №9-ში პირველ სართულზე მდებარე ფართზე. აღნიშნული ორდერის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოსცა №912 ბრძანება, რომლითაც ი. პ-ეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ოზურგეთში, დაბა ..., ... ქ. №9-ში პირველ სართულზე მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი, სულ – 65,45 კვ.მ., შესაბამისად, 2011 წლის 8 სექტემბერს ოზურგეთის რაიონის გამგეობამ გამოსცა საკუთრების უფლების მოწმობა №236.

სადავოა აღნიშნული ორდერისა და მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება.

სასამართლოს დასკვნები – საქმის მასალების გაცნობის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჭ. მ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

სასამართლოს განმარტებით, დაბა ... ტერიტორიაზე ორსართულიან საერთო საცხოვრებელ სახლებში არსებულ საცხოვრებელ ბინებს და შესაბამის ორდერებს გასცემდნენ ... აგროსამრეწველო კომბინატის ხელმძღვანელი პირები, კერძოდ, დირექტორი და მისი მოადგილე სამეურნეო დარგში. შესაბამისად, სადაც ორდერი გამოცემულია კანონმდებლობის დაცვით და ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საჯარო რეესტრის ოზურგეთის სარეგისტრაციო (სამსახური) განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებისას კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება ადგილა არ ჰქონია.

რაონული სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მოსაზრებები ... აგროსამრეწველო კომბინატის №59 ორდერის გაყალბების თაობაზე შესაძლოა დადასტურდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლნარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით და მისი დადასტურება არ შეიძლება მოხდეს ორდერის დედნის ვიზუალური დათვალიერებით.

„კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი (თვითმმართველი ქალაქის მერი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ქ. თბილისში – შესაბამისი რაიონის გამგებელი)

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად“. ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „კანონიერი მოსარგებლე არის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა). საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მის მემკვიდრე“. ამავე ბრძანებულების მე-5 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, წარმოადგენს თუ არა პირი კანონიერ მოსარგებლეს, რა ოდენობის საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართი უნდა გადაეცეს მას საკუთრებაში, ასევე ბრძანებულებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აპელაციის ტერიტორია: ტ. მ-ა

მოწინააღმდეგე მხარეები (მოპასუხეები): ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახური; ი. პ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ არასწორად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ი. პ-ეს სადავო ფართი ფაქტობრივად დაკავებული აქვს, მას სადავო ფართით არასდროს უსარგებლია და არც უცხოვრია, არც ორდერის გაცემადე და არც ორდერის გაცემის შემდეგ. მართალია, ი. პ-ის მამა – ნ. პ-ე ადრეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად სადავო ბინაში, მაგრამ მან 1980-წლებში ააგო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და გადავიდა, მას და მის ოჯახს 1996 წლისათვის, ორდერის გაცემის დროისათვის კარგანის მიტოვებული ჰქონდათ სადავო ბინით სარგებლობა.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ გამოითხოვა მტკიცებულებები იმის შესახებ თუ ვის საკუთრებაში ან ვის ბალანსზე ირიცხებოდა და ამჟამადაც ირიცხება სადავო ფართი.

რაიონულმა სასამართლომ სადავო ორდერი ისე მიიჩნია კანონიერად, რომ საქმეში მესამე პირად არ ჩააბა ამ ორდერის გამცემი ორგანო – დაბა ... აგროსამრეწველო კომბინატი და საკმარისად მიიჩნია მოპასუხის მიერ მხოლოდ ორდერის ასლის წარმოდგენა და არ გამოუთხოვია მისი დედანი.

სამართლებრივი: სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-3 მუხლი, რომლის შესაბამისად, არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის კანონიერი მოსარგებლების საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი ოვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი. აპელანტის მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნა იყო არა მესაკუთრედ ცნობა, არამედ კანონიერ მოსარგებლედ ცნობა, რომლის დაკმაყოფილების შემდეგ მიმართავდა შესაბამის ორგანოს კანონიერ მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 10 აგვისტოს №574 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საერთო საცხოვრებლის დებულება, საქართველს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განჩინებით ტ. მ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ მიუთითა „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაზოლირებული) ფართობის ადგილობრივი ოვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდ-

ლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ პირის კანონიერ მოსარგებლებ ცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების პრეროგატივაა, ხოლო კონკრეტულ ფართზე პირის კანონიერ მოსარგებლებ მიწნევის შემდეგ, ამ ფართს იგივე ადმინისტრაციული ორგანო პირს გადასცემს საკუთრებაში (გამოსცემს შესაბამის აქტს). ხოლო ამავე ბრძანებულების მე-5 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კი მხოლოდ ამის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ტ. მ-ამ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს მიმართა სადაც ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საასამართლოს სხდომაზე აპელანტს არ წარუდგენია მის მიერ სადაც ფართის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება და არც სადაც ფართზე რაიმე უფლების წარმომშობი მტკიცებულება, მაშინ, როდესაც სადაც ფართის მესაკუთრე არის ი. პ-ე.

სააპელაციო პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 312.1 მუხლის შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აპელანტმა კი ვერ წარადგინა მტკიცებულება, რითაც უტყუარად დადასტურდებოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობა, ასევე ვერ წარადგინა საჯარო რეესტრის ჩანაწერის საფუძვლის (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების) უკანონობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

გასაჩივრდებული განჩინების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლებრივი შეფასება ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა 1996 წლის 15 აპრილს ... აგროსამრეწველო კომბინატის მიერ გაცემული №59 ორდერის სიყალბესთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ დოკუმენტის სიყალბე შესაძლოა დადასტურდეს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე.

კასატორი: ტ. მ-ა

მოწინააღმდეგე მხარეები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახური; ი. პ-ე.

კასაციის საგანი და მოცულობა:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამრთლოში დაბრუნება.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „გ“ და „ე“ პუნქტები, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის პირველი თებერვლის №107 დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 22 სექტემბრის №494 დადგენილება.

კასატორის განმარტებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ეფუძნება არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლებიც გამოცემისთანავე იყო ბათილი, რაც სასამართლოს არ გამოუკვლევია, სასამართლოს არ გამოუხსნება ბინის ორდერის დედანი, ისე მიიღო გადაწყვეტილება და ისე სცნო ბინის ორდერი კანონიერად.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოების მითითებას იმის თაობაზე, რომ ტ. მ-ას სასამართლოსათვის არ წარუდგენია სადავო ფართზე უფლების წარმოშობის რაიმე მტკიცებულება, კასატორის განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ტ. მ-ა საცხოვრებელი სახლის არც პირველ სართულზე და არც მეორე სართულზე, თვითნებურად არ შექრილა იგი 1957 წლიდან მუშაობდა ... პლანტაციის მუშად და მას სადავო ფართი მეურნეობის ხელმძღვანელობამ გადასცა სარგებლობის უფლებით პირველი სართული 1957 წლიდან, ხოლო მეორე სართული - 1987 წლიდან. საქმეში ასევე წარმოდგენილია ე.ნ. საბინაო ფონდის აღრიცხვის შურნალი, რომლითაც დასტურდება, რომ მ-ას ოჯახი ფლობდა და სარგებლობდა სადავო ფართით.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოებმა არასწორად განმარტეს „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლი-

რებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის „უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულება. კასატორის მითითებით, სასამართლოს დასკვნა, რომ თითქოს პირის კანონიერ მოსარგებლედ ცნობა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების პრეროგატივაა, რის შემდეგაც ამ ფართს პირს გადასცემენ საკუთრებაში, არ გამომდინარეობს აღნიშნული ბრძანებულების დანაწესიდან, ვინაიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო წყვეტს საკითხს ბინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და არა კანონიერ მოსარგებლედ ცნობის შესახებ, ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ მოსარგებლედ ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის – ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის, ბინის ორდერის, საბინაო წიგნისა და სხვა საფუძველზე სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართით. ვინაიდან, ტ. მ-ას ჯერ არ გააჩნია აღნიშნული დოკუმენტაცია მან ჯერ სასამართლოს მიმართა კანონიერ მოსარგებლედ ცნობის მოთხოვნით, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა იყო. კასატორის განმარტებით, სასამართლოს არ უნდა ეთქვა უარი კანონიერ მოსარგებლედ ცნობის თაობაზე იმ მოტივით, რომ მან არ მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ირგანოებს, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო მოსარჩელისათვის დაედგინა ხარვეზი და ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მოთხოვნა ამ ნაწილში დაეტოვებინა განუხილველად. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, არამართებულია სასამართლოს უარი ტ. მ-ასათვის მის მიერ დაკავებულ ფართზე კანონიერ მოსარგებლედ ცნობის თაობაზე.

მონინააღმდეგე მხარემ – ი. პ-ის წარმომადგენელმა საკასაციო შესაგებლით მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-6 ნაწილების შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტა, იმ მოტივით, რომ კასატორს არ წარმოუდგენია სადაც ბინის მართლზომიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, საკასაციო საჩივარი მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, ვინაიდან, კასატორს საკასაციო საჩივარში არ მიუთითებია არც ერთი ნორმა რომელიც დაარღვია სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას, რის

გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება. სადავო ორ-დერის დედანი წარდგენილია ოზურგეთის რაიონულ სასამარ-თლოში, რომლის კანონიერება ასევე დადასტურდა სასამარ-თლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხული ვ. დ-ის მიერ. რაც შეეხება ორდერში ნუმერაციის გადასწორებას, შესაძლოა ეს გა-მოწვეული იყოს ორდერის შედეგის დროს დაშვებული ტექნი-კური ხასიათის შეცდომით, მონინააღმდეგე მხარის განმარტე-ბით, მას ამ ორდერის მიმართ გააჩნია კანონიერი ნდობა და მის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქო-ნე მოქმედებები. ამასთან, ვ. დ-ე ასევე გახლდათ ბინის ორდე-რის გაცემაზე უფლებამოსილი პირი.

კასატორმა – ტ. მ-ამ ნერილობითი მოსაზრებით მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 275-ე, 186-ე და 187-ე მუხლები. სასამართლოს თუ მიაჩნდა, რომ საქმე არ უნდა გან-ხილულიყო სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანხმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედიოდა, უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება და სარჩელი ამ ნაწილში დაეტოვე-ბინა განუხლველად. კასატორის განმარტებით, სასამართლომ უარით მართლზომიერ მოსარგებელდ ცნობის თაობაზე ჩამო-ართვა უფლება მიმართოს მართლზომიერ მოსარგებლედ ცნო-ბის თაობაზე უფლებამოსილ ორგანოს და მოიპოვოს უფლება იმ საცხოვრებელ ფართზე, რომლებსაც ფლობს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური წინამდლვრები (სასკ 34.3 მ.):

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის ტ. მ-ას საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძ-ვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხი-ლულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის სასამარ-თლო სხდომაზე მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-ტის 2012 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწ-ყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხა-

რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გან-ჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედე-გად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტ. მ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის საა-პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილვე-ლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სასამართლომ გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერია-ლური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „მუხ-ლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომე-ლიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კა-ნონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსა-ბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სააპელა-ციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული და გადაწყვეტილია საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელ-ყოფით.

საქმის მასალების შესაბამისად, ტ. მ-ა 1957 წლიდან მუშა-ობდა დაბა ... ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის დირექ-ციამ მას სარგებლობაში გადასცა საცხოვრებელი ფართი, მე-ურნეობის საერთო საცხოვრებელში მდებარე II რაიონში მდე-ბარე №20 ბინაში, II სართულზე (ამჟამად, ... ქ. №41-ში), ხოლო 1987 წლიდან კი მეურნეობის ხელმძღვანელობამ ნება დართო დაეკავებინა მისი ბინის I სართულზე არსებული 4 ოთახი. საქ-მის მასალებით ასევე დადასტურებულია და ამას არც მოსარ-ჩელე უარყოფს, რომ აღნიშნული ფართის ფლობის რაიმე სა-მართლებრივი დოკუმენტი არ გააჩინა.

1996 წლის 15 აპრილს ... აგროსამრეწველო კომბინატის მიერ გაიცა №59 ორდერი რ. პ-ისა და ი. პ-ის სახელზე, ... ქ. №9-ში მდებარე I სართულზე არსებულ 48 კვ.მ ფართზე.

აღნიშნული ორდერის საფუძველზე 2011 წლის 8 სექტემ-ბრის №912 ბრძანების შესაბამისად, ი. პ-ეს უსასყიდლოდ სა-კუთრებაში გადაეცა ოზურგეთში, დაბა ... ქ. №9-ში პირველ სართულზე მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი – 65,45 კვ.მ. ფართი რის საფუძველზეც გაიცა №236 საკუთრების უფლების მოწმობა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სა-რეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 12 სექტემბერს ი. პ-

ის საკუთრებად დარეგისტრირდა ზემოაღნიშნული ფართი.

კონკრეტულ შემთხვევაში როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სარჩელის საგანს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის №912 ბრძანებისა და ი. პ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების №236 მოწმობის ბათილად ცნობა; რ. პ-ისა და ი. პ-ის სახელზე 1996 წლის 15 აპრილს ... აგროსამრენველო კომბინატის მიერ გაცემული №59 ორდერის ბათილად ცნობა (თავდაპირველი მოთხოვნა არარად ცნობა, დააზუსტა 2011 წლის 20 დეკემბრის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი) საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდი (№...) ი. პ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა და ტ. მ-ას დაბა ..., მდებარე №20 ბინაში (ამჟამინდელი ... ქ. №41) პირველ სართულზე არსებული 79.06 კვ.მ. საერთო ფართზე და ამავე ბინის მეორე სართულზე არსებულ 78,68 კვ.მ. საერთო ფართზე კანონიერ მოსარგებლედ ცნობა.

საკადაციო სასამართლო „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებაზე მითითებით, განმარტავს, რომ აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, სახელმწიფო საბინაო ფონდში არსებული, მათ შორის ამ დებულების ამოქმედებამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ხდება მხოლოდ ფართობის კანონიერი მოსარგებლებისათვის. ამასთან, ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლის თანახმად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად. არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემის განხილვის საფუძველია კანონიერი მოსარგებლის წერილობითი განცხადება შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის

აღმასრულებელ ორგანოში. ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის 1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კი კანონიერი მოსარგებლე არის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით ანუ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, იმისათვის რომ პირი მიჩნეულ იქნეს კანონიერ მოსარგებლედ მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული რაიშე სახის იურიდიული დოკუმენტი იმისა, რომ იგი მართლზომიერად ფლობს ფართს და წარმოადგენს კანონიერ მოსარგებელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ისე გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ არ გამოუკვლევიათ საქმისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, რის საფუძველზე მოხდა მოსარჩელის სადაცვო ფართში შესახლება, არსებობდა თუ არა მმართველობითი აქტი მათი სადაცვო ფართში შესახლებისა ან სხვა რაიმე იურიდიული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დადგენა დავის საგანთან მიმართებით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვებს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საქმის მასალებში არ მოიპოვება სადაცვო რ. პ-ისა და ი. პ-ის სახელზე 1996 წლის 15 აპრილს ... აგროსამრეწველო კომბინატის მიერ გაცემული №59 ორდერის დედანი, სასამართლოს არ გამოუკვლევია ასევე აღნიშნული ორდერი გაცემული იყო თუ არა უფლებამოსილი პირის მიერ, რაიონული და სააპელაციო სა-

სამართლოები აღნიშნული ოდერის შეფასებისას აპელირებდნენ მხოლოდ მისი სიყალბის დაუდგენლობაზე, ისე რომ არ შეუფასებიათ მთელი რიგი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ გამოუკვლევია ოზურგეთის გამგეობა იყო თუ არა უფლებამოსილი სადაც ფართზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემაზე ანუ მათ ბალანსზე იყო თუ არა აღრიცხული სადაც ბინა. სასამართლოების მიერ არ არის შეფასებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ... სს „...“ 2011 წლის 3 ნოემბრის №44 და 2011 წლის 11 ნოემბრის №49 წერილები. ამდენად, საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, მოიპოვოს მტკიცებულებები და მათი შეფასების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისთავის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, რამდენად წარმოადგენდა ტ. მ-ვა სადაც ფართის კანონიერ მოსარგებლეს და რა კანონიერი ინტერესი გააჩნდა მას სადაც აქტების ბათილად ცნობაზე და მათი ბათილად ცნობით რა შედეგები დადგება მოსარჩელისათვის. მით უფრო იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით დადასტურებულია და რასაც არც მოსარჩელე უარყოფს, რომ მას „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის კანონიერ მოსარგებლედ ცნობის თაობაზე არ მიუმართავს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი /დარღვეული ან სადაც კცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება/ შედგება ორი ელემენტისაგან – სარჩელის საგნისა და საფუძვლისაგან. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ანუ სარჩელის საგანი მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სარჩელის საგანს

წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. სარჩელის საფუძველი, თავის მხრივ, ორი ელემენტისაგან შედგება, სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადაც სამართლურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია ადმინისტრაციული ორგანოების – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, კერძოდ, სარჩელი ეფუძნება იმ გარემობას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ მოხდა ი. პ-ისათვის საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა დაბა ..., ... ქ. №9-ში პირველ სართულზე მდებარე სამ ოთახზე, საერთო ფართი 65,45 კვ.მ. და შემდეგ ამ მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების დარეგისტრირება. ამასთან, მოსარჩელე ასევე ითხოვდა ადმინისტრაციული კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელებას, კერძოდ, დაბა ... მდებარე ... ქ. №20-ში (ამჟამად ... ქ. №41) I სართულზე არსებული 79,06 კვ.მ. საერთო ფართისა და ამავე ბინის II სართულზე არსებულ 78,68 კვ.მ. საერთო ფართის კანონიერ მოსარგებლედ აღიარებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სარჩელის სახეები და დასაშვებობის კრიტერიუმები. სარჩელის დასაშვებობისათვის ერთერთი და აუცილებელი კრიტერიუმია, რომ მოსარჩელის სარჩელით წამოყენებული მოთხოვნის მიმართ გააჩნდეს მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი. სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება შხოლოდ „თავისი“ უფლების ან თავისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღდვრის პროცესუალური უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი და ამასთან, ეს ინტერესი უნდა იყოს კანონიერი. შესაძლებელია, თავად, პირს ჰელია, რომ ასეთი ინტერესი აქვს და მიმართავს სასამართლოს, მაგრამ პირის ასეთი სუბიექტური განწყობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ობიექტურად იგი მართლაც დაინტერესებულია პროცესის წარმოების თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის გამორკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვე-

ბობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში, რომლის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან ერთად წინასწარ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე გაირკვეს, სარჩელის აღძვრას აქვს თუ არა კანონიერი ინტერესი ანუ სარჩელის ბათილად ცნობის მოთხოვნით ფაქტობრივი მიზეზბის არარსებობის გამო მის ბათილად ცნობას აქვს თუ არა მნიშვნელობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26².6 მუხლის დანაწესისა, რომლის თანახმად საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძვლის გამოვლენისას საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას თავად იმსჯელოს ამ ნაწილში სარჩელის დასაშვებობის საფუძვლებზე, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ი. პ-ეზე საკუთრების უფლება გაცემულია და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება დარეგისტრირებული მხოლოდ სადაც ბინის პირველ სართულზე არსებულ სამ ოთახზე, საერთო ფართი – 65,45 კვ.მ., ხოლო მოსარჩელე კი სარჩელით ითხოვს როგორც ზემოაღნიშნულ ფართზე ასევე, ამავე ბინის II სართულზე არსებულ 78,68 კვ.მ – ფართზე საკუთრების უფლების აღიარებასაც. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კი „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზლოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზლობლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი (თვითმმართველი ქალაქის მერი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ქ. თბილისში – შესაბამისი რაიონის გამგებელი) განცხადების საფუძველზე, ტ. მ-ას კი, ოზურგეთის რაიონული მუნიციპალიტეტისათვის კანონიერ მოსარგებლედ ცნობისა და დაბა ..., II რაიონში, ... ქ. №20-ში (მაჟამად ... ქ. №41-ში) მდებარე ბინის II სართულზე არსებულ ფართზე – 78,68 კვ.მ-ზე საკუთრებაში

გადაცემის მოთხოვნით არ მიუმართვას, საქმეში ამგვარი მტკი-ცებულება არ მოიპოვება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასა-მართლოს სამართლებრივი ფუნქციიდან გამომდინარე სსსკ-ის 404.3. მუხლის მიხედვით გააჩნია უფლებამოსილება სარჩელის დასაშვებობის თაობაზე უწყებრივი კომპეტენციის განსაზ-ღვრის თვალსაზრისით, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან უწყებრივი ქვემდებარების საკითხის შემოწმებისას სასამარ-თლო სამართლებრივი შემოწმების ფარგლებს არ გასცდება. ად-მინისტრაციული სარჩელის ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი დასაშვებობის კრიტე-რიუმების შემოწმებისას საკასაციო სასამართლო ვერ გასცდება ამ ინსტიტუტის სამართლებრივ დანიმუშლებას და ინსტი-ტუციონალური კომპეტენციის ფარგლებს, ანუ მხოლოდ სამარ-თლებრივი თვალსაზრისით სარჩელის დაუშვებლობის წინაპი-რობების გამოვლენის შემთხვევაშია შესაძლებელი ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 26².6 მუხლის გამოყენება.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმებთან შესაბამისობა საჭიროებს საქმეზე ფაქტობრივი გარე-მოებების დადგენას, რაც მხოლოდ ქვემდგომი სასამართლოების პროცესუალურ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელა-ციონ სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯე-ლოს მოსარჩელის სარჩელის დასაშვებობის თაობაზე სწორედ ზემომითითებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობების გათვალისწინებით და ამასთან, ასევე უნდა იმსჯე-ლოს კანონიერი მოსარგებლედ აღიარების თაობაზე სასარჩე-ლო მოთხოვნასთან მიმართებაში წარმოადგენას თუ არა სასა-მართლოს განხილვის კომპეტენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-თლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახე-ზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუა-ლური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სასამარ-თლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფ-ლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გა-დაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გა-მოიყვალიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვი-ტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანო-მდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საბოლოო გადაწყვეტილების მილებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პანონიერი მოსარგებლებისათვის ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა

განჩინება

№პს-240-232(ქ-13)

3 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლასე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ხ. ს-ი

მოპასუხე: ქ. თბილისის მერია

მოპასუხე: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული გამგე-
ობა

მესამე პირი – ნ. ს-ი

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სარჩელის საგანი:

1. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2012
წილის 4 იანვრის №1/1-04 განკარგულებისა და №1 საკუთრების
უფლების მოწმობის ბათილად ცნობა;

2. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 3 ივლისის №1755 განკარ-
გულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი: ფაქტობრივი: გასაჩივრებული აქ-
ტებით ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლად არის გამო-
ტანილი.

სამართლებრივი: მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ
საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-
ე და 96-ე მუხლებზე, მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრე-
ბული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტების მიღებისას ადმინისტრაციულ ორგანოებს სრულად არ გა-
მოკეთებით საქმესთან დაკავშირებული გარემოებები.

მოსარჩელის მიერ აღწერილი საქმის გარემოებები: მოსარ-
ჩელის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს რაიონული გამგეობის

2011 წლის 4 იანვრის 01/1-04 განკარგულებით 6. ს-ს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა თითქოსდა მის სარგებლობაში არ-სებული ბინა №26, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №11-ში, საერთო ფართით 17,50 კვ.მ.

აღნიშნული ფართი და არა ბინა, როგორც ეს გასაჩივრებულ განკარგულებაშია მითითებული არის მოსარჩელის – ხ. ს-ის საკუთრება.

მოსარჩელის მტკიცებით, ... ქ. №11-ში არ არის ბინა №26, ფართით 17,50 კვ.მ. ასევე 17.50 კვ.მ იზოლირებული ფართი, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს ბინად. ამიტომ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელი ფართი გადაეცა 6. ს-ს საკუთრებაში. მისთვის საკუთრებაში გადაცემული ფართი (და არა ბინა, როგორც ეს განკარგულებაშია მითითებული) არის ხ. ს-ის მიერ დაკავებული ბინის (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...) ნაწილი. მის ბინაში კი არის არ იზოლირებული სათავსო ფართით 17,5 კვ.მ.

მოსარჩელის მითითებით, ხ. ს-ის მიერ წარდგენილი შიდა აზომვითი ნახაზი, რაც დამტკიცდა გასაჩივრებული განკარგულებით, არ შეესაბამება ... ქ. №11-ში მდებარე არც ერთ ფართს, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რეალურად აზომვითი სამუშაოები ხ. ს-ის ბინაში არ ჩატარებულა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებულ აზომვითი სამუშაოების შესაბამისად, ქ. თბილისში, ... ქ. №11, ბინა №11-ში არსებული ოთახის, დერეფნისა და საკავანის, ფართია 22,25 კვ.მ., საიდანაც საცხოვრებელი ოთახია – 16,5 კვ.მ. საკავანის – 3,1 კვ.მ. და დერეფნის – 2,65 კვ.მ., ამის გარდა ხ. ს-ის ბინაში 17,50 კვ.მ. ფართის მქონე სათავსო არ არის, მასში არ არის სათავსო 6. ს-ის მიერ წარდგენილ ნახაზზე ასახული ლიობებით. დასკვნის შესაბამისად, ხ. ს-ის მიერ წარდგენილ აზომვით ნახაზზე ასახული სათავსო (ოთახი) და ხ. ს-ის მფლობელობაში არსებული ოთახი, კარდინალურად განსხვავდება, როგორც არქიტექტურულად, ისე ფართით.

მოსარჩელის მითითებით, ხ. ს-ს გადაეცა ფართი, რომელიც რეალურად არ არსებობს, მას არასოდეს არ ჰქონია სარგებლობაში სადაცო ფართი – 17,5 კვ.მ. არც 1965 წლიდან, რა დროიდანაც ფართით სარგებლობდა ს-ების ოჯახი და არც მანამდე, ვიდრე იმ ბინაში ცხოვრობდა სხვა ოჯახი. 6. ს-ი სარგებლობდა თბილისში, ... ქ. №11-ში სხვა სადარბაზოში მდებარე იმ ფართით, რომელიც მის სახელზე საჯარო რეესტრში იყო აღრიცხული გასაჩივრებული განკარგულების გამოცემამდე.

სადაცო განკარგულების გამოცემამდე 6. ს-ის საკუთრებაში

ჰქონდა ... ქ. №11-ში მდებარე სახლის 91,50 კვ.მ., რაც დასტურ-დება საჯარო რეესტრის ამონაწერებიდან.

მოსარჩელის მითითებით, 6. ს-ის მტკიცებით, მას როგორც „...“ მეპაიეს ეკუთვნოდა 75 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, ცხა-დია, რომ სადავო აქტის გამოცემამდე მას მთლიანად ჰქონდა მოპოვებული საკუთრების უფლება იმ ფართზე, რაც „...“ ერგე-ბოდა, ასევე ს-ს საკუთრებაში აქვს 80 კვ.მ. ეზო და 4 კვ.მ. სა-პირფარეშო; აგრეთვე გასაჩივრებულ სადავო განკარგულება-ში არა ამითითებული, თუ „...“ რომელი მეპაიე წევრის მემკვიდ-რეა 6. ს-ი. 6. ს-მა წარმოადგინა 2009 წლის 4 ნოემბრით დათარი-ლებული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა, რომლის თანახ-მად იგი არის პ. ს-ის მემკვიდრე. თუმცა არ მტკიცდება ის ფაქ-ტი, რომ პ. ს-ი იყო „...“ მეპაიე წევრი, ამასთან მოსარჩელის გან-მარტებით, 6. ს-მა ასევე წარმოადგინა საპირისპირო ფაქტის დამდგენი დოკუმენტი – ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამარ-თლოს 1998 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც დგინ-დება, რომ იგი არის მეპაიე წევრის ე. ა. ს-ის მემკვიდრე, მისი დანატოვარი ქონების (თბილისი, ... ქ. №11-ში, პირველი სართუ-ლი, სამოთახიანი ბინა, ფართით 76 კვ.მ) 1/3-ზე. 6. ს-მა წარმო-ადგინა განჩინების მხოლოდ ერთი გვერდი, ვინაიდან შეეცადა იმ ფაქტის დამალვას, რომ მას სამკვიდრო ქონების მხოლოდ 1/ 3 მიეკუთვნა. გასაჩივრებული განკარგულება ეწინააღმდეგება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განჩინებას.

მოპასუხე – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამ-გობის შესაგებელი:

სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უა-რის თქმა.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, გამგეობა სა-ქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანე-ბულების შესაბამისად, იხილავს სახელმწიფო საბინაო ფონდში და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არა-საცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართე-ბის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრება-ში გადაცემის წესსა და პირობებს.

6. ს-მა განცადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის, მდებარე თბი-ლისი, ... ქ. №11, ბინა 26 უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, საქმის წარმოებისას მას დაეგალა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ გამ-გეობამ მასალების სათანადოდ შესწავლისა და გამოკვლევის

შედეგად მიიჩნია, რომ 6. ს-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებდა 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მოთხოვნებს. ამასთან 6. ს-ისათვის ბინის, მდებარე ... ქ. №11, ბინა №26, საკუთრებაში გადაცემის საფუძველი იყო ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც 6. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუსი. პ. ბ-ის მიერ 2004 წლის 21 იანვარის ი. მ-ისა და ხ. ს-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა ნაწილობრივ 17,50 კვ/მ/-ის, (№26) ოთახის ნაწილში.

მოპასუხის შესაგებელი:

მოპასუხებ თბილისის მერიამ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამართლებრივი: ქ. თბილისის მერიამ შესაგებელში მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სრულად იქნა გამოკვლეული ყველა ფაქტობრივი გარემოება და მხარეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და სწორედ მათი შესწავლის შედეგად იქნა მიღებული სადავო განკარგულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 აგვისტოს განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება 6. ს-ი.

მესამე პირის – 6. ს-ის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მესამე პირის მტკიცებით, სადავო საცხოვრებელი ბინის ოთახი (№26), ფართი 17,50 კვ.მ. არის მისი წინაპრების-მეპაიე-წევრ ე. ს-ისა და პ. ს-ის კუთვნილი სამი ოთახის შემადგენელი ნაწილი, სამივე ოთახის ფართია 75 კვ.მ. სადავო ფართი არასდროს არ ყოფილა მოსარჩელის ოჯახის კუთვნილება.

სადავო ფართი ანუ ... ქ. №11-ში 1-ლი სართულზე მდებარე საცხოვრებელი ბინის ოთახი №26 ფართით – 17,50 კვ.მ. იყო მეპაიე-წევრ ს-ების, ხოლო მომიჯნავე ოთახი №25 ფართით 22 კვ.მ. შუშაბანდით იყო მეპაიე-წევრ ე-ის ქონება. კანონდარღვევით გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა, რომლითაც ხ. ს-მა საკუთრებაში დაირეგისტრირა სადავო ფართი, ბათილად იქნა ცნობილი საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ. აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი. ე-ის (მომიჯნავე ოთახის მესაკუთრე) სარჩელი ხ. ს-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე კუთვნილი

ფართის ნაწილში.

მესამე პირის განმარტებით, სადაც 17, 50 კვ.მ ფართი არის ს-ების კუთვნილი ბინის ოთახი, რომელსაც ჰქონდა და ეხლაც აქვს იზოლირებული შესასვლელი, მოსარჩევის დაკვეთით შესრულებული ნახაზი წარმოდგენილია ისეთი ფორმით, თითქოს სადაც რთახს სადარბაზოსთან არ აქვს დამაკავშირებელი კარი, ნახაზი დაფიქსირებულია ს-ის მამის მიერ უკანონოდ, თვითნებურად გადაკეთებული ტიხარი სადარბაზოს კიბის უჯრედში. მესამე პირის განმარტებით, ახალი ნახაზის გაკეთება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მოსარჩევი სახლში არ შეუშვა ექსპერტი.

სამართლებრივი: სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებული არ არის.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ხ. ს-ის სარჩევი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ც. ბ-ის მიერ 2004 წლის 21 იანვარს ი. ბ-სა და ხ. ს-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა, ნაწილობრივ 17,50 კვ./მ-/ის ნაწილში (ოთახი №26). აღნიშნულ გადაწყვეტილებას სასამართლოს მითითებით, პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2012 წლის 4 იანვრის №1/1/-04 განცარგულებით ხ. ს-ის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მის სარგებლობაში არსებული ბინა №26, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №11-ში, საერთო ფართით 17, 50 კვ.მ. აღნიშნული განცარგულების საფუძველზე ხ. ს-ზე გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა №1.

„...“ მეპაიე წევრის ე. ც-ის განცხადებიდან ირკვევა, რომ მისი თანხმობით, ... ქ. №11-ში, პირველ სართულზე საცხოვრებელი ფართი 75 კვ.მ. 20 კვ.მ. აივნით, სარდაფის სამი სათავსო 60 კვ.მ. 80 კვ.მ ბალით და 4 კვ.მ. საპირფარეშოთი, გადაეცა და გაუფორმდა ახალ წევრს ე. ს-ს, რომელმაც დაიკავა ე. ც-ის ადგილი.

1998 წლის 14 მაისს კომ. „...“ სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარის ცნობის შესაბამისად, პ. ს-ს პირად საკუთრებაში გადაეცა ... ქ. №11-ში მდებარე სამოთახიანი ბინა, პირველ სარ-

თულზე, საცხოვრებელი ფართი 75 კვ.მ. 20 კვ.მ აივნით, სარდაფის სამი სათავსო 60 კვ.მ. 80 კვ.მ ბალით და 4 კვ.მ. საპირფარეშოთი. საპაიო შენატანი დაფარული იყო მთლიანად.

2009 წლის 21 აგვისტოს სანოტარო აქტით დადგენილია, რომ ლ. ს-მა უარი განაცხადა საკუთარ წილზე საპრივატიზაციო ბინაში მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №11, ოთახი №26-ში, ნ. ს-ის სასარგებლოდ. 2009 წლის 4 ნოემბრის სანოტარო აქტით – კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობით დადგენილია, რომ 2009 წლის 3 მაისს გარდაცვლილ პ. ს-ის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილია შვილი – ნ. ს-ი.

პაის უფლებიდან გამომდინარე, №24 ოთახი, მხოლოდ საცხოვრებელი ფართი, საკუთრების უფლებით მოპოვებული აქვს ლ. ს-ს (პ. ს-ის შვილი და ნ. ს-ის და), ხოლო 66 კვ.მ. საიდანაც საცხოვრებელი ფართი მხოლოდ 32.01 კვ.მ-ია (ოთახი №23) დაკავებული აქვს ნ. ს-ს. ამდენად ე. ს-ისა და შემდგომში უკვე პ. ს-ის კუთხით 75 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს აკლდა სწორედ სადაც საცხოვრებელი ფართი, ოთახი №26 17,5 კვ.მ

საქმეში არსებულ საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილია სადაც ბინა №26 ფართით 17.5 კვ.მ., რომელსაც გააჩნია შესასვლელი სადარბაზოდან.

სასამართლოს მიერ სადაც მიჩნეული ფაქტები:

სადაც ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2012 წლის 4 იანვრის №1/1-04 განკარგულების, №1 საკუთრების უფლების მოწმობისა და ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 3 ივლისის №1755 განკარგულების კანონიერების საკითხი, მოსარჩელის განმარტებით, ნ. ს-ს საკუთრებაში გადაეცა მის სარგებლობაში არსებული ბინის ნაწილი. სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას ადმინისტრაციულ ორგანოებს სათანადოდ არ გამოუკვლევიათ აღნიშნული.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემის განხილვის საფუძველია კანონიერი მოსარ-

გებლის წერილობითი განცხადება შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განცხადებას უნდა დაერთოს: არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.); კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე მემკვიდრეობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი; განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო ნარმომადგენლობის შემთხვევაში, დამატებით ნარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და ნარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი; ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა (თანხმობები), თუმცა კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულია რამდენიმე კანონიერი მოსარგებლები და საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლების დათმობა ხდება კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლების) მიერ ერთი ან რამდენიმე კანონიერი მოსარგებლის სასარგებლობა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ნ. ს-მა გამგეობას წარუდგინა ზემოაღნიშული ყველა დოკუმენტი, ასევე დადგენილია, რომ ნ. ს-ი არის პ. ს-ის მემკვიდრე, რომელიც სადავო ფართის (ოთახი №26 17,50 კვ.მ.) კანონიერი მოსარგებლე იყო.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ სადავო განკარგულებით არ დაინდება, თუ კონკრეტულად რა ფართი გადაეცა ნ. ს-ს, ასევე ის გარემოებაც, რომ მას გადაეცა მის საკუთრებაში არსებული ფართი და დაასკვნა, რომ საქმის მასალებით ცალსახად დადგენილია, თუ რა ფართი გადაეცა ნ. ს-ს და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების შესაბამისად, იზოლირებულია თუ არაიზოლირებული ფართი, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, სადავო ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადმინისტრაციულ ორგანოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი არ დაურღვევიათ და სრულად გამოიკვლიეს ის გარემოებები და ფაქტები რაც გახდა სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძველი.

აპელანტი: ხ. ს-ი

მოწინააღმდეგე მხარე: ქ. თბილისის მერია
თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული გამგეობა
მესამე პირი – ნ. ს-ი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მტკიცებით, ნ. ს-ისათვის გადაცემული ფართი (და არა ბინა, როგორც ეს გასაჩივრებულ განკარგულებაშია მითითებული) წარმოადგენს ხ. ს-ის მიერ დაკავებული ბინის ნანილს. ხ. ს-ის ბინაში კი არ არის იზოლირებული სათავსო ფართით 17,5 კვ.მ., აპელანტის მითითებით, ნ. ს-მა შეუძლებელია, რომ ისარგებლოს მისთვის საკუთრებაში გადაცემული ფართით, რადგან ნ. ს-ს არ აქვს შესასვლელი მისთვის მიკუთვნებულ ე.წ. №26 ბინაში.

აპელანტის განმარტებით, ადმინისტრაციულ ორგანოებს ადმინისტრაციული წარმოებისას არ გამოუკვლევია არც ერთი გარემოება, რის შემდეგაც ნ. ს-ს მიეკუთვნა ფართი, რომლითაც იგი არ თუ არ სარგებლობდა, არამედ მისთვის ამ ფართში შესვლაც კი შეუძლებელია.

აპელანტის მითითებით, ნ. ს-ის მიერ წარდგენილი შიდა აზომვით ნახაზი, რაც დამტკიცდა გასაჩივრებული განკარგულებით, არ შეესაბამება ... ქ. №11-ში მდებარე არც ერთ ფართს, რაც განპირობებულია იმით, რომ რეალურად აზომვითი სამუშაოები ხ. ს-ის ბინაში არ ჩატარებულა, გარდა იმისა, რომ ხ. ს-ის ბინაში 17,50 კვ.მ. ფართის მქონე სათავსო არ არის.

სადაც განკარგულებაში ასევე არაა მითითებული, თუ ... რომელი მეპაიე წევრის მემკვიდრეა ნ. ს-ი.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული განკარგულება ენინააღმდეგება „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი

ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტს, ასევე მე-4 მუხლის პირველ პუნქტს. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზების უფლებამოსილება გააჩნია კანონიერ მოსარგებლეს. 6. ს-ს არასდროს ჰქონია სარგებლობაში 17,5 კვ.მ. სადაც ფართი არათუ 1965 წლიდან, რა დროიდანაც ფართით სარგებლობდა ს-ების ოჯახი, არამედ მანამდეც. 6. ს-ი სარგებლობდა თბილისში, ... ქ. №11-ში სხვა სადარბაზოში მდებარე ფართით, რომელიც მის სახელზე საჯარო რეესტრში იყო აღრიცხული გასაჩივრებული განკარგულების გამოცემამდე. სადაც განკარგულების გამოცემამდე 6. ს-ს საკუთრებაში გააჩნდა თბილისში, ... ქ. №11-ში მდებარე სახლის 91, 50 კვ.მ., რაც დგინდება საჩივარზე დართული საჯარო რეესტრის ამონანერებიდან.

მონინააღმდეგის შეპასუხება:

მონინააღმდეგ მხარემ – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ წერილობითი შესაგებლით მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მიუთითა, რომ გასაჩივრებული ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ გამოცემული სადაც აქტი მიღებულია კანონმდებლობათა სრული დაცვით, ვინაიდან წარმოდგენილი ღოკუმენტებით დასტურდება, რომ 6. ს-ი არის სადაცოდ გამხდარი ბინის კანონიერი მოსარგებლე, აღნიშნული დასტურდება ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელსაც პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს.

სააპელაციო საჩივარი არ ცნო არც ქ. თბილისის მერიამ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინებით 6. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათ-

ვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტების კანონიერების შემოწმებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი შესაბამისობა „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებასთან. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი გარემონტების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ 6. ს-მა გამგეობას წარუდგინა არაპრივატიზებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი. ასვე დადგენილია, რომ 6. ს-ი არის პ. ს-ის მემკვიდრე, რომელიც სადაცო ფართის (ოთახი №26 17,50 კვ.მ.) კანონიერი მოსარგებლე იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ საქმის მასალებით ცალსახად არის დადგენილი რა ფართი გადაეცა სადაცო აქტით 6. ს-ს. ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დადგენილია არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი, შესაბამისად გადაცემული ფართი იზოლირებულია თუ არა, აღნიშნულ გარემოებას კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის განმარტებით, მნიშვნელობა არ აქვს. შესაბამისად, არ არსებობს სააპელაციო საჩივრის გაზიარების საფუძველი.

რაც შეეხება აპელანტის მოსაზრებას, კოოპ. ბინათმიშენების სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარის მიერ 1998 წლის 14 მაისს გაცემული ცნობის თაობაზე, აღნიშნულთან მიმართებაში, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მტკიცებულების სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულება აპელანტის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მტკიცებულების სიყალბე და მისი სამართლებრივი შედეგების დადგომაზე პრეტენზია წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის

მოთხოვნის ერთ-ერთ გარემოებას, საქართველოს სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მისი მტკიცება სწორედ მოსარჩელის მიერ უნდა ყოფილიყო განხორ-ციელებული.

კასატორი: ხ. ს-ი

მოწინააღმდეგ მხარეები: ქ. თბილისის მერია, თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა

მესამე პირი – ნ. ს-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინების გაუქ-მება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი საკასაციო საჩივარს ამყარებს ძირითადად იმავე მოტივებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

კასატორი მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად გამოიკვლიეს და დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, სასამართლომ არასწორად განმარტა სა-ქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანე-ბულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი; სადაც გამგეობის განკარგულება პირდაპირ ენი-ნააღმდეგება კანონიერ ძალაში შესულ თბილისის ვაკის რაიო-ნის სასამართლოს 1998 წლის 22 ოქტომბრის განჩინებას.

ქ. თბილისის მერიამ და ვაკის რაიონის გამგეობამ წერილო-ბითი მოსაზრებებით მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაუშვებ-ლად ცნობა.

წერილობითი მოსაზრებით მესამე პირმა – ნ. ს-მა მოითხოვა ბ. ს-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური ნანამდლვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ად-მინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნ-ქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, რო-გორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, სა-კასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებუ-ლი განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და მხარეთა განმარტებების ზეპირი მოსმენის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყ-

ფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითა მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო საჩიგარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ს 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, საკასაციო საჩიგარში მითითებული მოტივები – სადაც ვო (გამგეობის) განკარგულებას საქმის ფაქტობრივი გარემოებების სათანადო გამოკვლევის, შეფასებისა და დადგენის გარეშე გამოცემის შესახებ, რაც ასევე არ იქნა ჯეროვნად გამოკვლეული არ ჰპოვებს დადასტურებას საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობათა ანალიზით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებს, რამდენადაც მათი გამაქარნებულებელი არგუმენტაცია ან განსხვავებული სამართლებრივი შეფასება კასატორმა ვერ წარმოადგინა.

საქმეში დაცულ მტკიცებულებების ანალიზი ადასტურებს, რომ ნ. ს-ის მიერ რაიონულ გამგეობაში წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა არაპრივატიზებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემისათვის მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილ ჩამონათვალს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებითან დაკავშირებით წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზია დაუსაბუთებელია, არ გამომდინარეობს საქმის მასალების ობიექტური შეფასებიდან და პრაქტიკულად იდენტურია სააპელაციო საჩიგარში მოყვანილი პრეტენზიისა, რაც დამაჯერებლად არის გაქარნებული სააპელაციო სასამართლოს მიერ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მხრიდან დამატებითი მსჯელობის საჭიროება აღარ არსებობს.

რაც შეეხება კასატორის მოტივაციას, სააპელაციო სასამარ-

თლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის არასწორი განმარტების შესახებ, კერძოდ, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი, ასევე დაუსაბუთებელია, ვინაიდან კასატორი ვერ უთითებს, თუ რაში გამოიხატა სასამართლოს მხრიდან სამართლის ნორმების არასწორი განმარტება. აღნიშნულის არგუმენტად კასატორს მოჰყავს ფაქტობრივი გარემოება - ნ. ს-ს არასდროს ჰქონია სარგებლობაში 17,5 მ² სადავო ფართი. ხოლო პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისი მუხლების მიხედვით, არაპრივატიზებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზების უფლება კანონიერ მოსარგებლეს გააჩნია.

აღნიშნულ არგუმენტს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სადავო 17,50 მ² ფართი ნ. ს-მა მიიღო მემკვიდრეობით, დის – ლ. ს-ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის საფუძველზე (2009 წლის 21 აგვისტოს სანოტარო აქტი) კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ც. ბ-ის მიერ 2004 წლის 21 იანვრის ი. მ-სა და ხ. ს-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა ნაწილობრივ, 17,50 მ² (№26 ოთახი) ნაწილში, ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული ნ. ს-ის მიერ კანონისმიერი მემკვიდრეობის მიღების ფაქტი ამ ფართზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით განსაზღვრულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები, მათ მორის: „მხარებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი“.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მეორე მოტივს სამართლებრივ საკითხზე, რომ გამგეობის სადავო განკარგულება პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონიერ ძალაში შესულ თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 22 ოქტომბრის განჩინებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მსჯელობა გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაზუსტი ინტერპრეტაციისა და არასწორი შეფასებიდან, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გა-

რემონტად არის მიჩნეული, რომ ე. ს-ს ქონებაზე მეპაიე წევრი გახდა პ. ს-ი, რომლის კანონისმიერ მემკვიდრეს ნარმოადგენს 6. ს-ი.

თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით 6. ს-ი ცნობილ იქნა ე. ს-ის მემკვიდრედ მის დანატოვარ ქონებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლზე განიმარტა თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წის 22 ოქტომბრის განჩინებით შემდეგი სახით: „6. ს-ი ცნობილ იქნას ე. ს-ის მემკვიდრედ მის დანაშთ ქონებაზე საცხოვრებელ ბინაზე მდებარე, თბილისი, ... ქ. №11-ში 1-ლ სართულზე სამოთახიან ბინაზე ფართით 76 მ² სარდაფი სამი სათავსოთი და მიეკუთვნოს მას ამ ბინის ერთი მესამედი, როგორც მესაკუთრეს“.

აღნიშნულს, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით მისაზრებაში არც უარყოფს, პირიქით, ადასტურებს თავად მესამე პირი 6. ს-ი: „ქონების 1/3 /ერთი ოთახი №23/ მივიღე, როგორც ბების მემკვიდრემ, ხოლო სადავო 17,50 მ² ფართის ოთახი მივიღე, როგორც დედის – პ. ს-ის მემკვიდრემ“. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული, რომ საქმეში არსებული „...“ ცნობების თანახმად ე. ს-ის ქონებაზე მეპაიე წევრი გახდა პ. ს-ი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ამ ფაქტების სადავოდ ქცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე კასატორის პროცესუალურ უფლებას ანუ შესაძლებლობას აღარ განეკუთვნება.

ამდენად სადავო – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2012 წლის 4 იანვრის №1/1-04 განკარგულება შეესაბამება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე, ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, კოოპერატიული ... სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარის მიერ 1998 წლის 14 მაისს გაცემულ ცნობასთან დაკავშირებით – „გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დასახელებული დოკუმენტი ყალბია“, შემდეგ გარემოებათა გამო აღნიშნული პრეტენზია აგრეთვე განხილულ და შეფასებულ იქნა საპელაციო სასამართლოს მიერ, ასეთი დადგენილი არ არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით, შესაბამისად, ამ-

გვარი ეჭვი მტკიცებულებათა მიმართ, პროცესუალური თვალ-საზრისით არასაკმარისია მათი უტყუარობასა და ნამდვილობის შესაფასებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნტის მიხედვით დოკუმენტს, რომელსაც ემყარება გადაწყვეტილება, სიყალბე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, საქმის წარმოების განახლების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ამგვარი დადასტურებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს და კანონიერად და ოპიექტურად გადაწყვიტა დავა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკავშირების სამართლებრივი და პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. b. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკავშირებილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპრავი ქონების რეგისტრაცია

განხილვა

№ბს-539-534(კ-11)

20 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტე-
ბის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ი. ჩ-ა

მოპასუხე: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
სარჩელის სახე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის მე-60¹ მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციუ-
ლი საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინის-
ტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 5
აგვისტოს №162333 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომ-
ლითაც ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ი. ჩ-ას
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციის მონა-
ცემებში ცვლილების შეტანა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-
ნულ სააგენტოს, საერთოდ არ უნდა განხეხილა ნ. ჩ-ის ადმინის-
ტრაციული საჩივარი, რადგან სადავო საკითხს უკვე იხილავდა
სასამართლო, ამასთან – რეგისტრირებული მონაცემები საჩივ-
რდება მხოლოდ სასამართლო წესით.

სამართლებრივი: მოსარჩელეს მიაჩნია რომ საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 5 აგვისტოს
№162333 გადაწყვეტილებით დაირღვა საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნა-
წილის იმპერატიული მოთხოვნები, რაც კანონმდებლობასთან
შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ნოემბრის განჩინებით ასკ-ის 16.2

მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ნ. ჩ-ი.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე მხარის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ზ. ლ-მა წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი. მოპასუხის მითითებით, რეგისტრაციის შედეგად სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გამოცემული დოკუმენტი ასახავს აშკარად, უფლების დამდგენი დოკუმენტის შეუსაბამო მონაცემებს, ვინაიდან უფლების დამდგენი დოკუმენტით მოქალაქე ი. ჩ-ას საკუთრების უფლება ვრცელდება ახალციხეში, ... ქ. №13-ში მდებარე უძრავ ნივთზე, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე ფართობით 453კვ.მ, ხოლო საჯარო რეესტრის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შედეგად გამოცემულ ამონანერზე დაფიქსირებულია საკუთრების უფლების გავრცელების ფაქტი, ამავე მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე დაზუსტებული ფართობით 487კვ.მ.

სამართლებრივი: რეგისტრაციის მომენტისათვის მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენდა უფლების დამდგენი დოკუმენტი და საკადასტრო ინფორმაცია. უფლების დამდგენ დოკუმენტში კი არსებობს აშკარა შეუსაბამობა, როს საფუძველზეც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ წანილობრივ დააკმაყოფილა ნ. ჩ-ის ადმინისტრაციული საჩივარი.

მესამე პირის მოსაზრება:

მესამე პირების მოსაზრებით, უძრავი ნივთის გაყოფის შედეგად ი. ჩ-აზე დაუსაბუთებლად დარეგისტრირდა სადავო ეზო, რომელიც მათაც ეკუთვნოდა ნასყიდობის ხელშექრულებიდან გამომდინარე.

საქმის გარემობები:

1993 წლის 3 ივნისის ნასყიდობის ხელშექრულების საფუძველზე, რეესტრში რეგისტრაციის №3673, ნ. ჩ-მა დ. ა-ისაგან შეიძინა ქ. ახალციხეში, ... ქ. №9-ში მდებარე მთლიანი საცხოვრებელი სახლი, განლაგებული 187 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე.

ნასყიდობის ხელშექრულების საფუძველზე, 2005 წლის 15 დეკემბერს საჯარო რეესტრში განხორციელდა ნ. ჩ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რომელზეც რეგისტრირებული საკუთრების უფლება შეადგენს 355 კვ.მ-ს.

1998 წლის 11 აგვისტოს ჩუქების ხელშექრულების საფუძველზე, ქ. ახალციხეში, ... ქ. №9-ში მდებარე მთელი სახლი, განლაგებული 453 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე თ. ხ-ისაგან გადაეცა ი. ჩ-ას.

ჩუქების ხელშექრულებისა და დინტერესებული პირის მიერ

ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე, ... ქ. №13-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე და 487 კვ.მ. მინის ნაკვეთზე განხორციელდა ი. ჩ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეგსტრში.

6. ჩ-მა 2008 წლის 8 სექტემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა შესწორების შეტანა 2007 წლის 22 თებერვალს განხორციელებულ რეგისტრირებულ მონაცემებში, განაცხადის რეგისტრაციის №0399/07.

2008 წლის 9 ოქტომბრის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, 6. ჩ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე 6. ჩ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. ჩ-მა. სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის განჩინებით 6. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით, 6. ჩ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ. ნანილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 22 თებერვლის №0399/07 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, დოკუმენტზე ასახული უძრავი ნივთის ფართობის აღწერილობის ნანილში. დაევალა ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს, ცვლილების შეტანა რეგისტრაციის მონაცემებში. ნაცვლად 427 კვ.მ. დაზუსტებული ფართობისა მიეთითა 453 კვ.მ.

საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება 2009 წლის 7 სექტემბერს ი. ჩ-ამ გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 5 აგვისტოს №162333 გადაწყვეტილება; ბათილად ცნობილი აქტის მოქმედება შეწყდა მისი ძალაში შესვლის დღიდან.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განჩინებით (საქმე №38/1-84-09) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მხარებმა განაცხადეს, რომ დასაბუთებული განჩინება არ ჩაბარებით, ამდენად – აღნიშნული სამართლწარმოება დასრულებული არ არის.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოსარჩელე მხარემ სადავო გახადა ცვლილების შეტანის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების კანონიერება.

მოპასუხე მხარემ სადავო გახადა უფლება დამდგენი დოკუმენტის მონაცემების სისწორე, რის საფუძველზეც განხორციელდა ი. ჩ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლოს შეფასებით მოპასუხის მიერ არსებითადაა დარღვეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა შეწყდეს მისი ძალაში შესვლის დღიდან.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ იყო უფლებამოსილი – განეხილა 6. ჩ-ის ადმინისტრაციული საჩივარი, რადგან საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით იყო სასამართლო წარმოებაში.

იმავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

აღნიშნული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახ-

მად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები; ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არასებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

აპელანტი: ნ. ჩ-ი

მოწინააღმდეგე მხარე: ი. ჩ-ა

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ი. ჩ-ას 1998 წლის 11 აგვისტოს ჩუქების სელშეკრულების თანახმად, ქალაქ ახალციხეში, ... ქ. №13-ში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცა მხოლოდ 453კვ.მ მინის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა ნაგებობაზე, ხოლო საჯარო რეესტრის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შედეგად გამოცემულ ამონანერზე არასწორად დაფიქსირდა საკუთრების უფლების გავრცელების ფაქტი უფლების დამდგენი დოკუმენტის აშკარად შეუსაბამო 487 კვ.მ ფართობზე.

სამართლებრივი: სადავო მინის ნაკვეთის რეგისტრაციის დროს მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, რეგისტრაციის საფუძველს ნარმოადგენს უფლების დამდგენი დოკუმენტი და საკადასტრო ინფორმაცია, სწორედ აღნიშნულისა და იმის გათვალისწიებით, რომ ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 22 თებერვალს განხორციელებული უძრავი ქონების რეგისტრაციის შედეგად, უფლების დამ-

დგენ დოკუმენტში (ჩუქების ხელშეკრულება) დაფიქსირებული მინის ნაკვეთის ფართობის შეუსაბამოდ ნაცვლად 453 კვ. მეტრისა რეგისტრაციის შედეგად გამოცემულ ამონაწერზე დაფიქსირდა საკუთრების უფლების გავრცელების ფაქტი 487 კვ.მ მინის ნაკვეთზე. ამდენად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე სარეგისტრაციო მონაცემებში დაშვებული შეცდომების გასწორება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სასამართლომ ასევე არ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნოს კანონდარღვევით მიღებული გადაწყვეტილება, მოცემულ შემთხვევაში კი საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, როგორც უძრავ ნივთებზე რეგისტრაციის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარმოადგენდა დისკრეციულ უფლებამოსილებას – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში საქმის მიმღინარეობა ადმინისტრაციულ ორგანოს არ უზღუდავს შესაძლებლობას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას მოახდინოს კანონდარღვევით გამოცემული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა.

მოწინააღმდეგე მხარის შეპასუხება:

მოტივები:

მოწინააღმდეგე მხარის – ი. ჩ-ას წარმომადგენელი თ. ქ-ე არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო კანონიერი და დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

6. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. „გ“ მუხლის შესაბამისად, დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე. დამატებითი მოტივაცია სასამართლოს არ წარმოუდგენია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო მთლიანად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს. დამატებით მათზე არ უმსჯელია.

კასატორი: ნ. ჩ-ი

მოწინააღმდეგე მხარე: ი. ჩ-ა

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორს პროცესუალურ დარღვევებზე საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი არ აქვს.

მატერიალური:

კასატორი იმეორებს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი საჩივრის მატერიალურ საფუძვლებს.

მოწინააღმდეგის შეპასუხება:

მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასვებობის პროცესუალური წინამდღვრები: (საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიზნია, რომ კასატორის ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. (აბსოლუტური კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი: საკასაციო სასამარ-

თლოს 2011 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

კასაციის დაშვების წანამძღვარის განმარტება კონკრეტულ საქმეზე:

წინამდებარე საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესი კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, როგორც აბსოლუტური კასაცია, ვინაიდან, კასაციის მოტივები ეფუძნება ქვემდგომი სასამართლოების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის იურისდიქციის საკითხის განსაზღვრას, რაც არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით მოცემულ საქმეს მიანიჭა განსაკუთრებული სტატუსი, კერძოდ, საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად.

ადმინისტრაციული სამართლი საქართველოს სახელმწიფო ებრივ რეალობაში ახალი დარგია და მისი ინსტიტუტების, პრინციპების, ნორმების სწორ გაგება-გამოყენებასა და დამკვიდრებას სასიცოცხლილი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოში მმართველობის კანონიერების მიღწევის საკითხში. სამართლის ამ დარგის ნოვაციურობიდან გამომდინარე, მნირია როგორც ადმინისტრაციული, ასევე, სასამართლო ორგანოების პრაქტიკა სამართლის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები ხელს შეუწყობს, როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ასევე სამართალწარმოების პროცედურის განვითარებას და დახვენას.

საკასაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის გამომრიცხველი გარემოებებიდან ერთ-ერთის – სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით (ქვეპუნქტი „ბ“, მართებულ გაგება-გამოყენებას. საკასაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები სასარგებლო და სახელმძღვანელო იქნება, როგორც მმართველობის, ისე მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირთათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივებს, როგორც იურიდიულად დაუსაბუთებელს, რამ-

დენადაც საქმეზე ქვემდგომი სასამართლოების მიერ ადგილი არ აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე მუხლებით დადგენილ დანაწესების დარღვევას, როგორც რაიონული ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს და სწორად განმარტეს კანონი. გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით სრულიად დასაბუთებულია, კერძოდ:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით უზრუნველყოფილია პირის კონსტიტუციური უფლება მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების შესაძლებლობის, ხოლო მმართველობითი ორგანოების ვალდებულება – მმართველობითი იერარქიის სისტემაში ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა კანონიერბისა და მიზანშენონლობის შემოწმება ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტის დადგენა ემსახურება ერთის მხრივ, პირის დარღვეული უფლების ეფექტიანი აღდგენის შესაძლებლობას და მეორეს მხრივ, თავად მმართველობით ორგანოებში კანონიერების აღდგენის, თვითკონტროლის და სუბორდინაციული წესით ზედამხედველობის, როგორც მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით მმართველობის განხორციელების მიზანს. მიუხედავად აღნიშნულისა, კანონმდებლობა, სავსებით ლოგიკურად თვალისწინებს ადმინისტრაციულ საჩივრის მიღებისა და განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებს, მათ შორის, წინამდებარე საქმის შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა ორი შემთხვევა, როდესაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული საჩივრის მიღება/განხილვის გამომრიცხველ გარემოებად დადგენილია:

1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება/განჩინება;
2. სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

მითითებული ორი საფუძველი, როცა სადაცო საკითხი სასამართლო ორგანოს განხილვაში იმყოფება ან უკვე გადაწყვეტილია, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის იურისდიქციის შეზღუდვის წინაპირობას წარმოადგენს და აღნიშნული სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სახელ-

მწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციას.

ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოთა იურისდიქციის სა-სამართლოში სამართალწარმოების პარალელურად ადმინის-ტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შეზღუდვის თაობაზე ემსახურება ერ-თის მხრივ, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევ-ლობისა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის ლე-გიტიმურობის პრინციპს, ხოლო მეორეს მხრივ, სადაც საკით-ხე მიღებული (კონფლიქტის გადაჭრის) გადაწყვეტილების პა-ტივისცემას და მდგრადიობას, სტაბილურობას, რათა ზემდგო-მი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინააღ-მდეგობაში (რის შესაძლებლობასაც ჰიპოთეტურად არსებობს) არ მოვიდეს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო აქტებთან ან/და ზეგავლენა არ მოახდინოს მიმდინარე სამართალწარმო-ების შედეგზე.

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს სამარ-თლებრივი შეფასება მისცეს და გამიჯნოს სადაც აქტის გამომ-ცემი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენცია ზემდგომ ად-მინისტრაციული ორგანოს კომპეტენციასთან მიმართებაში, სა-მართლებრივი გაურკვევლობისა და ბუნდოვანების პრევენციის მიზნით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ამგვარ შეზღუდვას არ უწესებს აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორ-განოს სასამართლო დავის მიმდინარეობის პროცესში თავისი ინი-ციატივით გააუქმოს სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტი, რაც სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპრო-ცესო კოდექსის 1.2. მუხლის დანაწესიდან გამომდინარე საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტის გამოყენების საფუძველზე შესაბამისი საპროცესო მოქ-მედების (საქმის წარმოების შეწყვეტა დავის საგნის არარსებო-ბის საფუძვლით) შესრულების წინაპირობა გახდება.

ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი კომპეტენცია პრაქ-ტიკულად ჰირდაპირ იყითხება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.3 მუხლის ტექსტში, რომლის მიხედვით სასამარ-თლოს მხარის მოთხოვნის პირობებში მინიჭებული აქვს კომპე-ტენცია – დავის გადაწყვეტამდე ინდივიდუალური ადმინისტრა-ციული აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში მოსარჩე-ლის კანონიერი ინტერესის არსებობისას ბათილად ცნოს (უკვე სასამართლო წესით) სადაც აქტი.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უკვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის არსებობის პირობებში ლოგიკურად დაუშვებელია აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს

მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგი სხვა სამართლებრივი რეზულტატის მატარებელი იყოს.

აღნიშნულისაგან სრულიად განსხვავებული მიდგომა უნდა გამოვიყენოთ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციასთან დაკავშირებით, ვინაიდან ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა გულისხმობს დავის (კონფლიქტის) განხილვა-გადაწყვეტას, რის გამოც სამართლის თეორიაში მოცემულ ადმინისტრაციულ წარმოებას კვაზისასამართლო პროცედურა-საც უწოდებენ, შესაბამისად დავის ორი სახელისუფლო შტოს (სასამართლოს და მმართველობის ორგანოთა) მიერ პარალელური ან პოსტგადაწყვეტა სახელისუფლო ავტორიტეტის პატივის-ცემის შესუსტებას და არარაციონალურ საბიუჯეტო ტვირთს გამოიწვევდა. ამავდროულად, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია სა-სამართლო აქტის რევიზიის ნიშნებს შეიცავდეს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ენინაღმდეგება, ხოლო მართლმსაჯულების ძირითადი ფუნქციის (კონფლიქტის მოგვარება) მაღალ დანიშნულებას ნიადაგს გამოაცლის.

დასკვნის სახით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოთ მოყვანილი ორი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სავსებით ლოგიკურად, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო უწყებრივი განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე არ არის უფლებამოსილი განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი და ჩა-ატაროს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის არგუმენტები მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას და მისი გაზიარების საფუძვლები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.2, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ ჩა-ჩივრდება.

უძრავი ქონების რეგისტრაცია

გადაცემის საქართველოს სახელით

№პს-580-570(კ-12)

11 ივნისი 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლასე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე – დ. ფ-ი

მოპასუხები: 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რე-
ესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო
სამსახური

მესამე პირები: ს. კ-ი, ნ. ი-ი

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

სარჩელის საგანი:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რე-
ესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის №9526
გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რე-
ესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო
სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილების
ბათილად ცნობა;

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: დ. ფ-მა 2011 წლის 20 ოქტომბერს, როგორც
მ. ფ-ის პირველი რიგის მემკვიდრემ სამკვიდრო მოწმობით, მემ-
კვიდრეობით მიიღო მ. ფ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონება, მდე-
ბარე ქ. მარნეულში, ... ქ. №3-ში;

2011 წლის 20 ოქტომბერს მან განცხადებით მიმართა მარ-
ნეულის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. მარნეულ-

ში, ... ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონების საკუთრებად დარეგისტრირება.

მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება რადგან, ქ. მარნეულში ... №3-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო ნ. ი-სა და ს. კ-ის სახელზე, რომელმაც უკანონოდ განახორციელა უძრავი ქონების გასხვისება ფ. ი-ზე.

მითითებული გადაწყვეტილება დ. ფ-მა საჩივრით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მოითხოვა მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების გაუქმება და ამავე სამსახურის მიერ განხორციელებული ფ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ნ. ი-ისა და ფ. ი-ის ნასყიდობის ხელშეკრულება, მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №... საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, სადაც საცხოვრებელი სახლი კვლავ აღირიცხა მესამე პირების ნ. ი-ისა და ს. კ-ის სახელზე და განახლდა სარეგისტრაციო წარმოება.

საჯარო რეესტრის 2012 წლის 20 იანვრის №... გადაწყვეტილებით დ. ფ-ს უარი ეთქვა ს. კ-ისა და ნ. ი-ის სახელზე 2007 წლის 6 სექტემბერს განხორციელებული საკუთრების უფლების ბათილად ცნობაზე;

საჯარო რეესტრის 2012 წლის 23 იანვრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 26 ოქტომბრისა და 28 ნოემბრის გადაწყვეტილებები (საქმის წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ).

მოსარჩელის განმარტებით, მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით საკუთრების უფლება ს. კ-სა და ნ. ი-ზე რეგისტრირებულია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რადგან რეგისტრაციის განხორციელების დროს მიწის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო სია არ წარმოადგენდა უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს; რაც შეეხება საკუთრების უფლების რეგისტრაციის მეორე საფუძველს – პრივატიზაციის ხელშეკრულებას, აღნიშული ხელშეკრულებით ს. კ-ს მიღებული აქვს 30 კვ.მ. ფართობის ორი ოთახი, ხოლო საჯარო რეესტრში წაცვლად 30 კვ.მ.

ფართობისა რეგისტრირებული აქვს მთელი საცხოვრებელი სახ-
ლი 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ერთად;

მოსარჩელის მითითებით, მის უფლებებსა და ინტერესებს
ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი, ეზლუდება საკუთრების
უფლება, რადგან მოსარჩელე ვერ ახერხებს სამკვიდრო ქონე-
ბაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

სამართლებრივი:

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელე მიუთი-
თებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
22-ე მუხლს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექ-
სას და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონს.

მესამე პირების ს. კ-ისა და ნ. ი-ის შესაგებლები:

ფაქტობრივი: მესამე პირებმა სარჩელი არ ცნეს და აღნიშ-
ნეს, რომ მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობით მიღებული უძრა-
ვი ქონება წარმოადგენდა მათი და მ. ფ-ის თანაზიარ საკუთრე-
ბას. შესაბამისად, ისნი წინააღმდეგნი არ არიან დ. ფ-მა დაირე-
გისტრიროს საკუთრების უფლება მის წილ ქონებაზე;

სამართლებრივი: მესამე პირების განმარტებით საქართვე-
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის, ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლე-
ბის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის თანახმად არ არსე-
ბობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი
საფუძველი.

მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისპ
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგის-
ტრაციო სამსახურის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხის განმარტებით, სარეგისტრაციო
წარმოების პროცესში დაშვებულ იქნა ხარვეზი, ერძოდ, ტექ-
ნიკური აღრიცხვის სამსახურის საარქივო მონაცემის მიხედ-
ვით ქ. მარნეულში, ... ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონების მესა-
კუთრედ მოქ. ს. კ-თან ერთად აღრიცხული იყო მოქ. მ. ფ-ი. შე-
საბამისად, №... რეგისტრაციისას აღნიშნული მონაცემი უნდა
აღრიცხულიყო უძრავი ქონების ჩანაწერში. აღნიშნული ინფორ-
მაცია მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ცნობი-
ლი გახდა მოქ. დ. ფ-ის განაცხადით მემკვიდრეობის უფლების
რეგისტრაციისას. ბოლნისის სარეგისტრაციო სამსახურის №...
გადაწყვეტილებით დ. ფ-ის განცხადებაზე სარეგისტრაციო
წარმოება შეჩერდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს
კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. გადაწყვე-
ტილება გასაჩივრდა შესაბამისი წესით, რომლის შემდგომაც სა-
ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 23 თებერ-

ვლის №... გადაწყვეტილებით №... ქონების თანამესაკუთრეებად დარეგისტრირდნენ: ს. კ-ი, დ. ფ-ი და ნ. ი-ი.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით განხორციელებული რეგისტრაცია კანონიერია, ვინაიდან, დაინტერესებულმა პირმა საჯარო რეესტრს წარუდგინა რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

საქმის გარემოებები:

1992 წლის 23 დეკემბერს დამოწმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების (რეესტრ. №...) თანახმად, მარნეულის მეკარტოფილების საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელმა მ. ა-მა (1992 წლის 25 ივნისის მინდობილობით მინიჭებული უფლება-მოსილებით) მ. ფ-ს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს კუთვნილი საცხოვრებელი სახლი (ბინა) მდებარე ქ. მარნეული, ქუჩა №3-ში.

2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულების თანახმად, ნ. ა-მა 2001 წლის 6 მარტს მარნეულის რაიონის სსს-ს მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე უსასყიდლოდ გადასცა ს. კ-ს ბინა მდებარე ქ. მარნეული, ... ქ. №3-ში, რომელიც შედგება ორი საცხოვრებელი ოთახისაგან, საერთო ფართით 30 კვ.მ;

2007 წლის 6 სექტემბერს ს. კ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მინისა და უძრავი ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით;

2007 წლის 6 სექტემბერს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი სარეგისტრაციო ზონა – მარნეული ... სექტორი..., კვარტალი..., ნაკვეთი..., დაზუსტებული ფართი 0,0138 ჰა საკუთრების უფლებით აღირიცხა ს. კ-ისა და ნ. ი-ის სახელზე, სასოფლო-სამეურნეო მინის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო სიისა და 2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე.

ნ. ი-მა და ს. კ-მა სადაც ქონება ნასყიდობის ხელშეკრულებით გასხვისეს ფ. ი-ზე, რომლის წარმომადგენელმა მოითხოვა უფლების რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურში. მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 25 დეკემბერის გადაწყვეტილებით სადაც ქონება აღირიცხა ფ. ი-ის საკუთრებად; დ. ფ-მა 2011 წლის 20 ოქტომბერს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ სამკვიდრო მოწმობით, მემკვიდრეობით მიიღო მ. ფ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონება, მდებარე ქ. მარნეულში, ...

ქუჩა №3-ში;

2011 წლის 20 ოქტომბერს დ. ფ-მა განცხადებით მიმართა მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს და მოთხოვა ქ. მარნეულში, ... ქ.№3-ში მდებარე უძრავი ქონების დარეგისტრირება;

მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება და წარმოსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

დ. ფ-მა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაასაჩივრა მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი პათილად ცნობა და ამავე სამსახურის მიერ 2009 წელს ფ. ი-ზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა სადაც მინის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით ...);

მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 28 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებულ პირს არ წარმოუდგენია შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია;

2011 წლის 21 დეკემბერს №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №... და აღდგა ბათილად ცნობილი აქტით რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა. უძრავ ნივთზე დარეგისტრირდა ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლება.

საჯარო რეესტრის 2012 წლის 20 იანვრის №... გადაწყვეტილებით დ. ფ-ს უარი ეთქვა ს. კ-ისა და ნ. ი-ის სახელზე 2007 წლის 6 სექტემბერს განხორციელებული საკუთრების უფლების ბათილად ცნობაზ;

საჯარო რეესტრის 2012 წლის 23 იანვრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 26 ოქტომბრისა და 28 ნოემბრის გადაწყვეტილები (საქმის წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ); მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სათანადო შეფასებისა და ურ-

თიერთშეჯერების საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სააგენტოს წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით.

2012 წლის 6 მარტის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. მარნეულში ... ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრებად 2012 წლის 6 მარტს დარეგისტრირდნენ ს. კ-ი, ნ. ი-ი და დ. ფ-ი.....

დ. ფ-მა 2012 წლის 16 თებერვალს მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის №... გადაწყვეტილებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის №... გადაწყვეტილება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილება, უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით ... ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და საჭიროების შემთხვევაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

1992 წლის 23 დეკემბერს დამოწმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების (რეესტრი №...) თანახმად, მარნეულის მეკარტოფილების საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელმა მ. ა-მა (1992 წლის 25 ივნისის მინდობილობით მიზიფებული უფლება-მოსილებით) უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში მ. ფ-ს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს კუთვნილი საცხოვრებელი

სახლი (ბინა) მდებარე ქ. მარნეული,... ქ. №3-ში;

2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულების თანხმად, ნ. ა-მა 2001 წლის 6 მარტს მარნეულის რაიონის სსს-ს მიერ გაცემული №1230 მინდობილობის საფუძველზე ს. კ-ს უსასყიდლოდ გადასცა მარნეულის სსს-ს კუთვნილი ბინა. მდებარე – ქ. მარნეული, ... ქ. 3-ში, რომელიც შედგება ორი საცხოვრებელი ოთახისაგან, საერთო ფართით 30 კვ.მ;

2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულების თანხმად, ს. კ-ს საკუთრებაში გადაეცა მარნეულის სსს-ს კუთვნილი ბინა საერთო ფართობით 30 კვ.მ;

ს. კ-ი და ნ. ი-ი ცხოვრობდნენ წლების განმავლობაში სადაც საცხოვრებელ სახლში;

2007 წლის 6 სექტემბერს ს. კ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მინისა და უძრავი ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით;

2007 წლის 6 სექტემბერს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი სარეგისტრაციო ზონა – მარნეული ..., სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ..., დაზუსტებული ფართი – 0,0138 ჰა საკუთრების უფლებით აღირიცხა ს. კ-ისა და ნ. ი-ის სახელზე, სასოფლო-სამეურნეო მინის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო სიის და 2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე.

2011 წლის 26 ოქტომბერს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურმა №... გადაწყვეტილებით დ. ფ-ის განცხადებასთან დაკავშირებით შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, კერძოდ, განცხადებზე თანდართული საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამება მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მინის ნაკვეთის საზღვრები იჭრება მომიჯნავე მინის ნაკვეთის საზღვრებში. შესაბამისად, წარსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

2011 წლის 24 ნოემბერს დ. ფ-მა საჩივრით გაასაჩივრა მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 21 დეკემბერს №... გადაწყვეტილებით გააუქმა 2009 წლის 25 დეკემბრის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არას-

რულყოფილი გადაწყვეტილების (რეგისტრაციის შესახებ) გამო.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავო უძრავ ქონებაზე მინის ნაკვეთის საკადასტრო კოდით ... (ნაკვეთის წინა ნომერი ...) ტექ. ინვენტარიზაციაში დაცული მონაცემები არ შეესაბამება 2007 წლის 6 სექტემბერს განხორციელებული ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას მითითებულ მონაცემებს.

სასამართლოს დასკვნები: საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიღა და იმ დასკვნამდე, რომ დ. ფ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტები.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაცია არის ნივთისა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიზოვების, ასევე ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ 2008 წლის 19 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ხოლო „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო დოკუმენტად მიჩნეულია რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები.

რაიონული სასამართლოს შეფასებით, სადავო უძრავ ქონებაზე ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული ის დოკუმენტები, რომელიც დაცული იყო ტექ. ბიუროში.

შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ იქნა ადმინისტრა-

ციული წარმოებისას სრულყოფილად გამოკვლული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც აქტების გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, რაც გამოიხატა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობასა და შეუფასებლობაში, რის გამოც შეუძლებელია სადაც ადმინისტრაციული აქტების მატერიალური კანონიერების შეფასება და შესაბამისად ამ გარემოებების სასამართლო წესით გარკვევა. ამდენად, არსებობს სადაც საკითხის გადაუწყვეტლად აღნიშვნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

აპელანტები: 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახური

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფაქტობრივი: აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ ის გარემოება, რომ სადაც უძრავ ქონებაზე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით ... (ნაკვეთის წინა ნომერი ...) ტექნიკური ინვერტარიზაციის ბიუროში დაცული მონაცემები არ შეესაბამება 2007 წლის 6 სექტემბერს განხორციელებული ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას აღრიცხულ მონაცემებს.

სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, ის გარემოება, რომ დღ. ფ-ირეგისტრირებულია მთელი უძრავი ნივთის თანამედრეაუთრედ ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემების შესაბამისად. ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის რეგისტრირებული ფართობი – 138 კვ.მ. უფრო ნაკლებია ტექ.ბიუროში აღრიცხული მიწის ნაკვეთის ფართზე, მოსარჩელეს არ აყენებს პირდაპირ და უშუალო ზიანს.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, ს. კ-ის მიერ 2007 წლის 6 სექტემბერს სარეგისტრაციო სამსახურში წარდგე-

ნილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს; მე-20 მუხლის მე-2 პუნქტს; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლს და არ არსებობდა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

აპელანტის განმარტებით, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹, 96-ე მუხლები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი. სასამართლოს მიერ არასრულყოფილადაა შეჯერებული და შეფასებული საქმეზე წარმოდგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. კერძოდ, რაიონულმა სასამართლომ სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო სადაც რეგისტრაცია და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა, სასამართლომ არ მიუთითა, თუ რომელ გარემოებაა საქმისათვის მნიშვნელოვანი და გამოსაკვლევი. არ იმსჯელა, თუ რაში გამოიხატა ტექნიკურის მონაცემების გაუთვალისწინებლობა ან რა პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩევეს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის ტექნიკუროს მონაცემების გაუთვალისწინებლობა;

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლისა და 80-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით არ არსებობდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი წინაპირობები.

აპელანტები – ს. კ-ი, ნ. ი-ი

მონინაალდეგე მხარე – დ. ფ-ი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფაქტობრივი: აპელანტების განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია სადაც ფაქტობრივ გარემოებად საჯარო რეესტრის მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მონაცემებსა და 2007 წლის

6 სექტემბერს ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას მითითებულ მონაცემებს შორის სხვაობა.

სამართლებრივი: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (მარნეულის სარეგისტრაციო სამსახური), ს. კ-ისა და ნ. ი-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლოს გამორკვევით, დავის საგანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის №... და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილები;

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების არსებობის გარეშე ცნო ბათილად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის №... გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ფ-ს უარი ეთქვა მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ წარდგენილი საჩივრის განხილვაზე; სააპელაციო პალატის განმარტებით, სახეზე არ არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობა აღნიშნული აქტის ბათილად ცნობისათვის; კერძოდ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ 2008 წლის 19 დეკემბრის საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციის შესახებ საჩივრდება სასამართლოს წესით; შესაბამისად, ვინაიდან დ. ფ-ის მიერ სააგენტოში წარდგენილ იქნა საჩივარი სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებაზე უძრავ ქონებაზე ს. კ-ის და ნ. ი-ის სა-

კუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, სააგენტო არ იყო უფლებამოსილი განეხილა ეს საჩივარი, შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უარი მის განხილვაზე კანონიერია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასევე დაუსაბუთებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე სადაც საკითხის გადაწყვეტლად მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და აღმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების ხელახალი გამოკვლევის დავალება, იმდენად, რამდენადაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ ის გარემოებები, რომელთა გამოკვლევა სასამართლომ აღმინისტრაციულ ორგანოს დაავალა, აღმინისტრაციული ორგანოს მიერ უკვე გამოკვლეული და ასახული იქნა ახალ აქტში, რომელიც გამოცემული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას;

სადაც მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით ..., დაზუსტებული ფართი – 0,0138 ჰა, დარეგისტრირდა ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო სიის და 2001 წლის 29 მარტის პრივატიზების ხელშეკრულების (ბინა მდებარე ქ. მარნეული, მ.... ქ. №3-ში, ორი საცხოვრებელი ოთახი, საერთო ფართით 30 კვ.მ); აღნიშნული რეგისტრაცია განხორციელდა კანონის შესაბამისად და არ არსებობდა მასზე უარის თქმისათვის შესაბამისი წანამდღვრები; კერძოდ, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა ს. კ-ის №... განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. დაინტერესებულმა პირმა წარადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულის 2007 წლის 21 აგვისტოს №... ცნობა ს. კ-ის კომლის შემადგენლობის შესახებ, სადაც ნ. ი-ი წარმოადგენს კომლის წევრს; 29.03.2001 წ. პრივატიზაციის ხელშეკრულება; 24.07.2007 წ. საკადასტრო აზომვითი ნახაზი (მიწის ნაკვეთის ფართობი – 138კვ.მ) ს/ს მიწის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო სია; სადაც პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რეგისტრაცია არის უძრავ ნივთებზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვე-

ტის, ასევე, მასზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობისა და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში. სასამართლო ასევე, უთითებს ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვით, რეგისტრაცია წარმოებს, როგორც უმუალოდ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის თუ სხვა დოკუმენტაციის, ისე ამ დოკუმენტაციის ელექტრონული ასლების საფუძველზე; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ს. კ-ის მიერ 2007 წლის 6 სექტემბერს სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კერძოდ, წარდგენილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია; საკრებულოს ცნობა კომლის შემადგენლობის შესახებ; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; პრივატიზაციის ხელშეკრულება, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების შესაბამისად, საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველია. შესაბამისად, არ არსებობდა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებები, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შეწყვეტის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები;

საქმის მასალებით დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და ასევე დღეის მდგომარეობით, უძრავ ნივთზე, მდებარე – ქალაქი მარნეული, ... ქ. №3, საიდენტიფიკაციო კოდი №..., მიწის ნაკვეთის ფართობი – 138 კვ.მ. რეგისტრირებულია დ. ფის, ს. კ-ისა და ნ. ი-ის თანასაკუთრების უფლება; აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან სადაო უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით №... რეგისტრირებულია მოსარჩევე დ. ფ-ის თანასაკუთრების უფლება, ს. კ-სა და ნ. ი-თან ერთად, იმ სახით რა სახითაც შესაძლებელია რეგისტრაციის განხორციელება ამ უძრავ ნივთზე იმ გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, რაც სასამართლომ

სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა, საფუძველს მოკლებულია სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება; კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით სადავო უძრავ ქონებაზე 2007 წლის 6 სექტემბერს ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული ის დოკუმენტი, რომელიც დაცული იყო ტექ. ბიუროში, ამიტომ სასამართლომ აღნიშნული რეგისტრაციის მონაცემები ტექ. ინვენტარიზაციაში დაცულ მონაცემებთან შეუსაბამოდ მიიჩნია და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა მათი გათვალისწინებით რეგისტრაციის შესახებ ახალი აქტის გამოცემა;

სააპელაციო პალატის შეფასებით, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადაო 2007 წლის 6 სექტემბრის №... რეგისტრაციისას ტექბიუროს მონაცემების გაუთვალისწინებლობა გამოიხატა იმაში, რომ სადავო უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულ მონაცემებში არ იქნა გათვალისწინებული დ. ფ-ის საკუთრების უფლება და მასში აისახა მხოლოდ ს. კ-ის და ნ. ი-ის თანასაკუთრების უფლება; აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იქნა მას შემდეგ, რაც მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურმა ტექ. ბიუროს მონაცემების გათვალისწინებით სადავო უძრავ ქონებაზე 2012 წლის 6 მარტს განახორციელა №... რეგისტრაცია დ. ფ-ის, ს. კ-ის და ნ. ი-ის საკუთრების უფლების შესახებ; შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2012 წლის 26 ივნისს გადაწყვეტილების მიღებისას ალარ არსებობდა ფაქტორიზი წანამდგრები იმისათვის, რომ სარეგისტრაციო სამსახურს დავალებოდა სადავო უძრავ ქონებაზე ახალი რეგისტრაციის განხორციელდება ტექ. ბიუროს მონაცემების გათვალისწინებით;

ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, სადავო უძრავ ქონებაზე დ. ფ-ის, ს. კ-ის და ნ. ი-ის თანასაკუთრების უფლება არ განსაზღვრავს თანაბარ წილობრივ მონაცემებს ანუ 1/3-1/3-1/3-ს, არამედ ადგენს დ. ფ-ისათვის წილს და ს. კ-ისა და ნ. ი-ისათვის ს წილს, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის შედეგად მიწა თანასაკუთრებაში გადაეცათ კომლის წევრებს; ამასთან, აღნიშნული წილების ფაქტობრივი, რეალური გამოსახვა დამოკიდებულია თანამესაკუთრეთა შეთანხმებაზე ან შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლო დავაზე საზიარო უფლების გაუქმების შესახებ.

სააპელაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოების შესახებ, რომ 2008 წლის 19 დეკემბრის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სადაც უძრავ ქონებაზე 2007 წლის 6 სექტემბრის №... რეგისტრაცია უკვე ძალადაკარგულია, ვინაიდან მასზე განხორცილდა ახალი №... რეგისტრაცია 2012 წლის 06 მარტს, რის შედეგადაც მოსარჩელემ მოახდინა თავისი უფლების რეალიზაცია და დარეგისტრირდა თანამესაკუთრედ; ამასთან, აღსანიშნავია, რომ სარეგისტრაციო სამსახურის №... (06.03.2012) გადაწყვეტილება დ. ფ-ს სადაც არ გაუხდია და ძალაშია აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე რეგისტრირებული მონაცემები; ასევე მოსარჩელეს არ მიუთითებია და არ წამოუდგენია დასაბუთება იმ იურიდიული ინტერესისა, რაც სადაც ძალადაკარგული აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მისთვის არის მისაღწევი;

შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა: სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ სადაც აქტთან მიმართებაში არ არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით დავის გადაწყვეტის ფაქტობრივი წანამდლორები, რის გამოც გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება; ამასთან, აქტის არსებითად ბათილად ცნობის წანამდლორებზე სააპელაციო პალატა არ მსჯელობს, ვინაიდან საქმე განხილული იქნა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მხოლოდ მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრის საფუძვლებზე;

კასატორი: დ. ფ-ი

მონინაალმდეგე მხარეები: 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახური;

მესამე პირები: ს. კ-ი, ნ. ი-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლისათვის.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორი აღნიშნავს, რომ მას არცერთინსტანციაში არ მოუთხოვია სადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. მისი სასარჩელო მოთხოვნა ემყარება სადაც რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნას. შესაბამისად, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე არ განიხილა სასარჩელო მოთ-

ხოვნის ფარგლებში.

მატერიალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, ასევე, საქართველოს ოუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია, როცა მიუთითა, რომ კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი №... რეგისტრაცია ძალადაკარგულია, რადგან განხორციელდა არაერთი ტრანზაქცია, მაშინ, როცა კასატორი ასაჩივრებდა თავდაპირველ რეგისტრაციას, რომლის საფუძველზეც მე-3 პირებს წარმოეშვათ საკუთრების უფლება.

კასატორის განმარტებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მას გასაჩივრებული აქტები არ აყენებდა პირდაპირ და უშუალო ზიანს. ვინაიდან, მან ვერ დაირგებისტრირა მეტყვიდრეობით მიღებული ქონება საკუთრების უფლებით, იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საკუთრების უფლება 2007 წელს დარეგისტრირებული ჰქონდათ მე-3 პირებს, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

კასატორი, ასევე, არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მიერ საჯარო რეესტრის მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბერს განხორციელებული №... რეგისტრაციის კანონიერად მიჩნევას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ №... რეგისტრაციით ს. კ-ის მიერ მოთხოვნილია ამონაზერი საჯარო რეესტრიდან და არ არსებობს მესამე პირების განცხადება საკუთრების უფლებით უძრავი ქონების დარეგისტრირებაზე. ამასთანავე, სააპელაციო პალატა მიუთითებს 2001 წლის 29 მარტის პრივატზაკიის ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით ს. კ-ის გადაცემული აქვს მხოლოდ 30 კვ.მ-ის ოდენობის ორი ოთახი და მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრმა არასწორად და უკანონოდ აღრიცხა მთლიანი საცხოვრებელი სახლის 63 კვ.მ-ს ოდენობის მესაკუთრედ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიკვლია, რის საფუძველზე აღირიცხა ნ. ი-ი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ. სააპელაციო პალატამ ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ ვერ განასხვავა კომლის შესახებ ცნობისაგან. აქვე არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ მესამე პირებმა წარადგინეს საგადასახადო სია 138 კვ.მ მინა-

ზე.

მესამე პირები – ს. კ-ი და ნ. ი-ი საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი საკასაციო შესაგებელში მიუთითებენ, რომ სა-აპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

მესამე პირების მითითებით, ისინი წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ სადაც ფართში, მ. ფ-ის მეზობლად. მ. ფ-მა სა-კუთარი წლის პრივატიზება მოახდინა 1992 წლის 23 დეკემ-ბერს, ხოლო ს. კ-მა და ნ. ი-მა პრივატიზაცია მოახდინეს 2001 წლის 29 მარტს, ხოლო შემდეგ მოხდა შესაბამისი ჩანაწერების აღრიცხვა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში.

საჯარო რეესტრის მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით დ. ფ-ი საჯარო რეეს-ტრში დარეგისტრირდა უძრავი ქონების თანამესაკუთრედ, რაც თვითონ დ. ფ-ს დღემდე სადაც არ გაუხდია.

დ. ფ-ი სადაც ხდის საკუთრების უფლების რეგისტრაცი-ის შესახებ 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებას, იმ მო-ტითით, რომ უძრავი ქონების რეგისტრაცია მოხდა საგადასა-ხადო სიის მიხედვით, ასევე ს. კ-ის მიერ შედგენილი სარეგის-ტრაციო განაცხადი არ იყო სრულყოფილი, რის შესახებაც სა-ჯარო რეესტრის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ტექნი-კური ხარვეზი არ შეიძლება გამხდარიყო უძრავ ქონებაზე სა-კუთრების უფლების გაუქმების საფუძველი. უძრავი ქონების მესამე პირების სახელზე რეგისტრაციის შემდეგ განხორციელ-და რამდენიმე ტრანზაქცია, რის შედეგადაც აღნიშნული ტექ-ნიკური ხარვეზი აღმოიფხვრა.

დ. ფ-ს სადაც არ გაუხდია ს. კ-ის სახელზე უძრავი ქონე-ბის აღრიცხვის თავდაპირველი საფუძველი. კერძოდ, 2001 წლის 29 მარტის №... პრივატიზაციის ხელშეკრულება. ასევე სადა-ც არ გაუხდია 2012 წლის 6 მარტს განხორციელებული ჩანა-წერი, რომლითაც ის აღირიცხა ქ. მარნეულში, ... ქ. №3-ში მდე-ბარე უძრავი ქონების თანამესაკუთრედ.

მესამე პირების განმარტებით, 2007 წლის 6 სექტემბრის ... გადაწყვეტილებით უძრავი ქონების ჩანაწერებში მოხდა ტრან-ზაქცია და უძრავი ქონების თანამესაკუთრედ რეგისტრირებულ იქნა ს. კ-ის მეუღლე ნ. ი-ი. გაუგებარია თუ რა სახის ზიანს აყე-ნებს აღნიშნული კასატორს.

ამასთან, 1992 წლის 23 დეკემბრის პრივატიზაციის ხელშეკ-რულებით, მ. ფ-ს საკუთრებაში გადაეცა ქ. მარნეულში, ... ქ. №3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და არა მიწის ნაკვეთი. რაც შეეხება სამკვიდრო მოწმობას, ის არის ზოგადი და მასში კონ-

კრეტულად არ არის მითითებული სამკვიდრო ქონების, მათ შორის მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის ფართობები.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური წანამძღვრები: (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ კასატორის დ. ფ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 წანის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დ. ფ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს წანილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილების წანილში და ამ წანილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად შესახებ სარჩელის არ დაკმაყოფილების წანილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად და ამ წანილში კასაცია არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე სასარჩელი მოთხოვნის არ დაკმაყოფილების წანილში კანონიერი და დასაბუთებულია. ამ წანილში საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას მისი უკანონობის თაობაზე, რის გამოც იგი ამ წანილში არ უნდა დაკმაყოფილდეს. კერძოდ, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ პირველი ინსტაციის სასამართლოს არ უმსჯელია გასაჩივრებული აქტის კანო-

ნიერების შესახებ და შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი წარმატების გარეშე ბათილად ცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო 2008 წლის 19 დეკემბრის საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება სწორედ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზეა მიღებული და არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი წანილის შესაბამისად გათვალისწინებული მისი ბათილად ცნობის პირობები.

მიუხედავად ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესისა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება დამსვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სადაც საკითხი გასაჩივრებული იქნება ადმინისტრაციული წესით, გეხვდება შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული საჩივრის გარეშე სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მოწესრიგბულია ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული წანილის კონკრეტული სფეროს მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობით, ანუ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადაცო – 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება შესაბამება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესს, რომლის მიხედვით რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე და მე-80 მუხლის მე-4 წანილის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას, თუ აღმოჩნდება, რომ კონკრეტული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, განცხადება განმცხადებელს შესაბამისი დასაბუთებით უკან უბრუნდება.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.4 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე განმარტავს, რომ აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს – ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც ადგენს მმართველობის კანონიერების უზ-

რუნველმყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის შემცველი განცხადების ადმინისტრაციული ორგანოს არა აქვს მანდატი, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ – სასამართლო ორგანოს, განსხვავებით ამავე კოდექსის 80.1 მუხლით დადგენილი ვალდებულებისა.

ამგვარ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს უფლება შემოიფარგლება განმცხადებლისათვის სამართლებრივი დახმარების განვით, კერძოდ, აუხსნას მხარეს, რომ საკითხი სასამართლო ორგანოთა იურისდიქციას განეკუთვნება. აღნიშნული თავის მხრივ, შეესაბამება კონსტიტუციის 42.1 მუხლით დადგენილ პრინციპს, რომ სწორედ მხოლოდ პირის უფლებას წარმოადგენს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს ანუ სარჩელის აღძერა – სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაცია მხოლოდ პირის ნების ავტონომიას ეფუძნება.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სააგენტო არ იყო უფლებამოსილი განეხილა საჩივარი, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი განსაზღვრავს კანონიერების პრინციპს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას კანონიერების პრინციპის საფუძველზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უარი საჩივრის განხილვაზე არის კანონიერი. ხოლო, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში არის სამართლებრივად დასაბუთებული, როგორც კანონშესაბამისი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს აზრით, საკასაციო საჩივარი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების კანონიერების ნაწილში დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცონ-

ბის დასაბუთებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში საქმე განხილული და გადაწყვეტილია საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით. ამასთანავე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და დადგენილი სამართლებრივი დასკვნები არ ეყრდნობა შესაბამის მატერიალური სამართლის ნორმებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სასამართლოს მიერ დადასტურებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნება სავალდებულო საკასაციო სასამართლოსთვის, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოიკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ არის დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2011 წლის 20 ოქტომბერს დ. ფ-მა მემკვიდრეობით მიიღო ქ. მარნეულში ... ქ. №3-ში მდებარე მ. ფ-ის დანაშთი უძრავი ქონება.

მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემების თანახმად, უძრავ ნივთზე მდებარე ქ. მარნეულში, ... ქ. №3-ში 1992 წლის 23 დეკემბრისა და

2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულებების თანახმად მესაკუთრედ აღრიცხული არიან მ. ფ-ი და ს. კ-ი. ასევე, ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით ირკვევა, რომ ქ. მარნეულში, ... ქ. №3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი განთავსებულია 259 კვ.მ ფართობის მინის ნაკვეთზე.

2007 წლის 6 სექტემბერს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი მდებარე ქ. მარნეულში, ... ქ. №3-ში დაზუსტებული ფართით 0.0138 ჰა საკუთრების უფლებით აღირიცხა ს. კ-სა და ნ. ი-ზე. განაშენიანების ფართით 63კვ.მ. მაშინ, როდესაც 2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულებით ს. კ-ს საკუთრებაში გადაეცა ორი საცხოვრებელი ოთახი, საერთო ფართობით 30 კვ.მ.

2011 წლის 20 ოქტომბერს, როდესაც დ. ფ-მა მიმართა საჯარო რეესტრის მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად, აღმოჩნდა, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ამავე მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება უკვე დარეგისტრირებული იყო ს. კ-ისა და ნ. ი-ის სახელზე. საჯარო რეესტრის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეჩერდა, ხოლო 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ფ-შვილის სარეგისტრაციო საქმისწარმოება შეწყდა.

2007 წლის 6 სექტემბერს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დ. ფ-მა გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

2012 წლის 6 მარტს განხორციელებული რეგისტრაციის თანახმად, მარნეულში, ... ქ. №3-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთის, საერთო ფართით 138 კვ.მ. (განაშენიანების ფართით 63 კვ.მ.) თანამდესაკუთრედ ს. კ-სა და ნ. ი-თან ერთად აღირიცხა მ. ფ-ის მემკვიდრე დ. ფ-ი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ საქმის მასალების თანახმად, ის გარემოებები, რომელთა გამოკვლევა პირველი ინსტანციის სასამართლომ დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გამოკვლეულ იქნა ახალი აქტის გამოცემის დროს, რომელიც გამოცემული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთანავე, სადავო რეგისტრაციისას ტექ.ბიუროს მონაცემების გაუთვალისწინებლობა გამოიხატა იმაში, რომ სადავო უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულ მონაცემებში არ იქნა გათვალისწინებული დ. ფ-ის საკუთრების უფლება, აღნიშნული ხარვეზი კი გამოსწორდა 2012 წლის

6 მარტს განხორციელებული რეგისტრაციით, შემდეგ გარემო-ებათა გამო:

საქმეში არსებული 2012 წლის 6 მარტის საჯარო რეესტრის ამონანერით დგინდება, რომ მიუხედავად დ. ფ-ის თანამესაკუთრედ აღრიცხვისა, მინის ნაკვეთის საჯარო რეესტრში აღრიცხული საერთო ფართობი კვლავ შეუსაბამობაშია ტექნიკური ბიუროს მონაცემით აღრიცხულ ფართობთან, რაც დ. ფ-ს უზღდავს მემკვიდრეობით მიღებული ქონებით სარგებლობისა და განკარგვის უფლებას, საკუთრების უფლების სრულ რეალიზაციას. აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს, რომ დ. ფ-ის საკუთრების კანონიერ უფლებას ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ უზრუნველყოფილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრისათვის სავალდებულო საპროცესო მოვალეობა – სარჩელის აღძვრა სათანადო მოსარჩელის მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. ფ-ის სარჩელი უნდა დაემაყოფილდეს ნაწილობრივ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილების კანონიერების ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით და დაევალოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის კანონის მე-5 თავით დადგენილი პროცედურული ნორმები რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადაც აქტის მიღებით დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. კერძოდ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონის მე-5 თავით დადგენილი პროცედურული ნორმები რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლება.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონის 28-ე მუხლი, ცალსახად განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის დროს დაშვებულ ტექნიკურ ხარვეზად. მითითებული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირისათვის კონსტიტუციით მინიჭებული საკუთრების ძირითადი უფლების შეზღუდვა, დ. ფ-ის თანამესაკუთრედ არ გათვალისწინება, საქმის გარემოებების არასრულად გამოკვლევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ ტექნიკურ ხარვეზად. უფრო მეტიც, კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული სადავო რეგისტრაციისას განაშენიანების საერთო ფართი, რომელზეც აღირიცხა ს. კ-ისა და ნ. ი-ის საკუთრების უფლება, ასევე არ შეესაბამებოდა პრივატიზაციის ხელშეკრულებაში აღნიშნულ მონაცემს. კერძოდ, 2001 წლის 29 მარტის პრივატიზაციის ხელშეკრულებით ს. კ-ს გადაეცა საცხოვრებელი ბინის 2 ოთახი საერთო ფართით 30 კვ.მ. ხოლო მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საჯარო რეესტრში აღირიცხა 63კვ.მ ფართი.

სააკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია 1992-1993 წლებში კომლებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ს. კ-ის მიერ მარეგისტრირებელ ინგრენილი დოკუმენტაცია იყო თუ არა სრული, საკმარისი და არსებობდა თუ არა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებები, მაშინ, როცა მოსარჩელე დ. ფ-ი, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოში სამართალნარმოებისას, სადავოდ ხდიდა ს. კ-ის მიერ მარეგისტრირებელ ინგრენილი დოკუმენტების კანონშესაბამისობას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ 2007 წლის 6 სექტემბრის რეგისტრაციის უკვე ძალადაკარგულია, ვინაიდან მასზე განხორციელდა არაერთი ტრანზაქცია, ამასთან, დ. ფ-ს სადავოდ არ გაუზდია და ძალაშია 2012 წლის 6 მარტის რეგისტრაცია, რომლითაც დარეგისტრირდა დ. ფ-ის თანასაკუთრების უფლება, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია დასაბუთება იმ იურიდიული ინტერესისა, რაც სადავო ძალადაკარგული აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში არის მისაღწევი და განმარტავს, რომ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება მოიცავს, როგორც აქტის ბათილად ცნობას, ასევე აქტის ძალადაკარგულად გამოც-

ხადებას. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს აქტის სამართლებრივ ბუნებაში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლები მოწესრიგებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 61-ე მუხლებით. აღნიშნული მუხლების მიხედვით უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ცხადდება ბათილად, ხოლო გამოცემის მომენტისთვის კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მათი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ცხადდება ძალადაკარგულად. ამასთან, განსხვავებულია ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგები. გამომდინარე აღნიშნული მსჯელობიდან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ იგი მთელი სასამართლო დავის განმავლობაში ითხოვს სადავო აქტის ბათილად ცნობას და არა ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, 2012 წლის 6 მარტის მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებით კასატორის მიერ ვერ იქნა მიღწეული სარჩელის მიზანი, შემდეგ გარემოებათა გამო, მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის რეგისტრაციისას აღრიცხული მინის ნაკვეთის საერთო ფართი არ შეესაბამებოდა ქ. მარნეულში ... ქ. №3-ში მდებარე მინის ნაკვეთის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემებს. სადავო რეგისტრაციით საჯარო რეესტრში დაფიქსირდა მინის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 138 კვ.მ, მაშინ როცა ტექნიკური აღრიცხვის ბარათის თანახმად აღნიშნული მინის ნაკვეთის საერთო ფართი ნარმოადგენს 259 კვ.მ-ს. შესაბამისად, მიუხედავად აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არაერთი ტრანზაქციის განხორციელებისა, ზუსტი მონაცემები საჯარო რეესტრში აღრიცხული არ არის. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო აქტის ბათილად ცნობის კანონიერი იტერესის საფუძველს კასატორისათვის ნარმოადგენს საკუთრების უფლების მომწესრიგებელი კონსტიტუციური ნორმა, ხოლო მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.3 მუხლის საფუძველზე დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ძალადაკარგული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, თუ არსებობს მხარის შესაბამისი მოთხოვნა და კანონიერი ინტერესი ამ აქტის ბათილად ცნობის მიმართ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მხარის – დ. ფ-ის კა-

ნონიერი ინტერესი სადავო აქტის (რომელიც ძალადაკარგულია) ბათილად ცნობის მიმართ დასაბუთებულია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, განუხორციელებელი და არარეალიზებული დარჩება მისი საკუთრების უფლება, რომელიც ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემებით აღრიცხული იყო 259 კვ.მ ფართით, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას შემცირდა 121 კვ.მ-ით, რაც მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და საჭიროებს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

ამდენად, სადავო აქტი, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიღებული, ექვემდებარება ბათილად ცნობას, ამასთან საკასაციო სასამართლო, საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს სადავო საკითხი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მხარის დ. ფ-ის მიერ საკასაციო სამართალნარმოებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის ნახევრის 150 ლარის გადახდა დაეკისროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს, დ. ფ-ის სასარგებლოდ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 32.3; 32.4 მუხლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. დ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვიტების თანახმად და გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ყვეტილება დ. ფ-ის სარჩელის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილების ნაწილში და საკასაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. ფ-ის კასაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილების დ. ფ-ის სარჩელის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კანონიერების ნაწილში გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილების ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

4. დ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 სექტემბრის №... გადაწყვეტილება, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით და დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდიკიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონით დადგენილ ვადაში.

6. კასაცორის – დ. ფ-ის მიერ საკასაციო სამართალნარმოებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის ნახევრის 150 ლარის გადახდა დაეკისროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს, დ. ფ-ის საარგებლოდ;

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უძრავი ქონების რეგისტრაცია

განხილვა

№ბს-80-75 (კ-13)

2 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. წევბლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციე-
ლება

აღნერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: გ. კ-ე

მოპასუხებები:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სა-
რეგისტრაციო სამსახური
3. გ. ტ-ე
4. ნ. ყ-ე
5. გ. გ-ე

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედე-
ბის განხორციელება.

სარჩელის საგანი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპ-
რილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც მო-
სარჩელეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყო-
ფილებაზე;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარე-
გისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის №... გადაწყვე-
ტილების სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ბა-
თილად ცნობა;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარე-
გისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვე-
ტილების სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ,

თილად ცნობა;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. (იმ ნაწილში, რომელიც ზედდებაშია მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთან, მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქუჩა №8, საკადასტრო კოდი რეგისტრირებულ საკადასტრო მონაცემებთან);

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩანაწერის ბათილად ცნობა, რომლითაც გ. ტ-ის, ნ. ყ-ის, გ. გ-ის თანასაკუთრებაში დარეგისტრირდა მიწის ნაკვეთის (დაზუსტებული ფართობი 203,00 კვ.მ) მოსარჩელის მიწის ნაკვეთის და ნარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის საკადასტრო მონაცემების ზედდების ნაწილში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, რომლითაც დაკამაყოფილდება გ. კ-ის №... განცხადება უძრავი ქონების, მდებარე ქუთაისი, ... ქ. №8, საკადასტრო კოდი: მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით, გ. კ-ის მიერ ნარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის, უძრავ ნივთზე, მდებარე ქუთაისი, ... ქ. №8, საკადასტრო კოდი: ... რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის დავალდებულება, მოსარჩელის მიერ ნარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: 2009 წლის 27 ოქტომბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, მოსარჩელეს და ქ. მ-ზე თანასაკუთრების უფლებით ირაცხება 248,00 კვ.მ. (დაზუსტებული) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ქუთაისში, ... ქ. №8-ში, ხოლო მასზე განლაგებული სახლის გამოყოფილი ნაწილი, საერთო ფართით 28,86 კვ.მ. ნარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას, სახლის გამოყოფილი ნაწილის საერთო ფართით 193,17 კვ.მ. თანამესაკუთრეებს წარმოადგენს მოსარჩელე - 2/3 ნაწილის და ქ. მ-ი - 1/3 ნაწილის.

ქუთაისში, ... ქ. №8-ში (ყოფილი ... ქ. №34) მდებარე მიწის ნაკვეთი სახლთან ერთად 1929 წელს პ. ჩ-ისგან იყიდა მოსარჩელის ბაბუამ - ი. მ-მა.

2012 წლის 27 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-

ტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს განცხადებით მიმართა მოსარჩევემ და მოითხოვა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანა, მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ. №8-ში.

ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ზედდება, კერძოდ, განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, შესაბამისად დაევალა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარმოდგენა ან კონფიგურაციის შეცვლა.

მითითებული გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე მოითხოვა ქუთაისში, ... ქ. №10-ში საკადასტრო კოდით: ... საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც ზედდებაშია მის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთთან საკადასტრო კოდი: 03.02.23.031 მდებარე ქუთაისში, ... ქ. №10 საკადასტრო მონაცემებთან.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილებით არ დაემაყოფილდა მოსარჩელის საჩივარი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილებით ასევე უარი ეთქვა ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე.

ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარეგისტრაციო განცხადებაზე შეწყდა წარმოება.

მოსარჩელის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ (იმ ნაწილში, რომელიც ზედდებაშია მოსარჩელის საკუთრებაში არ-

სებულ მიწის ნაკვეთთან) არის უკანონო და ეყრდნობა არასწორ მონაცემებს, რადგან 1929 წლის 27 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით მოსარჩელის ბაბუამ შეიძინა 368,55 კვ.მ არა-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ამჟამად ქ. ქუთაისში, ... ქუჩა №8-ში მდებარე მოსარჩელისა და ლ. მ-ის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს იგივე საცხოვრებელ სახლს, თუმცა მიწის ნაკვეთის ფართობის სხვაობა შეადგენს 120.55 კვ.მ, რომელიც წარმოადგენს კიდეც ზედამის მიუთითებია.

სამართლებრივი:

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები მოსარჩელეს არ მიუთითებია.

მოპასუხების გ. ტ-ისა და ნ. ყ-ის შესაგებელი

ფაქტობრივი: მოპასუხებმა გ. ტ-ემ და ნ. ყ-ემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სადავო მიწის ნაკვეთი, ფართით 120.00 კვ.მ არ წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას, რაც დასტურდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით. შესაბამისად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურმა სწორად უთხრა მოსარჩელეს უარი რეგისტრაციის შესახებ.

სამართლებრივი: მოპასუხებმა განმარტეს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნანილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რადგან იგი არ გამომდინარეობს სამართლის არც ერთი ნორმიდან.

მოპასუხე გ. გ-ის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე გ. გ-ემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნონ და განმარტა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი ყოველთვის იყო მოსარჩელისა და მისი წინაპრების საკუთრება. გ. ტ-ისა და ნ. ყ-ის მიერ არასწორად მოხდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის დაკვეთა, რამაც გამოიწვია სადავო მიწის ნაკვეთის მათ საკუთრებაში აღრიცხვა.

სამართლებრივი: სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით მოპასუხეს მოსაზრება არ წარმოუდგენია.

მოპასუხების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ წერილობითი შესაგებელი წარმოდგენილი არ ყოფილა.

საქმის გარემობები: უძრავი ქონება, მდებარე, ქ. ქუთაი-

სი, ... ქ. №8, დაზუსტებული ფართობი 248,00 კვ.მ საკადასტრო კოდი №..., ნარმოადგენს გ. კ-ისა და ქ. მ-ის თანასაკუთრებას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით №... შეჩერდა სარეგისტრაციო ნარმოება გ. კ-ის განცხადებაზე, რომლითაც მოთხოვნილი იყო უძრავი ნივთიზე, მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. №8-ში, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების შეტანა. გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სარეგისტრაციოდ ნარდეგნილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდება, კერძოდ, განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, ნარმოდგენილი მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამება მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მინის ნაკვეთის საზღვრები იჭრება მომიჯნავე მინის ნაკვეთის საზღვრებში, შესაბამისად განმცხადებელს მიეთითა, რომ საჭირო იყო კორეგტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი ან უნდა შეცვლილიყო ...-ის კონფიგურაცია.

2012 წლის 27 აპრილს გ. კ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ამავე სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების №... ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. ტ-ის განცხადება სადაც ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, მოსარჩელებ ასევე მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილებით გ. კ-ის საჩივრი №... გადაწყვეტილების (შეჩერდის შესახებ) ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, ხოლო №... გადაწყვეტილებით გ. კ-ეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. №8 დაზუსტებუ-

ლი ფართობი 248,00 კვ.მ საკადასტრო კოდი №..., წარმოადგენს გ. კ-ის და ქ. მ-ის თანასაკუთრებას. უფლების რეგისტრაციის თარიღი 2009 წლის 27 ოქტომბერი.

უძრავი ქონება, მდებარე, ქ. ქუთაისი, ... ქ. №10 (ყოფილი ... ქ. №46) წარმოადგენს გ. ტ-ისა და ნ. ყ-ის თანასაკუთრებას, სარე-გისტრაციო კოდი ..., დაზუსტებული ფართობი 203,00 კვ.მ, უფ-ლების რეგისტრაციის თარიღი 2009 წლის 29 დეკემბერი.

უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. №10 (ყოფილი ... ქ. №46, 34, 36) წარმოადგენს საკუთრების ტიპი საერთო სარგებლობა, ფართობი ფაქტიური და დოკუმენტით 202,00 კვ.მ, 2/3 წარმო-ადგენს გ. გ-ის მამის გ. გ-ის საკუთრებას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარე-გისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილე-ბით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება გ. კ-ის განცხადება-ზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეეს-ტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცე-მებს შორის არსებობდა ზედდება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარე-გისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტი-ლებით №... დაკმაყოფილდა გ. ტ-ის განცხადება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ უძრავი ნივთზე მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. №10-ში.

2012 წლის 227 აპრილს გ. კ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ამავე სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების №... ნაწილობრივ ბათილად (ცნობა, 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების №... (შეჩერების შესახებ) ბათილად ცნობა და რეგისტრაციის განხორციელების დაგალდებულება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპ-რილის №... გადაწყვეტილებით გ. კ-ის საჩივარი არ დაკმაყო-ფილდა, ხოლო №... გადაწყვეტილებით გ. კ-ეს უარი ეთქვა ად-მინისტრაციული საჩივრის განხილვაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტი-ლების ნაწილობრივ ბათილად (ცნობის ნაწილში).

ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარ-ტის გადაწყვეტილებით შენდა გ. კ-ის სარეგისტრაციო წარმოე-ბა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი მოპასუხეების გ. ტ-ის, ნ. ყ-ისა და გ. გ-ის მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქ. №10-ში მდებარე არასა-

სოფლო-სამეურნეო დანიშნულების 120,55 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 ივნისის განჩინებით გ. კ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოსარჩელემ მიუჟითა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან სადავო 120,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი არის მისი საკუთრება, როგორც მისი ბაბუის ი. მის შეძენილი და ეს მიწის ნაკვეთი შეცდომით არის რეგისტრირებული მოპასუხების საკუთრებაში.

მოსარჩელის განმარტებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებას არ შეიძლება მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა, ვინაიდან ამ საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც წარმოადგენს მოცემულ სარჩელზე მოპასუხეს.

შხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, სადავო 120,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი არის მისი საკუთრება, როგორც მისი ბაბუის – ი. მ-ის შეძენილი და ეს მიწის ნაკვეთი შეცდომით არის რეგისტრირებული მოპასუხების საკუთრებაში. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წინასწარ დადგენილი ძალა ენიჭება ფაქტებს, რომ-ლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი მოპასუხების გ. ტ-ის, ნ. ყ-ის და გ. გ-ის მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქ. №10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 120,55 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება, რომ სადავო 120,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის

ზედდება გამოწვეულია მოპასუხეთა მიერ არასწორად შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის გამო.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია, რომ 1929 წლით დათარიღებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სარეგისტრაციო სამსახურმა შეჩერების გადაწყვეტილებით სადაცოდ არ გახადა უფლების დამდგრენი დოკუმენტი, ნიშნავს მის მიერ საკუთრების მოპოვებას სადაცო 120,00 კვ.მ მინის ნაკვეთზე. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის სათანადო წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, სადაცო ფართზე მის საკუთრების უფლებას. ამასთან, სასამართლომ მიუთითა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად, 1929 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება შეეხება მხოლოდ შენობა-ნაგებობებს და არა მიწის ნაკვეთს, ვინაიდან მითითებულ პერიოდში მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენდა კერძო პირთა საკუთრებას და შესაბამისად იგი ვერ გახდებოდა ნასყიდობის საგანი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებას არ შეიძლება მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა, ვინაიდან ამ საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც წარმოადგენდა მოცემულ სარჩელზე მოპასუხეს. სასამართლომ განმარტა, რომ ზემოთდასახელებულ დავაში მოსარჩელე იყო გ. კ-ე, ხოლო მოპასუხები – გ. ტ-ე, ხ. ყ-ე და გ. გ-ე, დავის საგანს წარმოადგენდა იმავე ფართზე მესაკუთრედ ცნობა. ამდენად უდავოა ის გარემოება, რომ ამ ორი სარჩელის მოდაცე მხარებს ერთი და იგივე პირები წარმოადგენდნენ და დავის საგანიც ის მიწის ნაკვეთი იყო, რომელიც წინამდებარე სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში გ. კ-ის საკუთრებაში გადავა.

სამართლებრივი შეფასება / კვალიფიკაცია:/

სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი განცხადებას უნდა ერთგოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ტ-ის განცხადებას ქ. ქუთაისში, ... ქ. №10-ში მდებარე უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ, თან ერთვოდა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა-დახასიათება ტექ-ნიკური აღრიცხვის ბიუროდან, შიდა აზომვითი ნახაზი, საინ-ვენტარიზაციო გეგმა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ელ. ვერსია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სა-რეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №... გა-დაწყვეტილებით გ. ტ-ის საკუთრების უფლება დარეგისტრირ-და 203 კვ.მ დაზუსტებულ მიწის ფართობზე. ამავე დროს დად-გენილი გარემოებაა, რომ მხარეთა შორის სადაცოდ გამხდარი 120 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც ამ გადაწყვეტილებით მოექ-ცა მოპასუხის საკუთრებაში, არ ნარმოადგენს გ. კ-ის საკუთ-რებას. ამდენად, №... გადაწყვეტილების მიღების დროს საჯა-რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრა-ციონ სამსახურის მიერ დარღვეული არ ყოფილა ინდივიდუალუ-რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი. მარეგისტრირებულმა ორგანომ „საჯარო რე-ესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი ნა-ნილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიღო სწორი გადაწყვე-ტილება და შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება სარეგისტრა-ციონდ ნარმოდეგნილ და რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის ინსტრუქციით განსაზ-ღვრული ზედდების არსებობის გამო, ხოლო ამავე კანონის 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყვი-ტა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციო წარ-მოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი შეჩერების აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი.

სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, საჯარო რე-ესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმეცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონ-მდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. ვინაიდან მოსარჩელის მიერ უერ იქნა დადასტურებული სადაცო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, მისი მოთხოვნები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმა-ყოფილდეს.

აპელანტი: გ. კ-ე

მოწინააღმდეგე მხარეები:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2. საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსა-

ხური

3. გ. ტ-ე
4. ნ. ყ-ე
5. გ. გ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: ფაქტობრივ უსწორობებთან დაკავშირებით აპელანტს მოსაზრება არ წარუდგენია

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, მარეგისტრირებელ ორგანოში, მის მიერ წარდგენილ იქნა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, 1929 წლის ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება. იგი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შედგენილ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც ადასტურებს უფლებას გაზრდილ მიწის ნაკვეთის ფართზე. სასამართლო ვერ უთითებს ნორმას, თუ რატომ არ წარმოადგენს 1929 წელს მოსარჩელის მამკვიდრებლის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებას და რატომ ვერ იქნებოდა იგი ნასყიდობის საგანი.

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი, ვინაიდან, მოცუმული ადმინისტრაციული საქმის განხილვისას არ შეიძლებოდა პრეიუდიციული ძალა მინიჭებოდა იმ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც წარმოებდა მოსარჩელე გ. კ-ესა და მობასუხე ფიზიკურ პირებს შორის, რადგან განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში არიან სხვა მხარეები – გ. კ-ე (მოსარჩელე) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ამავე სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახური (მოპასუხები). მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული მოქმედება და აღნიშნულ დავის საგანთან დაკავშირებული მტკიცებულებები სასამართლოს უნდა შეეფასებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რომლის მიხედვითაც, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

მოწინააღმდეგე მხარეების გ. ტ-ისა და ნ. ყ-ის შეპასუხება:

სამართლებრივი: მოწინააღმდეგე მხარეებმა შესაგებლით

სააპელაციო საჩივარი არ ცნეს და განმარტეს, რომ არ არსებობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები. სააპელაციო საჩივროს ავტორს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის უფლებას სადავო ფართზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

მოწინააღმდეგე მხარის გ. გ-ის შეპასუხება:

ფაქტობრივი: მოწინააღმდეგე მხარემ ცნო სააპელაციო საჩივარი და დაეთანხმა მასში მოყვანილ ყველა ფაქტობრივ გარემოებას.

სამართლებრივი: სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით მოპასუხეს მოსაზრება არ წარმოუდგენია.

მოწინააღმდეგე მხარეები – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ წერილობითი შესაგებელი არ წარუდგენიათ, მაგრამ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სააპელაციო საჩივარი არ ცნეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების ნაწილში, გ. კ-ეს დაუბრუნდა მის მიერ ზედმეტად გადახდილი 200 ლარი, ხოლო დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ გ. ტ-ის განცხადებას – ქ. ქუთაისში, ... ქ. №10-ში მდებარე უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ, თან ერთვოდა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა-დახასიათება ტექნიკური აღრიცხვის ბიუროდან, შიდა აზომვითი ნახაზი, საინვენტარიზაციო გეგმა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი

და ელ ვერსია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთა-ისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით გ. ტ-ის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 203 კვ.მ დაზუსტებულ მიწის ფართობზე. ამავე დროს დადგენილი გარემოებაა, რომ მხარეთა შორის სადაცოდ გამხდარი 120 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც ამ გადაწყვეტილებით მოექცა მოპასუხის საკუთრებაში, არ ნარმოადგენს გ. კ-ის საკუთრებას. საქმის მასალებიდან გამომდინარე არ დასტურდება და მოსარჩელის მიერ არც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ყოფილა წარმოდგენილი სადაცო 120,55 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი რაიმე სარწმუნო მტკიცებულება. ამასთან, სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის პრეიუდიციული ძალის მქონე გადაწყვეტილებით გ. კ-ეს უარი ეთქვა სადაცო მიწის ნაკვეთზე მესაკუთრედ ცნობაზე, რაც შესულია კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიღო სწორი გადაწყვეტილება და შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ და რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდების არსებობის გამო, ხოლო ამავე კანონის 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი შეჩერების აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო აქტების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ზიანი არ მისდგომია მოსარჩელის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს, რის გამოც არ არსებობს აღნიშნული აქტების ბათოლად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც ისინი კანონის მოთხოვნათა დაცვითაა მიღებული.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სა-

სამართლოს დასაბუთება, რომ ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადაც 120,55 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლება, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოთხოვნები საჯარო რეესტრისათვის უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის დავალდებულების თაობაზე.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის ზედმეტად გადახდევინების თაობაზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ წარდგენილ საპელაციო პრეტენზიას საპელაციო სასამართლოს დასკვნით, იგი დაკმაყოფილდა საფუძვლიანობის გამო, რადგან მოსარჩელის მიერ დაყენებულ ყველა სასარჩელო მოთხოვნა მიზნად ისახავდა საბოლოოდ ერთი შედეგის მიღწევას – სადაც მიწის ნაკვეთის მოსარჩელის საკუთრებად დარეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „თ“ პუნქტების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გ. კ-ის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა 100 ლარს.

კასატორი: გ. კ-ე მოწინააღმდეგე მხარეები:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახური
3. გ. ტ-ე
4. ნ. ყ-ე
5. გ. გ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკრძალვილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. კერძოდ, მან არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტაცია, რომ მისი ბაბუის ი. მ-ის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთის

ნაწილი შეცდომით არის რეგისტრირებული მოპასუხეების სა-კუთრებაში.

აპელანტი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი, ვინაიდან, მოცემული ადმინისტრაციული საქმის განხილვისას არ შეიძლებოდა პრეიუდიციული ძალა მინიჭებოდა იმ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც წარმოებდა მოსარჩელე გ. კ-ესა და მოპასუხე ფიზიკურ პირებს შორის, რადგან განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში არიან სხვა მხარეები – გ. კ-ე (მოსარჩელე) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ამავე სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახური (მოპასუხეები). მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული მოქმედება და აღნიშნულ დავის საგანთან დაკავშირებული მტკიცებულებები სა-სამართლოს უნდა შეეფასებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რომლის მიხედვითაც, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

მოწინააღმდეგ მხარეებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ, თუმცა სასამართლო სხდომაზე მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წარმდლვრები:

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე.

კასატორმა გ. კ-ემ 2013 წლის 1 ივლისს განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დაკამაყოფილება, განცხადებას თვალსაჩინოებისათვის დაურთო საკადასტრო აზომვითი ნახაზები, დისკი და ფოტოსურათები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლა-გაანალიზებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. კ-ის საკასა-

ციონ საჩივრი არ უნდა დაქმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაშემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივრის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „გ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების გადამოწმების შედეგად მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვა-გადაწყვეტისას არ არის დაშვებული იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლომ სწორად შეუფარდა ნორმა სადაც სამართლურთიერთობას და არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა.

პროცესუალური კასაციის წარმოდგენილი მოტივები არ ქმნის სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნანილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპროცესო დარღვევებით გამოტანილად მიჩნევის საპროცესო კანონით (სსსკ-ის 393.2. მუხლი) განსაზღვრულ შემთხვევას. საკასაციო საჩივრი არ შეიცავს დასაბუთებულ სამართლებრივ არგუმენტაციას გადაწყვეტილების კანონთან შეფასებამობის თაობაზე, კერძოდ, კასატორის არგუმენტი, რომ სასამართლოებმა არასწორი შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არ გამომდინარეობს საქმის მასალების ობიექტური შეფასებიდან, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ დავის საგნის – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება შეამონება, როგორც სარჩელის ფაქტობრივ და სამართლებრივი საფუძვლების ფარგლებში, ასევე მიუთითა, რომ სადაც გადაწყვეტილების გამოცემისას საქმეზე არ არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლეული და დადგენილია კანონშესაბამისად, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. მ-მა 1929 წლის 27 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით მ. ჩ-სგან შეიძინა ქ. ქუთაისში,... ქ. №8-ში (ყოფილი ... ქ. №34) მდებარე, საცხოვრებელი სახლი, განთავსებული 368,55 კვ.მ. მიზის ნაკვეთზე.

2009 წლის 27 ოქტომბერს უძრავი ქონება მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქუჩა №8-ში დაზუსტებული ფართობი 248,00 კვ.მ საკადასტრო კოდი №..., რეგისტრირებულია გ. კ-ის და ქ. მ-ის თანა-

საკუთრებად. უფლების დამდგენ დოკუმენტებად მითითებულია: ჩუქების ხელშეკრულება, დამოწმებული 2009 წლის 25 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა №4054, დამოწმებული 1988 წლის 4 აგვისტოს ნოტარიუსი ნ. ჭ-ის მიერ; შპს „...“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ 29.09.2008 წლს გაცემული №1/208 სააღსრულებო ფურცელი; შპს „...“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და სამკვიდრო მოწმობა №4-5222, დამოწმებული 1959 წლის 28 აპრილს, ნოტარიუს ტ-ის მიერ; გ. კ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია სახლის გამოყოფილი ნაწილის, საერთო ფართით 28,86 კვ.მ., 193,17 კვ.მ-დან 2/3 ნაწილი, ხოლო გ. კ-ისა და ქ. მ-ის თანასაკუთრებაში რეგისტრირებულია სახლის გამოყოფილი ნაწილის, საერთო ფართი - 193,17 კვ.მ-დან - 1/3 ნაწილი.

2009 წლის 29 დეკემბერს უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ. №10-ში (ყოფილი ... ქ. №46) რეგისტრირებულია გ. ტ-ის საკუთრების უფლება სარეგისტრაციო კოდი ..., დაზუსტებული ფართობი 203,00 კვ.მ., სახლის გამოყოფილი ნაწილის საერთო ფართით: 116,76 კვ.მ-დან 1/3 ნაწილი, უფლების დამდგენი დოკუმენტია საჯარო ვაჭრობის სახლმფლობელობის წილის შესყიდვაზე №3-2824, დამოწმებული 1972 წლის 18 თებერვალს ნოტარიუს ფ-ის მიერ.

2009 წლის 29 დეკემბერს უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ. №10-ში (ყოფილი ... ქ. №46) რეგისტრირებულია გ. ტ-ისა და ნ. ყ-ის თანასაკუთრებად, სარეგისტრაციო კოდი ..., დაზუსტებული ფართობი 203,00 კვ.მ, გ. ტ-ის საკუთრებაშია სახლის გამოყოფილი ნაწილის საერთო ფართი: 116,76 კვ.მ-დან 1/3 ნაწილი, უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე არსებული დამხმარე ნაგებობა ფართით: 11,52 კვ.მ; სახლის მეორე გამოყოფილი ნაწილის საერთო ფართით: 31,45 კვ.მ, თანამესაკუთრედ რეგისტრირებულია ნ. ყ-ე სახლის მესამე გამოყოფილი ნაწილის საერთო ფართით 79,86 კვ.მ., უფლების დამდგენ დოკუმენტებად მითითებულია: საჯარო ვაჭრობის სახლმფლობელობის წილის შესყიდვაზე №3-2824, დამოწმებული 1972 წლის 18 თებერვალს ნოტარიუსი ფ-ის მიერ; შპს „ა...“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2009 წლის 31 აგვისტოს №ს 1/075 გადაწყვეტილება; შპს „ა...“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2009 წლის 31 აგვისტოს №ს 1/074 გადაწყვეტილება და შპს „ა...“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2009 წლის 31 აგვისტოს №ს 1/074 სააღსრულებო ფურცელი.

უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ. №10 (ყოფილი ...

ქ. №6, №34, №36) ნაკვეთის საკუთრების ტიპი საერთო სარგებლობა, ფართობი ფაქტიური და დოკუმენტით 202,00 კვ.მ, 2/3 წარმოადგენს გ. გ-ის მამის – გ. გ-ის საკუთრებას.

2012 წლის 27 მარტს გ. კ-ემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა უძრავ ნივთებზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება გ. კ-ის განცხადებაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ზედდება, კერძოდ, მინის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მინის ნაკვეთის საზღვრებში (საკადასტრო კოდი: ...), შესაბამისად დაევალა კორექტირებული საკადასტრო ნახაზის წარმოდგენა ან უნდა შეცვლილყო მინის ნაკვეთის: ... კონფიგურაცია.

2012 წლის 27 აპრილს გ. კ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ამავე სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, 2012 წლის 30 მარტის №... გადაწყვეტილების (შეჩერების შესახებ) ბათილად ცნობა და რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილებით გ. კ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო №... გადაწყვეტილებით გ. კ-ეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილში ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში.

ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით გ. კ-ის №... განცხადებაზე შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტთან მიმართებაში, რომ პრეიუდიცული ძალის მქონე ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში

თუ სხვა სამოქალაქო დავაშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ, მაგრამ ამასთან მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება გ. კ-ემ სარჩელი აღ-ძრა სასამართლოში ნ. ყ-ისა და გ. გ-ის მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქ. № 10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 120.55 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ცნობის თა-ობაზე. სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ 1929 წლის 27 მარტის ნაცყიდვის ხელშეკრულებით ი. მ-მა (მოსარჩელის ბაბუამ) მ. ჩ-გან შეიძინა 368.92 კვ.მ მიწის ნაკვე-თი, რომელთაგან 120.50 კვ.მ მიწის ნაკვეთი ამჟამად რეგისტრი-რებულია მოპასუხეთა თანასაკუთრებაში. ქუთაისის რეგიონუ-ლი სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზის ბიუროს 2011 წლის 25 ოქტომბრის №76 დასკვნის შესაბამისად, მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... ქ. № 10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების 120.55 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი არ დაემაყოფილდა, უცვლე-ლად დარჩა ასევე მითითებული გადაწყვეტილება ქუთაისის სა-აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის განჩინებითა და საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს 2012 წლის 28 ივნისის განჩინებით. ამდენად, გ. კ-ის განსახილველი სარჩელის დაემაყოფილების შესაძლებლობა წი-ნააღმდეგობაში მოვა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილე-ბასთან, მით უფრო, რომ გ. კ-ეს არ წარმოუდგენია საკუთრების უფლების დამადასტურებელი იმგვარი მტკიცებულებები, რომ-ლებიც შეფასებული არ ყოფილა კანონიერ ძალაში შესული გა-დაწყვეტილების დამდგენი სასამართლოს მიერ. საკასაციო სა-სამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება, რომელმაც სამოქალაქო ურთიერთობებში დადასტურება ვერ ჰქოვა, ლო-გიკურად, იგი რეალიზებული ვერ იქნება ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების მეშვეობით.

საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ გ. კ-ის ად-მინისტრაციულ სარჩელზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 ივნისის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმეზე გ. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხების გ. ტ-ისა და ნ. ყ-ის მიმართ, საქმის განხილვის დასრულებამდე.

კონკრეტულ (ადმინისტრაციულ დავაში) შემთხვევაში სარ-ჩელის საგანს წარმოადგენს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსა-ხურის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც გ. ტ-ის, ნ. ყ-ისა და გ. გ-ის საკუთრებაში და-

რეგისტრირდა ქ. ქუთაისში, ... ქ. №10-ში მდებარე 203,00 კვ.მ. მინის ნაკვეთი, მხოლოდ 120 კვ.მ. მინის ნაკვეთის ნაწილში, ვინაიდან 1929 წლის 27 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. კ-ის ბაბუამ შეიძინა 368,55 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთები, ამჟამად ქ. ქუთაისში, ... ქ. №8-ში მდებარე მოსარჩელისა და ლ. მ-ის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს იგივე საცხოვრებელ სახლს, თუმცა მინის ნაკვეთის ფართობის სხვაობა შეადგენს 120,55 კვ.მ, რომლის მოწინააღმდეგე მხარეზე რეგისტრაციას ხდის სადაციდ მოსარჩელე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არამართებულია კასატორის მოსაზრება, რომ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული საქმის განხილვისას არ შეიძლება მიენიჭოს პრეიუდიციული ძალა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით პრეიუდიციული ძალა ენიჭება არა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, არამედ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით. ანუ ფაქტები, რომლებიც დამტკიცებას არ საჭიროებენ. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ გ. კ-ე თავად არის მოსარჩელე და მისთვის ხელსაყრელი ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილ მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპზე დაყრდნობით სწორედ მას ეკისრება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით ასევე, დაუსაბუთებელია კასატორის მოტივი – საკუთრების უფლების ხელყოფის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს:

განსახილველ შემთხვევაში ობიექტურად არის დადგენილი, რომ ი. მ-მა მოსარჩელის ბაბუამ 1929 წლის 27 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით მ. ჩ-გან შეიძინა ქ. ქუთაისში, ... ქ. №8-ში (ყოფილი ... ქ. №34-ში) მდებარე საცხოვრებელი სახლი განთავსებული 368,55 კვ.მ. მინის ნაკვეთზე, აღნიშნული ხელშეკრულებით შეიძინა მხოლოდ შენობა-ნაგებობა და არა მინის ნაკვეთი, უძრავი ქონება მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქუჩა №8 დაზუსტებული ფართობი 248,00 კვ.მ საკადასტრო კოდი №..., რეგისტრირებულია გ. კ-ისა და ქ. მ-ის თანასაკუთრებად. უფლების რეგისტრაციის თარიღი 2009 წლის 27 ოქტომბერი უფლების დამდგენ დოკუმენტებად მითითებულია: ჩუქების ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 25.08.2009 წლი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ტო, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა №4054, დამოწმების თარიღი: 04.08.1988, ნოტარიუსი ნ. ჭ-ე; შპს „...“ მუდმივ-მოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ 29.09.2008 წელს გაცემული №1/208 სააღსრულებო ფურცელი; შპს „...“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და სამკვიდრო მოწმობა №4-5222, დამოწმებული 1959 წლის 28 აპრილს, ნოტარიუს ტ-ის მიერ; გ. კ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია სახლის გამოყოფილი ნაწილის, საერთო ფართით 28,86 კვ.მ., 193,17 კვ.მ-დან 2/3 ნაწილი, ხოლო გ. კ-ისა და ქ. მ-ის თანასაკუთრებაში რეგისტრირებულია სახლის გამოყოფილი ნაწილის, საერთო ფართი – 193,17 კვ.მ-დან – 1/3 ნაწილი ანუ კასატორის გ. კ-ის საკუთრებაში რეგისტრირებულია სწორედ ის მინის ნაკვეთი, რაზეც განთავსებულია ნასყიდობის ხელშეკრულებით მიღებული შენობა-ნაგებობა, რომლის საწინააღმდეგოს დამტკიცება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1. მუხლის საფუძველზე სწორედ მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებას – მტკიცების ტვირთს ნარმოადგენს, რაც მხარემ ვერ უზრუნველყო.

რაც შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის №... გადაწყვეტილების სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილების სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ორგანიზაციულ და სამართლებრივი საფუძვლები მოწესრიგებულია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით, აღნიშნული საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება უძრავ ნივთებზე უფლებათა სახელმწიფო რეგისტრაციის წესი და პირობები, სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობები და განისაზღვრება საჯარო რეესტრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების წესი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მი-

ღებული გადაწყვეტილება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული კანონის 9.1 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შეეძნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, მაგ: კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას, ან სხვა სახის რაიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი.

როგორც აღნიშნა, სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლების რეგისტრაციის დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე თავით რეგულირდება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი გასაჩინოების წესი და პირობები, მითითებული კანონის 21-ე მუხლში ჩამოთვლილია სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების საფუძვლები, კერძოდ, ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეგისტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდება, ან მათში მოცემულ უძრავი ნივთის ფართობი, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევისა, აღემატება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ უძრავი ნივთის ფართობს, სარეგისტრაციო სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების თაობაზე და მისი აღმოფხვრის მიზნით უნიშნავს ვადას განმცხადებელს. ამავე კანონის 21.4 მუხლის შესაბამისად, სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების ვადაში სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის დოკუმენტის ნარმოდგენის შემთხვევში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო ნარმოების განახლების შესახებ, ხოლო, თუ სარეგის

ტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხევრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი, მარეგისტრირებელი ორგანო, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 2012 წლის 27 მარტს გ. კ-ებ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა უძრავ ნივთებზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, ქუთაისში, ... ქ. №8-ში, საკადასტრო კოდი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება გ. კ-ის განცხადებაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებში შორის არსებობდა ზედდება, კერძოდ, მინის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მინის ნაკვეთის საზღვრებში, საკადასტრო კოდი:..., შესაბამისად, დაევალა კორექტირებული საკადასტრო ნახაზის წარმოდგენა ან უნდა შეცვლილიყო ... კონფიგურაცია, საქმის მასალებით ასევე უდავოდ არის დადგენილი, რომ გ. კ-ის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილი შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას იმასთან მიმართებაში, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 მარტის №... გადაწყვეტილების სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილების სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო, ასევე, იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლების შეფასებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომლითაც გ. კ-ეს უარი ეთქვა ადმინის-

ტრაციული საჩივრის განხილვაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში და განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავი ანესრიგებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლების რეალიზაციასა და საჩივრის განხილვის გადაწყვეტის საკითხებს.

ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის სადაც აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს დადგენის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით, კერძოდ, 1-ლი პუნქტის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ამავე კოდექსის 185-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი, რომლის შესაბამისად: „თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში“.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.4 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე განმარტავს, რომ აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს – ხელი-

სუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმხორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართლი, რომელიც ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფის ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის შემცველი განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენისას, ადმინისტრაციული ორგანოს არა აქვს მანდატი, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ – სასამართლო ორგანოს, განსხვავებით ამავე კოდექსის 80.1 მუხლით დადგენილი ვალდებულებისა.

ამგვარ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს უფლება შემოიფარგლება განმცხადებლისათვის სამართლებრივი დახმარების განევით, კერძოდ, აუხსნას მხარეს, რომ საკითხი სასამართლო ორგანოთა იურისდიქციას განეკუთვნება. აღნიშნული თავის მხრივ, შეესაბამება კონსტიტუციის 42.1 მუხლით დადგენილ პრინციპს, რომ სწორედ მხოლოდ პირის უფლებას წარმოადგენს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს ანუ სარჩელის აღძვრა – სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაცია მხოლოდ პირის ნების ავტონომიას ეფუძნება.

ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არ არსებობს 2012 წლის 30 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდნ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოს წესით და მისი ბათილად ცნობის საკითხის განხილვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში არ შედიოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს გ. კ-ის საკასაციო საჩივრის დამაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 410-ე მუხლებით და

და ადგინდება:

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპრავი ქონების რეგისტრაცია

განრიცხვა

№ბს-276-268(კ-13)

19 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წერპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: მ. მ-ი

მოპასუხე: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასა-ბის სარეგისტრაციო სამსახური;

მოპასუხეები: ლ. ა-ე, პ. ც-ე

მესამე პირები – შპს „...“, სს „...“;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგის-

ტრაციო სამსახურის №... განცხადების საფუძველზე, ლ. ა-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის განმარტებით, აუქციონის წესით შეიძინა კასპის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქონება, მდებარე კასპში, ... №2-ში.

2002 წლიდან კასპში, ... №2-ში მდებარე ქონება საჯარო რეგისტრში აღრიცხული იყო მ. მ-ის სახელზე.

2007 წლის 7 ივნისს პ. ც-ემ ყალბი განცხადების საფუძველზე კასპში, ... №2-ში მდებარე ქონება დაარეგისტრირა შპს „...“ საკუთრებად.

მოსარჩელის მითითებით, მან 2011 წლის ოქტომბერში განცხადებით მიმართა შეს კასპის რაიონულ განყოფილებას დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძრის მოთხოვნით. 2012 წლის 24 ივლისის გორის რაიონული სასამართლოს განაჩენის შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტზე დამნაშველ ცნობილ იქნა პ. ც-ე.

მოსარჩელის მტკიცებით, პ. ც-ე მიხვდა რა იმას, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას დაკარგავდა ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ქონება მიყიდა მოსარჩელის დეიდაშვილს – ლ. ა-ეს.

სამართლებრივი: მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლზე.

მოპასუხეების – ლ. ა-ისა და პ. ც-ის შესაგებელი:

მოპასუხეებმა შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეისწავლოს სარჩელის დასაშვებობის საკითხი, მათი მოსაზრებით, სარჩელი დაუშვებელია, ვინაიდან მოსარჩელე მ. მ-ი არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ პირს, რადგან ლ. ა-ემ 2012 წლის 19 ივნისს სადაც ქონება იყიდა შპს „...“. გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 6 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მოპასუხეებად მითითებული ლ. ა-ე და პ. ც-ე საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაებნენ მესამე პირებად, მესამე პირებად ჩაებნენ ასევე შპს „...“, და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე სს „...“.

საქმის გარემობები:

მ. მ-მა 2000 წლის 26 დეკემბერს აუქციონზე შეიძინა კასპის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქონება, მდებარე ქ. კასპში, ... №2-ში, რაც 2002 წლიდან აღრიცხული იყო მის სახელზე საჯარო რეესტრში; 2007 წლიდან მან დააფუძნა შპს „...“, სადაც ბუღალტრულ საქმიანობაში დახმარებას უწევდა ბიძა – პ. ც-ე, რომელმაც ბოროტად ისარგებლა ნდობით და 2007 წლის 7 ივნისს, ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული ქონება საკუთრების უფლებით დაარეგისტრირა შპს „...“ სახელზე;

2012 წლის 19 ივნისს შპს „...“ დირექტორს – პ. ც-ესა და ლ. ა-ეს შორის, რომელიც არის მოსარჩელის დეიდაშვილი, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისს განაჩენით პ. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ დოკუმენტის გაყალბებისათვის.

2012 წლის 6 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც დააზუსტა სარჩელი და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის №... განცხადების საფუძველზე, ლ. ა-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვა 2007 წლის 7 ივნისს, მ. მ-ის სახელით შესრულებული განცხადების საფუძველზე, კასპში, ... №2-ში მდებარე ქონებიდან მ. მ-ის სახელზე რიცხული ქონების – პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ² ფართის შპს „...“ საკუთრებაში რეგისტრაციის შესახებ ბათილად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 ნოემბრის საოქმო განჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 ნოემბრის საოქმო განჩინებით ასევე არ დაკმაყოფილდა მესამე პირების შუამდგომლობა სარჩელის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:

მ. მ-მა 2000 წლის 26 დეკემბერს აუქციონზე შეიძინა კასპის

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქონება (სამსართულიანი შენობა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 700 მ² მიწის ნაკვეთი), მდებარე კასპში, ... №2-ში, რაც საჯარო რეესტრში აღირიცხა მის სახელზე შემდეგი მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა – კასპი (კოდი – ...), სექტორი – კასპი (კოდი – ...), კავრტალი №01.

მ. მ-მა ამ ქონებიდან შენობის პირველ სართულზე მდებარე 52,64 მ² და 15 მ² დამხმარე ფართი, ხოლო მეორე სართულზე 114 მ² ფართი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა ფონდ „კ...“, რომელის უფლებამონაცვლესაც წარმოადგენს სს „....“.

2007 წლის 7 ივნისს მ. მ-ის სახელით შესრულებული განცხადების საფუძველზე, კასპში, ... №2-ში მდებარე ქონებიდან მ. მ-ის სახელზე რიცხული ქონება – პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ² ფართი საკუთრების უფლებით აღირიცხა შპს „....“ სახელზე და შევიდა მის სახელსდებო კაბიტალში.

შპს „....“ და სს „....“ შორის 2012 წლის 21 თებერვალს დაიდო იჯარის ხელშეკრულება კასპში, ... №2-ში მდებარე ქონებიდან შპს „....“ კუთვნილ პირველ სართულზე მდებარე 206,56 მ² ფართზე.

შპს „....“ (დირექტორი – პ. ც-ე) და ლ. ა-ეს შორის 2012 წლის 19 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოების სახელზე რიცხული, კასპში, ... №2-ში მდებარე ქონება (საკადასტრო კოდი...) საკუთრების უფლებით აღირიცხა ლ. ა-ის სახელზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის განაჩენით პ. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ 2007 წლის 7 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურში მან მ. მ-ის სახელით შეადგინა ყალბი განცხადება უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ, რომ ლის საფუძველზეც მოხდა უძრავი ნივთის რეგისტრაცია.

სასამართლოს მიერ სადაცვოდ მიჩნეული ფაქტები:

სადაცვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის ლ. ა-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული სარეგისტრაციო ჩანაწერი, იმ მოტივით, რომ პ. ც-ემ მ. მ-ის სახელით შეადგინა ყალბი განცხადება და 2007 წლის 7 ივნისს წარადგინა საჯარო რეესტრში, რის საფუძველზეც მ. მ-ის კუთვნილი უძრავი ქონება უკანონოდ აღირიცხა შპს „...ს“ სახელზე.

სასამართლოს დასკვნები – რაიონულმა სასამართლომ მი-

იჩნია, რომ მ. მ-ის სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

სასამართლოს შეფასებით, სადაც ვო რეგისტრაციის უფლების დამდგენი დოკუმენტი, შპს „...“ და ლ. ა-ეს შორის 2012 წლის 19 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია და სადავოდ არ გაუხდია. მართალია, მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიიჩნევს 3. ც-ის მხრიდან უკანონო ქმედების ჩადენას (ყალბი განცხადების საჯარო რეესტრში წარდგენას), მაგრამ სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ეს გარემოება ამჟამად ლ. ა-ის სახელზე აღრიცხულ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობისათვის საკმარისი ვერ იქნება, რადგან მოსარჩელე არ ხდის სადავოდ ამ რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტის კანონიერებას.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, მე-60¹, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით, 26-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით.

აპელაციი: მ. მ-ი

მოწინააღმდეგე მხარეები: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახური;

მესამე პირები: 1. ლ. ა-ე, 2. ბ. ც-ე; შპს „...“; 3. სა „...“

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, საქმისათვის უმნიშვნელო გარემოებად 2012 წლის 24 ივნისის განაჩენი 3. ც-ის მიმართ. არასწორად განმარტა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი და მე-60¹ მუხლი, ასევე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი, 26-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე

მუხლი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების /სარეზოლუციო ნაწილი/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 თებერვლის განჩინებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 20 ნოემბრის გა-დაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპე-ლაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზ-რება, რომ სასამართლომ საქმისათვის უმნიშვნელო გარემოე-ბად მიიჩნია 2012 წლის 24 ივლისის განაჩენი პ. ც-ის მიმართ, რომლითაც ბრალდებული პ. ც-ე გასამართლებული იყო ყალბი განცხადების საჯარო რეესტრში წარდგენისათვის და მიუთი-თა, რომ 2012 წლის 24 ივლისის განაჩენი საკმარისი არ იყო სა-კუთრების უფლების რეგისტრაციის ჩანაწერის ბათილობისათ-ვის, ვინაიდან მოსარჩევეს სადაცოდ არ გაუხდია ამ რეგისტრა-ციის საფუძვლად არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტის კანონიერება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საყუ-რადღებოა ის გარემოებაც, რომ კანონიერ ძალაშია გორის რაი-ონული სასამართლოს 2010 წლის 14 იანვრის განჩინება, რომ-ლითაც სადაცოდ გამხდარი შპს „...“ 2007 წლის 7 ივნისის რეგის-ტრაციის ბათილობასთან დაკავშირებულ დავაზე მ.მ-ის სარჩე-ლი დაუშვებლად იქნა ცნობილი და შეწყდა საქმის წარმოება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზია-რების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესაძლებლო-ბა პირდაპირ უკავშირდება მისი საფუძვლების შეცილების მარ-თებულობას. კონკრეტულ შემთხვევაში ლ. ა-ეზე განხორციე-ლებული სადაცო ქონების რეგისტრაციის საფუძველს წარმო-ადგენს 2012 წლის 19 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე. ი. რე-ესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდე-ბა მათი უზუსტობა; იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგე-

ბის საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის სანინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

კასატორი: მ. მ-ი

მოწინააღმდეგე მხარეები: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახური;

მესამე პირები: 1.ლ. ა-ე; 2. პ. ც-ე; 3. შპს „...“;

3. სს „...“

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 თებერვლის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი საკასაციო საჩივარს ამყარებდა ძირითადად იმავე საფუძვლებზე, რაზეც მიუთითებდა სარჩელში და სააპელაციო საჩივარში.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ად-მინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივრის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების გადამოწმების შედეგად მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვა-გადაწყვეტისას არ არის დაშვებული იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლომ სწორად შეუფარდა ნორმა სადაც სამართლურთიერთობას და არ-

სებითად სწორად გადაწყვიტა დავა.

პროცესუალური კასაციის ნარმოდგენილი მოტივები არ ქმნის განჩინების საპროცესო დარღვევებით გამოტანილად მიჩნევის საპროცესო კანონით (სსსკ-ის 393.2. მუხლი) განსაზღვრულ შემთხვევას. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ სამართლებრივ არგუმენტაციას განჩინების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე, კერძოდ, კასატორის არგუმენტი, რომ სასამართლოებმა არასწორი შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არ გამომდინარებს საქმის მასალების ობიექტური შეფასებიდან, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ დავის საგნის – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება შეამონმა, როგორც სარჩელის ფაქტობრივ და სამართლებრივი საფუძვლების ფარგლებში, ასევე მიუთითა, რომ სადაც გადაწყვეტილების გამოცემისას საქმეზე არ არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლეული და დადგენილია კანონშესაბამისად, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2001 წლის 8 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო ქონების მართვის კასპის რაიონულ განყოფილებასა და მ. მ-ს შორის, რომლის შესაბამისად, მ. მ-მა 2000 წლის 26 დეკემბერს აუქციონზე შეიძინა კასპის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქონება (სამსართულიანი შენობა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 700 მ² მიწის ნაკვეთი), მდებარე ქ. კასპი, ... №2-ში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კასპის რაიონული განყოფილების მიერ 2001 წლის 8 იანვარს გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №.... .

2002 წლის 22 აგვისტოს საჯარო რეესტრში მ. მ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა ქ. კასპი, ... №2-ში მდებარე, 700 მ² მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით, სარეგისტრაციო ზონა - კასპი (კოდი - ...), სექტორი - ქ. კასპი (კოდი - ...), კვარტლის №01 (უფლების დამდგენი დოკუმენტი: სახელმწიფო ქონების მართვის კასპის რაიონულ განყოფილებასა და მ. მ-ს შორის 2001 წლის 8 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება).

2007 წლის 5 მარტს მ. მ-სა და ფონდ „კ...“ შორის გაფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მ. მ-

მა მის საკუთრებაში არსებული შენობის პირველ სართულზე მდებარე 52,64 მ² და 15 მ² დამხმარე ფართი, ხოლო მეორე სართულზე 114 მ² ფართი საკუთრებაში გადასცა ფონდ „კ...“, რომლის უფლებამონაცვლესაც წარმოადგენს სს „...“.

2007 წლის 23 მაისს მ. მ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა კასპში, ... №2-ში მდებარე უძრავი ქონება – პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ².

2007 წლის 7 ივნისს, მ. მ-ის სახელით შესრულებული განცხადების საფუძველზე, კასპში, ... №2-ში მდებარე ქონებიდან მ. მ-ის სახელზე რიცხული ქონება – პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ² ფართი საკუთრების უფლებით აღირიცხა შპს „...“ სახელზე და შევიდა მის სანესდებო კაპიტალში.

2007 წლის 27 ივნისს შპს „...“ დამფუძნებელს – მ. მ-სა და პ. ც-ეს შორის გაფორმდა წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, შპს „...“ დამფუძნებელმა მ. მ-მა შპს-ეს 100% წილი დათმო პ. ც-ისა და გ. გ-ის სასარგებლოდ 90-10%-ზე. აქედან 90% მოიცავდა კასპის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის 1-ლ სართულზე 206,56 კვ.მ., მეორე სართულზე – 167,22 კვ.მ., მესამე სართულზე – 178 კვ.მ. და კასპის რაიონის სოფ., ხოლო 10% კასპის მსმ სახლის მე-3 სართულის 96 კვ.მ.

შპს „...“ და სს „...“ შორის 2012 წლის 21 თებერვალს დადგებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, კასპში, ... №2-ში, მდებარე ქონებიდან შპს „...“ კუთვნილ პირველ სართულზე მდებარე 206,56 მ² ფართზე.

შპს „...“ (დირექტორი პ. ც-ე) და ლ. ა-ეს შორის 2012 წლის 19 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოების სახელზე რიცხული, კასპში, ... №2-ში მდებარე ქონება (საკადასტრო კოდი 67.01.05.466) საკუთრების უფლებით აღირიცხა ლ. ა-ის სახელზე.

2012 წლის 20 ივნისს საჯარო რეესტრში სს „...“ საკუთრებად დარეგისტრირდა ქ. კასპში, ... №2-ში მდებარე, შენობის I სართულზე – 52,64 მ²; II – 114,62 კვ.მ; და 15 მ² დამხმარე ფართი, ხოლო ლ. ა-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა – პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ².

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის განაჩენით პ. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ 2007 წლის 7 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სა-

რეგისტრაციო სამსახურში მან მ. მ-ის სახელით შეადგინა ყალბი განცხადება უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოხდა უძრავი ნივთის რეგისტრაცია შპს „...“ საკუთრებად.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სარჩელის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასიის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ №... განცხადების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია, რომლითაც შპს „...“ დირექტორ პ. ც-ესა და ლ. ა-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ლ. ა-ის საკუთრებად აღირიცხა უძრავი ნივთი, მდებარე, ქ. კასპში, ... №2-ში პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ². აღნიშნული რეგისტრაციის გაუქმების მიზანი ანუ რაც მოსარჩელებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა მიიღოს, არის ის, რომ აღსდგეს მისი საკუთრება კასპში, ... №2-ში მდებარე უძრავ ნივთზე, კერძოდ, პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ². ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მოსარჩელე უთითებს იმ გარემოებას, რომ შპს „...“ სახელზე სადავო ქონების რეგისტრაცია მოხდა 2007 წლის 7 ივნისს მ. მ-ის სახელით შედგენილი ყალბი განცხადების საფუძველზე.

აღნიშნულთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო რეესტრი არის საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელშიც ხდება ცალკეულ კერძო-სამართლებრივ უფლებათა რეგისტრაცია, კერძოდ, უძრავ ნივთებზე საკუთრება, იპოთეკა, გირავნობა, ყადაღა და სხვა სამართლებრივი უფლებები. საჯარო რეესტრი არის არა უპრალოდ უფლების ფიქსაციის ინსტიტუტი, არამედ ამ უფლების შექმნის საფუძვლი, უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. საჯარო რეესტრის მნიშვნელოვანი თვისება მისი საჯარო ხასიათია და იგი არსებითად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების უზრუნველყოფის – დაცვას ემსახურება.

უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები მოწესრიგებულია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძნებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით, აღნიშნული საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება უძრავ ნივთებზე უფ-

ლებათა სახელმწიფო რეგისტრაციის წესი და პირობები, სარეგისტრაციო ნარმოებაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობები და განისაზღვრება საჯარო რეესტრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების წესი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სარეგისტრაციო ნარმოების დაწყების საფუძვლია განცხადება ან უფლებამოსიდი ირგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული კანონის 9.1 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია ნარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ ნარმობოს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, მაგ: კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას, ან სხვა სახის რაიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი.

როგორც აღვნიშნეთ, სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლების რეგისტრაციის დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე თავით რეგულირდება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, გაუქმებისა და მისი გასაჩივრების წესი და პირობები, კერძოდ, მითითებული კანონის 26-ე მუხლში ჩამოთვლილია რეგისტრაციის გაუქმების ძალადაკარგულად ან არარად აღიარების საფუძვლები, კერძოდ, 1-ლი მუხლის შესაბამისად, რეგისტრაცია ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს თუ: ა) ნარმოდებენილია სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უფლების გადასვლის ან/და შეწყვეტის ფაქტს; ბ) ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება; დ) ამოინურა უფლების მოქმედების განსაზღვრული

ვადა; ე) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები. ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს, თუ: ა) ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება; ბ) წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც აღასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს; გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, რეგისტრაცია რომ ბათილად ან არარად გამოცხადეს ბათილად ან არარად უნდა იყოს ცნობილი ის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა რეგისტრაცია ანუ უფლების დამდგენი დოკუმენტი. რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტი, კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც საქმის მასალებიდან დასტურდება, გასაჩივრებული რეგისტრაციის საფუძველი – უფლების დამდგენი დოკუმენტია შპს „...“ დორექტორ პ. ც-ესა და ლ. ა-ის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც როგორც საქმის მასალებით დასტურდება და რასაც არც თავად მოსარჩელე უარყოფს, სადაც არ გამხდარა. შესაბამისად, გასაჩივრებული სარეგისტრაციო ჩანაწერის უკანონობა ზემოთმითოთებული ნასყიდობის ხელშეკრულების უკანონობის დადგენის გარეშე, მოცემული სარჩელის საგნისა და საფუძვლის ფარგლებში ვერ დადასტურდება, ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერების მიმართ არსებობს უტყუარობის პრეზუმეცია“ /სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი/ ანუ ივარაუდება, რომ რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტი სრულად და სწორად არის განხორციელებული. ნებისმიერი ფაქტი, რომელიც შესაძლოა მიუთითებს რეგისტრაციის არაკანონიერებას, ვერ გამორიცხავს მითითებული ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით, მანამ, სანამ არ დაგენდება ჩანაწერის უზუსტობა.

რაც შეეხება მოსარჩელის (კასატორის) სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის განაჩენზე მითითებას, რომლითაც პ. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ 2007 წლის 7 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურში მ. მ-ის სახელით შედგენილი ყალბი განცხადების გამო, რომლითაც მოხდა სადაც უძრავი ნივთის რეგისტრაცია შპს „...“ საკუთრებად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული

ვერ გახდება სარჩელის დაქმაყოფილების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განხორციელდა შპს „...“ სახელზე სადავო ქონების რეგისტრაცია და შემდგომ შპს „...“ დირექტორ პ. ც-ესა და ლ. ა-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება დაედო საფუძვლად სადავო სარეგისტრაციო ჩანაწერს, ვინაიდან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიზანია აღსდგეს სადავო ქონების მის სახელზე რეგისტრაცია, აღნიშნულისთვის საჭიროა შპს „...“ სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმება, რაც მოსარჩელის მხრიდან თავდაპირველი სარჩელის საგანი არ ყოფილა. მართალია, მან 2012 წლის 6 ივნისს განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც დააზუსტა სარჩელი და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის №... განცხადების საფუძველზე, ლ. ა-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვა 2007 წლის 7 ივნისს, მ. მ-ის სახელით შესრულებული განცხადების საფუძველზე, კასპში, ... №2-ში მდებარე ქონებიდან მ. მ-ის სახელზე რიცხული ქონების – პირველ სართულზე – 206,56 მ², მეორე სართულზე – 167,22 მ², მესამე სართულზე – 274,87 მ² ფართი, შპს „...“ საკუთრებაში რეგისტრაციის შესახებ ბათილად ცნობა, მაგრამ გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 ნოემბრის საოქმო განჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძვლით, რომ მოწინააღმდეგე მხარე კასპის სარეგისტრაციო სამსახური არ დაეთანხმა განცხადებას სარჩელის გაზრდის თაობაზე. აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სარჩელის ტრასფორმირების ფორმითაც დაეხმაროს მოსარჩელის მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საყურადღებოა ასევე ის გარემოებაც, რომ საქმეშია გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 იანვრის განჩინება, რომლითაც მ. მ-ის სარჩელი მ. მ-ისა და პ. ც-ის შორის 2007 წლის 27 ივნისის წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, დაუშვებლად იქნა მიჩნეული და შენყდა საქმის წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არ არსებობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ №... განცხადების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვ-

ნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრაციის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებს, სარჩელის საფუძვლისა და საგნის ფარგლებში კანონიერების შემოწმების შედეგად, კანონშეუსაბამობა არ დასტურდება. ამასთან, საკასაციო სასამართლო დასხენს, რომ სარჩელის დაკამაყოფილების პირობებშიც, სარჩელის მიზანი მიუღწეველი დარჩება, რამდენადაც რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაშიც, ძალაშია მისი საფუძველი – უფლების დამდგენი დოკუმენტი – ნასყიდობის ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს მ. მ-ის საკასაციო საჩივრის დაკამაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უძრავი ქონების რეგისტრაცია

განხილვა

№ბს-668-654(ქ-12)

6 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სიირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 12 მარტს გ. ბ-ერ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-
ნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მი-
მართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამ-
სახურის 2012 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილებით უძ-
რავი ნივთი (მდებარე ქ. თბილისი, ... ქუჩებს შორის №ვ კორპ., ბ.
№20) ტ. ე-ის საკუთრებად დარეგისტრირდა. მოსარჩელის მტკი-
ცებით, რეგისტრაცია ფორმალური და მატერიალურ-სამარ-
თლებრივი საფუძვლების გარეშე განხორციელდა. აღნიშნული
უძრავი ქონება წლების განმავლობაში მასსა და ტ. ე-ეს შორის
დაცის საგანს წარმოადგენს. მოსარჩელის განმარტებით, დღემ-
დე არ არსებობს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილება, რო-
მელიც სადაც ბინას ტ. ე-ეს აკუთვნებს. საქართველოს უზენა-
ესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3
იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც სადაც რეგისტრაციის სა-
ფუძველი გახდა, არ ადგენს რომელიმე მხარის საკუთრებას ბი-
ნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გამორიცხავს ტ. ე-ესა და
სამშენებლო კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების ბა-
თილობას გ. ბ-ის მხრიდან. ამასთან, უზენაესი სასამართლო ას-
კვნის, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ნარდობის ხელშეკრუ-
ლებაა, ხოლო ნარდობა, მოსარჩელის მითითებით, საკუთრების
წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება სადაც უძრავი ქონების
მიმართ. სარეგისტრაციო სამსახურმა კი ისე განახორციელა სა-
დაც რეგისტრაცია, რომ არ ყოფილა წარდგენილი დოკუმენ-

ტები, რომლის არსებობაც იმპერატიულად გათვალისწინებულია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით.

მოსარჩელის მითითებით, გარდა აღნიშნული დარღვევებისა, სარეგისტრაციო სამსახურმა საქმეში არ ჩართო გ. ბ-ე, მაშინ, როდესაც წარდგენილი დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა მის ინტერესებზე.

მოსარჩელის განმარტებით, ამხანაგობაში მისი განევრიანება სწორედ ქ. თბილისი, ... ქუჩებს შორის №3 კორპ., №20 ბინის მიღების უფლებით მოხდა. შესაბამისად, სახეზეა ამხანაგობის ნება სადაც ბინის გ. ბ-ეზე გადაცემის თაობაზე.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ტ. ე-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ. ბ-ის სააპელაციო საჩივრი; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. „გ“ მუხლის შესაბამისად, დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა შემდეგი: რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 14 თებერვლის №... გა-

დაწყვეტილების თანახმად, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს ნარედებინა განცხადება (№...; 17 იანვარი, 2012; განმცხადებელი: ტ. ე-ე) განცხადებით მოთხოვნილია სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტის საფუძველზე უფლების რეგისტრაცია, მდებარე ... ქუჩებს შორის კორპ. №3, ბინა №20 და №21 (ზონა: თბილისი, სექტორი: საბურთალო). განცხადებაზე თანდართულია: დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბურთო; სასამართლო (საარბიტრაჟო აქტი). „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე. განიმარტა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის, გასაჩივრების წეს და ვადა.

საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, საკუთრების განყოფილება: ზონა თბილისი 01; სექტორი საბურთალო 10; კვარტალი 17; ნაკვეთი 042/026; კოდი 01/515; მისამართი: ქ. თბილისი, ქ. ... №4/6; მესაკუთრეები: განცხადების რეგისტრაციის №..., თარიღი 27/03/2008; უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/04/2008; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2019; ხელშეკრულება №1/42 გაფორმებული 1996 წლის 15 ნოემბერს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-719-678-2011; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინება საქმეზე №2/882; მესაკუთრე: ტ. ე-ე; საკუთრების ტიპი: საკუთრება; ფართი: (მშენებარე); სართული 4, კორპუსი №3, ბინა №20 და №21, ფართი: 158 კვ.მ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე №ას-719-678-2011) ტ. ე-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გ. ბ-ეს ტ. ე-ის სასარგებლოდ დაეცისრა ამ უკანასკნელის მიერ განცეული სასამართლო ხარჯი 1277 ლარის ოდენობით; განიმარტა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. აღნიშნულ დავაში მოსარჩელე გ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნას ჩარმოადგენდა შპს „...“ და ტ. ე-ეს შორის 1996 წლის 15 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2. მუხლის

თანახმად, საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1) 1996 წლის 15 ნოემბერს ტ. ე-ესა და სამშენებლო კომპანია „...“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ იკისრა ტ. ე-ისათვის ... და ... ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის №3 კორპუსში, მე-4 სართულზე 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების აშენების და პირად საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება. გადასაცემი ბინების ფართი განისაზღვრა 158 კვ. მეტრით, ღირებულება 22000 აშშ დოლარით. ტ. ე-ემ სრულად გადაიხადა ბინების ღირებულება. 2) ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1997 წლის 17 დეკემბრის №43.12.217 გადაწყვეტილებით, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „... 96-ის“ გამგეობის მიერ წარმოდგენილი კრების №13 ოქმის საფუძველზე ტ. ე-ე განვითრიანდა ამხანაგობაში ოთხოთახიანი ბინის მიღების უფლებით. 3) 1998 წელს გ. ბ-ესა და სამშენებლო კომპანია „...“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ აიღო ვალდებულება მოქალაქეს გამოუყოს და პირად საკუთრებაში გადასცეს ... და ... ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის №3 კორპუსში, მე-4 სართულზე (ბინა 3-1 ტიპის) ბინის ფართი განისაზღვრა 100 კვ.მ.-ით, გადასახდელი თანხა 18000 აშშ დოლარით. გ. ბ-ემ ბინის ღირებულება გადაიხადა ნაწილობრივ, კერძოდ – 16000 აშშ დოლარი. 4) ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1999 წლის 24 ივნისის №251 განკარგულებით დაკმაყოფილდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...“ გამგეობის მოთხოვნა და №11 ოქმის საფუძველზე ამხანაგობაში სხვა პირებთან ერთად განვითრიანდა გ. ბ-ე სამ ოთახიანი ბინის ნილით. 5) ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ტ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით გ. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ტ. ე-ის მიმართ №20 ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში და საქმის ნარმოება განახლდა. ამავე სასამართლოს 2005 წლის 14 მარტის განჩინებით ტ. ე-ის სარჩელი მოპასუხეების სამშენებლო კომპანია „...“ და ამხანაგობა „...“ მიმართ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, დატოვებულ იქნა განუხილვევლად, რაც ტ. ე-ეს არ გაუსაჩივრებია და კანონიერ ძალაშია შესული. ასევე კანონიერ ძალა

შია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ტ. ე-ის მიმართ №21 ბინაზე (ფართი 58 კვ.მ.) საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში. 6) დღემდე ტ. ე-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 58 კვ.მ. ფართის მქონე №21 ბინა, რაც შეეხებოდა №20 ბინას, საჯარო რეესტრის მონაცემებით საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის და ეს ბინა უფლებრივად დაუტვირთავია. საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ იქნა დადგენილი შპს „...“ და ტ. ე-ეს შორის 1996 წლის 15 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების სიყალბე და მოიშველია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა (საქმე №ას-1274-1512-05; 26.01.2006.) ანალოგიურ საქმეზე, სადაც დავის გადასაწყვეტიად გამოყენებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ გამყიდველი ერთი და იგივე საქონელს რამდენიმე პირს მიჰყიდდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო. აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოსარჩელე გ. ბ-ის მფლობელობაში იდესმე იყო ან იმჟამად არის სადავო ნივთი, შესაბამისად, საქმეზე დადგენილი იძ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო ბინის თაობაზე პირველად ხელშეკრულება გაფორმდა ტ. ე-ესთან, კიდევ ერთხელ დასტურდებოდა გ. ბ-ის სარჩელის უსაფუძვლობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე „ბ“ მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

სააპელაციო სასამართლომ მოიხმო ანალოგიურ საქმეზე საკართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინსტრაციულ საქმეთა პალატის 13.10.2011 წლის გადაწყვეტილების (საქმე №ბს-907-900(კ-11)) განმარტება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე „ბ“ მუხლთან დაკავშირებით, კერძოდ, „მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი. ამგვარ ფაქ-

ტებს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ“.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე აპელანტ გ. ბ-ესა და მესამე პირს ტ. ე-ეს შორის არსებული სამართლურთიერთობის მიმართ პრეიუდიციული ძალა გააჩნია სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე №ას-719-678-2011) დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ისინი დამტკიცებას არ საჭიროებენ. ამდენად, უდავოა ის გარემოება, რომ გ. ბ-ე არ წარმოადგენს ... (...) და ... ქუჩებს შორის მდებარე №3 კორპუსის, მე-4 სართულზე განთავსებული სადავო 100 კვ.მ. პინის მესაკუთრეს. ამსათან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადასტურებულია სადავო ბინაზე მესამე პირის ტ. ე-ის საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ა) უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა; გ) სარეგისტრაციო ობიექტი – უძრავი ან მოძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე; თ) რეგისტრაცია – ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათშიც ცვლილების და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიზოვების, მნის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის, ტყის ფონდის საზღვრის დადგენის და მასშიც ცვლილებების შეტანის, ასევე ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით; ი) სარეგისტრაციო წარმოება – საგენტოს საქმიანობა რეგისტრაციის მიზნით. კ) სარეგისტრაციო დოკუმენტი – სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით გან-

საზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას; ლ) სარეგისტრაციო დოკუმენტაცია – რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუურობის პრეზუმეცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. ამავე კანონის 8.1. მუხლის შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1. მუხლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, რეგისტრაციის შედეგად მარეგისტრირებელი ორგანო ამზადებს ამონანერს, ხოლო უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებადაურეგისტრირებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების, ასევე საკადასტრო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციისას – დამატებით საკადასტრო გეგმას.

მითითებული კანონის 11.1. მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: ა) საკუთრება. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრირებული უფლების შესახებ მონაცემების გარდა, ასევე შეიტანება უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.3. მუხლის თანახამად, რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს, თუ: ა) ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება; ბ) წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს; გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები. ამავე ნორმის მე-4 ნაწილით, რეგისტრაციის ბათილად ან არარად გამოცხადების შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 27.1. მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო რეგისტრაციის საკითხზე გამოსცემს გადაწყვეტილებას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-11 მუხლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების მხარეებს წარმოადგენენ დაინტერესებული პირი და შესაბამისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური. აღნიშნული „ინსტრუქციის“ 14.5. მუხლის თანახმად, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით არ დგინდება, რომ შენობა-ნაგებობა (ინდივიდუალური ან მრავალერთეულიანი) ან მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ერთეული მშენებარეა, მათზე უფლების რეგისტრაცია წარმოებს როგორც აშენებულზე, ხოლო ამავე ნორმის მე-8 პუნქტით, მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ერთეულზე, მიუხედავად იმისა, სარეგისტრაციო დოკუმენტში ერთეული ფართობშია გამოხატული თუ მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის წილში, საკუთრების უფლება რეგისტრირდება ფართობის შესაბამისად. ამავე „ინსტრუქციის“ 18.1. მუხლის თანახმად, სააგნტო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება წარმოადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დამდგენ სარეგისტრაციო დოკუმენტს, ამდენად, ადმისტრაციული ორგანოს – სსპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძვლზე მესამე პირის ტ. ე-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია სადაც პინაზე არის კანონშესაბამისი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტ გ. ბ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმა-

ყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლო-ებმა არასწორად შეაფასეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილება, როგორც უძრავ ნივთზე იმ საქმეში მოპასუხის ტ. ე-ის საკუთრების უფლების დამდგენი სასამართლო აქტი. კასატორის განმარტებით, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დგინდება: ნოტარიული დამონშებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ხელშეკრულებით; გარიგების მონაწილეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციით; პირის მიერ უძრავი ქონების მართლზომიერი ფლობის შემთხვევაში საჯარო რეესტრის მიერ კანონით დადგენილი ლეგალიზაციის გზით. მოსარჩელის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არც ერთ ზემოაღნიშულ გარემოებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, გამოიდის, რომ გ. ბ-ის სარჩელი ყოფილა მოპასუხის ტ. ე-ის საკუთრების უფლების დამდგენი გადაწყვეტილების ძირითადი საფუძველი.

კასატორის მითითებით, სადაც 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულება, რომლის სიყალბის დადგენასაც იგი წლებია ცდილობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონშებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 იანვრის განჩინებით გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 28 ოქტომბერი, 13:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონშების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2012 წლის 17 იანვარს ტ. ე-მ განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და უძრავ ნივთზე (მდებარე ქ. თბილისი, ... ქუჩებს

შორის კორპ. №3, ბინა №20 და №21) საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. განცხადებას ერთვოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-719-678-2011). თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 23 იანვრის №... გადაწყვეტილებით განცხადებასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ მოტივით, რომ ვერ ხდებოდა ქონების იდენტიფიკაცია, რის გამოც განცხადებელს მარეგისტრირებელ ორგანოში პირადად გამოცხადება და ქონების ადგილზე იდენტიფიკირება მოეთხოვა; ასევე – დამატებით წარსადგენი იყო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. 2012 წლის 6 თებერვალს ტ. ე-ემ დამატებითი განცხადებით მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს და მიუთითა, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ფართი მის მიერ შეძენილი იყო 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებით, რომლის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარდგენილი გ. ბ-ის სარჩელი განცხადებას თანდართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში. განცხადებას ერთვოდა აღნიშნული ხელშეკრულებაც. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება განახლდა და იმავე დღეს განხორციელდა ტ. ე-ის მიერ 2012 წლის 17 იანვრის განცხადებით მოთხოვნილი საკუთრების უფლების რეგისტრაცია. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სწორედ აღნიშნული რეგისტრაცია წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საკუთარი მოტივაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებას (საქმე №ას-719-678-2011) დააფუძნეს და მიიჩნიეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით გ. ბ-ე არ წარმოადგენს ... (...) და ... ქუჩებს შორის მდებარე №3 კორპუსის, მე-4 სართულზე განთავსებული სადავო 100 კვ.მ. ბინის მესაკუთრეს და ამასთან, დადასტურებულად მიიჩნიეს სადავო ბინაზე მესამე პირის ტ. ე-ის საკუთრების უფლება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე №ას-719-678-2011) ტ. ე-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სა-

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რომლითაც იგი 1996 წლის 15 ნოემბერს ტ. ე-ესა და სამშენებლო კომპანია შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვდა. აღნიშნული გადაწყვეტილების ერთ-ერთი მოტივი არის ის, რომ სადაცო ბინა (მდებარე ქ. თბილისი, ... ქუჩებს შორის კორპ. №3, ბინა №20) გ. ბ-ისათვის მიყიდვის დროს (1998 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე) უკვე დატვირთული იყო სხვა პირის – ტ. ე-ის საკუთრების უფლებით, კომპანია „...“ და ტ. ე-ეს შორის 1996 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ორი ხელშეკრულების კონკურენციის პირობებში სასამართლომ უპირატესობა უფრო ადრე გაფორმებულ ხელშეკრულებას მიანიჭა და არ დააკმაყოფილა გ. ბ-ის სარჩელი 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შესაძლოა კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე ქას-719-678-2011) პირდაპირ, ავტომატურ რეზუმეში არ იყოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ განისაზღვროს მოცემულ შემთხვევაში გ. ბ-ეს აქვს კი საკუთრების გამოთხვის უფლება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ტ. ე-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესის შეფასების საკითხს. მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს მას რა კანონიერი ინტერესი აქვს სადაცო რეგისტრაციის მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნას საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე (მდებარე – ქ. თბილისში, ... ქუჩებს შორის №3 კორპ., ბინა №20) ტ. ე-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა წარმოადგენს. ამდენად, სახეზე გვაქვს შეცილებითი სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეცილებითი სარჩელის შემთხვევებში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უძუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფ-

ლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მისი უფლების დარღვევის ფაქტი, დავაში მისი უფლებადამცავი ინტერესი და ამასთან, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესების სფერო სწორედ მიღებული ზომების შედეგად დაირღვა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ, იურიდიული, კანონიერი დაინტერესება. კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სარჩელის აღძვრის საბაბის ფაქტები (უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება). კანონმდებლობა სავალდებულოდ მიიჩნევს მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დადასტურებას. განსახილველ შემთხვევაში კი უნდა დასტურდებოდეს გ. ბ-ის კანონიერი ინტერესი ტ. ე-ის საკუთრების უფლების მიმართ. ამასთან, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემობა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისთვის სასარგებლო შედეგი დადგება – გახდება სადაც ფართის მესაკუთრე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სადაც უძრავ ქონების მიმართ გ. ბ-ეს სამართლებრივი კავშირი 1998 წლის 28 დეკემბერს კომპანია „...“ დადებული ხელშეკრულებით წარმოეშვა, ხოლო ტ. ე-ეს – 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებით (რომლის კანონიერების საკითხიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე №ას-719-678-2011) გადაწყდა). ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. ბ-ეს ტ. ე-ესთან შედარებით სადაც ფართის მიმართ უკეთესი სამართლებრივი უფლება არასდროს გააჩნდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს შეფასების საგანის წარმოადგენს არა იმის დადგენა, თუ რამდენად კანონიერად მოიპოვა ტ. ე-ემ სადაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და შესაბამისად, რამდენად კანონიერია სადაც რეგისტრაცია, არამედ, სასამართლოს მსჯელობის საგანია გ. ბ-ის კანონიერი ინტერესი ტ. ე-ის საკუთრების უფლების მიმართ. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანს სცილდება თუ რა სამართლებრივი საფუძვლით და რა პროცედურების დაცვით განახორციელა ტ. ე-ემ სადაც უძრავი ქონების საკუთრების უფლებით დარეგისტრირება. ამასთან, მართალია გ. ბ-ესა და ტ. ე-ეს შორის აღნიშნული ქონება დავის საგანს წარმოადგენს, მაგრამ საქმეზე დაუდასტურებელია მისი კანონიერი ინ-

ტერესი ტ. ე-ის საკუთრების უფლების მიმართ. საკასაციო სა-სამართლო არსებითად მიიჩნევს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ არც საქმის მასალებიდან გამომდინარეობს და კასატორმა ვერც საკასაციო სასამართლოს სხდომებზე დაადასტურა თუ რა უშუალო და პირდაპირ ზიანს აყენებს გ. ბ-ის კანონიერ ინ-ტერესს ტ. ე-ის სადავო უძრავ ქონებაზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც გ. ბ-ე ვერ მოიპოვებს უფლებას საკუთრების უფლებით დაირე-გისტრიროს სადავო ფართი, ვინაიდან, ტ. ე-ისათვის სადავო უძ-რავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის პირობებშიც გ. ბ-ე ვერ ადასტურებს სადავო ქონების მიმართ უკეთესი სამართლებრივი უფლების არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ტ. ე-ისათ-ვის სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრა-ციით ვერ დასტურდება გ. ბ-ის საკუთრების უფლებაზე კანო-ნიერი ინტერესის ხელყოფის ფაქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ბ-ის საკა-საციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სა-მართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხ-ლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

უძრავი ქონების რეგისტრაცია

განხილვა

№ბს-885-867(ქ-12)

4 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სიირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების
დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 6 თებერვალს გ. ქ-აშ სასარჩელო განცხადებით
მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხების –
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამ-
სახურის მიმართ, ხოლო მესამე პირად რ. ბ-ი მიუთითა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2011 წლის 6 ივლისს საკუთრე-
ბაში მექევიდრეობით მიიღო გარდაცვლილი დის – მ. ქ-ას კუთ-
ვნილი ქ. ზუგდიდში ... ქ. №61-ში მდებარე საცხოვრებელი სახ-
ლი 642 კვ.მ. მინის ნაკვეთან ერთად. მოსარჩელე მიუთითებს,
რომ ტექ. პასპორტში მინის ნაკვეთის ფაქტობრივი ფართი შე-
ადგენდა 756 კვ. მეტრს, ხოლო საჯარო რეესტრში დარეგის-
ტრირებული ფართი გახლდათ 642 კვ.მ.

მოსარჩელემ უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში
ცვლილების განხორციელების მოთხოვნით მიმართა ზუგდიდის
სარეგისტრაციო სამსახურს; წარადგინა საკადასტრო ნახაზი და
სათანადო დოკუმენტაცია. 2011 წლის 29 დეკემბერს სარეგის-
ტრაციო სამსახურმა შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, ვინა-
იდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რე-
გისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შო-
რის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. კერ-
ძოდ, განცხადებაზე თანდართული საკადასტრო აზომვითი ნა-
ხაზის მიხედვით წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მო-
ნაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკა-
დასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვარი იჭრებოდა
მომიჯნავე ნაკვეთის საზღვრებში.

2012 წლის 13 იანვარს გ. კ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ას ადმინისტრაციული საჩივრი.

ამდენად, მოსარჩევემ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის №7637 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით გ. კ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 12 ივლისიდან გ. კ-ას საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო ქ. ზუგდიდში ... ქ. №61-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ნივთი დაზუსტებული ფართობით 642 კვ.მ. (შეხება-ნაგებობის ჩამონათვალი №1, განაშენიანების ფართი – 126.92 კვ.მ.) საკადასტრო კოდით №.... რეგისტრაციას საფუძვლად დაედო უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – 2011 წლის 6 ივლისის სამკვიდრო მოწმობა №.... მოსარჩევეს პრეტენზია არ განუცხადებია და სადაცოდ არ გაუხდია მიწის ნაკვეთის მოცულობა, 642 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო გეგმა თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილი იყო მარეგისტრირებულ ორგანოში და რეგისტრაციის დროს არ დაფიქსირებულა ზედდება სხვა მიწის ნაკვეთთან.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის საკუთრების მომიჯნავე მიწის ნაკვეთი, რომელ მხარესაც დაფიქსირდა ზედდება, ეკუთვნოდა რ. ბ-ს, რომელმაც 2009 წლის 24 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მოწმობით მემკვიდრეობით მიიღო მოცულებული უძრავი ქინება მდებარე ქ. ზუგდიდში, ... ქ. №59-ში, დაზუსტებული ფართობით 795 კვ.მ., საკადასტრო კოდით №.... რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №81 განკარგულება და სამკვიდრო მოწმობა. აღნიშნული უძრავი ნივთის რეგისტრაციის დროს ზედდება არ დაფიქსირებულა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, გ. კ-ას წარმომადგე-

ნელმა 2011 წლის 23 დეკემბერს განცხადებით მიმართა ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს ქ. ზუგდიდში, ... ქ. №61-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით. განცხადებასთან ერთად წარადგინა: წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი. ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. კერძოდ, განცხადებაზე თანდართული საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მინის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მინის ნაკვეთის საზღვრებში, რის გამოც განმცხადებელს დაევალა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარდგენა. 2012 წლის 13 იანვარს გ. კ-ას წარმომადგენლმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ას ადმინისტრაციული საჩივრა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება საკუთრება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული უფლების შესახებ მონაცემების გარდა, ასევე შეიტანება უფლების მქონე სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები. ამავე კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე, ხოლო მეორე მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრის წარმოების წესსა და პირობებს არეგულირებს „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქცია“, რომლის მე-8 მუხლი განსაზღვრავს საკადასტრო კოდის, საკადასტრო გეგმის და საკადასტრო რუკის მნიშვნელობას რეგისტრაციისათვის, რომლის თანახმადაც საკადასტრო კოდი არის უძრავი ნივთის უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც ენიჭება უძრავ ნივთს მასზე საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციისთან ერთად. საკადასტრო გეგმა და საკადასტრო რუკა გაიცემა საჯარო რეესტრის მონაცემთა ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის მიწის ნაკვეთის და ნაგებობის შესახებ ძალაში არსებულ მონაცემებს. საკადასტრო გეგმა არის მიწის ნაკვეთის საკადასტრო და გრაფიკული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, მისი ფართობის, კონფიგურაციის, დანიშნულების, საკონრდინატორო ბადის, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისა (მათ შორის მშენებარე) და მათი სართულიანობის, ასევე ამ მიწის ნაკვეთზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ხოლო საკადასტრო გეგმა არ გაიცემა, თუ მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები დაუზუსტებელია. რეგისტრაციის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემები ნიშნავს ამ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილ, საჯარო რეესტრში დაცულ საკადასტრო ინფორმაციას. ამდენად, რაიონული სასამართლოს მსჯელობის შესაბამისად, რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია დაზუსტებული მონაცემებით განხორციელდა იმ დროისათვის მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნების დაცვით.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. კ-ას საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ზუგდიდში, ... ქ. №61-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ნივთი დაზუსტებული ფართობით 642.00 კვ.მ., ხოლო რ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ზუგდიდში, ... ქ. №59-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ნივთი დაზუსტებული ფართობით 795.00 კვ.მ. ასევე დადგენილ იქნა, რომ რ. ბ-ის მიერ ქონების რეგისტრაციისას წარდგენილი იყო მიწის ნაკვეთის საკა-

დასტრო აზომვითი ნახაზი და საკადასტრო გეგმა. აღნიშნული უძრავი ნივთის რეგისტრაციისას ზედდება არ დაფიქსირებულა. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია დაეყრდნოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ შესრულებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციითა და საკადასტრო აზომვითი ნახაზისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრის წარმოებას და ინფორმაციის ხალმისაწვდომობას უზრუნველყოფს სააგენტო, რომელიც არის ამ კანონით განსაზღვრული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო. სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა – რეგისტრაცია. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომლები პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გ. კ-ას არც ამ სარჩელის და არც სხვა სამართალწარმოების ფარგლებში არ მოუთხოვთ იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სამვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რომლებიც საფუძვლად დაედო მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე მიღებულ სადაცვო გადაწყვეტილებას. მოსარჩევეს ასევე სადაცვოდ არ გაუხდია ის საკადასტრო აზომვითი ნახაზის სისწორე, რომლის საფუძველზეც მარეგისტრირებელმა ორგანომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტეაცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა რ. ბ-ის საკუთრებაში არსებული ფართობის ადგილმდებარეობა და სხვა მონაცემები. მანვე მოახდინა ინდივიდუალური საკუთრების იდენტიფიცირება და მისი ასახვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემთა ბანკში. დავის საგანს არ წარმოადგინდა ის სამართლებრივი აქტები, რომლებმაც წარმოშვა რ. ბ-ის საკუთრების უფლება და რომელთა საფუძველზედაც დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაციის შემდეგ სახეზე იყო ორი

პიროვნების ცალ-ცალკე საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვე-
თების გადაფარვა. ასევე კანონიერ ძალაში იყო ის ინდივიდუა-
ლურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სარეგისტრა-
ციონ ჩანაწერები, რომელებიც განხორციელდა იმ დროისათვის
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საკუთრების უფლე-
ბის სარეგისტრაციო ჩანაწერი არ გაუქმდებულა და ნაკვეთი რა-
იმე ფორმით არ გასხვისებულა. საქართველოს სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რე-
ეგისტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სის-
რულის პრეზუმაცია. მაშასადამე, რეესტრის ჩანაწერები ით-
ვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამ-
დენად, რაიონული სასამართლოს მსჯელობით, სახეზე იყო
დროის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოშობილი 2 პირის საკუთ-
რების უფლება, რომელთა მიმართაც მოქმედებდა უტყუარო-
ბისა და სისრულის პრეზუმაცია. მათგან ერთ-ერთის დაზუს-
ტებული მონაცემების რეგისტრაციამ კი გამორიცხა შემდგომ-
ში მეორე პირის მიერ მოთხოვნილი მონაცემების დარეგისტრი-
რება.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიზანია
განხორციელდეს უძრავ ნივთზე გ. კ-ას საკუთრების უფლებით
რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანა, რადგან მი-
სივე განმარტებით, მას 144 კვ.მ. ჩამოქრა უკანონოდ და იგი
არასწორი დოკუმენტაციის საფუძველზე მითვისებული აქვს რ.
ბ-ს.

საჯარო რეესტრის სამსახურისადმი სასარჩელო მოთხოვ-
ნის მოტივაციისა და მიზნის გათვალისწინებით სასამართლომ
მიიჩნია, რომ ამ მოთხოვნის საპროცესო-სამართლებრივი სა-
ფუძველია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-
დექსის 22-ე მუხლი, ხოლო მატერიალურ-სამართლებრივი სა-
ფუძველი – საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკი-
ცების თაობაზე 2010 წლის 15 იანვრის საქართველოს იუსტიცი-
იის მინისტრის №4 ბრძანების მე-17 მუხლი და „საჯარო რეეს-
ტრის შესახებ“ საქართველოს კანონის V თავით (რეგისტრაცი-
ის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და გასაჩივრება) განსაზ-
ღვრული ნორმები.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ არ მი-
უთითა ჩანაწერის განხორციელების დროს კანონით დადგენი-
ლი რომელი მოთხოვნა დაირღვა. მოსარჩელე მხარის მითითება
იმაზე, რომ რ. ბ-ს არასწორი დოკუმენტაციის საფუძველზე მით-
ვისებული აქვს 144 კვ.მ. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე
მხარეს არც სარეგისტრაციო სამსახურისათვის და არც სასა-

მართლოსათვის არ წარმოუდგენია დოკუმენტის უსწორობის დამადასტურებელი მტკიცებულება – არ შეიძლებოდა გამხდარიყო რეგისტრირებულ საკუთრების უფლებაში ცვლილების შეტანის საფუძველი. რ. ბ-ის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების უზუსტობის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარუდგენია, რომლის არსებობის შემთხვევაშიც დაინტერესებულ პირს (მოსარჩელეს) წარმოეშობოდა უფლება, ხოლო საჯარო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს – ვალდებულება, შეეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც კერ კიდევ არ არსებობს უფლების დამადასტურებელი საბუთის ბათილად ცნობის შესახებ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება, ითვლება, რომ ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურისადმი გ. კ-ას სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. რაიონულმა სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის №7637 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ივნისის განჩინებით მოცემულ საქმეზე გ. კ-ას წარმომადგენლების შუამდგომლობის საფუძველზე დაინიშნა ექსპერტიზა; ხოლო განსახილვები საქმის წარმოება შეჩერდა ექსპერტიზის დასრულებამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინებით განახლდა მოცემული საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ას სააპელაციო საჩივრი; უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასება და დასკვნები საქმის ფაქტობრივ საკითხები

თან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა: სსიპ ლევან სამხა-
რაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული
ცენტრის დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის
დეპარტამენტის №... დასკვნით დადგენილია შემდეგი გარემო-
ებები: გ. კ-ა ფაქტობრივად ფლობდა 642 კვ.მ. მიწის ნაკვეთს;
რ. ბ-ი კი – 870 კვ.მ. მიწის ნაკვეთს. რ. ბ-ის სახელზე რეგისტრი-
რებული 795 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღწერილი გახლდათ ა. ქ-ის
სახელზე შედგენილ 1989 წლის 15 დეკემბრის ტექ.პასპორტის
მონაცემებში, რომლის მიხედვითაც იგი მდებარეობს ქ. ზუგ-
დიდში, ... ქ. №61-ში. რ. ბ-ის სახელზე გაცემულ საკადასტრო-
აზომებით ნახაზში (დამზადებულია ინდ. მენარმე „გ. ქ-ას“ მიერ)
და ა. ქ-ის 1989 წლის 15 დეკემბრის ტექ.პასპორტში მოცემული
ფართის ზომები და ფართობები არ დაემთხვა ერთმანეთს. დ. ქ-
ის (რ. ბ-ის მამკვიდრებლის) მიერ მშობლებისაგან მემკვიდრე-
ობით მიღებული მიწის ნაკვეთი შეადგენდა 795 კვ. მეტრს მი-
სასვლელი გზის გარეშე. გ. კ-ას მამკვიდრებლის 1988 წლის 15
ივნისის ტექ.პასპორტში მოცემული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთის
რეგისტრაციის მოთხოვნის დროს კი გადაფარვა მოხდა ქ-ას ნაკ-
ვეთის ჩრდილოეთ ნაწილში რ. ბ-ის ნაკვეთის ქუჩასთან დამა-
კავშირებელ ზოლთან. აღნიშნული გადაფარვის ფართი შეად-
გენდა 144 კვ. მეტრს. საქმეში არსებული საჯარო რეესტრის
ამონანერისა და საკადასტრო გეგმის მიხედვით რ. ბ-ის სახელ-
ზე რეგისტრირებულ 795 (ფაქტობრივი ფლობა 804 კვ.მ.-ზე)
კვ.მ. მიწის ნაკვეთში შედიოდა 144 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. საქმეში
არსებულ დოკუმენტებში მოცემული ნაკვეთების კონფიგურა-
ციები და ზომები განსხვავდებოდა ფაქტობრივად რ. ბ-ის სა-
კუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შესაბამისი მონაცემე-
ბისაგან.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერე-
ბის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ
მართალია, 1988 წლის 15 ივნისის ტექნიკური პასპორტით გ. ქ-
ას სარგებლობაში აღრიცხული იყო ქ. ზუგდიდში, ... ქუჩა (ამჟა-
მინდელი ... ქუჩა) №61-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და
მასზე დამაგრებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მაგრამ მოგვია-
ნებით მისმა მემკვიდრეებმა ფაქტობრივად მართლზომიერ
მფლობელობასა და სარგებლობაში მიიღეს საცხოვრებელ სახ-
ლთან ერთად მიწის ნაკვეთი 641 კვ.მ., რაც ზუგდიდის მუნიცი-
პალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კო-
მისამ დაადასტურა მ. ქ-ას სახელზე საკუთრების უფლების
მოწმობის გაცემით. მითითებული საკუთრების მოწმობა გახდა
641 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მ. ქ-ას საკუთრების უფლების რეგის-

ტრაციის საფუძველი და ამ უკანასკნელს რეგისტრირებული მონაცემების მიმართ დავა არ უწარმოებია. იგივე ფართობის მინის ნაკვეთი მიიღო მექავიდრეობით გ. კ-ამ მ. ქ-ასაგან და იგი საკუთრების უფლებით აღრიცხა თავის სახელზე. ექპერტიზის დასკვნით გაირკვა, რომ სადაც 144 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შედიოდა არა მ. ქ-ასა და შემდგომში გ. კ-ას სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ფართობში, არამედ იგი შედიოდა რ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ 795 (804) კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართობში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გ. კ-ას თავის საკუთრებად რეგისტრირებული ჰქონდა და ფაქტობრივად ფლობდა მიწის ნაკვეთის იმ ოდენობას, რაც მან მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდრო მოწმობით. რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის საფუძველი არ არსებობდა, რადგან არ დადასტურდა გ. კ-ას მართლზომიერი ფლობის უფლება სხვა მიწის ნაკვეთზე, კერძოდ, სადაც 144 კვ. მეტრზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მექავიდრემ – გ. კ-ამ მემკვიდრეობით მიიღო საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი იმ სახით, რა სახითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო ჩანაწერებითა და ფაქტობრივი ფლობით არსებობდა მ. ქ-ასთან (მამკვიდრებელთან).

ამდენად, მოსარჩელის პრეტენზია სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილების განხორციელების გზით დამატებით 144 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე, როგორც ფაქტობრივად, ისე სამართლებრივად სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ამ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია. მისი მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის გამოკვლევის შედეგები, რითაც ცალსახად დასტურდებოდა საჯარო რეესტრისა და რ. ბ-ის უკანონო ქმედებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხ-

ლის, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარმოებაში იქნა მიღებული გ. კ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 თებერვლის განჩინებით გ. კ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 18 აპრილს, 13:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესწავლი-სა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 6 ივლისს გ. კ-ამ მემკვიდრეობით საკუთრებაში მიიღო გარდაცვლილი დის – მ. ქ-ას საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდში ... ქ. №61-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი 642 კვ.მ. მინის ნაკვეთან ერთად. მოსარჩელის მტკიცებით, საკუთრების ტექ. პასპორტში მინის ნაკვეთის ფაქტობრივი ფართი შეადგენდა 756 კვ. მეტრს, ხოლო საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ფართი გახლდათ 642 კვ.მ. შესაბამისად, მოსარჩელემ უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების განხორციელების მოთხოვნით მიმართა ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს, წარადგინა საკადასტრო ნახაზი და სათანადო დოკუმენტაცია. 2011 წლის 29 დეკემბერს სარეგისტრაციო სამსახურმა შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციო წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. კერძოდ, განცხადებაზე თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით წარდგენილი მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მინის ნაკვეთის საზღვარი იჭრებოდა მომიჯნავე ნაკვეთის საზღვრებში. 2011 წლის 12 ივლისიდან გ. კ-ას საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო ქ. ზუგდიდში ... ქ. №61-ში მდებარე არა-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ნივთი დაზუსტებული ფართობით 642 კვ.მ., საკადასტრო კოდით №.... რეგისტრაციას საფუძვლად დაედო უფლების დამადასტურებელი დო-

კუმენტი – 2011 წლის 6 ივლისის სამკვიდრო მოწმობა №.... . მოსარჩელეს პრეტენზია არ განუცხადებია და სადაცოდ არ გაუხდია მიწის ნაკვეთის მოცულობა, 642 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო გეგმა თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილი იყო მარეგისტრირებელ ორგანოში და რეგისტრაციის დროს არ დაფიქსირებულა ზედდება სხვა მიწის ნაკვეთთან. ასევე, მოსარჩელის საკუთრების მომიჯნავე მიწის ნაკვეთი, რომელ მხარესაც დაფიქსირდა ზედდება ეკუთვნოდა რ. ბ-ს, რომელმაც 2009 წლის 24 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მოწმობით მემკვიდრეობით მიიღო მოცემული უძრავი ქონება მდებარე ქ. ზუგდიდში, ... ქ. №59-ში დაზუსტებული ფართობით 795 კვ.მ., საკადასტრო კოდით №.... რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკურებულოს №81 განკარგულება და სამკვიდრო მოწმობა. აღნიშნული უძრავი ნივთის რეგისტრაციის დროს ზედდება არ დაფიქსირებულა.

2012 წლის 13 იანვარს გ. კ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ას ადმინისტრაციული საჩივრი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დაცის ფარგლებში მოსარჩელე სადაცოდ ხდის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას და სასარჩელო მოთხოვნაც ჩამოყალიბებული აქვს იმგვარად, რომ იგი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. კ-ას არც მოცემული სარჩელის და არც სხვა სამართალნარმოების ფარგლებში არ მოუთხოვია იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რომლებიც საფუძვლად დაედო მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას. მოსარჩელეს ასევე სადაცოდ არ გაუხდია ის საკადასტრო აზომვითი ნახაზის სისწორე, რომ-

ლის საფუძველზეც მარეგისტრირებელმა ორგანომ „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო რეგისტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა რ. ბ-ის საკუთრებაში არსებული ფართობის ადგილმდებარეობა და სხვა მონაცემები. დავის საგანს არ წარმოადგენდა ის სამართლებრივი აქტები, რომლებმაც წარმოშვა რ. ბ-ის საკუთრების უფლება და რომელთა საფუძველზეც დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაციის შემდეგ სახეზე იყო ორი პიროვნების ცალკალე საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების გადაფარვა. ასევე კანონიერ ძალაში იყო ის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სარეგისტრაციო ჩანაწერები, რომლებიც განხორციელდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერი არ გაუქმებულა და ნაკვეთი რაიმე ფორმით არ გასხვისებულა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გ. კ-ამ ვერ დაასაბუთა რ. ბ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის უკანონობა. მოსარჩელის მტკიცებით, რ. ბ-ს არასწორი დოკუმენტაციის საფუძველზე მითვისებული ჰქონდა 144 კვ.მ. მინის ნაკვეთი, თუმცა მას არც სარეგისტრაციო სამსახურისათვის და არც სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლად არსებული კონკრეტული დოკუმენტის უსწორობის (ბათილად ცნობის ან არარად აღიარების) საფუძვლები, რაც გამორიცხავს მისი მოთხოვნის დაქმაყოფილების შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც სახეზე გვაქვს ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედება და ამასთან, ძალაშია რ. ბ-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მსჯელობა იქონიოს რ. ბ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აგრეთვე, დღეს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუ-

ფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედი უტყუარობის პრეზუმუცია განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებით. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება არსებობს და იგი ეკუთვნის რეგისტრირებულ უფლებამოსილ პირს. აღნიშნული საჯარო რეესტრს წარმოაჩენს, როგორც უფლებათა უტყუარობისა და სისრულის გარანტს. ამდენად, საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუციიდან გამომდინარე ითვლება, რომ როგორც გკას, ასევე, რ. ბ-ს საკუთრებაში გააჩნიათ მათ სახელზე რეგისტრირებული მინის ნაკვეთები იმ ოდენობითა და მოცულობით, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გ. კ-ამ დავა არასაწორად წარმართა და სასაჩირელო მოთხოვნა იმგვარად ჩამოაყალიბა, რომ დავა გაგრძელდა არა ზედდებასთან დაკავშირებით, არამედ, თავად წარმოების შეჩერების შესახებ მიღებულ აქტთან მიმართებაში. მოსარჩელე შეხვლოდ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვს და არა რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების განხორციელებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. კ-ას მიერ წარმოებული დავა სამართლებრივი შედეგის მომტანი ვერ იქნება მისთვის, რადგან სადავოდ ქცეული – სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების გამოცემის საფუძველი გ. კ-ას კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით რეგისტრაცია არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფ-

ლების მიტოვების, ასევე ნივთსა და არამატერიალურ ქონებ-რიც სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საინდენტი-ფიკაციო მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგის-ტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით. ამავე ნორმის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკადასტრო მონაცემების ზედდე-ბა არის უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემების ზედდე-ბის იდენტურობა უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემებთან. ხოლო 21-ე მუხ-ლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირე-ბელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარ-მოების შეჩერების შესახებ, თუ სარეგისტრაციოდ წარმოდგე-ნილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით გათ-ვალისწინებული ზედდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნა-წილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბა-თილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვე-ულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დად-გენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სა-ვალდებული წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალ-ტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მი-ერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარეგისტრაციო სამსახურის სა-დავოდ ქცეული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვ-ნათა შესაბამისად, კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარე-გულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. საკასაციო სასამარ-თლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სარე-გისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებისა და ადმინის-ტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 იან-ვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე გ. კ-ას

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. კ-ას საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ადგინდეთ:

1. გ. კ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უძრავი ქონების რეგისტრაცია

განხილვა

№ბს-600-589(4)-12)

14 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, კეთილსინდისიერი შემძები ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში და აქტის მიმართ კანონიერი ნდობა.

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ბათუმის მერიის 31.12.99წ. №430 განკარგულების თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდებარე 116. 18 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართს შეცვალა დანიშნულება და ჩაირიცხა საცხოვრებელ ფონდში, ფართი საცხოვრებლი ბინის დანიშნულებით გამოყენი ი. გ-ეს, ქ. ბათუმის საბინაო სამმართველოს დაევალა ბინის ორდერის გაცემა, ხოლო ტექნიკური აღრიცხვის სამსახურს და №3 მიკრორაიონის გამგეობას – სათანადო ცვლილებების შეტანა აღრიცხვაში. ფართი აღირიცხა ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად და ი. გ-ის სახელზე 22.09.2000 წ. გაიცა №00457 ორდერი.

2008 წლის აპრილის თვეში ი. გ-ემ სადაცო ფართის პრივატიზაციის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07წ. №73 ბრძანებულების საფუძველზე, განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიას, რასაც დაურთო 22.09.2000წ. გაცემული ორდერი და მერიის 31.12.99წ. №430 განკარგულება. ქ. ბათუმის მერიამ 23.09.08წ №836 ბრძანებით ი. გ-ეს უარი უთხრა ფართის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე იმ საფუძვლით, რომ 31.12.99წ. №430 განკარგულება არ აღსრულებულა. მერიამ მიუთითა, რომ ი. გ-ე ფაქტიურად ითხოვდა არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07წ №73 ბრძანებულებით უსასყიდლოდ საკუთრებას უფლებით გადაცემას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც საცხოვრებელ ფართთან ერთად ქმნიდა ინდივიდუალური საკუთრე-

ბის საგანს და შედიოდა სახელმწიფო საბინაო ფონდში. ი. გ-ეზ მერის 23.09.08წ. №836 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი აღძრა სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.12.08წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 23.09.08წ. №836 ბრძანება, მერიას დაევალა ახალი აქტის გამოცემა უძრავი ქონების საკუთრების უფლებით ი. გ-ეზე გადაცემის საკითხის განხილვის შემდეგ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 03.06.09წ. განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. ბათუმის მერიამ ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში, კერძოდ, 30.09.08წ. მიმართა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ. 70-72-ში მდებარე 116 კვ.მ ფართის სახელმწიფოს სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხვის საკითხის განხილვა. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 26.11.08წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს გაუგზავნა №01-22/4500 მიმართვა, რომლითაც მოითხოვა ქ. ბათუმში ... ქ. №70-72-ში მდებარე ფართის, მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთით, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, რაც აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 26.11.08წ. მიმართვის საფუძველზე 26.11.08წ. განხორციელდა.

08.12.08წ. აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარემ წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარუდგინა აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადასაცემი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცემები, რის თაობაზეც თავის მხრივ ეცნობა საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულებით აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადაეცა რამოდენიმე ობიექტი, მათ შორის ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი. 10.03.09წ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის დაიდო სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, რომლითაც ... ქ. №70-72-ში მდებარე 116 კვ.მ. ფართი გადაეცა აჭარის ა.რ. მთავრობას საკუთრებაში და იგი 14.03.09წ. საჯარო რეესტრში აღირიცხა აჭარის ა.რ. საკუთრებად.

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 18.03.09წ. №143 ბრძანებით ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდებარე 116 კვ.მ. ფართზე გამოცხადდა აუქციონი. 21.04.09წ. აუქციონში გამარ-

ჯვების დამადასტურებელი №201 ოქმით ფართი შეიძინა ე. ბ-ემ, 24.04.09წ. მასზე გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. 23.01.09წ. სადავო ფართზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. ბ-ის საკუთრების უფლება.

ი. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა: ქ. ბათუმის მერიის 30.09.08წ. №2-26-2428 წერილის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 26.11.08წ. №01-22/4500 მიმართვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 27.11.08წ. ჩანაწერის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 02.03.09წ. №151 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის 10.03.09წ. დადებული ხელშეკრულებისა და შესაბამისად სადავო ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიცხვის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 16.03.09წ. ჩანაწერის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 18.03.09წ. №143 ბრძანების ბათილად ცნობა, აგრეთვე აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №201 ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი №93ვა შოწმობის ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.05.09წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ი. გ-ის განცხადება, ე. ბ-ეს აეკრძალა სადავო ქონების გასხვისება. სააპელაციო სასამართლოს 21.07.09წ. განჩინებით ე. ბ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 30.11.09წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 18.06.10წ. განჩინებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს 13.04.11წ. განჩინებით აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 09.08.11წ. გადაწყვეტილებით ი. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 26.11.08წ. №01-22/4500 მიმართვა, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 27.11.08წ. ჩანაწერი; ფართზე აუქციონის გამოცხადების შესახებ 18.03.09წ. №143 ბრძანება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობას დაევალა ძალადაკარგულად გამოცხადდეს 02.03.09წ. №151

განკარგულება, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა 16.03.09წ. ჩანაწერის ძალადაკარგულად გამოცხადება. მოსარჩევის მოთხოვნა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09წ. №201 ოქმისა და 24.04.09წ. საკუთრების დამადასტურებელი №938ა მოწმობის ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მერიის მოსაზრება, რომ მერიის 31.12.1999წ. განკარგულება არ აღსრულებულა. სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ არ არსებობს 31.12.1999წ. განკარგულებისა და 22.09.2000წ. ორდერის არარად ცნობის საფუძველი. სკ-ის 155-ე, 156-ე, 161-ე მუხლებით დაცულია მართლზომიერი მფლობელის უფლებები, მფლობელობის პერიოდში კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს მესაკუთრის მსგავსი უფლებები, მფლობელობა წყდება მხოლოდ მესაკუთრის დასაბუთებული პრეტენზიის გამო. ი. გ-ე უფლებამოსილი იყო მისთვის გადაცემული ფართი გამოყენებინა საკუთარი შეხედულებისამებრ, ნივთით სარგებლობის უფლება მოიცავს პირის შესაძლებლობას არ ისარგებლოს ნივთით. სასამართლომ დადგენილად ცნო საქმეზე, რომ საცხოვრებელი ფართის სტატუსის მინიჭების შესახებ, აქტის გამოცემისას ფართი არ იმყოფებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში. საბინაო ფონდში რიცხული საცხოვრებელი ფართის განკარგვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ და არა სახელმწიფოს რომელიმე სხვა ორგანოს მიერ. მერიამ იმ დროს მიმართა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხვის მოთხოვნით, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული დავის განხილვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ ჰქონდა სადაც ფართის სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხვის მოთხოვნის უფლება, მიმართვის საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში შესაძლებელი იყო იმ ფართის აღრიცხვა, რომელიც არ იყო საბინაო ფონდში. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ როდესაც აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ ჰქონდა სადაც ფართის სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხვის მოთხოვნის უფლება, მიმართვის საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში შესაძლებელი იყო იმ ფართის აღრიცხვა, რომელიც არ იყო საბინაო ფონდში. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ როდესაც აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მიიღო მერიის წერილი, მერიაში არ იყო დასრულებული ადმინისტრაციული წარმოება ი. გ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ხოლო სამინისტროს მიერ მიმართვის საჯარო რესტრისათვის წარდგენის დროს სასამართლოში მიმდინარეობდა ი. გ-ის სარჩელის განხილვა. სზაკ-ის 95.2 მუხლის თანახმად, სამინისტროს ი. გ-ე, როგორც დაინტერესებული პირი, უნდა მოეწვია ადმინისტრაციულ წარმოებაში. სასამართლომ სამინისტროს მიმართვა აქტად მიიჩნია და 60¹.1

მუხლის, აგრეთვე სასკ-ის 22-ე, 32.1 მუხლების საფუძველზე
მიიჩნია, რომ 26.11.086. №01-22/4500 მიმართვა ბათილად უნდა
იქნეს ცნობილი.

საქართველოს მთავრობის 02.03.096. №151 განკარგულებას-
თან დაკავშირებით ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთი-
თა, რომ განკარგულება, სადაც ფართის საკუთრებაში გადა-
ცემის ნაწილში, სზა-ის 61-ე მუხლის თანახმად ექვემდებარე-
ბა გამოცემის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადებას, ძა-
ლადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ამ აქტის გამომ-
ცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, განკარგულების ბათილად
ცნობის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს.

აჭარის ა.რ. მთავრობასა და საქართველოს ეკონომიკური გან-
ვითარების სამინისტროს შორის გაფორმებულ ხელშეკრულე-
ბასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ის არის აუ-
ცილებელი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმა,
რომელიც უნდა გაფორმდეს საქართველოს მთავრობის განკარ-
გულების საფუძვლზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა.რ.
მთავრობასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სა-
მინისტროს შორის 10.03.096. დადგენილი ადმინისტრაციული
ხელშეკრულება ეფუძნება საქართველოს მთავრობის 19.02.056.
№26 დადგენილებას.

საქალაქო სასამართლომ სზა-ის 61-ე მუხლზე მითითებით
მიიჩნია, რომ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დაე-
ვალოს სადაც ქონების ავტონომიური რესპუბლიკის საკუთ-
რებად აღრიცხვის შესახებ 16.03.096. ჩანაწერის ძალადაკარ-
გულად გამოცხადება იმის გათვალისწინებით, რომ ბათილად
არის ცნობილი სარეგისტრაციო სამსახურის 26.11.086. ჩანაწე-
რი ფართის სახელმწიფოს საკუთრებად აღრიცხვის შესახებ და
ძალადაკარგულად გამოცხადებას ექვემდებარება საქართვე-
ლოს მთავრობის 02.03.096. №151 განკარგულება.

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 18.03.096.
№143 ბრძანებასთან დაკავშირებით, რომლითაც სადაც ფარ-
თზე გამოცხადდა აუქციონი, პირველი ინსტანციის სასამარ-
თლომ მიუთითა, რომ ამ აქტის გამოცემისას სამინისტროსათ-
ვის ცნობილი იყო ფართიან დაკავშირებით მიმდინარე სასამარ-
თლო დავის შესახებ, აქტით შეილახა ი. გ-ის უფლება სადაც
ფართზე. რაც შეეხება აუქციონში გამარჯვების დამადასტუ-
რებელ ოქმს, სასამართლომ ის გარიგებად მიიჩნია და აღნიშნა,
რომ მოპასუხეს ე. ბ-ის, როგორც მყიდველის, საკუთრების უფ-
ლებას იცავს სამოქალაქო კოდექსის ნორმები კეთილსინდისი-
ერი მყიდველის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით. სკ-

ის 185-ე, 312-ე მუხლები იცავენ შემძენის ინტერესებს, ე. ბ-ე კეთილსინდისიერი შემძენია, ამდენად ოქმის და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს 09.08.116. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩინოდა ი. გ-ის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის, ბათუმის საარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.05.126. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკამაყოფილდა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მერიის 31.12.1999წ. №430 განკარგულება, რომლითაც დაკამაყოფილდა ი. გ-ის მოთხოვნა არასაცხოვრებელი ფართის საცხოვრებელ ფონდში გადაყვანისა და ფართის საცხოვრებელი ბინის დანიშნულებით გამოყოფის შესახებ, დღემდე ძალმოსილი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რომლის საფუძველზე ი. გ-ეს წარმოეშვა მართლზომიერი უფლებები. სასამართლომ არ გაიზიარა მერიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული აქტი აღსრულებული არ ყოფილა და მიუთითა, რომ ბინის ორდერის გაცემი ნიშნავდა 31.12.99წ. №430 განკარგულების აღსრულებას, შესაბამისად ი. გ-ეს კანონიერი ნდობის უფლება ჰქონდა აღნიშნული აქტის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აგრეთვე მერიის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 31.12.99წ. №430 განკარგულება და 22.09.2000წ. ორდერი არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია და აღნიშნა, რომ არ არსებობს სზაკ-ის მე-60 მუხლით განსაზღვრული ამ აქტების არარად აღიარების რომელიმე საფუძველი, ამასთანავე აქტს არარად აღიარებს მისივე გამომცემი აღმინისტრაციული ორგანო, ხსენებული აქტები სადღეისოდ ძალაშია და ამ საფუძველზე ფართის მართლზომიერ მფლობელს ი. გ-ე წარმოადგენს. აქტებს არარად არ აქცევს ის გარემოება, რომ ი. გ-ე არ იყენებდა ფართს საცხოვრებელი დანიშნულებით, უკეთუ მერია წინააღმდეგი იყო ი. გ-ის მიერ ფართის არასაცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენებაზე, მას უნდა დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება №430 განკარგულების და ორდერის გაუქმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ მერია ეთანხმებოდა მართლზომიერი მფლობელის მიერ ფართის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენებას, ი. გ-ე უფლებამოსილი იყო მისთვის გადაცემული ფართი საკუთარი შეხედულებისამებრ გამოეყენებინა. 31.12.1999წ. №430 განკარგულებას ი. გ-ის მიმართ სამართლებრივი შედეგი მოყვა – ი. გ-ე

ამ ფართის მართლზომიერი მოსარჩელე გახდა და მოქმედი კანონმდებლობით გაუჩნდა საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ 31.12.1999წ. №430 განკარგულებისა და 22.09.2000 საცხოვრებელი ბინის ორდერის გაუქმების გარეშე სადავო ფართის სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა შეუძლებელია, ამ აქტების მიმართ ი. გ-ეს კანონიერი ნდობის უფლება აქვს, რამდენადც კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოება არ არსებობს. ი. გ-ესა და მერიას შორის ფართის პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავის წარმოშობის მომენტისათვის ფართის გადაცემა განსაზღვრული იყო საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07წ. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესით, მერიამ თავისი წერილით აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იმ დროს მოთხოვა სადავო ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებად გადაცემის თაობაზე ი. გ-ის მოთხოვნის კანონიერების საკითხი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ ჰქონდა უფლება საჯარო რეესტრისათვის მოეთხოვა სადავო ფართის სახელმწიფოს საკუთრებად აღრიცხვა, რადგანაც ამ ფართზე ი. გ-ეს მართლზომიერი სარგებლობის უფლება ჰქონდა მინიჭებული 31.12.1999წ. №430 განკარგულებითა და 22.09.2000წ. ორდერით, რომლებიც არ გაუქმებულა, ხოლო მერიის ბრძანება, რომლითაც ი. გ-ეს უარი ეთქვა სადავო ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე არ იყო კანონიერ ძალაში შესული (დავას სასამართლო იხილავდა). სამინისტროსათვის ცნობილი იყო სადავო ფართზე ი. გ-ის პრეტენზიისა და ინტერესის შესახებ, რაც სზაკ-ის 95.2 მუხლის მიხედვით ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს ი. გ-ის, როგორც დაინტერესებული პირის, ადმინისტრაციული წარმოებაში მოწვევას. სზაკ-ის 182-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე სამინისტროს თავი უნდა შეეკავებინა სადავო ფართის სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისაგან, ვიდრე კანონიერ ძალაში არ შევიდოდა სასამართლო გადაწყვეტილება. ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 26.11.08წ. ჩანაწერი ფართზე სახელმწიფო საკუთრების უფლების აღრიცხვის შესახებ უკანონ აქტის საფუძველზეა განხორციელებული, რაც ამ ჩანაწერის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულებას, რომლითაც აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადაეცა სადავო ფართი, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავ-

რობის 19.02.05წ. №26 დადგენილების შესაბამისად, გადაწყვეტილებას სახელმწიფო ქონების აჭარის ა.რ. გადაცემის შესახებ იღებს საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო საკუთრების უფლება მოცემულ შემთხვევაში დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონანერით. ვინაიდან სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 26.11.08წ. განხორციელებული ჩანაწერი ბათილია, სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობის №151 განკარგულებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და იგი ექვემდებარება ძალადაკარგულად გამოცხადებას გამოცემის დღიდან, რის გამოც საქართველოს მთავრობას უნდა დაევალოს 02.03.09წ. №151 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება სადაცო ფართის ნაწილში.

ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 26.11.08წ. ჩანაწერის ბათილობის, საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულების ძალადაკარგულობის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მისი განხორციელების დღიდან ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 16.03.09წ. ჩანაწერი, რომლითაც ფართი აჭარის ა.რ. საკუთრებად დარეგისტრირდა. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ კანონსაწინააღმდეგოა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 18.03.09წ. №143 ბრძანება, რომლითაც მოსარჩელის უფლება შეილახა, რის გამოც ის ბათილად უნდა გამოცხადდეს.

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მუდმივ-მოქმედი სააუქციონო კომისიის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №201 ოქმი სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა გარიგებად, სასამართლომ მიუთითა, რომ ოქმი და საკუთრების დამადასტურებელი №938ა მოწმობა, ასევე ე. ბ-ისათვის 70 400 ლარის საფასურად ... ქ. №70/72-ში მდგბარე ფართის საკუთრებაში გადაცემა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდა, მოპასუხე ე. ბ-ის საკუთრების უფლებას იცავს სკ-ის ნორმები (185-ე, 312-ე მუხ.) კეთილსინდისიერი მყიდველის ინტერესების დაცვისთან დაკავშირებით. ვინაიდან აუქციონზე გატანილი ქონება რეგისტრირებული იყო აჭარის ა.რ. საკუთრებად, ამდენად ე. ბ-ე ფართის კეთილსინდისიერი შემძენია და მისი საკუთრების უფლება კანონით არის დაცული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს მთავრობის, ი. გ-ის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

საქართველოს მთავრობა საკასაციო საჩივრით მოითხოვს

განჩინების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც მას დაევალა სა-ქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობა. კასატორი თვლის, რომ სა-სამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, სახე-ზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას, სხვა აქტებთან ერთად, საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულების (სადაცო ფართის ნაწილში) ბათილად ცნობა წარმოადგენდა. არც სარჩელი და არც ორივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს სასარჩელო მოთხოვნა არ ჩამოყალიბებულა განკარგულების ძალადაკარგულად ცნობის დავალების მიმართულებით. სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს არ აქვს უფლება მიაკუთვნოს მხარეთა გადაწყვეტილებით ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა. კასატორი თვლის, რომ სასამართლო უნდა შემოფარგლულყოყო საქართველოს მთავრობის განკარგულების ბათილად ცნობაზე უარის თქმით ბათილობის წინაპირობების არარსებობის გამო და არ უნდა განევრცო მსჯელობა ძალადაკარგულობაზე ასეთი მოთხოვნის არარსებობის გამო. სარჩელი აღძრული იყო სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო სასამართლომ თავისი ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით მიიღება აქტის გამოცემაზე. გადაწყვეტილება მიღებულია ადმინისტრაციული ორგანოს უარის არარსებობის პირობებში. კეთილსინდისიერ შემძებზე მითითებით სასამართლომ ძალაში დატოვა აუქციონის შედეგები, რაც გაუგებარს ხდის საქართველოს მთავრობის ძალადაკარგულად გამოცხადების დავალების აუცილებლობას, ვინაიდან ასეთი შედეგის დადგენა შესაძლებელი იყო განკარგულების ძალში დარჩენის შემთხვევაშიც.

ი. გ-ე საკასაციო საჩივრით მოითხოვს სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულების ბათილად ცნობას ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდებარე სადაცო ფართის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში, კასატორი მოითხოვს აგრეთვე ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 16.03.2000წ. ჩანაწერის ბათილად ცნობას, რომლითაც მოხდა აჭარის ა.რ. საკუთრებად აღრიცხვა, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 21.04.09წ. №201 ოქმისა და 24.04.09წ. საკუთრების დამადასტურებელი №938 მონმობის ბათილად ცნობა, მერიის

30.09.086. №2-26-2428 წერილის, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის 10.03.096. ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

ი. გ-ე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში არ ასახა დაკმაყოფილდა თუ არა ქ. ბათუმის მერიის 30.09.086. №2-26-2428 წერილის, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და აჭარის ა.რ მთავრობას შორის 10.03.096. დადებულ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნები. არასწორია საქართველოს მთავრობისათვის 02.03.096. №151 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების დავალება, ვინაიდან არ არის სახეზე სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი არც ერთი საფუძველი, ხოლო სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების თანახმად ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას სულ სხვა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოყვეს. კასატორი თვლის, რომ ყველა აქტის მიღება მოხდა მინაზმიმართულად, რათა მას წარმეტიდა გადაცემული ბინა. სადაც ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღიარება მოხდა იმის მიუხედავად, რომ ფართის პრივატიზაციაზე მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა, სახეზეა სზაკ-ის მე-5 მუხლის მოთხოვნის დარღვევა. სასარჩევლო მოთხოვნას შეადგენდა საქართველოს მთავრობის 02.03.096. №151 განკარგულების ბათილად ცნობა, რადგან ეს აქტი მიღებულია სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე და სზაკ-ის პრინციპებიდან გამომდინარე ყველა ბათილად ცნობილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიღებული შემდგომი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო დავა ქ. ბათუმის მერიის 23.09.086 №836 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ ი. გ-ის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი, სადაც მოპასუხეები იყვნენ ქ. ბათუმის მერია და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის მთავრობამ მიიღო 02.03.096. №151 განკარგულება, გაფორმდა 10.03.096. ხელშეკრულება და გამოცხადდა აუქციონი. ფართის პრივატიზაციასთან დაკავშირებით დავის განმხილველი სასამართლოს სხდომებზე მოპასუხებს არ განუცხადებიათ აუქციონის შესახებ, რის შედეგადაც კანონით დადგენილი წესების დარღვევით მოხდა ი. გ-ის ბინიდან გამოსახლება. სასამართლომ ისე მიიჩნია ე. ბ-ე კეთილსინდისიერ შემძებად, რომ არ გაითვალისწინა სზაკ-ის 70-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მოთხოვნები. ვინიადან სასამართლომ ბათილად ცნო აუქციონის გამოცხადე-

ბის შესახებ 18.03.09წ. №143 ბრძანება, სზაკ-ის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ბათილად უნდა ეცნო აუქციონის შედეგები და არ უნდა გამოყენებულიყო კეთილსინდისიერების პრინციპი. სასამართლომ არ იმსჯელა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ე. ბ-ისათვის ცნობილი იყო სადავო ფართზე ი. გ-ის უფლებების შესახებ, სასამართლოს არ უმსჯელია მოწმეთა ჩვენებზე, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ე. ბ-ემ, როგორც მეზობელმა, კარგად იცოდა ფართზე დავის მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნულის შესახებ მოწმეებიც აფრთხილებდნენ. მოსარჩელის შუამდგომლობით დაკათხულმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ე. ბ-ემ წინასწარ იცოდა ბინის ი. გ-ის მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის, ბინაზე სასამართლო დავის მიმდინარეობისა და სასამართლოში დავის მოგების შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად ე. ბ-ემ მოპასუხებთან წინასწარი შეთანხმებით შეიძინა სადავო ფართი. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად სასამართლო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლოს 18.06.10წ. კანონიერ ძალაში შესული განჩინების მითითებებით, რომლებიც სავალდებულოა ქვემდგომი სასამართლოსათვის. სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი კრიტიკისა და შეფასების გარეშე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 393- და 394-ე მუხლების მოთხოვნები, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.05.12წ. განჩინების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 26.11.08წ. №01-22/4500 მიმართვა და 18.03.09წ. №143 ბრძანება აუქციონის გამოცხადების შესახებ. კასატორი მიუთითებს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე თითქოს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ცნობილი იყო ისეთი გარემოების შესახებ, რაც გამორიცხავდა სადავო ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვას და შემდგომში მის განკარგვას. საქმეში დაცული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სადავო ქონება სახელმწიფოს საკუთრებად ქონების რეგისტრაციამდე არავის საკუთრებას არ ნარმოადგენდა. ეს იყო დაურეგისტრირებული სახელმწიფო ქონება. ქონების განკარგვისას არ დარღვეულა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესა-

ხებ“ კანონის მოთხოვნები. საქმის სასამართლოში განხილვისას ი. გ-ეს არ მოუთხოვია უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიების გამოყენება, ხოლო სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვაგვარად გაასხვისონ დავის საგანი, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა. ი. გ-ე ვერ შეძლებდა სადაც ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციას, რადგან მას არ გააჩნდა ამის სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად სამინისტროს ქმედებები კანონიერია და არ არსებობდა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 26.11.086. №01-22/4500 მიმართვის ბათილად ცნობის საფუძველი. სადაც ქონების სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვის დროს სამინისტრო ვალდებული არ იყო ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩატარა ი. გ-ე. სამინისტროსათვის ქ. ბათუმის მერიის 30.09.086. №2-26-2428 წერილით გახდა ცნობილი, რომ ი. გ-ე ქ. ბათუმის მერიისაგან ითხოვდა ფართის საკუთრების უფლებით გადაცემას, რაც ქ. ბათუმის მერიის 23.09.086. №836 ბრძანებით არ დაემატოვილდა. ამ ბრძანებით ქ. ბათუმის მერიაში წარმოება დასრულდა. შესაბამისად არასწორია სასამართლების მითითება ი. გ-ის წარმოებაში ჩატარის ვალდებულებაზე, სასამართლები ვერ უთითებენ სამართლებრივ ნორმებზე, თუ რის საფუძველზე გააჩნდა სამინისტროს ეს ვალდებულება. არასწორად მოხდა სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება ი. გ-ის სადაც ქონების მართლზომიერ მფლობელად მიჩნევისას, რადგან ფართის მესაკუთრეს წარმოადგენდა სახელმწიფო და მისი უფლებები დაცულია სკ-ის 170-ე მუხლით. არასწორია აგრეთვე განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 18.03.096. №143 ბრძანება აუქციონის გამოცხადების შესახებ, ვინაიდან ქონება წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას, აუქციონი ჩატარდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების სრული დაცვით და არ არსებობდა ბრძანების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური საკასაციო საჩივრით მოითხოვს განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას იმ საფუძლით, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები, განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული და არსებობს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნტით განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავო ფაქტობ

რივ გარემოებად რომ სადავო ფართი ტექბიუროში აღირიცხა ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად და ო. გ-ის სახელზე გაიცა ორდერი. ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს არქივის სააღრიცხვო პარა-თით დგინდება, რომ სადავო ფართის ქ. ბათუმის მერიის სახელ-ზე აღრიცხვა არ განხორციელებულა ამ ფართის საბინაო ფონ-დში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. აღნიშნული არასაცხოვრებელი ფართი უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე თავი-დანვე აღრიცხული იყო ქ. ბათუმის მერიის სახელზე. 31.12.99წ. №430 განკარგულება არ აღსრულებულა, არ მომხდარა მისი სა-ბინაო ფონდში გადაყვანა, რის გამოც ადგილობრივი მმართვე-ლობის ორგანოს მისი განკარგვის უფლება არ ქონდა. შესაბამი-სად სახელმწიფო უფლებამოსილი იყო სადავო ფართი აღერიც-ხა საკუთრების უფლებით. აღრიცხვა განხორციელდა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, რადგან არ არსებობდა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარეგისტრაციო წარმოების შე-ჩერებისა და რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. რე-გისტრაციისას არ დარღვეულა კანონის ნორმები, რის გამოც არ არსებობს მისი ბათოლად ცნობის საფუძვლები. კანონიერია აგ-რეთვე 16.03.09წ. საჯარო რეგისტრის ჩანაწერი ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების უფლების შესახებ, რომელიც გან-ხორციელდა უფლების დამდგენი დოკუმენტის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ მთავ-რობას შორის 10.03.09წ. დადებული ხელშეკრულების საფუძ-ველზე. კანონიერია ასევე სადავო ფართის ე. ბ-ის საკუთრების უფლებით აღრიცხვა, რომლის რეგისტრაციის საფუძველს წარ-მოადგენს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი მოწ-მობა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ბათუმის სა-რეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელმა დამატებით აღ-ნიშნა, რომ რეგისტრაციის საფუძვლის ბათოლად ცნობა კანონ-მდებლობით იწვევს რეგისტრაციის არა ბათოლობას, არამედ ძა-ლადაკარგულობას. წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებუ-ლი განჩინების გაუქმება ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 27.11.08წ. ჩანაწერის ბათოლად ცნობის ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორების წარმო-მადგენლებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივრებს და მოითხოვეს თავიანთი საკასაციო საჩივრების დაკმაყოფი-ლება. ქ. ბათუმის მერიის, აჭარის ა.რ. მთავრობის, ე. ბ-ის წარ-მომადგენლებმა არ ცნეს ო. გ-ის საკასაციო საჩივრის საფუძ-ვლები და მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავრობის, აჭარის

ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინიტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივრებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების ვანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი. გ-ის საკასაციო საჩივრარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო საქართველოს მთავრობის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ ქ. ბათუმის მერიის 31.12.99წ. №430 განკარგულების თანახმად ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდებარე 116. 18 კვ.მ არა-საცხოვრებელ ფართს შეეცვალა დანიშნულება და ჩაირიცხა საცხოვრებელ ფონდში, ფართი საცხოვრებელი ბინის დანიშნულებით გამოყენ ი. გ-ეს, ქ. ბათუმის საბინაო სამმართველოს დაევალა ბინის ორდერის გაცემა, ხოლო ტექქნიკური აღრიცხვის სამსახურს და №3 მიერორაიონის გამგეობას – სათანადო ცვლილებების შეტანა აღრიცხვაში. ი. გ-ის სახელზე 22.09.2000 ნ. გაიცა №00457 ორდერი. 2008 წლის აპრილის თვეში ი. გ-ემ სადავო ფართის პრივატიზების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07წ. №73 ბრძანებულების საფუძველზე, განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიას, რასაც დაურთო 22.09.2000წ. გაცემული ორდერი და ქ. ბათუმის მერიის 31.12.99წ. №430 განკარგულება. ქ. ბათუმის მერის 23.09.08წ. №836 ბრძანებით ი. გ-ეს უარი ეთქვა ფართის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე იმ საფუძვლით, რომ 31.12.99წ. №430 განკარგულება არ აღსრულებულა. მერის 23.09.08წ. №836 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით ი. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.12.08წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 23.09.08წ. №836 ბრძანება, მერიას დაევალა უძრავი ქონების საკუთრების უფლებით ი. გ-ეზე გადაცემის საკითხის განხილვის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. ბათუმის მერიამ 30.09.08წ. №2-26-2428 წერილით მიმართა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ითხოვა ქ. ბათუმში, ი. ქ. №70-72-ში მდებარე 116 კვ.მ ფართის სახელ-

მწიფოს სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღ-
რიცხვის საკითხის განხილვა. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონო-
მიკის სამინისტრომ 26.11.08წ. საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს გაუგზავნა
№01-22/4500 მიმართვა, რომლითაც მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ.
№70-72-ში მდებარე ფართის სახელმწიფოს სახელზე აღრიც-
ხვა. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
26.11.08წ. მიმართვის საფუძველზე ბათუმის სარეგისტრაციო
სამსახურის მიერ 27.11.08წ. სადაც ფართი აღირიცხა სახელ-
მწიფო საკუთრებად. აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარებ
08.12.08წ. წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური გან-
ვითარების სამინისტროს და ნარუდგინა აჭარის ა.რ. საკუთრე-
ბაში გადასაცემი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრა-
ვი ქონების მონაცემები, რის თაობაზეც თავის მხრივ ეცნობა
საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობის 02.03.09წ.
№151 განკარგულებით აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადაეცა რამ-
დენიმე ობიექტი, მათ მორის ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდება-
რე არასაცხოვრებელი ფართი. საქართველოს ეკონომიკური გან-
ვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის
10.03.09წ. დაიდო სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრუ-
ლება, რომლითაც ... ქ. №70-72-ში მდებარე 116 კვ.მ. ფართი გა-
დაეცა აჭარის ა.რ. მთავრობას საკუთრებაში და იგი 14.03.09წ.
საჯარო რეესტრში აღირიცხა აჭარის ა.რ. საკუთრებად. აჭარის
ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 18.03.09წ. №143 პრძა-
ნებით ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდებარე 116 კვ.მ. ფართზე
გამოცხადდა აუქციონი. 21.04.09წ. აუქციონში გამარჯვების და-
მადასტურებელი №201 ოქმით ფართი შეიძინა ე. ბ-ემ, 23.04.09წ.
სადაც ფართზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. ბ-ის
საკუთრების უფლება. 24.04.09წ. ე. ბ-ეზე გაიცა საკუთრების და-
მადასტურებელი მოწმობა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოება-
ზე, რომ არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც საა-
პლაციო პალატამ არ იქნიეს მსჯელობა მოსარჩელის ყველა
სასარჩელო მოთხოვნაზე. კერძოდ, საქმის მასალებით დას-
ტურდება, რომ მოსარჩელე, სხვა მოთხოვნებთან ერთად, მო-
ითხოვდა ქ. ბათუმის მერის 30.09.08წ. №2-26-2428 წერილის ბა-
თილად ცნობას. საქმის მასალებით (ბათუმის საქალაქო სასა-
მართლოს 21.04.09წ. და 05.05.09წ. განჩინებებით) დასტურდე-
ბა, რომ ი. გ-ის სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ
დამგებულ იქნა მთლიანად, ყველა სასარჩელო მოთხოვნის ნა-
ნილში. საქმეში დაცული საპროცესო დოკუმენტებით არ დას-

ტურდება მოსარჩელის და შემდგომში აპელანტის ი. გ-ის მიერ ამ მოთხოვნაზე უარის თქმა. მიუხედავად ამისა არც ერთი ინსტანციის სასამართლოს ამ მოთხოვნაზე არ უმსჯელია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მოთხოვნის ამ ნაწილზე და მისცეს მას სამართლებრივი შეფასება, დაადგინოს მერის წერილის ბუნება (აქტი, მოქმედება), უკეთუ სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერის 30.09.086. №2-26-2428 წერილი არ არის უშუალო სამართლებრივი შედეგის გამომწვევი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი და თავისი არსით არის შუალედური აქტი, რომელიც ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და ამდენად არ აკმაყოფილებს დასაშვებობის მოთხოვნებს (სასკ-ის 26².6 მუხ.), ამ ნაწილში სასამართლოს აქტით საქმის ნარმოება უნდა შეწყდეს.

სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა აგრეთვე ი. გ-ის ერთერთი სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის 10.03.096. დადგებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას. მოსარჩელის მოთხოვნის ამ ნაწილზე არც ერთი ინსტანციის სასამართლოს გაადანეცხულება არ მიუღია. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარში ი. გ-ე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის იგნორირების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის ამ მოთხოვნის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის მიღებული, რაც შეუძლებელს ხდის საკასაციო ინსტანციისათვის სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმებას. უფრო მეტიც, 10.03.096. დადგებული სადაცო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საერთოდ არ ჩართულა საქმეში მხარედ, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში შემოიფარგლა საქართველოს მთავრობის 19.02.056. №26 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ა.რ. სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემის წესის შესახებ“ დებულებების ციტირებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს რაიმე დებულებას გასაჩივრებული 10.03.096. ხელშეკრულების ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. სასამართლოს განჩინება სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის მი-

მართ წინააღმდეგობრივია, ერთის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ აჭარის ა.რ. მთავრობასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონების გადაცემის ფორმას, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე უნდა გაფორმდეს. მიუხედავად მისა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები დაეთანხმნენ ქონების გადაცემის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების სადაცოფართის ნაწილში გაუქმების, კერძოდ, მისი ძალადაკარგულად გამოცხადების საჭიროებას, ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა.რ. მთავრობასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინიტროს შორის დადებული ხელშეკრულება ეფუძნება საქართველოს მთავრობის 19.02.05ნ. №26 დადგენილების მოთხოვნებს, თუმცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 19.02.05ნ. №26 დადგენილების 2.6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ქონების გადაცემა ფორმდება მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 19.02.05ნ. №26 დადგენილებაში 17.09.12ნ. №383 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო ქონების გადაცემას უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტო, რომელიც სადაცო სამართალურთოირთობის მონაწილეა და უნდა ჩაერას საქმის განხილვაში. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის დადებულ ხელშეკრულებას სადაცო უძრავი ქონების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და შეაფასოს ხელშეკრულების სადაცო ნაწილის კანონიერება და ხელშეკრულების სადაცო ნაწილთან დაკავშირებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა სადაცო ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიც-

ხვის შესახებ 16.03.09წ. ჩანაწერის ძალადაკარგულად გამოცხადება, რაც უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე დაავალა ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს გასაჩივრებული 16.03.09წ. ჩანაწერის ძალადაკარგულად გამოცხადება, რომ არ იმსჯელა და სამართლებრივი შეფასება არ მისცა რეგისტრაციის საფუძველს. საჯარო რეგისტრის მონაცემების თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად სადაცო ქონების რეგისტრაციის საფუძვლად მითითებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობას შორის 10.03.09წ. დადებული ხელშეკრულება, რაც დამატებით ადასტურებს სასამართლოს მიერ მითითებული ხელშეკრულების გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროებას. სააპელაციო სასამართლოს არ მოჰყავს არგუმენტია იმასთან დაკავშირებით თუ რატომ მოხდა საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 16.03.09წ. ჩანაწერთან დაკავშირებით მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილება, კერძოდ სადაცო რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადება და არა ბათილად ცნობა. ამდენად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, რის გამოცუნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეგისტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის თანახმად სარეგისტრაციო სამსახური იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები, ხოლო „საჯარო რეგისტრის შესახებ“ კანონის 9.3 მუხლის თანახმად რეგისტრაციის შედეგად მარეგისტრირებელი ორგანო ამზადებს ამონაწერს. საჯარო რეგისტრის მონაცემებით დასტურდება, რომ სადაცო ფართის მიმართ სისი საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გამოცემულია 16.03.09წ. №.... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, რომლის შედეგად სადაცო ქონება აღირიცხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელზე. ამდენად, მოთხოვნის დაზუსტების შედეგად სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა სარეგისტრაციო სამსახურის ხსენებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა ი. გ-ის მოთხოვნა და ბათილად იქნა ცნობილი 27.11.086. ჩანაწერი, რომლითაც სადავო ფართი აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე. სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადავო ფართის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაცია ამჟამად გაუქმებულია, ვინაიდან ფართი შემდგომში აღირიცხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად, ხოლო შემდგომ ე. ბ-ის საკუთრებად. აღნიშნული არ გამორიცხავს ფართის სახელმწიფოს სახელზე 26.11.086. განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილებას არ გამორიცხავს აგრეთვე ამჟამად მოქმედი „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია ძალადაკარგულად ცხადდება თუ ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს მიმართვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების საჯარო რეგისტრში რეგისტრაციის საფუძვლის – სამინისტროს მიმართვის ბათილად ცნობა არ გამორიცხავს რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რეგისტრაციის საფუძვლის – აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 26.11.086. №01-22/4500 მიმართვის ბათილად ცნობით არ ისპობა რეგისტრაციის მოქმენებიდან რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის დასმის შესაძლებლობა. სზაკ-ის მე-60¹ მუხლის თანახმად ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. რეგისტრაციის საფუძვლის გაუქმების შემთხვევაში რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს აგრეთვე სზაკ-ის 190-ე, სასკ-ის 32.3 მუხლების შინაარსიდან. რეგისტრაციის საფუძვლის ბათილად ცნობა, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ქმის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძველს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის ბათილად ან არარად გამოცხადების შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს აქტის მოქმედე-

ბის შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს, შესაძლებელია განი-
საზღვროს აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის
დღიდან, ბათილად ცნობის დღიდან და მომავალში კონკრეტუ-
ლი თარიღის მითითებით. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზი-
არებს საჯარო რეესტრის სამსახურის წარმომადგენლის მოსაზ-
რებებს გასაჩივრებული განჩინების ამ ნაწილის მიმართ.

საკასაციო პალატა არ იზირებს სარეგისტრაციო სამსახუ-
რის საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ,
რომ არ არსებობდა სადავო ქონების სახელმწიფო საკუთრებად
აღრიცხვის პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთზე უფლებათა რე-
გისტრაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სარეგის-
ტრაციო წარმოების შეჩერების და რეგისტრაციაზე უარის
თქმის საფუძველი. რეგისტრაციის საფუძვლის – სამინისტროს
მიმართვის ბათილად ცნობის პირობებში, კასატორის ეს მოსაზ-
რება არ ადასტურებს სადავო რეგისტრაციის კანონიერებას.
გარდა ამისა, სკ-ის 1515-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეეს-
ტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე მის ფუნქციებს
ახორციელებდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიურო. საქმის
მასალებით დასტურდება, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდე-
ბარე სადავო ფართი ტექ.ბიუროში თავიდანვე აღრიცხული იყო
ქ. ბათუმის მერიის (ქალაქის საბჭოს) საკუთრებად. საქმეში და-
ცული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სა-
რეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტის მი-
ხედვით, 30.01.086. მდგომარეობით სადავო უძრავი ქონება ქ.
ბათუმის მერიის საკუთრებაში იმყოფებოდა. სადავო ფართის
სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის დროს მოქმედი „უძ-
რავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის თა-
ნახმად, არსებითი წინააღმდეგობის არსებობა სარეგისტრაცი-
ოდ წარდგენილ უფლებასა და საჯარო რეესტრში უკვე რეგის-
ტრირებულ უფლებრივ მდგომარეობას შორის რეგისტრაციის
განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველია (24.1 მუხ. „ა“ ქვე-
პუნქტი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგის-
ტრაციო სამსახურის მოსაზრება სადავო ფართის სახელმწიფოს
სახელზე აღრიცხვის კანონიერების შესახებ.

საკასაციო პალატა არ იზიარებს აჭარის ა.რ. ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარში მოყვანილ
მსჯელობას აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
26.11.086. №01-22/4500 მიმართვის ბათილად ცნობის ნაწილში
გასაჩივრებული განჩინების უსწორობაზე. საკასაციო სასამარ-
თლო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის მარეგულირებელი კა-

ნონმდებლობის თანახმად უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველი. მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს რეგისტრაციის ბათილობასთან ერთად ბუნებრივია შეადგენს იმ საფუძვლის მოსპობა, რომელიც ქმნის ქონების რეგისტრაციის ერთადერთ სამართლებრივ პირობას და რომლითაც მოსარჩელის მოსაზრებით შეიღება მისი უფლება. ქონების რეგისტრაციის რეგულირების სფეროში სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობა რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, შესაბამისად აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, როგორც სამართლის სუბიექტი, ამ თვალსაზისით გამონაკლისს არ ქმნის. მიმართვა, როგორც საჯარო რეესტრის რეგისტრაციის საფუძველი, თავისი არსით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, ვინაიდან იგი აკმაყოფილებს სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, ინვენს სამართლებრივ შედეგს. მიმართვის საფუძვლზე განხორციელდა უძრავი ქონების სადავო რეგისტრაცია, აღნიშნულის შესაბამისად სადავო რეგისტრაციის საფუძვლად საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით სწორედ, რომ სამინისტროს 26.11.086. №01-12/4500 მიმართვა მითითებული. შესაბამისად, 26.11.086. №01-22/4500 მიმართვის კანონიერება უნდა შემოწმდეს სზაკ-ის ნორმების მიხედვით. საქმეში დაცული მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ ი. გ-ე არის ის დაინტერესებული პირი, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ შეეხბოდა სადავო ფართის განკარგვა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სწორედ სხვა პირზე სადავო ფართის განკარგვის მიზნით წარდგენილ იქნა მიმართვა სარეგისტრაციო სამსახურში, რითაც უარესდებოდა. ი. გ-ის სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ მას ერთმეოდა ფართით სარგებლობისა და საქართველოს პრეზიდენტის 29.01.076. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესით ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის წარდგენის უფლება. ამდენად, სზაკ-ის 95-ე მუხლის თანახმად, ი. გ-ის ადმინისტრაციულ წარმობაში ჩაბმის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს. სამინისტროს პქნდა შესაძლებლობა და ვალდებულება გაერკვია დაინტერესებული პირის ვინაობა, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც გაუარესდებოდა მიმართვის შედეგად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სარეგისტრაციო სამსახურისადმი სამინისტროს 26.11.086. მიმართვის წარდგენამდე ქ. ბათუმის მერიის 30.09.086. წერილით სამინის-

ტროს ეცნობა, რომ მერიის 31.12.1999წ. №430 განკარგულებით და 22.09.2000წ. ორდერით 116.18 კვ.მ. ფართი საცხოვრებელ ფართში იყო ჩარიცხული და გადაეცა ი. გ-ეს, სამინისტროს ეცნობა აგრეთვე ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ი. გ-ის მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე, ფართის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ი. გ-ის განცხადება და მასთან დაკავშირებული საქმის მასალები დაერთო წერილს. მერიის უარი ფართის უსასყიდლოდ ი. გ-ისათვის გადაცემის შესახებ არ გამორიცხავდა, უფრო მეტიც – გულისხმობდა, უარის გაუქმების და მოთხოვნის დაკავშირებული შესახებ სარჩელის სასამართლოში წარდგენის შესაძლებლობას. შესაბამისად არ არსებობდა სადაც ფართთან დაკავშირებით სარეგისტრაციო სამსახურისადმი სამინისტროს მიმართვის წარდგენისა და სამინისტროს მიერ სადაც ფართზე აუქციონის გამოცხადების შესახებ 18.03.09წ. №143 ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამინისტრო გალდებული იყო ჩაება დაინტერესებული პირი ი. გ-ე ადმინისტრაციულ წარმოებაში. მხარეები სადაც არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ი. გ-ე არ იყო მინვეული ადმინისტრაციულ წარმოებაში და მას არ მისცემის საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. ამასთაავე, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სახეზე იყო სზაკ-ის 95-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო და კერძო ინტერესებს, რა დროსაც ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება დაინტერესებული მხარის წარმოებაში ჩაბმის გარეშე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო პალატა არ იზიარებს აქარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებას იმის შესახებ, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში ი. გ-ის მოწვევებს ვალდებულება, რადგან მიმართვა ეხებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ დაურევისტრირებელ ქონებას და ამ მიმართვით ვერ შეიძლახებოდა ი. გ-ის კანონიერი უფლებები და ინტერესები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. გ-ეს, ძალაში მყოფი ქ. ბათუმის მერიის 31.12.99წ. №430 ბრძანებასა და 22.09.2000წ. №00457 ორდერის საფუძველზე, გააჩნდა სადაც ფართით სარგებლობის უფლება მინიჭებული, ხოლო გასაჩივრებული აქტით მისი სამართლებრივი მდგომარეობა გაუარესდა. შესაბამისად, ი. გ-ე სზაკ-ის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სადაც სამართალურთიერთობაში

არის დაინტერესებული პირი, რომელიც უნდა ჩაბმულიყო ად-
მინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციულ წარმოებაში პი-
რის მონაცემება უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის
მოლოდინს იმისა, რომ მის მიმართ გამოიცემა კანონიერი და
დასაბუთებული აქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელ-
ყოფილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საკასაციო პალა-
ტა მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოები სზაკ-ის მე-60¹
მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის, ვი-
ნაიდან არსებითად დარღვეულია აქტის მომზადების და გამო-
ცემის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, ხო-
ლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან
გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება კანონის
ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცე-
მულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტი-
ლება. საკასაციო პალატა თვლის, რომ სწორედ ასეთ შემთხვე-
ვას აქვს ადგილი გასაჩინოებულ აქტთან მიმართებაში. მხედ-
ველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ აჭარის ა.რ.
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ №01-22/4500 მიმარ-
თვა სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა სასამართლო და-
ვის განხილვის პერიოდში, კერძოდ იმ დროს, როდესაც ბათუ-
მის საქალაქო სასამართლო იხილავდა ი. გ-ის სარჩელს მერიის
უარის შესახებ აქტის გაუქმებისა და უძრავი ქონების მის სა-
კუთრებაში გადაცემის შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს,
რომ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ ადმინისტრაციუ-
ლი ორგანო არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს სადავო სა-
კითხი. აღნიშნულ აკრძალვას პირდაპირ უთითებდა მიმართვის
გამოცემის დროს მოქმედი სსკ-ის 184.2 მუხლი (ამჟამად მოქ-
მედი 11.5 მუხლი), აგრეთვე სზაკ-ის 182.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნ-
ქტი, რაც ადასტურებს მართლმსაჯულების წესით საქმის გან-
ხილვის და გადაწყვეტის უპირატესობას სხვა წესით საქმის გან-
ხილვასთან შედარებით. ის გარემოება, რომ აუქციონის ჩატა-
რების დროს სადავო ქონების მიმართ არ იყო გამოყენებული
უზრუნველყოფის ღონისძიება, არ ადასტურებს უძრავი ქონე-
ბის განკარგვის კანონიერებას. ამდენად, საქართველოს პრე-
ზიდენტის 29.01.076. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წე-
სის საფუძველზე ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვ-
ნის შესახებ ი. გ-ის მიერ სარჩელის აღძვრის შემდეგ სადავო
უძრავი ქონების რეალიზაცია არ ემყარება კანონმდებლობას.
შესაბამისად, საფუძველს არის მოკლებული აგრეთვე აჭარის
ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნა საპე-

ლაციო სასამართლოს განჩინების იმ ნაწილში გაუქმების შესახებ, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სამინისტროს მიერ აუქციონის გამოცხადების თაობაზე 18.03.09წ. №143 ბრძანება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სადაცო აქტების ბათილად ცნობის ნაწილში კანონიერია, რის გამოც არ უნდა დაკმაყოფილდეს აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი და ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.12წ. განჩინება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მერიის 31.12.1999წ. №430 განკარგულება არ იყო აღსრულებული, რაც იძლეოდა ქონების განკარგვის შესაძლებლობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მერიის განკარგულების საფუძველზე გაიცა ორდერი, რაც ადასტურებს განკარგულების აღსრულებლობას. თექ.ბიუროს არქივის ჩანაწერებით ფართი მერიის სარგებლობაში ირიცხებოდა, მერიის 31.12.1999წ. ბრძანება, ი. გ-ის სახელზე გაცემული ორდერი არ გაუქმებულა და დღესაც ძალაშია, არ არსებობს სადაცო ფართის საბინაო ფონდიდან ამორიცხვის, მისი არასაცხოვრებელ ფონდში ჩარიცხვის შესახებ რაიმე აქტი. მერიის 31.12.1999წ. №340 განკარგულების გამოცემის და 22.09.2000წ. საცხოვრებელი ბინის ორდერის გაცემის შედეგად ი. გ-ეს შეექმნა არა მხოლოდ ფართის მართლზომიერი სარგებლობის, არამედ აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესით ფართზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი. ხსენებული აქტების მიმართ ი. გ-ეს ჰქონდა კანონიერი ნდობის უფლება, სახეზე არ არის კანონიერი ნდობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება (სზაკ-ის 9.2 მუხ.), საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფართის სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა არ იყო შესაძლებელი მიმართვის საფუძველზე ფართის სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხვით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საქმეზე დადგენილად ცნეს, რომ მერიის მიერ ფართისათვის საცხოვრებელი ფართის სტატუსის მინიჭების შესახებ აქტის გამოცემის დროს ფართი არ იმყოფებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში. „ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრება“ ორგანული კანონით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრების ცნება, ამჟამად მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით და „ადგილობრივი თვითმმართვე-

ლი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონით განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ქონების სტატუსი. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და სხვა ნორმატიული აქტებით, ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა ჩარევა თვითმმართველი ერთეულის ქონებრივი უფლებების საკითხებში დაუშვებელია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ქონების უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან დაიცვან თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები. საქართველოს პრეზიდენტის 29.01.076. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპროვატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ (მე-3 მუხ.), „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის (მე-3 მუხ.), „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის (18¹.2; 46-ე მუხ.) თანახმად, საბინაო ფონდში რიცხული სახელმწიფო ქონების განკარგვა მმართველობის ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილებას შეადგენს. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების დასკენას იმის შესახებ, რომ საცხოვრებელ ფონდში რიცხული ფართის განკარგვა შესაძლებელი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით და არა სამთავრობო ორგანოს მიერ. ვინაიდან მართლზომიერი მფლობელობა დაცულია მესაკუთრის მსგავსად (სკ-ის 161-ე მუხ.) მას აქვს მფლობელობის პერიოდში ნივთის ფლობასთან დაკავშირებით მესაკუთრის იდენტური უფლებები, შესაბამისად მფლობელზე ვრცელდება სკ-ის 170-ე მუხლით გათვალისწინებული მესაკუთრის უფლება ისარგებლოს ან არ ისარგებლოს ნივთით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ი. გ-ე უფლებამოსილი იყო მისთვის გადაცემული ფართი გამოეყენებანა საკუთარი შეხედულებით, რამდენადაც ნივთით სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას პირმა არ ისარგებლოს ნივთით. საქართველოს პრეზიდენტის 29.01.076. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი არ უკავშირებს მფლობელობას უძრავი ნივთის ხელ-

თმპყრობას, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების მიტოვება, ყოველ შემთხვევაში სადაც ფართის სამართლებრივი რეჟიმის შეწყვეტა, მასზე აუქციონის ჩატარება საჭიროებდა ი. გ-ის მფლობელობის დამადასტურებელი აქტების გაუქმებასთან დაკავშირებით წარმოების დაწყებას, მერიის 31.12.1999წ. №430 განკარგულების და 22.09.2000წ. ორდერის გაუქმებას. ხსენებული აქტები სადღეისოდ ძალაშია, ხოლო აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართვა შედგა კანონიერი სარგებლობის გამო ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ი. გ-ის განცხადების მისთვის საუარესოდ შეპრუნების შედეგად. ქ. ბათუმის მერიის კომისიის 19.09.08წ. სხდომის ოქმით დასტურდება, რომ კომისიამ საჭიროდ ჩათვალა ი. გ-ის მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისადმი თხოვნით მიმართვა, რათა ფართი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით სახელმწიფოს სახელზე აღრიცხულიყო, რაც განხორციელდა მერიის 30.09.08წ. №2-26-2428 წერილით. თავის მხრივ სამინისტროს მიერ მიმართვის წარდგენა მოხდა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, წარმოებაში დაინტერესებული პირის ჩართვის გარეშე.

საქმის მასალების მიხედვით სადაც ფართი აჭარის ავტონომიურ რესუბლიკას საკუთრებაში გადაეცა საქართველო მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულებით. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობას დაევალა 02.03.09წ. №151 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება, რაც უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. ორივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოსარჩელე მოითხოვდა არა აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას და საქართველოს მთავრობისათვის აქტის გამოცემის დავალებას, არამედ საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულების ბათილად ცნობას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ი. გ-ის მიერ სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული იყო შეცილებითი სარჩელი (სასკ-ის 22-ე მუხ.) საქართველოს მთავრობის 02.03.09წ. №151 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. სასამართლომ ისე დაავალა საქართველოს მთავრობას ახალი აქტის გამოცემა, რომ არ არსებობდა სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე, რაც სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე აღძრული მავალდებულებელი სარჩელის დასშვებობის სავალდებულო წინაპირობაა. სადაც საკითხის ასე-

თი გადაწყვეტით სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, რითაც დაარღვია სსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნები. სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი დებულებანი. სსკ-ის 248-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთხნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოთხოვდა. სადავო ფართის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის და მისი საფუძვლის – აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიმართვის ბათილად ცნობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის სადავო განკარგულების ბათილად ცნობაზე სასამართლომ უარი თქვა ბათილად ცნობის პირობების არ არსებობის გამო. სასამართლომ არ დაასაბუთა თუ რატომ არის შეუძლებელი საქართველოს მთავრობის სადავო განკარგულების ბათილად ცნობა სადავო განკარგულების სამართლებრივი საფუძვლის ბათილად ცნობის პირობებში, მით უფრო, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება საქმის გარემოებათა შესწავლის, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად 02.03.096. №151 განკარგულების გამოცემა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ამ ნაწილში დაუსაბუთებელია და არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლი განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატიონის საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო ქონების კეთილსინდისიერი შეძენის გამო არ არსებობს სადავო განკარგულების გაუქმების საფუძველი. ქონების ახალი შემძენის კეთილსინდისიერ შეძენად მიჩნევა არ გამორიცხავს შეძენამდე გამოცემული აქტების შეფასებას და მათი გაუქმების შესაძლებლობას.

„საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრთა კაბინეტის 04.05.1993წ. №348 დადგენილების თანახმად, მოწმობა ძალაშია ხელშეკრულებასთან (ოქმთან) ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელი ნაწილია. მოწმობა გაიცემა ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულის შესაბამისად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09. №201 ოქმის კანონიერების საკითხის გადაწყვეტას უკავშირდება მოსარჩელის მოთხოვნა ე. ბ-ის სახელზე 24.04.096. გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის,

რომ სააპელაციო პალატის განჩინება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09 წ. №201 ოქმის და ე. ბ-ეზე 24.04.09წ. გაცემული №938ა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფლებაზე უარის ოქმის ნაწილში დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია. სადაც აუქციონის ჩატარების დროს მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.07წ. №1-1/1417 ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების თანახმად, აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი (4.7 მუხ.), რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას (6.1 მუხ.). აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მხარეთა მიერ ხელმოწერის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველსა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09წ. №201 ოქმი (ხელშეკრულება) თავისი ბუნებით არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული კანონოდებლობის მოთხოვნებს. დაუსაბუთებელია ოქმისა და საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობაზე უარის გამომრიცხავ გარემოებად კეთილსინდისიერ შემძებზე მითითება. პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი ყოველთვის არ გამორიცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის მიხედვით კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები, მფლობელობის განხორციელების თვალსაზრისით, დაცულია მესაკუთრის ტოლფასად. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ დავაში სადაც ხელშეკრულების – აუქციონში ე. ბ-ის გა-

მარჯვების ოქმის მოქმედებით ირლვევა ი. გ-ის უფლება და კანონიერი ინტერესი. საქმის მასალებით, კერძოდ, ძალაში მყოფი მერიის 31.12.1999წ. განკარგულებითა და 22.09.2000წ. №00457 ორდერით, რომელიც ი. გ-ეს უქმნის სადაცო ფართის კანონიერი ფლობის და მის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნის საფუძველს, დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებით იზღუდება დაინტერესებული პირის ი. გ-ის უფლება და კანონიერი ინტერესი. სზაკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის ნარდგენის შემდეგ, რასაც ადგილი არ ჰქონია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება) არის უძრავი ქონების პრივატიზაციის პროცესის დამაგვირგვინებელი დოკუმენტი, ხელშეკრულების დადებამდე პრივატიზაციის პროცესი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რიგი საჯარო მოქმედებების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას. სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანება აუქციონის გამოცხადების შესახებ. სააპელაციო პალატა შემოიფარგლა სზაკ-ის 70-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე მითითებით, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას ანესრიგებს სამოქალაქო კოდექსი. სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა ამავე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ასევე ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულება. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნავს, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიერ 18.03.09წ. №143 ბრძანება ქ. ბათუმში, ... ქ. №70-72-ში მდებარე 116 კვ.მ. ფართზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, პალატამ დადგენილად მიიჩნია აგრეთვე, რომ №143 ბრძანების გამოცემის დროს არ იყო დასრულებული სასამართლო დავა ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე. სააპელაციო პალატა განჩინებაში უთითებს აგრეთვე, რომ №143 ბრძანება კანონსანიაღმდეგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რომლითაც მოსარჩევ

ლე ი. გ-ის კანონიერი უფლება და ინტერესი შეიძლახა, რის გა-
მოც ის ბათილია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვე-
და ინსტრანციის სასამართლოების მიერ იმ ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რო-
მელიც საფუძვლად დაედო ხელშეკრულებას, დამატებით ქმნის
აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ხელშეკ-
რულების) სზა-ის 70-ე მუხლით გათვალისწინებული ბათილო-
ბის საფუძვლებს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადე-
ბა შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე
ან მის გარეშე. პირველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელ-
შეკრულების დადება ორი სტადიისაგან შედგება: ადმინისტრა-
ციული ხელშეკრულების დადების შესახებ ადმინისტრაციული
აქტის გამოცემა და თვით ადმინისტრაციული ხელშეკრულების
დადება. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, რომლის
საფუძველზეც მოხდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების და-
დება, სზა-ის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად იწვევს ად-
მინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ვინაიდან
ადმინისტრაციული აქტის ბათილობა იწვევს მისი სამართლებ-
რივი შედეგის ბათილობას, აქტის ბათილობის გამოცხადებით
დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადე-
ბას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი. იმის გათვალისწინებით,
რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აჭარის ა.რ.
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი
და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გა-
დაწყვეტილება სადაც ფართზე აუქციონის გამოცხადების შე-
სახებ მინისტრის 18.03.096. №143 ბრძანების ბათილად ცნობას-
თან დაკავშირებით, გაუგებარია რა სამართლებრივი საფუძ-
ვლით იქნა კანონიერად მიჩნეული აუქციონში გამარჯვების და-
მადასტურებელი 21.04.096. №201 ოქმი (ხელშეკრულება) და ე.
ბ-ის სახელზე 24.04.096. გაცემული საკუთრების დამადასტუ-
რებელი მოწმობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინის-
ტრაციული ხელშეკრულებს მიმართ მოქმედებს სზა-ის მე-
სუთე თავით გათვალისწინებული სპეციალური ნორმები, ად-
მინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები
გათვალისწინებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არა-
მედ დამატებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც. ად-
მინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების მიმართ გან-
საკუთრებული მოთხოვნები ვლინდება სზა-ის ისეთ დანაწე-
სებში, როგორიცაა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადე-
ბა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კანონით მის-
თვის მინიჭების ფარგლებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულე-

ბით უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის დაუშვებლობა და სხვ.. ამდენად, საჯარო ორგანო მთელი თავისი ადმინისტრაციული რესურსით მოწოდებულია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება, ბრუნვის სტაბილურობის მოსაზრებები არ წარმოადგენს ერთადერთ მოთხოვნას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ, სამართალურთიერთობის ყველა მონაწილის პატივსადები ინტერესის სამართლიანი ბალანსის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ სამქალაქო, არამედ ადმინისტრაციული მოთხოვნების გათვალისწინების პირობებში. მოცემულ შემთხვევაში ი. გ-ის და ე. ბ-ის ინტერესებს შორის, მარეგისატრირებელი ორგანოს გარდა, დგას ქონების განმკარგავი ადმინისტრაციული ორგანო – სამინისტრო, ნივთის შექენა მნიშვნელოვანნილად დამოკიდებულია მის მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გამოცემული ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე. აღნიშნულის მიუხედავად, სააპლაციო პალატამ არ იქინია მსჯელობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სზაკ-ის ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

კეთილსინდისიერი შემძენის სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის მსგავსად, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ადმინისტრაციულ სამართალში მიზნად ისახავს კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპი, რომელიც გარკვეული-ლად ზღუდავს აღმტურველი აქტის ბათილად გამოცხადებას. ამდენად, აქტის ბათილად ცნობის საკითხი განიხილება არა მხოლოდ კანონიერების, არამედ აგრეთვე მისი საწინააღმდეგო – კანონიერი ნდობის თვალსაზრისით. 24.04.09ნ. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობისადმი, ისევე, როგორც აუქციონის გამოცხადების შესახებ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 18.03.09ნ. №143 ბრძანებისადმი კანონიერ ნდობას-თან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 60¹.4 მუხლის თანახმად მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი უკეთუ არსებითად ირღვევა სხვა პირის კანონიერი უფლებები ან ინტერესები, რაც სადაც ფართთან მიმართებით, კანონიერ ძალაში მყოფი ქ. ბათუმის მერიის 31.12.99ნ. განკარგულებისა და 22.09.2000ნ. №00457 ორდერის არსებობის გათვალისწინებით, სახეზეა. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ ი. გ-ეს სარჩელი ხანდაზმულობის ვადის დაცვით აქვს აღძრული, ხოლო კანონიერი ნდობა არ წარმოშობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების პერიოდში, ვინაიდან ამ დროს დამდგარი შედეგი არ არის მყარი და შესაძლებელია შეიცვალოს. მხედველობაშია

მისაღები აგრეთვე ი. გ-ის კანონიერი ნდობა, მის მიმართ გამოცემული აღმტურველი აქტების, კერძოდ, მერიის 31.12.1999წ, განკარგულების და 22.09.2000წ. ორდერის მიმართ, რასაც სააპელაციო სასამართლოც ეთანხმება თავის განჩინებაში, ამასთანავე, არ დასტურდება სზა-ის 9.2, 60¹.4 მუხლებით გათვალისწინებული ნდობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობა.

სკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმუცია მოქმედებს უკეთუ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ საჩივარი არ იყო შეტანილი ან შემძენმა იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. ამდენად, კეთილსინდისიერ შემძენად ე. ბ-ის მიჩნევისათვის არ არის საკმარისი იმაზე მითითება, რომ შეძენისას ქონება ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად იყო აღრიცხული. სასამართლოს არ უმსჯელია აპელანტის მოსაზრებებზე იმასთან დაკავშირებით, რომ მყიდველისათვის ცნობილი იყო ობიექტის ი. გ-ის მიერ შესყიდვისა და მაშასადამე ჩანაწერის უზუსტობის შესახებ, სასამართლოს არ შეუფასებია ამ მხრივ მოწმეთა ჩვენებები. სსკ-ის 105-ე, 249-ე, 389-ე, 390-ე მუხლების თანახმად, სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა დაასაბუთოს თუ რატომ გაიზიარა ესათუ ის მტკიცებულება და უარყო სხვა მტკიცებულებები. კეთილსინდისიერების უფლების წყაროდ გადაქცევისათვის, ობიექტური სინამდვილის სუბიექტური დამოკიდებულებით შეცვლისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ შემძენისათვის შეძენამდე უცნობი იყო ფართზე ი. გ-ის უფლება. სასამართლომ არ იქონია აგრეთვე მსჯელობა სისწორის პრეზუმუციის გამომრიცხავ გარემოებაზე. კეთილსინდისიერი შეძენა გამორიცხულია უკეთუ ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული უფლება ვერ გახდება შემძენის საკუთრება, თუნდაც მან არ იცოდეს რეესტრის უზუსტობის შესახებ. ამასთანავე, ნამდვილია მხოლოდ უძრავ ქონებაზე უფლებამოსილი პირის საჩივარი. ი. გ-ის უფლებამოსილება დასტურდება მერიის 31.12.1999წ. №340 განკარგულებით და მის საფუძველზე გაცემული ორდერით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აუქციონის ჩატარების პერიოდში ი. გ-ე სასამართლო წესით მოითხოვდა მერიის სახელზე რიცხული ფართის მისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, რაც იყო სადავო ფართზე ი. გ-ის საკუთრების უფლების აღრიცხვის საშუალება, ვინაიდან ფართის პრივატიზაციის საკითხის გადაწყვეტის გარეშე ი. გ-ე ვერ მოითხოვდა ფართის უშუალოდ მის სახელზე აღრიცხვას, საჯარო რეესტრში ფართზე საკუთრების აღრიცხვა

დეტერმინირებული იქნებოდა ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე დავის სასამართლოს მიერ გადაწყვეტით, ამასთანავე უძრავი ქონება აღრიცხული იყო ტექინ-გენტარიზაციის ბიუროში და არა საჯარო რეესტრში, რაც არ აძლევდა მოსარჩელეს დავის მიმდინარეობის შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის შეტყობინების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ საქმის ამ გარემობაზე მსჯელობის გარეშე მიიჩნია ე. ბ-ე კეთილსინდისიერ შემძენად, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების ეს ნაწილი არ არის საკმარისად დასაბუთებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09წ. №201 ოქმისა და 24.04.09წ. გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №938ა მოწმობის ბათილად ცნობაზე უარის თქმის, აგრეთვე საქართველოს მთავრობისათვის 02.03.09წ. №151 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისათვის 16.03.09წ. შესრულებული ჩანაწერის ძალადაკარგულად გამოცხადების დავალების ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.12წ. განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მთავრობის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი;

2. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რიც. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.12ნ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 09.08.11ნ. გადაწყვეტილება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 21.04.09ნ. №201 ოქმისა და 24.04.09ნ. გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №938ა მოწმობის ბათილად ცნობაზე უარის თქმის, აგრეთვე საქართველოს მთავრობისათვის 02.03.09ნ. №151 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისათვის 16.03.09ნ. შესრულებული ჩანაწერის ძალადაკარგულად გამოცხადების დავალების ნაწილში. საქმე ამ ნაწილებში ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.12ნ. განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. სასამართლოს ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კათილსიცდისირი შემძებელის ინტერვესების დაცვა

განხილვა

№ბს-192-184(3)–13)

16 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. წევბლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციე-
ლება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: 6. კ-ე

მოპასუხებები:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
2. ქ. თბილისის მერიის სისპ ქონების მართვის სააგენტო;
3. მ. მ-ი
4. ბანკი „...“

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედე-
ბის განხორციელება.

სარჩელის საგანი:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 24
თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 6 ივ-
ლისის გადაწყვეტილების ბათილად (ცნობა);
3. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18
ივლისის უძრავი ნივთზე იპოთეკის წარმოშობის შესახებ რეგის-
ტრაციის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 25
ივლისის უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე საკუთრების
უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა;
5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 7 სექ-
ტემბრის რეგისტრაციის უარის თქმის შესახებ გადაწყვეტი-
ლების ბათილად ცნობა;
6. 2011 წლის 21 სექტემბრის საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

7. 2011 წლის 13 მაისის ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ბათილად ცნობა;

8. 2011 წლის 30 ივნისის ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობა;

9. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულება მოახდინოს სადაც მიწის ნაკვეთის მდებარე, ქ. მცხეთა ..., სექტორი ... №..., კვარტალი ..., მიწის ნაკვეთის ნომერი ... 0,015 ჰა-ის ნ.კ-ის სახელზე რეგისტრაცია.

10. სადაც მიწის ნაკვეთზე ბანკი „...“ მიერ დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ, კერძოდ, სესხის უზრუნველყოფის სახის იპოთეკით დატვირთვის ნაწილში ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი:

2001 წლის 10 ივლისს მოსარჩელემ ქ. ფ-ისაგან შეიძინა საოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე იმ დროს მცხეთის რ/ს, სოფ. ... „...“, აღნიშნული მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა საჯარო რეესტრის მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში და შესაბამისად გადაეცა საკუთრების უფლების მოწმობა.

2011 წლის 24 თებერვალს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი დაარეგისტრირა ქ. თბილისის მერიის საკუთრებად.

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული ქონება აუქციონის წესით მიყიდა მ. მ-ს, რომელზეც გაიცა საკუთრების მოწმობა №....

2011 წლის 18 ივლისს მ. მ-მა სეხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა ბანკ „...“, რის საფუძველზეც სადაც მიწის ნაკვეთი დაიტვირთა იპოთეკით.

2011 წლის 25 ივლისს მ. მ-ის მოთხოვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა ორ ნაწილად და მიენიჭა სარეგისტრაციო კოდი: ... და

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 7 სექტემბერის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მიწის ნაკვე-

თის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ მასზე უკვე რეგისტრირებული იყო სხვა პირის – მ. მ-ის საკუთრების უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომლითაც მოითხოვა მ. მ-ის სახელზე დარეგისტრირებული საკუთრების უფლების ბათილად ცნობა, რაზედაც 2011 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდებოდა სასამართლო წესით.

სამართლებრივი: მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 3.6, მე-13 მუხლებზე, „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებათა გადაცემის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე.

დაზუსტებული სარჩელით მოპასუხებად მიუთითა: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ქ. თბილისის მერიის სისპ ქონების მართვის სააგენტო, სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო მესამე პირად – მ. მ-ი და მოითხოვა:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2001 წლის 21 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

3. ქ. თბილისის მერიის საჯარო სისპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 13 მაისის №ქ-24-97-615 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ბათილად ცნობა;

4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულება მოახდინოს ქ. თბილისში, ... მიმდებარედ მინის ნაკვეთის (სარეგისტრაციო კოდი ... და ...) დაზუსტებული ფართი – 1502 კვ.მ. (751-751 კვ.მ.) 6.კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება მ. მ-ი.

მოპასუხის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხის განმარტებით, ნ.კ-ის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთისა და სადავო რეგისტრაციით განხორ-

ციელებული მიწის ნაკვეთის იდენტურობა არ დასტურდება არც ერთი მტკიცებულებით. 2001 წლის 11 ივლისის მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა ნ.კ-ის საკუთრების უფლება 1500 კვ.მ. დაუზუსტებელ მიწის ნაკვეთზე, მდებარექ. თბილისი, სოფ., „...“. მოპასუხის განმარტებით, გარდა იმისა, რომ ამონანერებში მითითებული მისამართები განსხავდება ერთმანეთისგან, ასევე ნ.კ-ის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია დაუზუსტებელ მიწის ნაკვეთზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გაურკვეველია მისი ზუსტი ადგილმდებარეობა, კოორდინატები და საზღვრები.

2011 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცა მ. მ-ს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის (№დ-266, დამოწმების თარიღი: 30/06/2011, ქ. თბილისის სსიპ ქონების მართვის სააგენტო) და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება №ე-24-97-615, დამოწმების თარიღი: 13/05/2011, ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო) საფუძველზე.

2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით განხორციელდა მ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ორ ნაწილად დაყოფა. შესაბამისად, რეგისტრაცია განხორციელდა №... და №... კოდებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... სადაც რეგისტრაციის შემდეგ განხორციელდა კიდევ ორი ტრანზაქცია და თითოეულს საფუძვლად უდევს შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც გასაჩივრებული არ არის.

2011 წლის 7 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით და თანდართული სიტუაციური ნახაზით მხარეს უარი ეთქვა ცვლილების რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების საგანზე რეგისტრირებულია სხვა უფლება. კერძოდ, კი ... და №... კოდებზე რეგისტრირებული მ. მ-ის რეგისტრაციები, აღნიშნულითაც დასტურდება, რომ მხოლოდ ეს რეგისტრაციებია დღეს ძალაში და მხოლოდ ისინი აყენებენ ზიანს მხარის კანონიერ ინტერესს.

სამართლებრივი: მოპასუხებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლზე, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24

ოქტომბრის №233 დადგენილებაზე და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

მოპასუხე ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხეს ფაქტობრივ გარემოებებზე არ მიუთითება.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, სადაცო რეგისტრაციები განხორციელდა კანონმდებლობის დაცვით და არ სებობს მათი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, მოპასუხებ მიუთითა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, 2007 წლის 24 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №233 დადგენილებაზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

მესამე პირის – მ. მ-ის მოსახრება:

მესამე პირის განმარტებით, სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სადაცო მიწის ნაკვეთი არის თუნდაც ერთი და იმავე კვარტალში, მით უფრო აღსანიშნავია, რომ ორივე მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია და მ. მ-ისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციით არ მომზდარა ფ-ის სახელზე რეგისტრირებული მონაცემების გაუქმება, შესაბამისად, სადაცო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით არ ილახება მოსარჩელის არც კანონიერი უფლება და არც ინტერესი.

ნასყიდობის ხელშეკრულება დასარეგისტრირებლად საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა 2011 წლის 1 სექტემბერს, ამონანერით და ხელშეკრულებით მესაკუთრეს წარმოადგენს ჯ. ფ-ი, თუ მოსარჩელის განმარტება სწორია მაშინ გამოდის, რომ ფ-მა მას მიჰყიდა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი, შესაბამისად დავა უნდა წარიმართოს ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის აზრით მოხდა გადაფარვა, სათანადო მოსარჩელეს წარმოადგენს ჯ. ფ-ი და არა ნ.კ-ე.

ამასთან, მესამე პირის განმარტებით, მან პინა შეიძინა აუქციონზე და იგი წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს.

მესამე პირის მითითებით, საკუთრების უფლების მოწმობა გაიცემოდა მხოლოდ პირველადი რეგისტრაციისას, რაც მიუთითებს, იმაზე, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები თავიდანვე არ იყო დადგენილი, სწორედ ამიტომ გახ-

და იგი იძულებული წარედგინა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები და აზომვითი ნახაზი. აღსანიშავია, რომ აღნიშნული ნახაზი მზადდება შემსრულებლის მიერ დამკვეთის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე. მართალია, გამყიდველს აქვს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება მინაზე ჯერ კიდევ 2001 წელს, ხოლო ქ. თბილისის თვითმმართველობა ერთეულმა მოიპოვა საკუთრების უფლება გაცილებით გვიან, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აღნიშნული მიწები ერთმანეთს არცერთ კვ.მ.-ში არ ფარავს, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომ ეს მიწები არის თუნდაც ერთი და იმავე კვარტალში. მით უფრო, ორივე მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია. მ. მ-ისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციით არ მომხდარა ფ-ის სახელზე რეგისტრირებული მონაცემების გაუქმება, შესაბამისად, თუ ნ.კ-ე წარმოადგენს დაზუსტებულ აზომვით მიწის ნახაზს, მისი საკუთრების უფლება დარეგისტრირდება და ფართობიც დაკორექტირდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის მერია.

მესამე პირის – ქ. თბილისის მერიის შესაგებელი:

ქ. თბილისის მერიის განმარტებით, სადაც მიწის ნაკვეთი, რომელიც აუქციონის წესით გასხვისდა წარმოადგენდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას, საქმეში წარმოდგენილია 2011 წლის 24 თებერვლის ამონანერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ ქ. თბილისის, ... (ნაკვეთი ... 1502.00 კვ.მ.) წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. შესაბამისად, აუქციონის შედეგების გაუქმება გამოიწვევდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და აღნიშნული მიწის ნაკვეთი აღმოჩნდება ისევ თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში, შესაბამისად, მოსარჩელეს ვერ ექნება კანონიერი ინტერესი ამ აუქციონის გაუქმების შედეგთან მიმართებაში.

ამასთან, მესამე პირის განმარტებით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია ასევე მოსარჩელის მოსაზრება სადაც მიწის ნაკვეთის არამართლზომიერ განკარგვასთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების ერთიან ბაზაში არსად არ ფიქსირდება, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აუქციონის წესით გასხვისებული კონკრეტული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ნ.კ-ე. შესაბამისად, ადმინის-

ტრაციულმა ორგანომ განკარგა უფლებრივად თავისუფალი მინის ნაკვეთი, რომელზეც არ ფიქსირდებოდა ვინმე ფიზიკური პირისა თუ იურიდიული პირის საკუთრების უფლება. მოქმედი კანონმდებლობით საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტია საჯარო რეესტრის შესაბამისი ამონანერი, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას უძრავ წილთან დაკავშირებით, აღნიშნული მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია და ვერც წარმოადგენდა ასეთის არ არსებობის გამო.

ამასთან, 2011 წლის 13 მაისს აუქციონში გამარჯვებული მ.მ-ი წარმოადგენს უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენს, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილისა. ამდენად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს რეესტრის ჩანანერების სისწორეს, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

სამართლებრივი: სარჩელის დაკავყოფილების უარის თქმის საფუძვლად მესამე პირმა ქ. თბილისის მერიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლი, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-34-ე მუხლები, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლი, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილება, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის საოქმო განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2. მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაება ა. ე-ე.

მესამე პირმა – ა. ე-ის მოსაზრება:

ფაქტობრივი: მესამე პირის განმარტებით, 2012 წლის 17 იანვარს მ. მ-ისაგან შეიძინა უძრავი ნივთი მდებარე ქ. თბილისში, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) საკადასტრო კოდი:

სამართლებრივი: მესამე პირის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, ე.ი. რეესტრის ჩანანერები ითვლება სწორად ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად კი „იმ პირის სასარგებლობა, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისგან იქნის რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანანერი ითვლება სწორად, გარდა იმ

შემთხვევისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მესამე პირის განმარტებით, იგი არის კეთილსინდისიერი შემძენი, რომლის ინტერესებიც ბრუნვის სტაბილურობის პრინციპიდან გამომდინარე დაცულია სამოქალაქო კოდექსით, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობისა და სარჩელის დაქმაყოფილების საფუძველი.

საქმის გარემოებები:

2001 წლის 10 ივლისს ნ.კ-ემ ჯ. ფ-ისაგან შეიძინა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც იმ დროს მდებარეობდა მცხეთის რ/ნ, სოფ. ... „...“, დაზუსტებული მისამართი: მცხეთა ..., სექტორი, კვარტალი ..., ნაკვეთის ნომერი ..., ფართი 0,015 ჰა. სანოტარო ხელშეკრულება გაფორმდა მცხეთის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსთან, რის შემდეგაც მიწის ნაკვეთი დაარეგისტრირა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში და გადაეცა სარეგისტრაციო მოწმობა.

მოსარჩელის მტკიცებით, გამყიდველის ჯ. ფ-ს მიწის ნაკვეთი რეგისტრებული ჰქონდა (რეგისტრაციის ნომერი №...). მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრები იყვნენ გ. ფ-ი, რომელმაც შემდგომ მიწის ნაკვეთი მიყიდა ვ. ტ-ეს სარეგისტრაციო კოდით: №..., (ახალი კოდია №...). ასევე ხ. ფ-ი (სარეგისტრაციო კოდი: №...) და მ. ფ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთები.

2011 წლის 1 სექტემბერს ნ.კ-ემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილებების რეგისტრაციის განხორციელების თაობაზე, რაზეც მიიღო უარი იმ მოტივით, რომ მასზე უკვე მომხდარი იყო უფლების რეგისტრაცია.

მოსარჩელის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2011 წლის 24 ოქტომბერვალს, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებული აუქციონის შედეგად მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი აუქციონის წესით შეიძინა მ. მ-მა. 2011 წლის 30 ივნისს მას გადაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, 2011 წლის 6 ივლისის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე მ. მ-ი დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში სადაც მიწის ნაკვეთის შესაკუთრედ.

2011 წლის 25 ივლისს მ. მ-ის მოთხოვნის საფუძველზე გაიმიჯნა მიწის ნაკვეთი ორ ნაწილად და მიენიჭათ სარეგისტრა-

ციო კოდი ... და

მოსარჩელე 2011 წლის 7 სექტემბრის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მინის ნაკვეთის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ მასზე უკვე რეგისტრირებული იყო სხვა პირის – მ. მ-ის საკუთრების უფლება. მან აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რაზედაც 2011 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდებოდა სასამართლო წესით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით 6.კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ და მისი მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

1992 წლის 6 ოქტომბრის მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის №16 საფუძველზე, ჯ. ფ-ს გადაეცა 0,15 ჰექტარი ფართობის მინის ნაკვეთი, მდებარე მცხეთა, კოდი – ..., სექტორი – ... კოდი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთის – №... .

მიღება-ჩაბარების აქტზე აღნიშნულია მომიჯნავე ნაკვეთები გ. ფ-ი, მ. ფ-ი, ხ. ფ-ი, გზა), იგრ ხელმოწერილია კომისიის წევრების მიერ და დამონმებულია ბეჭდით, ჯ. ფ-ი ასევე მითითებულია მინის რეფორმის სიებში. 2001 წლის 9 ივლისის სააღრიცხვო ბარათის თანახმად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 0,150 ჰა ფართობის დაზუსტებულ მინის ნაკვეთზე დარეგისტრირდა ჯ. ფ-ის საკუთრების უფლება.

2001 წლის 10 ივლისის მინის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ჯ. ფ-მა აღნიშნული მინის ნაკვეთი მიჰყიდა 6.კ-ეს და 0,15 ჰა დაზუსტებულ მინის ნაკვეთზე (მდებარე, სექტორი ..., სარეგისტრაციო ზონა მცხეთა) გაიხსნა სააღრიცხვო ბარათი და დარეგისტრირდა 6.კ-ის საკუთრების უფლება (72.14.02.080). აღნიშნული რეგისტრაცია არ გაუქმდებულა და დღემდე ძალაშია.

2011 წლის 17 თებერვალს, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ №06-8/1227 წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და „ადგილობრივი თვითმმართველობას შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ... მიმდებარედ არსებულ 1502 კვ.მ. არსასოფლო-სამეურნეო დანიძნულების მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამასთან, საქართველოს მთავრობის 24.10.07 წ. №233 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6' მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, ნარადგინა საქართველოს ეკონომიკური განვითრების სამინისტროში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გაგზავნილი წერილის ასლი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით წერილში მითითებული უძრავი ნივთი (მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ (ნაკვეთი №...)) 1502 კვ.მ. მიწის ფართობი დარეგისტრირდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თვითმმართველის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ 1502 კვ.მ. ს.კ. ...) აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა 2011 წლის 26 აპრილს.

2011 წლის 13 მაისს ჩატარდა აუქციონი, გამარჯვებულად გამოვლინდა მ. მ-ი და 2011 წლის 30 ივნისს გაიცა №დ-266 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502 კვ.მ, დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება.

2011 წლის 19 ივნისს მ. მ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

უძრავი ნივთის (მდებარე, ქ. თბილისი, ... მიმდებარედ) დაყოფის საფუძველზე 751 კვ.მ. ფართზე (საკადასტრო კოდი ...) და 751 კვ.მ. ფართზე (საკადასტრო კოდი ...) დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება.

2012 წლის 17 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი ...) დარეგისტრირდა ა. ე-ის საკუთრების უფლება.

2011 წლის 1 სექტემბერს, ნ.კ-ემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (მდ. სოფელი ..., ...).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, იმ მოტივით, რომ სააგენტოს წარდგენილი უფლების საგანზე რეგისტრირებული იყო სხვა უფლება (საკადასტრო კოდი ... და საკადასტრო კოდი ...), რომელიც გამორიცხავდა აღნიშნულ უძრავ ნივთზე წარდგენილი უფლების რეგისტრაციას.

2011 წლის 19 სექტემბერს, ნ.კ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ამავე სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 სექტემბრის, 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და უძრავ ნივთზე მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 21 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით ნ.კ-ის ადმინისტრაციული საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოსარჩელემ მიუთითა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან, სადაც 0,15 ჰა მინის ნაკვეთი არის მისი საკუთრება, მან 2011 წლის 10 ივლისის მინის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა აღნიშნული მინის ნაკვეთი მდებარე, სექტორი ..., სარეგისტრაციო ზონა მცხეთა), რაზედაც გაიხსნა სააღრიცხვო ბარათი და დარეგისტრირდა ნ.კ-ის საკუთრების უფლება საკადასტრო კოდით:

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:

სასამართლოს მიერ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ №... და №... ნაკვეთების მომიჯნავე ნაკვეთებია №... (ნაკვეთის წინა ნომერი ... მესაკუთრე ვ. ტ-ე), №... (მესაკუთრეები ხ. ფ-ი, ხ. ფ-ი), №... (მესაკუთრე ზ. თ-ი), №... (მესაკუთრე დ. მ-ი).

№... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის მესაკუთრეები არიან ხ. და ხ. ფ-ები. აღნიშნულ ამონაწერში უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია 1992 წლის 6 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი №8 ფირ. საქმეში ასევე წარმოდგენილია 1992 წლის 6 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი

№8 ფირ. საიდანაც ირკვევა, რომ ხ. ფ-ს გადაეცა ... 0.25 ჰა. ფართის მიწის ნაკვეთი, რომელსაც ესაზღვრება დ. ფ-ის, ო. ფ-ის, ჭ. ფ-ის მიწის ნაკვეთი და გზა.

2001 წლის 10 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულებით ირკვევა, რომ გ. ფ-მა ვ. ტ-ეს მიჰყიდა 0,150 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი, მდებარე, სარეგისტრაციო ზონა მცხეთა ..., სექტორი კვარტალი ..., ნაკვეთი ასევე წარმოდგენილია 2001 წლის 11 ივლისის საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა №.... მიწის ნაკვეთზე, რომლის მესაკუთრეს წარმოადგენს ვ. ტ-ე. თანდართულ საკადასტრო გეგმაზე მითითებულია მოსაზღვრე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები: გ. ფ-ი, ჭ. ფ-ი, ა. ფ-ი და გზა. ამონანერით საჯარო რეესტრიდან (მომზადების თარიღი 17.02.2008) დასტურდება, რომ №... კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის წინა ნომერია №..., უფლების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მითითებულია 2001 წლის 10 ივლისის №2-457 ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მითითებულია ვ. ტ-ე. 2010 წლის 14 ივნისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონანერიდან დასტურდება, რომ №... საკ. კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული ნაკვეთის წინა ნომერს წარმოადგენდა ... , ხოლო 2009 წლის 28 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრე გახდა ვ. ტ-ე.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია და არც მხარეებს გაუხდიათ სადაციდ, რომ მ. მ-ისა და ა. ე-ის სახელზე რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდით №... და №... ერთობლიობაში წარმოადგენენ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რომელზეც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილების საფუძველზე ჯერ დარეგისტრირდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება, ხოლო აუქციონზე რეალიზაციის შემდგომ მისი მესაკუთრე გახდა მ. მ-ი.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ გ. ფ-ის, ჭ. ფ-ისა და ხ. ფ-ის მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ მოსაზღვრე მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც სამხრეთის მხრიდან ესაზღვრებათ გზა. ამასთან, ამონანერი მიწის რეფორმის სიებიდან ადასტურებს, რომ №... მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობია 0,15 ჰა გადაეცა ჭ. ფ-ს. ასევე უდავოდ დადგენილია, რომ №...; №...; №... და №... საკ. კოდით რეგისტრირებული

მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც სამხრეთის მხრიდან ესაზღვრებათ გზა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თვითმმართველი ერთეულის სახელზე დარეგისტრირდა იგივე მიწის ფართობი, რაც მოსარჩელეს ჰქონდა რეგისტრირებული, ამასთან, მ. მ-ისა და ა. ე-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთები და მოსარჩელე ნ.კ-ის სახელზე რეგისტრირებული მომიჯნავე ნაკვეთები იდენტურია, ანუ შესაძლებელია მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის იდენტიფიკაცია. იგივე გარემოებით დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 2012 წლის 21 მარტის №... დასკვნითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ.კ-ის სახელზე საჯარო რეგისტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი №... მოქცეულია დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულ №... და №... ნაკვეთებს შორის და შეესაბამება №... და №... ნაკვეთების ერთობლიობას, რომელზეც საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილების საფუძველზე ჯერ დარეგისტრირდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება და მიენიჭა №... საკადასტრო კოდი, ხოლო აუქციონზე რეალიზაციის შემდგომ მასზე დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება.

სასამართლოს დასკვნები:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მართალია, სსიპ ქონების მართვის სააგენტომ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, მარეგისტრირებელ ორგანოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნათა დაცვით წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილების მიღებისას და უძრავ ნივთზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, უნდა გამოეკვლია ის გარემოება, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების ობიექტი ხომ არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას და ხომ არ იყო სახეზე „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ნ.კ-ის სახელზე საჯარო რეგისტრში რეგისტრირებულია მიწის

ნაკვეთი №..., რომელიც მოქცეულია დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულ №... და №... ნაკვეთებს შორის და შეესაბამება №... და №... ნაკვეთების ერთობლიობას, ანუ იმ პირობებში, როცა სარეგისტრაციოდ წარდგენილ უფლების საგანზე უკვე რეგისტრირებული იყო ნ.კ-ის საკუთრების უფლება, საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა მიეღო გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ უკანონო იყო, იგი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

რაც შეეხება სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 13 მაისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და 2011 წლის 30 ივნისის №დ-266 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობას, სასამართლოს შეფასებით მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან საჯარო რეგსტრიდან ამონანაწერით დასტურდება, რომ აუქციონის ჩატარების პერიოდში, სადაც უძრავი ნივთი წარმოადგენდა თვითმმართველის საკუთრებაში არსებულ ქონებას, შესაბამისად აუქციონი ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო გამარჯვებული მ. მ-ი წარმოადგენდა მის კეთილსინდისიერ შემძენს.

სასამართლოს შეფასებით, ასევე არ არსებობს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების საგანზე რეგისტრირებული იყო სხვა უფლება საკადასტრო კოდი:.... და საკადასტრო კოდი..., რომელიც გამორიცხავდა აღნიშნულ უძრავ ნივთზე წარდგენილი უფლების რეგისტრაციას.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ, საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტომ, საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა და ნ.კ-ემ.

აპელანტი: ქ. თბილისის მერია

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში, გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მითითებით, ნ.კ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება ის გარემოება, რომ კონკრეტული 1 502 კვ.მ მინის ნაკვეთი, რომელზეც განხორციელდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, წარმოადგენს იმ უძრავ ქონებას, რომელზეც მხარე პრეტენზიას აცხადებს. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ის უძრავი ქონება, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მონაცემთა ერთიან ბაზში (უი თი ემ სისტემა) მიიჩნევა დაუზუსტებელი ფართობის მქონე მინის ნაკვეთად, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ მინის ნაკვეთს არ გააჩნია კოორდინატები, შეუძლებელია დადგინდეს, სად მდებარეობს მინის ნაკვეთი და კონკრეტულად რომელი მინის ნაკვეთებია მის მომიჯნავედ. განსახილველ შემთხვევაში გაურკვეველია, სასამართლომ რის საფუძველზე მიიჩნია ნ.კ-ე სადაც მინის ნაკვეთის მესაკუთრედ მაშინ, როდესაც უნდა ემსჯელა, რამდენად იყო მოსარჩელე დაინტერესებული პირი და ილახებოდა თუ არა მისი უფლებები.

აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არამართებულად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა ვალდებულება დამატებით გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. საჯარო რეესტრის სააგენტო უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონი, თავის მხრივ, ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთრების უფლების რეგისტრაციისა თუ რეგისტრაციის შესახებ უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს საჯარო რეესტრის მონაცემთა ერთიან ბაზაზე დაყრდნობით, დამატებითი კვლევა-ძიების ვალდებულება საჯარო რეესტრის სააგენტოს არ აკისრია.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არასწო-

რად განმარტა კანონი. კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომელიც დარეგისტრირდა თვითმმართველის საკუთრებად, წარმოადგენდა ნ.კ-ის საკუთრებას მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკუთრების უფლების წარმოშობა დამოკიდებულია უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. მოცემულ შემთხვევაში, გაუგებარია რატომ ილახება ნ.კ-ის უფლებები, იმ პირობებში, როდესაც იგი არ არის მესაკუთრე და არ გააჩნია აღნიშნული არგუმენტის გამაპათილებელი მტკიცებულება.

სამართლებრივი: აპელაციის განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციიდან გამომდინარე ის უძრავი ქონება, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მონაცემთა ერთიან ბაზაში მიიჩნევა დაუზუსტებელი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთად, რაც გულისხმობს, რომ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია კოორდინატები შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს, სად მდებარეობს მიწის ნაკვეთი და კონკრეტულად რომელი მიწის ნაკვეთებია მის მომიჯნავედ. ამდენად, აპელაციის მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრმა მართებულად მიიღო გადაწყვეტილება, როდესაც მოახდინა თვითმმართველის საკუთრების რეგისტრაცია საჭავო მიწის ნაკვეთზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები:/

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 ოებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში, გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ შესაძლებელია ნ.კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის იდენტიფიკაცია. მარეგისტრირებელი ორგანო ეყრდნობა მხარის მიერ წარმოდგენილ საკადასტრო მონაცემებს და ახდენს მათ დატანას სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ, ვი-ჯი-ეს 84 კო-

ორდინატთა სისტემასა თუ იუ-თი-ემ პროექციაში. სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი სააღრიცხვო ბარათი და მოსარჩელის კუთვნილ მინის ნაკვეთზე არსებული დოკუმენტაცია, საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ მინის ნაკვეთის ფართობი და ადგილმდებარეობა არის დაუზუსტებელი, აპელანტის განმარტებით, ელექტრონული ვერსიის გარეშე წარდგენილი აზომვითი მონაცემები ყველა შემთხვევაში მიიჩნევა დაუზუსტებლად და არ იძლევა უძრავი ნივთის სრული იდენტიფიკაციის საშუალებას, რის გამოც შეუძლებელია ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზით წარმოდგენილი (დაუზუსტებელი) მონაცემების შედარება არაელექტრონულ (დაუზუსტებელ) მონაცემებთან, რის გამოც მისი იდენტიფიცირება ერთიან საკადასტრო მონაცემთა ბაზაში შეუძლებელია.

აპელანტის მტკიცებით, საქალაქო სასამართლოს უნდა დაეფინა, რომ №... მინის ნაკვეთის თაობაზე საჯარო რეესტრში არ ყოფილა წარდგენილი ზუსტი საკადასტრო საზღვრები, შესაბამისად, მისი ადგილმდებარეობა იყო დაუზუსტებელი. №... განცხადებაზე წარდგენილი სარეგისტრაციო უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები ზედდებას არ ახდენდა და ვერც მოახდენდა №... მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან, ვინაიდან ამ უკანასკნელს საერთოდ არ გააჩნდა საკადასტრო მონაცემები, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

სამართლებრივი: საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი და მიღებულ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა აღნიშნული მუხლის რომელი პუნქტის შესაბამისად, უნდა ეთქვა უარი რეგისტრაციაზე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად დაადგინა, რომ ნ.კ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მინის ნაკვეთი №... რომელიც მოქცეულია დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულ №... და №... ნაკვეთებს შორის და შეესაბამება №... და №... ნაკვეთების ერთობლიობას. ასევე საქალაქო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ №... განცხადებაზე წარმოდგენილ უფლების საგანზე უკვირეგისტრირებული იყო ნ.კ-ის საკუთრების უფლება.

აპელანტი: ნ.კ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების, სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩე-

ლის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მითითებული არ არის.

სამართლებრივი: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მოსაზრებები და დასკვნები ურთიერთსანინააღმდეგოა და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სარჩელში დაფიქსირებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თვითმმართველის სახელზე დარეგისტრირდა იგივე მინის ფართობი, რაც მოსარჩელეს აქვს რეგისტრირებული და ის ფაქტი, რომ მ. მ-ისა და ა. ე-ის სახელზე რეგისტრირებული მინის ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთები და მოსარჩელე ნ.კ-ის სახელზე რეგისტრირებული მომიჯნავე ნაკვეთები არის იდენტური, ანუ შესაძლებელია მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის იდენტიფიკაცია. ამ გარემოებების გათვალისწინებით სწორად დააკმაყოფილა სარჩელი იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა სასამართლოს გადაწყვეტილება დანარჩენი სასარჩელი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რამდენადც ყველა შემდგომი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დამყარებულია უკვე გაუქმდებულ წინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე და ამდენად, ყველა შემდგომი გადაწყვეტილებაც უკანონოა. სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მ. მ-ი და ა. ე-ე არიან კეთილსინდისერი შემძენები, არის უსაფუძვლო და არ ემყარება საქმეში არსებულ მასალებს, რამდენადც იგი გამოკვლეული არ ყოფილა.

თბილისის მერიამ სააპელაციო შესაგებლით მოითხოვა ნ.კ-ისათვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მესამე პირებმა მ. მ-მა და ა. ე-ემ სააპელაციო შესაგებლებით მოითხოვეს ნ.კ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება/სარეზოლუციო/: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 თებერვლის განჩინებით ქ. თბილისის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს; თბი-

ლისის სარეგისტრაციო სამსახურისა და ნ.კ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, სასამართლოს მიწნევით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და დამატებით, მიუთითა, იმ გარემოებაზე, რომ ნ.კ-ის სახელზე საჯარო რეესტრი რეგისტრირებული მინის ნაკვეთი №... მოქცეულია დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულ №... და №... ნაკვეთებს შორის და შეესაბამება №... და №... ნაკვეთების ერთობლიობას, რომელზეც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილების საფუძველზე ჯერ დარეგისტრირდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება და მიენიჭა №... საკადასტრო კოდ, ხოლო აუქციონზე რეალიზაციის შემდგომ მასზე დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება, დადგენილია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე და აღნიშნულის გამაბათილებელი დასაბუთებული არგუმენტები აპელანტებს არ წარმოუდგენით. სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ ნ.კ-ის მიერ არ ყოფილა დაზუსტებული მინის ნაკვეთი, არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ – საჯარო რეესტრშა არ უნდა შეასრულოს მისი ვალდებულება, სათანადო არ გამოიკვლიოს საქმის გარემოებები – დასარეგისტრირებელი მინის ნაკვეთის რეალური საზღვრები და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად მინის ნაკვეთის რეგისტრაციისას არ დაარღვიოს კონსტიტუციით დაცული ფიზიკური პირის საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯვრების საფუძველზე მიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვე-

ტილების მიღებისას და უძრავ ნივთზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებოთი მნიშვნელობის მქონე გარემოება, კერძოდ, იყო თუ არა სახეზე რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. საჯარო რეგისტრის მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვას, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ ორგანოს – საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს თვითმმართველი ორგანოს მიმართვა არ ართმევს უფლებას, უფრო მეტიც მისი ვალდებულება, გამოარკვიოს მიწის ნაკვეთის ზუსტი საზღვრები და არ მოახდინოს ვინმეს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაცია.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია სსიპ ქონების მართვის სააგენტომ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, მარეგისტრირებელ ორგანოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნათა დაცვით წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს უძრავ ნივთზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, უნდა გამოეკვლია ის გარემოება, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების ობიექტი ხომ არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას და ხომ არ იყო სახეზე „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ.კ-ის სახელზე საჯარო რეგისტრში რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი №..., რომელიც მოქცეულია დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულ №... და №... ნაკვეთებს შორის და შეესაბამება №... და №... ნაკვეთების ერთობლიობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ იმ პირობებში, როდესაც სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების საგანზე უკვე რეგისტრირებული იყო ნ.კ-ის საკუთრების უფლება, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა მიეღო გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან, სადაც უძრავი ნივთი უკვე გასხვისებულია და მის მესაკუთ-

რეებს დღეის მდგომარეობით წარმოადგენენ კეთილსინდისიერი შემძენები, იზიარებს საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას და სადაც აქტის მოქმედების შეზყვეტის განსაზღვრას მისი ბათილად ცნობის დღიდან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ნ.კ-ის მოთხოვნა აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ მ. მ-ი არ წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს:

ქ. თბილისის მერიამ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა და ნ.კ-ებრ.

ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრი:

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამათან, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არასწორად განმარტა კანონი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

მატერიალური: კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით”, ნ.კ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით კი, ვერ დასტურდება ის გარემოება, რომ კონკრეტული 1502 კვ.მ მინის ნაკვეთი (მდებარე, ქ. თბილისი, ...) რომელზეც განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, წარმოადგენს იმ უძრავ ქონებას, რომელზეც მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებს. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება

და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ის უძრავი ქონება, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მონაცემთა ერთიან ბაზაში (უი-თი-ემ სისტემა) მიზნევა დაუზუსტებელი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთათან, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია კოორდინატები, შეუძლებელია დადგინდეს, სად მდებარეობს მიწის ნაკვეთი და კონკრეტულად რომელი მიწის ნაკვეთებია მის მომიჯნავედ. განსახილველ შემთხვევაში გაურკვეველია, სასამართლომ რის საფუძველზე მიიჩნია, ნ.კ-ე სადაც მიწის ნაკვეთის შესაკუთრებულ მაშინ, როდესაც უნდა ემსჯელა, რამდენად იყო მოსარჩელე დაინტერესებული პირი და ილახებოდა თუ არა მისი უფლებები.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არამართებულად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა ვალდებულება დამატებით გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. საჯარო რეესტრის სააგენტო უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონი თავის მხრივ ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთრების უფლების რეგისტრაციისა თუ რეგისტრაციის შესახებ უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს საჯარო რეესტრის მონაცემთა ერთიან ბაზაზე დაყრდნობით, დამატებითი კვლევა-ძიების ვალდებულება საჯარო რეესტრის სააგენტოს არ აკისრია, ვინაიდან საჯარო რეესტრის მონაცემებში არსად არ ფიქსირდებოდა ნ.კ-ის საკუთრება, სწორად იქნა მიღებული სადაც ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის გადაწყვეტილება.

სამართლებრივი: კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არასწორად განმარტა კანონი. კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომელიც დარეგისტრირდა თვითმმართველის საკუთრებად, წარმოადგენდა ნ.კ-ის საკუთრებას მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკუთრების უფლების წარმოშობა დამოკიდებულია უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. მოცემულ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ ილახება ნ.კ-ის უფლებები, იმ პირობებში, როდესაც იგი არ არის მესაკუთრე და არ გააჩნია აღნიშნული არგუმენტის გამაბათილებელი მტკიცებულება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიცი-

ის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციიდან გამომდინარე ის უძრავი ქონება, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მონაცემთა ერთიან ბაზაში, მიიჩნევა დაუზუსტებელი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთად, რაც გულისხმობს, რომ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია კოორდინატები. შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს, სად მდებარეობს მიწის ნაკვეთი და კონკრეტულად რომელი მიწის ნაკვეთებია მის მომიჯნავედ. ამდენად, აპელანტს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრმა მართებულად მიიღო გადაწყვეტილება, როდესაც მოახდინა თვითმმართველის საკუთრების რეგისტრაცია სადაც მიწის ნაკვეთზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კასატორი: ნ.კ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაემაყოფილება. ასევე კასაციის საგანს ნარმოადგენს შუამდგომლობის – მოწმეთა დაკითხვის თაობაზე უარის თქმის შესახებ 2013 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების ასოლუტური საფუძველია.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მოსაზრებები და დასკვნები ურთიერთსანინალმდეგოა, სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ თვითმმართველი ერთეულის სახელზე დარეგისტრირდა იგივე ფართები, რაც მოსარჩელეს აქვს რეგისტრირებული და ასევე ის ფაქტი, რომ მ. მ-სა და ა. ე-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთები არის იდენტური, ანუ შესაძლებელია მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის იდენტიფიკაცია. ამ გარემოებების გათვალისწინებით სწორად დაკმაყოფილა სარჩელი იმ ნანილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე უარის თქმის შესახებ, რამდენადაც, ყველა შემდგომი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დამყარებულია უკვე გაუქმებულ წინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამ-დენად, ყველა შემდგომი გადაწყვეტილებაც უკანონოა.

კასატორის განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა, რომ თითქოს მ-იდა ე-ე არიან კეთილსინდი-სიერი შემძენები, ვინაიდან აღნიშნული არ გამოუკვლევია სასამართლოს; არ დაუკითხავთ აღნიშნულის თაობაზე მოწმეები. სასამართლიოები უსაფუძვლოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ისინი იყვნენ კეთილისინდისიერი შემძენები.

კასატორის მითითებით, ქვემდგომ ინსტანციებში საქმის განხილვისას აშკარად გამოიკვეთა, რომ ნ. კ-ის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთი უკანონოდ გაასხვისეს მოპასუხებ-მა, ასეთ შემთხვევაში, კასატორის განმარტებით, სარჩელის ნა-წილობრივ დაკმაყოფილება ფაქტობრივად უარის თქმაა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ვერ მიიღებენ კუთვნილ მინის ნაკვეთს, რაც არის აშკარა უკანონობა.

სამართლებრივი: კასატორის მითითებით, სასამართლომ დაარღვია „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონი, „ად-გილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

კასატორი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური;

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით სასამართლომ განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, ელექტრონული ვერსიის გარეშე წარდგენილი აზომვითი მონაცემები ყველა შემთხვევაში მიიჩნევა დაუზუსტებლად და არ იძლევა უძრავი ნივ-

თის სრული იდენტიფიკაციის საშუალებას, რის გამოც შეუძლებელია ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზით წარმოდგენილი (დაზუსტებული) მონაცემების შედარება არაელექტრონულ (დაუზუსტებელ) მონაცემებთან. მოცემულ შემთხვევაში, 6.კ-ის მიწის ნაკვეთი არ იყო რეგისტრირებული სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემაში და საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო დაუზუსტებელი მონაცემებით, რაც არ იძლეოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში იდენტიფიცირების საშუალებას. აღნიშნული შეუძლებელს ხდიდა სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნაკვეთის საზღვრების ზედდების ფაქტის გამოვლენას უკვე რეგისტრირებულ დაუზუსტებელ მონაცემებთან.

სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად დაადგინა, რომ 6.კ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი №... რომელიც მოქცეულია დღის მდგომარეობით რეგისტრირებულ №... და №... ნაკვეთებს შორის და შეესაბამება №... და №... ნაკვეთების ერთობლიობას. ასევე, სრულიად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული ის, რომ №... განცხადებაზე წარმოდგენილ უფლების საგანზე უკვე რეგისტრირებული იყო 6. კ-ის საკუთრების უფლება.

სამართლებრივი: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვარს №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი, არასწორად გამოიყენა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი.

მესამე პირმა მ. მ-მა საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობით შესაგებლით მოითხოვა საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობა, მისი განმარტებით, მან მიწა შეიძინა აუქციონზე, რომელიც ჩატარდა კანონმდებლობის სრული დაცვით და ამასთან, იგი წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამდლვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადგინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-

საციონ საჩივრების მოტივების შესწავლა-გაანალიზებისა და გა-საჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შე-მოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. თბილისის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რე-ესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამ-სახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; ნ.კ-ის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გა-უქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება ნ.კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; გაუქ-მდეს, ასევე, ამავე სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის სა-ოქმო განჩინება მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე; ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული სააპელაციო სასამარ-თლოს განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გა-მო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასა-ჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ ქვეპუნ-ქტის მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანო-ნი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სასამართლომ არასწორად გან-მარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული ოვალსაზრი-სით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული და გადაწ-ყვეტილია საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1992 წლის 6 ოქტომ-ბრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №16 აქტის საფუძველ-ზე, ჯ. ფ-ს გადაეცა 0,150 ჰა დაზუსტებული ფართობის შიწის ნაკვეთი მდებარე მცხეთა, კოდი – ..., სექტორი – ...; კოდი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – №.... მიღება-ჩაბარების აქტზე აღ-ნიშნულია მომიჯნავე ნაკვეთები გ. ფ-ი, მ. ფ-ი, ხ. ფ-ი, გზა), იგი ხელმოწერილია კომისიის წევრების მიერ და დამოწმებულია ბეჭდით, ჯ. ფ-ი.

2001 წლის 9 ივლისის სააღრიცხვო ბარათის თანახმად, 1992 წლის 6 ოქტომბრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №16 აქ-ტის საფუძველზე, საჯარო რეესტრში 0,150 ჰა ფართობის და-ზუსტებულ მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა ჯ. ფ-ის საკუთ-

რების უფლება.

2001 წლის 10 ივლისის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ჯ. ფ-მა 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი მდებარე სოფ., „....“, სექტორი კვარტალი ..., ნაკვეთი ... მიჰყიდა ნ.კ-ეს.

2001 წლის 11 ივლისის სარეგისტრაციო მოწმობის შესაბამისად, გაიხსნა სააღრიცხვო ბარათი და დარეგისტრირდა ნ.კ-ის საკუთრების უფლება 0,15 ჰა დაზუსტებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე სექტორი ..., სარეგისტრაციო ზონა მცხეთა) უფლება (ზონა -მცხეთა...; სექტორი-...; კვარტალი-...; ნაკვეთი-...). აღნიშნული რეგისტრაცია არ გაუქმდებულა და დღემდე ძალაშია.

2011 წლის 17 თებერვალს, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ №06-8/1227 წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და „ადგილობრივი თვითმმართველობას შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ... მიმდებარედ არსებულ 1502 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, საკადასტრო კოდით ..., დარეგისტრირდა თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ 1502 კვ.მ. ს.კ. 01.72.14.035.073) აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა 2011 წლის 26 აპრილს.

2011 წლის 13 მაისს ჩატარდა აუქციონი, გამარჯვებულად გამოვლინდა მ. მ-ი და 2011 წლის 30 ივნისს გაიცა №დ-266 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის თანახმადაც მ. მ-ს საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. თბილისში, ... მიმდებარედ 1502 კვ.მ. საკადასტრო კოდით

2011 წლის 6 ივლისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაზრით დგინდება, რომ 2011 წლის 30 ივნისს უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისი, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502 კვ.მ. დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება.

2011 წლის 19 ივლისს მ. მ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ქ. თბილისში, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502 კვ.მ, მიწის ნაკვეთის დაყოფის საფუძველზე მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. მითითებული უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე 751 კვ.მ. ფართზე (საკადასტრო კოდი ...) და 751 კვ.მ. ფართზე (საკადასტრო კოდი ...) დარეგისტრირდა მ. მ-ის საკუთრების უფლება.

2012 წლის 17 იანვრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი ...) დარეგისტრირდა ა. ე-ის საკუთრების უფლება.

2011 წლის 1 სექტემბერს, ნ.კ-მ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (მდ. სოფელი ..., ...)

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით მოსარჩევეს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების საგანზე რეგისტრირებული იყო სხვა უფლება (საკადასტრო კოდი ... და საკადასტრო კოდი ...), რომელიც გამორიცხავდა აღნიშნულ უძრავ ნივთზე წარდგენილი უფლების რეგისტრაციას.

2011 წლის 19 სექტემბერს, ნ.კ-მ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ამავე სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 სექტემბრის, 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და უძრავ ნივთზე მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 21 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით ნ.კ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სარჩელის საგანს წარმოადგენს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ... მიმდებარედ (ნაკვეთი ...) 1502 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (საკადასტრო კოდი ...), სადაც აგრეთვე აღნიშნული რეგისტრაციის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაც, ვინაიდან, მოსარჩელის ნ.კ-ის განმარტებით, ზემოაღნიშნული რეგისტრაციით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც მან 2001 წლის 10 ივლისის

მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ჯ. ფ-ისაგან.

საკასაციო სასამართლო საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების საფუძველზე იზიარებს ქვემდგომი სასამართლობის მიერ დადგენილ გარემოებას, რომ თვითმმართველი ერთეულის სახელზე დარეგისტრირდა იგივე მიწის ნაკვეთი, რაც მოსარჩელეს აქვს რეგისტრირებული, ამასთან, მ. მ-ისა და ა. ე-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთები და მოსარჩელე ნ.კ-ის სახელზე რეგისტრირებული მომიჯნავე ნაკვეთები და მოსარჩელე ნ.კ-ის სახელზე რეგისტრირებული მომიჯნავე ნაკვეთები იდენტურია.

საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ნარმოდგენილ საკასაციო საჩივრებს, ამასთან, არ იზიარებს კასატორის საჯარო რეესტრის მოსაზრებას, იმასთან მიმართებაში, რომ ელექტრონული ვერსიის გარეშე ნარდგენილი აზომვითი მონაცემები ყველა შემთხვევაში მიიჩნევა დაუზუსტებლად და არ იძლევა ნივთის სრული იდენტიფიკაციის საშუალებას, რის გამოც შეუძლებელია ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზით ნარმოდგენილი (დაზუსტებული) მონაცემების შედარება არაელექტრონულ (დაზუსტებელ) მონაცემებთან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ნ. კ-ებ სადაც მიწის ნაკვეთი (მდებარე შცხეთა კოდი ..., სექტორი ... კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №...) შეიძინა ჯ. ფ-ისაგან, რომელიც სადაც მიწის ნაკვეთს ფლობდა 1992 წლის 6 ოქტომბრის მიწის ნაკვეთის №16 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და 2001 წლის 9 ივლისის სააღრიცხვო ბარათის თანახმად, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში 0,150 ჰა ფართობის დაზუსტებულ მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა ჯ. ფ-ის საკუთრების უფლება. სარეგისტრაციო მოწმობა შეიცავდა ინფორმაციას მიწის ნაკვეთის ფართობის და კონფიგურაციის შესახებ, ნ.კ-ებ ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა რა ჯ. ფ-ისაგან მიწის ნაკვეთი, შესაბამისად, მის საკუთრებაში გადავიდა მიწის ნაკვეთი იმავე კონფიგურაციით და საზღვრებით, რაც მიეთითა ნ. კ-ის სახელზე გაცემულ სააღრიცხვო ბარათშიც. კერძოდ, ნ.კ-ის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა შეიცავს უფლების სუბიექტის და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს. სარეგისტრაციო მოწმობის თანახმად: მცხეთის სარეგისტრაციო ზონაში, ... კოდით, ... სექტორში, №... კოდით, №... კვარტალში, №... ნაკვეთი №... - 0,15 ჰა ფართობით, ადგილმდებარეობა - სოფ, ..., დანიშნულება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ნ. კ-ზე. მოწმობაში შე-

ტანილი ჩანაწერები შესრულებული და დადასტურებულია ზონის რეგისტრატორის მიერ 2001 წლის 11 ივნისს. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების საფუძველზე, მინის მიღება-ჩაბარების აქტი საკმარისა იყო მინის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის, საკუთრების უფლების დამადასტურებელი სარეგისტრაციო მოწმობის მომზადებისა და გაცემისათვის.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ეყრდნობა და იზიარებს მსგავს სამართლებრივ დავასთან საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე ბს-367-363(კ-12) ხ. მ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, მესამე პირის – ქ. თბილისის მერიის მონაწილეობით, დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ: „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამავე კანონის 23-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს სარეგისტრაციო მოთხოვნის რეგისტრირებულ მონაცემებთან იდენტურობა წარმოადგენს. ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლება გამორიცხავს იმავე ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების რეგისტრაციას, მარეგისტრირებელი ორგანო ასეთ შემთხვევაში უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, ხსენებული ნორმის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს თვითმმართველობის ორგანოს სახელზე ნაკვეთის რეგისტრაციამდე უნდა გამოიკვლია ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობა, შეედარებინა სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საარქივო ცნობასთან – ქალალდზე შესრულებულ საკადასტრო მონაცემებთან თუ სააღრიცხვო ბარათებთან და ამონაწერებთან, დაედგინა სადაც მინის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მინის ნაკვეთების კოდე-

ბი, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და არ დაეშვა ერთი ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერის არსებობა. გადამოწმების ვალდებულება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფრო მაღალი ხარისხით წარმოქმნის მის გათვალისწინებითაც; რომ უპირატესად სახელდობრ თავად მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არის ცნობილი რეესტრში რეგისტრირებული ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ. პალატა თვლის, რომ სწრაფი რეგისტრაციის პრინციპის გატარება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სხვა სუბიექტების საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას“.

მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციასთან დაკავშირებით ამავე გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ 28.12.05 წ. კანონი ასევე ითვალისწინებდა უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში დაზუსტებული ან დაუზუსტებელი ფართობის მითითებას (8.3. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 33.4 მუხლის თანახმად „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ყოფილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ზონის რეგისტრაციურაში რეგისტრირებული უფლებები მიიჩნეოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულად. „საჯარო რეესტრის შესახებ“ 19.12.08ნ. კანონის საფუძველზე მიღებული იუსტიციის მინისტრის 15.01.10ნ. ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 8.7, 31.4 მუხლები ასევე ითვალისწინებენ დაუზუსტებელ რეგისტრაციას. ამდენად მიწა შეიძლება არსებობდეს საკუთრებაში, როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით. კანონმდებლობა არ შეიცავს დაუზუსტებელი მონაცემებით მიწის ნაკვეთის სუბიექტზე აღრიცხვის გამომრიცხავ დანაწესს. ამასთანავე, პირველად დაუზუსტებელ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, უმართებულობა მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამდე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ იწვევს რაიმე სამართლებრივ შედეგს. სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია, სარეგისტრაციო აღრიცხვის ოფიციალობა უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრით. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად მოსდევს უფლებადადმდგენი დოკუმენტის გაცემა, რომელიც ადასტურებს იურიდიული ფაქტების კანონიერებას. რეგისტრაციას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს,

ის არის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის პირობა, რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის, შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი, რითაც რეგისტრაციის განმახორციელებელი კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართალურ-თიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას, სახელმწიფო რეგისტრაცია მონიდებულია მთლიანობაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა განამტკიცოს, ის არის ტიტულის, პირის უფლებების სახელმწიფო დაცვის ფორმალური პირობა.

კანონმდებლობა არ გამორიცხავს დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობას, შესაბამისად, რეგისტრაციის არსებობის გადამოწმება მხოლოდ ელექტრონული ნახაზის მეშვეობით არ ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული ყოველგვარ აზრს უკარგავს დაუზუსტებელ რეგისტრაციას.

საქართველოს პრეზიდენტის 30.04.1999წ. №206 ბრძანებულებით განისაზღვრა, რომ ახალი გეოდეზიური ქსელით შექმნილი ტოპოგრაფიული რუკებით თანდათანობით დაფარვამდე პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო მანამდე არსებული გეოდეზიური ქსელები და ტოპოგრაფიული რუკები. ხსნებული ბრძანებულების შემდგომ გამოცემული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქებისათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულება, რომლის საფუძველზე გაიცა 30.04.03წ. კასატორის სახელზე მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, არ ითვალისწინებდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენას ელექტრონულ კოორდინატთა სისტემაში. ამასთანავე, ამჟამად არ არსებობს მესაკუთრისათვის ადრე განხორციელებული რეგისტრაციის განახლების, რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელებისათვის ელექტრონული აზომვითი ნახაზის UTM პროექციაში წარდგენის ვალდებულების დამდგენი რაიმე ნორმა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ახლად შემოღებული კოორდინატთა ელექტრონული სისტემით მიწის ნაკვეთის საზღვრების დაუზუსტებლობა, არ ნიშნავს მიწის ნაკვეთზე უკვე წარმოშობილი საკუთრების უფლების ჩამორთმევას. ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 26-ე მუხლის თანახმად საკადას-

ტრო აღნერის ტექნიკური პირობაა. საკასაციო პალატა თვლის, რომ გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემის შეცვლა ტექნიკური საკითხია და მას არ უნდა ეწირებოდეს რეესტრში ასახული უფლებები, რეგისტრაციის ახალი სისტემის დანიშნულება სანივთო უფლებების უკეთესი დაცვა და არა საკუთრების უფლების შეზღუდვა. ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება შედეგად არ უნდა იწვევდეს ფორმალურ-სამართლებრივი პროცედურების შესრულებით მესაკუთრეზე უკვე რეგისტრირებული ნაკვეთის მესამე პირის მიერ დაუფლებას, არ უნდა ხელყოფდეს სამართლებრივ უსაფრთხოებას, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, მანამდე ნარმოებული რეგისტრაციების იურიდიული ძალის დაკარგვას, მარეგისტრირებელი ორგანოს, როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საჯარო წესრიგის გარანტის დანიშნულების შეცვლას. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირველადი რეგისტრირებული მონაცემების აუცილებელი დაზუსტების მოთხოვნა გულისხმობდა მინის აგეგმვის შედეგად შედგენილი საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე ნაკვეთის მონაცემების დაზუსტებას და არა ნაკვეთის სხვა სუბიექტზე აღრიცხვით პირველადი რეგისტრაციის გაუქმებას".

„საკასაციო სასამართლო იზიარებს ზემოაღნიშნულ სასამართლო დასკვნებს და დასძენს: კასატორის ძირითადი არგუმენტია, რომ ნ.ც-ის საკუთრების უფლება დაუზუსტებელი მონაცემებით იყო რეგისტრირებული, თუმცა საქმის მასალებით ცალსახად დასტურდება, რომ ნ.ც-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში – სარეგისტრაციო მოწმობის მიხედვით მისი საკუთრების უფლება დაზუსტებული მონაცემებით არის რეგისტრირებული ამდენად, კასატორის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მტკიცება, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქცია“, რომლის შესაბამისად თუ მინის ნაკვეთის ნახაზი ნარმოდგენილი არ არის სახელმწიფო გეოდეზურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ, ვი-ჯი-ეს 84 კოორდინატთა და იუ-ტი-ემ პროექციაში, მიიჩნევა დაუზუსტებლად, შეიცავს ჰიპოთეზას, რომ პირმა უნდა ივარაუდოს მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხარვეზი, თუმცა არცერთი ნორმატიული დანაწესით დადგენილი არ არის, მესაკუთრის გალდებულება რაიმე პროცედურული მოქმედებების განხორ-

ციელების თაობაზე, რათა პრევენციულად დააზღვიოს მისი უფლებების შელახვა. ნ.კ-ის საკუთრების თუნდაც დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაშიც ვერ გაქარწყლდება მისი კონსტიტუციური უფლება. მეტიც, ასეთის დაშვების შესაძლებლობა პრიორი ნიშნავს, ადამიანის ძირითადი უფლების არათუ შელახვის, არამედ საერთოდ გაქრობის დაშვებას, რაც პრინციპულად მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების იდეასთან. სახელმწიფოს მმართველობითი სისტემა თავისი ადმინისტრაციული ორგანოებით აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ თუ პროცედურულ-სამართლებრივი მექანიზმებით, საინჟინრო-ტექნიკური ინსტრუმენტებით, სათანადო პროგრამებით, რომელთა კვალიფიციურმა გამოყენებამ უნდა გამორიცხოს თავისი სამართლებრივი ბუნებით ასეთი მასშტაბური ხასიათის დარღვევები. ეროვნული სასამართლოების მხრიდან სამართლებრივი დაშვება იმისა, რომ პირის საკუთრების უფლება შეიძლება უხეშად შეიღოახოს ფაქტობრივი გარემოებების არაჯეროვანი გამოყვალევისა და დადგენის გამო, ლეგიტიმაციას აძლევს სრულიად ანტისამართლებრივ და მიუღებელ ტენდენციას საჯარო დაწესებულებათა საქმიანობაში.

„საკასაციო სასამართლო განმარტავს: საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრირებით სახელმწიფო იცავს ბრუნვის მონაწილეებს არაკეთილსინდისიერი გარიგებებისგან. საჯარო რეესტრის ფუნქცია პრევენციულ ხასიათსაც ატარებს, რომ რაც შეიძლება ნაკლები კონფლიქტი წარმოეშვათ ბრუნვის მონაწილეებს კანონთან. ინფორმაცია, რომელიც დაცულია რეესტრში, დიდწილად იცავს ბრუნვის მონაწილეებს მოტყუებით და თვალთმაქცური გარიგების დადებისგან და შესაბამისად ამ საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტის ჩანაწერების მიმართ არსებობს კანონით დაცული უფლება – კანონიერი ნდობის უფლება, რაც სამოქალაქო კოდექსში განმარტებულია შემდეგი დათქმით, „სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერების მიმართ არსებობს უტყუარობის პრეზუმაცია“ /სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი/. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის დებულება, სამოქალაქო – სამართლებრივ დატვირთვასთან ერთად ამავდროულად ატარებს საჯარო სამართლებრივ ფუნქციას. საჯარო რეესტრი, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელი საჯარო დაწესებულება ფუნქციურ-სამართლებრივი ნიშნით შექმნილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მის საქმიანობაზე სრულად ვრცელდება სა-

ქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უმნიშვნელოვანების პრინციპები, მათ შორის, კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო სამართლებრივი უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეგისტრში, უძრავ ნივთს ანიჭებს გარკვეულ სტატუსს, რომლის ადეკვატური სამართლებრივი შედეგების მიმართ დაინტერესებულ პირს კანონიერი მოლოდინი გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იდენტური სასამართლო დავების განხილვისას ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ პატივსადებია თუ არა პირის კანონიერი მოლოდინი რეესტრში დაფიქსირებული მონაცემების მიმართ და არის თუ არა დაცვის ღირსი პირის კანონიერი ნდობის უფლება.

საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციიდან გამომდინარე, ნ.ე-ს საკუთრებაში გააჩნია მის სახელზე რეგისტრირებული მინის ნაკვეთი. ვინაიდან, მის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია არ გამხდარა სადაც; სადაც არ გამხდარა არც პირვანდელი მესაკუთრის – ჯ. ფ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია და მიღება-ჩაბარების აქტი. 2001 წლის 11 ივლისს ნ.ე-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ალმჭურველი შინაარსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან აღნიშნული აქტი კასატორს – ნ.კ-ს ანიჭებს საკუთრების უფლებას მინის ნაკვეთზე.

ამასთან, საკუთრება არის ფაქტი. იგი ან არსებობს ან არა, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას – სარეგისტრაციო მონაცემის შეუსაბამობა კანონმდებლობასთან, მაგრამ მხოლოდ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობით, ნ.ე-ის საკუთრების უფლება მინის ნაკვეთზე რეალურად არ გააჩნია, ვინაიდან, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით, იგი თუმცა არის საკუთრების უფლების მატარებელი, მაგრამ არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების არსს, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად, ანუ სადაც სამართალურთობის ასეთი გადაწყვეტით ნ.კ-ის სახელზე არსებობს სადაც ქონებაზე რე-

გისტრირებული უფლება, ხოლო თავად ეს სადაცო ქონება არ არსებობს, რეალურად იგი სხვა – მესამე პირის საკუთრებაა, რაც მესაკუთრის უფლებებიდან და სამოქალაქო ბრუნვის სტა-ბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვებელია. საა-პელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, ის ერთის მხრივ, აღიარებს მიწის ნაკვეთის მოსარჩელისადმი კუთვნილებას ფორმალურად (ე.ი. ეთანხმება რეესტრის ჩანა-ნერს), ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავის გადაწყვეტი-ლებით გამორიცხავს, ფაქტობრივად უარყოფს საკუთრებას, მი-სი მატერიალური შინაარსით.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსა-ხურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება, თვით-მმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, მიაკუთვნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს მე-60¹ მუხლით კლასიფიცირებულ უკანონო ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტების კატეგორიას, ჩათვალეს, რომ მისი გა-მოცემისას სახეზე იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის, როგორც პირველი ნაწილით ასევე, მეორე ნაწი-ლით განსაზღვრული აქტის ბათილობის საფუძვლები, რის გა-მოც აქტი მიიჩნიეს უკანონოდ. სასამართლოთა შეფასებით, ად-მინისტრაციულ ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნულ საა-გენტოს სადაცო აქტის გამოცემისას სრულფასოვნად, რომ გა-მოერკვია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებე-ბი, მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლოებმა, არ იმსჯელეს და არ გამოარკვიეს ის ფაქტი, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თე-ბერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობით იურიდიუ-ლად აღდგა სადაცო მიწის ნაკვეთზე ნ.კ-ის საკუთრების უფლე-ბა, ვინაიდან, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შე-სახებ“ კანონის 33.4 მუხლის თანახმად „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ყოფილი მწნის მართვის სახელ-მწიფო დეპარტამენტის ზონის რეგისტრაციურაში რეგისტრირე-ბული უფლებები მიიჩნევა საჯარო რეესტრში რეგისტრირებუ-ლად. ზოგადი წესის თანახმად ახალი ჩანანერი აუქმებს ნინა ჩანანერს. ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში საქმეზე სასა-მართლოების მიერ დადგენილად არის ცნობილი, რომ ერთიდა-იგივე მიწის ნაკვეთზე განხორციელებულია ორი ურთიერთგა-მომრიცხავი ჩანანერი, თვითმმართველობის ორგანოს სახელ-ზე განხორციელებული სადაცო ჩანანერით არ გაუქმებულა ნ.კ-ის სახელზე არსებული ჩანანერი, ე.ი. ნ.კ-ის სახელზე მიწის ნაკ-

ვეთის რეგისტრაციის ფაქტი დასტურდება 2001 წლის 11 ივნისს გაცემული სააღრიცხვო ბარათით ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითადი იურიდიული საფუძველი არის სააღრიცხვო ბარათი, სააღრიცხვო ბარათის ჩანაწერი ნ.ე-ის უფლებასთან დაკავშირებით არ შეცვლილა, ნ.კ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია არ გამხდარა სადაც, ძალაშია და მოქმედებს, ერთი და იგივე უფლების ობიექტზე ორი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლო ისე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს, რომ არ უმსჯელია ზემოაღნიშნულ საკითხებზე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საადაცვო უძრავი ნივთი უკვე გასხვისებულია და მის მესაკუთრებულის დღეის მდგომარეობით წარმოადგენენ კეთილსინდისიერი შემძენები (და რომ საწინააღმდეგო მხარეებმა ვერ დაადასტურეს), რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე სადაც აქტის მოქმედების შეწყვეტა განსაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან.

საკასაციო სასამართლო აძლევს რა სამართლებრივ შეფასებას ქვემდგომი სასამართლოების მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობისას მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღს განსაზღვრას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განმარტავს:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გულისხმობს მისი უკანონო ხასიათის დადგენის გამოცემის მომენტში. ანუ აქტი გამოიცა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, რაც მისი გაუქმების უპირობო საფუძველია მმართველობის კანონიერებისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე. მიუხედავად აღნიშნულისა, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ კანონმდებელი უშვებს დიფერენცირებულ სამართლებრივ მიდგომას აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრით. დიფერენცირებული მიდგომის მოტივი მდგომარეობს აღმჭურველი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების დაცვის ინტერესის პრიორიტეტულობაში.

აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრა ბათილად ცნობის მომენტიდან ან მომავალში, კონკრეტული თარიღის დათქმით, ნიშნავს აქტით წარმოშობილი სამართლებრივი

შედეგების შენარჩუნებას, რათა ზიანი არ მიადგეს აღმჭურველი აქტის ადრესატს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.7 მუხლის საფუძვლებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა დასკრეციულ და არა სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება სადაცო აქტის ბათილობისას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით. სასამართლო ხელისუფლება არ არის აღმჭურვილი საპროცესო კანონმდებლობით, განსაზღვროს სადაცო აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღები, რამდენადაც ეს აუცილებლად, როგორც განსახილველ დავაში მოხდა, გამოიწვევს წინააღმდეგობრივ დასკვნას. მაგ. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ოურიდიულად ნ.კ-ის საკუთრების უფლება რეგისტრირებული რჩება, თუმცა, ფაქტობრივად საკუთრების ობიექტი ამავდროულად სხვა პირთა საკუთრებაცაა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი გადაამონტმოს მის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო, მოპასუხის, ა. რ-ის მიმართ, ჩამოყალიბებულ განმარტებაში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: „ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა ინდიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლას არაორაზოვნად და მკაფიოდ უკავშირებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლი/, რაც ნიშნავს, რომ აქტით განსაზღვრული მოწესრიგება, სამართლებრივი შედეგი შესასრულებლად საკალდებულო ძალას იძენს მხოლოდ ადრესატისათვის აქტის გადაცემის შემთხვევაში. ამდენად, სამართლებრივი აქტით უნდა განისაზღვროს ადრესატის აქტის გამოცემის თარიღის შემდგომი სამართლებრივი მდგომარეობა (უფლება-მოვალეობების დადასტურება, დაწესება, შეცვლა, შეწყვეტა)“.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლა უკავშირდება: 1. აქტის გასაჩივრების ვადის გასვლას; 2. აქტის გასაჩივრების შემთხვევაში მის უცვლელად დატოვე-

ბას.

საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გადაამოწმოს მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, რაც თავის მხრივ, მმართველობის კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ აქტი აღმჭურველი ხასიათისაა, მისა კანონიერების გადამოწმებისას აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეაფასოს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4-7 ნაწილებით.

აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს: მიუხედავად აქტის უკანონობისა, ექცევა თუ არა იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადებით განსაზღვრულ კატეგორიაში, რადგან გატარებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად აცხადებს თვით კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ადგენს მისი გაბათილების დაუშვებლობის სტანდარტს, პირის კანონიერი ნდობის არსებობის პირობებში. საკასაციონ სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.4 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ცალსახად მიიჩნევს, რომ თუ კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტით ილახება სხვა პირის კანონიერი უფლებები, შეუძლებელია მისი სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება მესამე პირის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, რადგან ერთა აქტის მიმართ სხვადასხვა პირების კანონიერი უფლებებისადმი დიფერენცირებული მიღვომა, თანაც ამ უფლებების უპირატესობის დაუსაბუთებლობის პირობებში, სრულიად არასამართლიანია.

თავის მხრივ, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, როგორ უნდა შემოწმდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობა, კერძოდ, თუ მხარემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი.

საკასაციონ სასამართლო ზემომითითებული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით (მიუხედავად მისი უკანონობისა) გან-
საზღვრული სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება ემსახუ-
რება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინ-
ციპის – კანონიერი ნდობის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ,
განაპირობებს მმართველობის აუტორიტეტს და სამართლებრი-
ვი უსაფრთხოების განმტკიცებას.

ამ პირობებში უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული სამარ-
თლის ასევე უმნიშვნელოვანესი კანონიერებისა და კანონიერი
ნდობის პრინციპებს შორის კონფლიქტი და თანაზომიერების
პრინციპის მეშვეობით დადგინდეს, თუ რომელი პრინციპის დაც-
ვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომელი
პრინციპია აღმატებული ხარისხის და რომლის უზრუნველყო-
ფა არის დაცვის ლირსი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმჭურველი ინ-
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-
ლად გამოცხადების საფუძველია მმართველობის „კანონიერე-
ბის პრინციპი“, რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის
მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის გაუქმებას. ამ მნიშვნელოვან პრინციპს უპი-
რისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული „ინდივიდუალუ-
რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტე-
რესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი“. ორივე პრინ-
ციპი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამარ-
თლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ამდენად, შეუძლებე-
ლია ცალსახად პრობლემის გადაწყვეტა. ადმინისტრაციული
ნარმოების ამოცანაა კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტი-
სას მოახდინოს ამ ორი პრინციპის შეპირისპირება და თანაზო-
მიერი გადაწყვეტილების მიღება.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაც-
ვის ლირსი ანუ სახეზე არა გვაქვს კანონიერი ნდობა, თუ: ა) მას
საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება
(მაგ., არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარმოდ-
გენა თუ მოტყუება), ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანო-
ნობა ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თუ აღმჭურველი ინ-
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სა-
ფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმე-
დება, ანუ ადრესატმა დახარჯა ის ფინანსური შემოსავლები
(უმუშევრობის დახმარება, სტიქენდია, ერთჯერადი სოციალუ-
რი დახმარებები და ა.შ.), რომელიც მან მიიღო ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და

რომლის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ან მისი ამოღების შე-დეგად მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ამ სიკეთეს, არ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი ბათილად გამოცხადდეს, გარდა იმ შემთხვე-ვებისა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი არსებითად აღვევს სახელმწიფო, საზოგადო-ებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამ საფუძვლებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში დაინ-ტერესებულ მხარეს, რომლის კანონიერი ნდობაც ამ აქტის მი-მართ არის დაცვის ღირსი, უნდა აუნაზღაურდეს ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გა-მოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანოებმა მათ მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შემოწმებისას სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ ზოგა-დი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უკანონო აქტის ბათილად ცნობის დაუშ-ვებლობის გამომრიცხავი გარემოებების ჩამონათვალიდან არის თუ არა სახეზე რომელიმე გარემოება.

აღნიშნული გარემოებების დადგენის პირობებში კანონმდე-ბელი უკანონო აღმტურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ მიიჩნევს განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად, კერძოდ, თუ მისი სამართლებრივი შედეგებით და-ირღვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიე-რი უფლებები ან კანონიერი ინტერესები, რამდენადაც აქტის კანონიერებისა და აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფ-ლების კონფლიქტის, კონკურენციის პირობებში კანონმდებე-ლი პრიორიტეტულად მიიჩნევს კანონიერი ნდობის უფლების დაცვას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანოებმა მმართველობის კანონიერების პრინციპსა და ინ-დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მი-მართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპს შორის შეპირისპირების დროს თითოეულ კონკრეტულ შემთხვე-ვაში უნდა მოახდინონ აღმტურველი ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით ად-რესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამო-ცხადებლობით მესამე პირებისა და საზოგადოებისათვის მი-ყენებული ზიანის შეპირისპირება, ასევე გათვალისწინებულ უნ-და იქნეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის ფორმა და წარმოების სახე (წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფრო მეტ ნდობას იმსახურებს ვიდრე ზეპირი. ასევე, რაც უფრო ფორმალურია ადმინისტრაციული წარმოება, მით უფრო მეტია პირის კანონიერი ნდობის ხარისხი), მისი უკანონობის სიმძიმე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ გასული დრო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია შეიზღუდოს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობები. განგრძობადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, რომელთა საფუძველზეც ხდება ფულადი დახმარების მიღება, შესაძლებელია უკანონი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების შეწყვეტით ბათილად გამოცხადების დღიდან, ასევე შეიძლება ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით, შეწყვეტით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7-ე ნაწილი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უშვებს კანონიერი და უკანონი აქტების და მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში; კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონი და მეორეს მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს ინვეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონობა ქმედება და ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ორგანოები სასარჩევლო წესით აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას ვერ შეაფა-

სებენ აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლებას, შესაბამისად, ვერც დაიცავენ მას, რამდენადაც აქტის ადრესატს კანონიერი ნდობა წარმოეშვება მხოლოდ აქტის კანონიერ ძალაში შესვლის ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ: 1. აქტის გასაჩივრების ვადის გასვლის; ან 2. აქტის გასაჩივრების შემთხვევაში მის უცვლელად დატოვების შემდგომ. სწორედ აქტის კანონიერ ძალაში შესვლა იწვევს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების წარმოშობას, და ამ უფლების დაცვა პრიორიტეტულ ხასიათს იძენს კანონიერების პრინციპთან მიმართებით. ამდენად, სამართალნარმოების მიმდინარეობისას ადმინისტრაციული სასამართლოების მხრიდან გასაჩივრებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების შეფასება დაუშვებელია და არასამართლებრივი მიდგომაა, ვინაიდან ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნება მოსარჩევის კანონიერი ინტერესების დაცვა.

ადმინისტრაციული სარჩელის განხილვა 2 პროცესუალური სტადიის მეშვეობით ხორციელდება: 1. სარჩელის დასაშვებობა და 2. სარჩელის დასაბუთებულობა.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები უკვე იცავს სადაც აქტის ადრესატს არასათანადო მოსარჩელეთა ან ხანდაზმული მოთხოვნის პრეტენზიებისგან. ამავდროულად, სარჩელის დასაბუთებულობის შემონმების სტადიაზეც სასამართლო კვლავ მსჯელობს სადაც აქტის სამართლებრივი შედეგების გავლენაზე მოსარჩელის უფლებისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ან კანონიერი ინტერესის ხელყოფის ფაქტზე, რომლის არდადასტურების პირობებში გამოირიცხება სადაც აქტის უკანონობა, ანუ ბათილად ცნობა.

სარჩელის დასაშვებად ცნობა ადმინისტრაციული სასამართლოების წინაშე აყენებს შემდეგ სამართლებრივ ამოცანას: შეაფასოს და დაადგინოს გასაჩივრებული აქტის კანონიერება/უკანონობა. ვიდრე აღმჭურველი აქტი კანონიერ ძალაში არ შესულა, ხოლო, კანონიერ ძალაში შესული აღმჭურველი აქტი ვერ იქნება სასამართლო განხილვის საგანი სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, სახეზე ვერ იქნება კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების კონკურენცია, შესაბამისად, ვერ განისაზღვრება პრიორიტეტული პრინციპი. სანინაალმდეგო სამართლებრივი მოსაზრების პირობებში პიპოთეტურადაც გამოირიცხება მოსარჩელის კანონიერი უფლების დაცვის შესაძლებლობა, რაც გამოიწვევდა სარჩე-

ლის აღძერის უფლების ნიველირებას, შესაბამისად, სამართლი-ანი სასამართლოს უფლების ხელყოფას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.7 მუხლის ტექსტში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს და სასამართლოს, როგორც სა-დავო აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღების განმსაზღვრელ ორგანოებად მითითება მიჩნეულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ხარვეზად, ენინააღმდეგება რა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის ინსტიტუტს, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დაცვის მიზანს, რაც თავის მხრივ, კანონიერი მმართველობის სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს.

ზემომყავანილი მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ზოგა-დი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.7 მუხლის საფუძველზე განეკუთვნება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება გასაჩივრებული აქტის ბათილობისას ხელმძღვანელობს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით. საპრო-ცესო კანონმდებლობით იგი არ არის აღჭურვილი განსაზღვროს სადაც ადმინისტრაციული უფლებამოსილება არ არის აღჭურვილი განსაზღვროს სადაც აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღები, რამდენადაც ეს აუცილებლად, როგორც განსახილველ დავაში მოხდა, გამო-იჩვევს წინააღმდეგობრივ სასამართლო დასკვნას. მაგ: გასაჩივ-რებული გადაწყვეტილებით იურიდიულად ნ.კ-ის საკუთრების უფლება რეგისტრირებული რჩება, თუმცა, ასევე, იურიდიულად და ფაქტობრივად მისი საკუთრების ობიექტი ამავდროულად სხვა პირთა საკუთრების უფლებაცაა. დავის ამგვარი გადაწყვე-ტა შესუაბამობაში მოდის სამართლებრივ პრინციპებთან და სა-მართლიანი სასამართლოს უფლების იდეასთან.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო კონფლიქტს, და-ვის საგნიდან გამომდინარე შემდეგი სქემატური ხასიათი აქვს: ერთის შხრივ, აღმჭურველი კანონსაწინააღმდეგო აქტი (რო-გორც ეს ასე შეაფასეს ქვემდგომმა სასამართლოებმა, თუმცა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.7 მუხლის საფუძველ-ზე ბათილად ცნობით შეინარჩუნეს მისი სამართლებრივი შე-დეგები და აქედან გამომდინარე, მის საფუძველზე გამოცემუ-ლი ყველა სხვა სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტების სამართლებრივი შედეგები), რომლებითაც აშკარად უხე-შად შეილახ ნ.კ-ის კონსტიტუციური – საკუთრების უფლება, რომელიც ამავდროულად კანონიერი ნდობის უფლების მატა-რებელია მისი საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწე-

რის მიმართ, მეორეს მხრივ თვითმმართველი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე ამავე კანონიერი ნდობის უფლებით აღჭურვილი მესამე პირების – მ. მისა და ა. ე-ის საკუთრების უფლებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მოსარჩელის კანონიერი ნდობის უფლებაზე, მაშინ, როცა სწორედ მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია იყო კანონიერ ძალაში შესული, რაკი იგი საერთოდ არვის გაუსაჩივრებია. სადაც სამართალურთიერთობაში თავის მხრივ მესამე პირს – მ. მ-საც გააჩნია კანონიერი ნდობა, ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, სისპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ, როდესაც მან აუქციონზე შეიძინა სადაც მინის ნაკვეთი და შემდგეგ აღნიშნულის საფუძველზე საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა საკუთრების უფლება, მაგრამ საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, რომ მისი კანონიერი ნდობის უფლება მხოლოდ ამ აქტების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ წარმოიშობა. ამ სამართლებრივი მომენტის დადგომამდე იგი არ არის დაცული ამ უფლებით. სასამართლოში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ სასამართლო გვევლინება სადაც აქტების კანონიერების შემფასებელ, დამდგენ ორგანოდ. ამდენად, სასამართლო ამონებს სადაც აქტების გამოცემისას დაირღვა თუ არა კანონიერების პრინციპი.

ქვემდგომი სასამართლოების მიერ სადაც საკითხის ასეთი სამართლებრივი გადაწყვეტა სრულიად ერთნაალმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა და სამართლებრივი უსაფრთხოების სტანდარტებს. ამგვარი სამართლებრივი მიღებომა თავის თავში მოიცავს თეორიულ დაშვებას, რომ მომავალში რომელიმე ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია შეილახოს მ. მ-ისა და ა. ე-ის საკუთრების უფლებებიც, სხვისთვის საკუთრების უფლების მინიჭების სარჯზე. შეუძლებელია დავის კანონიერ გადაწყვეტად იქნეს მიჩნეული სხვადასხვა პირების კანონიერ უფლებათა შეფასებისას „უკეთესი უფლებების“ გამორჩევა, თანაც ისე, რომ არც დასაბუთდეს თუ რაში მდგომარეობს ამ პირის „უკეთესი უფლება“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის არცერთი დებულება არ ადგენს ერთი პირის უფლების დაცვის პრიორიტეტს სხვა პირის უფლებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავა გადაწყვეტილია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ნორმე-

ბის უგულებელყოფით, საქმის მასალები არ არის გამორკვეული ობიექტურად და კანონის მოთხოვნათა დაცვით. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია მესამე პირები კეთილსინდისი-ერ შემძენებად, რომ არც გამოუყენებია სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი, რომელიც თავის მხრივ, მხოლოდ მოძრავ ნივთებზე საკუთრების შემძენის მიმართ კრუცელდება. უძრავ ნივთებზე შემძენის ინტერესს იცავს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი (თუმცა, კანონმდებელი აქ არ ადგენს ტერმინს – კეთილსინდისიერ შემძენს), რომელიც ასევე არ გამოუყენებია სასამართლოს. ამდენად, იურიდიული თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელია თუ რომელი სამართლებრივი ნორმის შემადგენლობის მიხედვით გამოიკვლია და დაადგინა მესამე პირების, როგორც კეთილსინდისიერ შემძენების სტატუსი.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევია რამდენად წარმოადგენენ მესამე პირები მ. მ-ი და ა. ე-ე კეთილსინდისიერ შემძენებს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც კასატორი – ნ. კ-ე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინებით არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა ამ საკითხის გამოსარკვევად მოწმეთა დაკითხვის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს – შეჯიბრებითობისა და ოფიციალობის პრინციპების საფუძველზე საქმის გარემოებების ყოველმხრივ და სრულად მოპოვებისა და გამოკვლევის შედეგად დავის კანონიერად გადაწყვეტას. რის გამოც სსსკ-ის 404.2 მუხლის საფუძველზე სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინება ექვემდებარება გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, არ იმსჯელა და არ შეაფასა მხარის – ნ. კ-ის აპელიორება იმ ფაქტზე, მ. მ-ი და ა. ე-ე არიან თუ არა კეთილსინდისიერი შემძენები, მხოლოდ ის გარემოება, რომ აუქციონი ჩატარდა კანონმდებლობის დაცვით, არ ქმნის იმის საფუძველს, რომ მ. მიჩნეულ იქნეს კეთილსინდისიერ შემძენად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის გადაწყვეტისათვის საჭიროა უფლების მფლობელსა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების სამართლიანი ბალანსის გარკვევა. კანონმდებლობა ამ საკითხს წყვეტს არა მხოლოდ ბრუნვის კონკრეტული მონანილის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თვით ამ ბრუნვის სიმყარის და სტაბილურობის ინტერესების გათვალისწინებით. მესაკუთრის და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი განსხვავებულად წესრიგდება მოძრავი და უძრავი ქონების ბრუნვის შემთხვევაში. თუ პირველ შემთხვევაში წინა პლანზე დგას ქონების მესაკუთრის ინტერესები, მეორე შემთხვევაში პრიორიტეტი ეძღვა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს.

კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით მსჯელობისას საკასაციო სასამართლო იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინებაში სამოქალაქო საქმეზე №ძას-1179-1108-2012 სს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხების – დ. კ-ის, ც. კ-ის, ი. და ს. დ-ების მიმართ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ: „საჯარო რეგისტრის დანიშნულება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ის ნარმოადგენს კეთილსინდისიერი პარტიის უფლების დაცვის გარანტს. ზუსტად ამ პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციას ვიხილავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 185-ე მუხლით ნახსენებ ტერმინ „გამსხვისებელში“ ყოველთვის იგულისხმება პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი, გაასხვისოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული უფლება და ამდენად, ის არ არის უფლებამოსილი, დადოს ეს გარიგება. ზუსტად იმ შემთხვევებში, როდესაც უძრავ ნივთს ასხვისებს საამისოდ არაუფლებამოსილი პირი, მაგრამ ის რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც ამ უფლების მესაკუთრე, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით დაცულ შემძენის უფლებას, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის დაცვა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტისადმი მაღალი ნდობის უზრუნველყოფა. არ შეიძლება შემძენს მოეთხოვოს შესაძენი უფლების შესახებ იმაზე მეტი ცოდნა, რაც კანონით არის დადგენილი. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს, ანუ იმ პირს, რომელიც გამოხატავს ნებას, გაასხვისოს მის სახელზე რეგისტრირებული უფლება. ამდენად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობების მონაბილეთა მიმართ ნდობასა და კეთილსინდისიერებას, რაც უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრის ჩანაწერების სისწორისა და სისრულის პრეზუმციით.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა. კონკრეტულ შემთხვევაში ამ ფაქტებს განეკუთვნება საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია თავისი ბუნებით წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტი სრულად და სწორად არის განხორციელებული. აღნიშნული ფიქცია ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებული ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიუთითებს რეგისტრაციის საკვეთზე, ვერ გამორიცხავს განსახილველი ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, 2001 წლის 11 ივლისს 6.კ-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრე-

ბის უფლების რეგისტრაციის შესახებ, არის აღმტურველი ხასიათის სამართლებრივი აქტები, ვინაიდან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, 2001 წლის 11 ივნისის საკუთრების უფლების შესახებ რეგისტრაციის აქტი კასატორ ნ.კ-ეს ანიჭებს საკუთრების უფლებას სადაც მიწაზე, 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება კი საკუთრების უფლებას ანიჭებს თვითმმართველობის ორგანოს, იმ მიწაზე, რომელიც ნ. კ-ის საკუთრებაში იყო დარეგისტრირებული და აღნიშნული რეგისტრაცია გაუქმდებული არ ყოფილა.

მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში სადაც მიწის ნაკვეთი რეგისტრებული იყო საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად, მაგრამ საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის პრეზუმუცია ვერ გამოდგება შემძენის დაცვით არგუმენტად, თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა იცოდა უფლების ხარებზე შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოებმა ბათილად ცნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ და მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღი განსაზღვრეს მისი ბათილად ცნობის დღიდან, ანუ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით სასამართლოებმა დაადასტურეს, რომ სადაც მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვა იყო კანონსაწინააღმდეგო, შესაბამისად ქონების მართვის სააგენტომ აუქციონი გამოცხადა ფაქტობრივად სხვის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე.

დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის, არამედ, თვითმმართველი ერთეულის მოქმედებათა კანონიერება სადაც მიმართ, მათ შორის, ქონების მართვის სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების კანონიერება, მონაცილეთა რაოდენობა, პროცედურების დაცვის ხარისხი და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა, არ გამოიკვლია და არ დაადგინა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით მოცემული ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც მიუთითებენ შემძენის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მიზანი არ გამოიწვევა, მაგრამ მას გადაწყვეტილი და მიმდინარე მიზანი არ გამოიწვევა.

ლოვანია დადგინდეს, იცოდა თუ არა შემძენმა უფლების რეგისტრაციის ხარვეზის შესახებ, ანუ იცოდა თუ არა შემძენმა, რომ არსებობდა სადაც მიწის ნაკვეთზე ნ.კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მოქმედება, ასევე უნდა გავრცელდეს ა. ე-ის მიმართ, შესაბამისად, უნდა დადგინდეს, იცოდნენ თუ არა მესამე პირებმა მ. მ-მა და ა. ე-ემ რეესტრის ჩანაწერის ხარვეზის შესახებ და საქმეში არსებული მასალებით იქმნება თუ არა იმის აღბათობა, რომ შემძენებმა იცოდნენ უფლების რეგისტრაციის ნაკლის თაობაზე, მით უფრო ამ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლოს უარი ნ.კ-ის შუამდგომლობაზე – მოწმეთა დაკითხვის თაობაზე მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების და წინმსწრები საოქმო განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც 411-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება – უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372-ე, 401-ე, 404.2, და 412-ე მუხლებით და

დაადგინდეს:

1. 6. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქ. თბილისის მერიის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარები არ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013

წლის 19 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება ნ.კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა არ სებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინება, ნ.კ-ის (მოწმეთა დაკითხვის შესახებ) შუადგომლობის არ დაკმაყოფილების თაობაზე;

5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;

6. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმიწოდების პრივატიზაცია

განვითარება

№ბს-876-858(კ-12)

3 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ქმედების მართლზომიერად ცნობა; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პათი-ლად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღნერილობითი ნაწილი:

2007 წლის 24 იანვარს ო. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მობასუხის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 11 ოქტომბერს გამოქვეყნდა განცხადება ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე –

463.83 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართისა და მასზე წილობრივად დამაგრებული – 1108.88 კვ.მ მინის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით აუქციონის ჩატარების თაობაზე. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, ო. ბ-ემ შესაბამის ანგარიშზე „ბე“-ს სახით შეიტანა – 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 173 405 ლარი, მოსაკრებელი – 50 ლარი და საბანკო ქვითრებით განაცხადდთან ერთად 15 ნოემბერს მიმართა აუქციონის რეგისტრატორს. 2006 წლის 16 ნოემბერს ჩატარდა სააუქციონო ვაჭრობა და შედგა ოქმი, რომლის თანახმად, ო. ბ-ე აუქციონის გამარჯვებულად გამოცხადდა, გასაყიდი ობიექტის საბოლოო ფასმა კი – 720 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი შეადგინა. აღნიშნული ოქმი მას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 21 ნოემბრის №1142 ბრძანებით დამტკიცებული სახით ჩაბარდა.

მოსარჩელის მითითებით, სიტყვიერი მოლაპარაკებების საფუძველზე, გამყიდველს ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყო – გაყიდული ფართის გამონთავისუფლება სასურსათო მაღაზიის, ომის ვეტერანთა საბჭოს, იურიდიული კონსულტაციის და მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურისაგან, მასვე უნდა უზრუნველყო გასაყიდ შენობებზე საერთო საკუთრებიდან მიკუთვნებული წილის რეალურად გამიჯვნა და აქტით დადასტურება და მასზე უკანონო მშენებლობის დემონტაჟი, რაც არა-ერთგზის შეხსენების მიუხედავად, გამყიდველმა ვერ უზრუნველყო და ვერ შექმნა მყიდველისათვის ნივთობრივად და უფლებრივი ნაკლისაგან თავისიუფალი ნივთის გადაცემის პირობა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა რისკის საფუძველი, რომ მოსარჩელე, როგორც სახელმწიფო ქონების მყიდველი, გახდებოდა ყველა არსებული შეუსრულებელი ვალდებულების სამართალ-მემკვიდრე.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის შემთხვევაში იგი თანახმა იყო შეენარჩუნებინა აუქციონის შედეგები, რისთვისაც საჭირო იყო საკითხის მოვარებამდე გადაეწიათ თანხის შეტანის ვადა, რაც მოპასუხე მხარემ არ გაითვალისწინა, არამედ პირიქით გასაჩივრებული აქტით მას ჩამოართვა გამარჯვებულის სტატუსი და არ დაუბრუნა „ბე“-ს სახით შეტანილი 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მოპასუხის ბრალეული მოქმედებით, ვინაიდან, მას გასაყიდად ჰქონდა გამოტანილი უფლებივად და ნივთობრივად ნაკლის მქონე ნივთი და თანხის საბო-

ლომ შეტანის ვადის დადგომამდე ვერ უზრუნველყო ამ ნაკლის აღმოფხვრა, რასაც კანონი ავალდებულებდა. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, „ბე“-ს მიმღებს, რომლის ბრალეული მოქმედებით იყო გამოწვეული ვალდებულების შეუსრულებლობა, „ბე“-ს თანხა უკან უნდა დაებრუნებინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ – ო. ბ-ის მიერ საპრივატიზაციო ობიექტის საბოლოო ფასის ერთი თვის ვადაში გადაუხდელობის მართლზომიერად მიჩნევა, 2006 წლის 16 ნოემბერის აუქციონის შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 ბრძანების ბათილად ცნობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის მოსარჩელის ბრალეულობის გამორიცხვის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, მოსარჩელის მიერ „ბე“-ს სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და მატერიალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ ო. ბ-ის მიერ საპრივატიზაციო ობიექტის საბოლოო ფასის ერთი თვის ვადაში გადაუხდელობის მართლზომიერად მიჩნევა, 2006 წლის 16 ნოემბერის აუქციონის შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 ბრძანების ნაწილობრივ, კერძოდ, ო. ბ-ის მიერ „ბე“-ს სახით შეტანილი 100 000 აშშ დოლარის არ დაბრუნების ნაწილში ბათილად ცნობა და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის 100 000 აშშ დოლარის დაბრუნების თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 აგვისტოს განჩინებით ო. ბ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „გ“ ქვეუნქტის საფუძველზე შეჩერდა მოცემული საქმის ნარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის საოქმო განჩინებით განახლდა მოცემული საქმის ნარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინებით ო. ბ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „გ“ ქვეუნქტის საფუძველზე შეჩერდა მოცემული საქმის ნარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 იანვრის განჩინებით განახლდა მოცემული საქმის წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებით ო. ბ-ის სარჩელი დარჩა განუქილველი.

ბათუმის საქალაქო სასმართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. ბ-ემ, რომელმაც გა-საჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ო. ბ-ის კერძო საჩივარ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ო. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2006 წლის 16 ნოემბერს სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით გამართა აუქციონი, სადაც გასაყიდად იქნა გამოტანილი ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი – 115.75 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 234.3 კვ.მ მინის ნაკვეთი; 45.1 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 93.72 კვ.მ მინის ნაკვეთი; 40.61 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 79.3 კვ.მ მინის ნაკვეთი და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე 130.17 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 350.78 კვ.მ მინის ნაკვეთი; 132.2 კვ.მ. და მასზე ნილობრივად დამაგრებული 350.78 კვ.მ მინის ნაკვეთი. აუქციონში მონაზილეობას იღებდა მოსარჩელე – ო. ბ-ე, რომელმაც აუქციონში მონაზილეობის მისაღებად დადგენილ ვადაში „ბე“-ს სახით გადაიხადა 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 173250 ლარი. აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩელე – ო. ბ-ე.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 21 ნოემბრის №1142 ბრძანებით დამტკიცდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2006 წლის 16 ნოემბერს ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართების – 115.75 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 234.3 კვ.მ მინის ნაკვეთი; 45.1 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 93.72 კვ.მ მინის ნაკვეთი; 40.61 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 79.3 კვ.მ მინის ნაკვეთი და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე 130.17 კვ.მ და მასზე ნილობრივად და-

მაგრებული 350.78 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 132.2 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 350.78 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის ჩატარებული სააუქციონო ვაჭრობის ოქმი; სააუქციონო ვაჭრობაში გამარჯვებულად გამოცხადდა ფიზიკური პირი – ო. ბ-ე და ობიექტის საბოლოო ფასი განისაზღვრა – 720 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. ამავე ბრძანებით სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს დაევალა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყო სააუქციონო ვაჭრობაში გამარჯვებულ ფიზიკურ პირთან – ო. ბ-ესთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და თანხის დაფარვის შემდეგ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 ბრძანებით, ო. ბ-ის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო ძალადაკარგულად გამოცხადდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 21 ნოემბრის №1142 ბრძანება და გაუქმდა 2006 წლის 21 ნოემბრის სააუქციონო ვაჭრობის შედეგები. ამავე ბრძანების მეორე პუნქტით მოქალაქე ო. ბ-ეს ჩატარებულის გამარჯვებულის სტატუსი და მის მიერ შეტანილი „ბე“ – 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უკან არ დაუბრუნდა. ამასთან, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №01 ბრძანებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 ბრძანებაში შეტანილი იქნა დაზუსტება, რომლის თანახმად, „2006 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული აუქციონის“ ნაცვლად ჩაიწერა „2006 წლის 16 ნოემბერს ჩატარებული აუქციონის“. ბ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონზე, „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებაზე და განმარტა, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ო. ბ-ეს, როგორც მყიდველს აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა უნდა გადაეხადა აუქციონზე ნაყიდი ნივთის მთლიანი ღირებულება და ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული თანხის სრულად გადახდის შემდეგ მასზე გაიცემოდა საკუთრების დამადასტურებელი

მოწმობა. „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მას სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლება გამყიდველის მიერ გადაეცემოდა სახელმწიფო ქონების საბოლოო ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვის შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, იმ დროისათვის მოქმედი „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის თანახმად, თუ მყიდველი პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონში, დადგენილ ვადებში არ გადაიხდიდა ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემოდა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდებოდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ „ბე“-ს მიმცემი ბრალეულად დაარღვევდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, „ბე“ რჩებოდა მის მიმღებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ბ-ის მიერ „ბე“-ს სახით შეტანილი – 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნებაზე უარის თქმის ნაწილში 2006 წლის 16 ნოემბრის აუქციონის შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 ბრძანება იყო კანონიერი და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ო. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში გადაცემის საკითხებს არეგულირებდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც, ქონებას დადგენილი წესით განკარგვადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო პირდაპირი განკარგვის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ საქარ-

თველოს პრეზიდენტი. ამასთან, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო „აჭარის ა/რ ქონების მართვისა და განკურგვის შესახებ“ აჭარის ა/რ კანონის თანახმად, უფლებამოსილი იყო აჭარის ა/რ ქონება დადგენილი წესით განეკარგა მხოლოდ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდვებს საბოლოო თანხა უნდა გადაეხადა აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამარჯვებული პირი ვალდებული იყო აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში კი – აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში გადაეხადა სრული/საბოლოო თანხა. თანხის გადახდის შემდეგ გამარჯვებულ პირზე გაიცემოდა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონის შედეგები უქმდებოდა და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდებოდა, თუ გამარჯვებული პირი დათქმულ ვადაში არ გადაიხდიდა სრულ/საბოლოო თანხას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლება ო. ბ-ეს არ გადასცემია მისივე ბრალით, ვინაიდან, მისი მხრიდან არ იქნა შესრულებული მითითებული ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდის ვალდებულება. კერძოდ, ო. ბ-ემ არ შეასრულა ვალდებულება და კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა აუქციონზე ნაყიდი ნივთის მთლიანი ლირებულება, რაც გახდა მისთვის გამარჯვებულის სტატუსის ჩამორთმევისა და მის მიერ შეტანილი „ბეს“ დაუბრუნებლიბის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ ვერ გაიზიარა აპელანტის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ შექნილი ქონება იყო ნაკლის მქონე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც გაზეთ „აჭარაში“ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციით, ისე პრი-

ვატიზაციის მასალებით, აპელანტი სრულად ფლობდა აუქციონზე გატანილი უძრავი ქონების შესახებ მონაცემებს და კერძოდ, რომ არასაცხოვრებელი ფართი იყიდებოდა მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ფართთან ერთად (წილის რეალურად გამიჯვნის გარეშე). შესაბამისად, აუქციონში გამარჯვების შემდეგ, უსაფუძვლო იყო მისი მოთხოვნა ქონების გამსხვისებლის მიმართ, საერთო საკუთრებიდან მისი კუთვნილი წილის რეალურად გამიჯვნის შესახებ. ამდენად, შეძენილი ქონება იყო შეთანხმებული ხარისხის და ვარგისი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის ანუ – ნივთობრივად უნაკლო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონება არც უფლებრივად არ იყო ნაკლის მქონე. აპელანტი მიუთითებდა, რომ აუქციონზე შეძენილ ფართებს, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდნენ სხვადასხვა პირები, თუმცა მესამე პირების მიერ სადავო ფართების რაიმე უფლებით ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარუდგენია. საჯარო რეესტრის მონაცემებით კი სადავო ფართი წარმოადგენდა გამსხვისებლის საკუთრებას. მესამე პირების მიერ სადავო ფართის ფლობის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც, ისინი პრეტენზიას არ აცხადებდნენ საკუთრების უფლებაზე. შესაბამისად, არც ნივთობრივად და არც უფლებრივად აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონება ნაკლის მქონე არ იყო.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 სადავო ბრძანებაში არსებულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ დაუშვებელი იყო საპოლოო თანხის გადახდის ვადის გადავადების შესახებ ო. ბ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება, კანონთან მისი შესაბამისი გამო და მართებულად ცნო ძალადაკარგულად სააუქციონო ვაჭრობის შედეგები, ქონების ღირებულების დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო. შესაბამისად, „ბეს“ სახით შეტანილი თანხა დარჩა გამყიდველს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პრივატიზების მასალების თანხმად, აუქციონში მონანილე ო. ბ-ეს პირადად განემარტა, რომ აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაეხადა ქონების გამოსასყიდი საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გადაეცემოდა ქონებაზე საკუთრების უფლება და შეტანილი „ბეს“ თანხა არ დაუბრუნდებოდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სადავო გადაწყვეტილება შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს და

მისი ბათილად ცნობის საფუძვლები არ არსებობდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება საკასა-ციონ წესით გაასაჩივრა ო. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპე-ლაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სრულ-ყოფილად არ გამოიკვლია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნე-ლობის მქონე გარემოებები, რის გამოც გადაწყვეტილება ფაქ-ტობრივად და სამართლებრივად იყო დაუსაბუთებელი, რაც მი-სი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ შეფა-სება არ მისცა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ო. ბ-ემ არაერ-თგზის მიმართა როგორც აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ასევე ქ. ბათუმის მერიას, იმის თაობაზე, რომ დაუყოვნებლივ მოეხდინათ აუქციონზე გასაყიდად გატანილი უძრავი ქონების საერთო საკუთრებიდან კუთხით წილის რე-ალურად გამიჯვრა. სააპელაციო სასამართლომ ასევე შეფასე-ბის გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ აუქციონზე შეძენილი ქონების იჯარის ხელშეკრულებების თანახმად, მოიჯარებს აღ-ნიშნულ ფართზე გარკვეული პრეტენზია გააჩნდათ, ხოლო მა-თი არსებობის ცოდნის შემთხვევაში ბ-ემ მონაწილეობას არ მი-იღებდა აუქციონში.

კასატორის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი მტკიცე-ბულებებით, კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გან-ჩინებითა და საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღე-ბის შესახებ 1999 წლის 14 სექტემბრის №54 აქტით, ცალსახად დასტურებოდა ის გარემოება, რომ სადაცვო ქონებაზე მესამე პირებს პრეტენზია ნამდვილად გააჩნდათ, რის გამოც გასხვი-სებული ქონება უფლებრივად უნაკლო არ იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განჩინებით, საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარ-მოებაში იქნა მიღებული ო. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის განჩინებით, საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი ო. ბ-ის სა-კასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დას-წრებით 2013 წლის 4 ივნისს 12:30 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 სექტემბრის საოქმო განჩინებით ო. ბ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა გადაინიშნა 2013 წლის 3 ოქტომბერს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებაზი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2006 წლის 16 ნოემბერს სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით გამართა აუქციონი, სადაც გასაყიდად იქნა გამოტანილი ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი – 115.75 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 234.3 კვ.მ მინის ნაკვეთი; 45.1 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 93.72 კვ.მ მინის ნაკვეთი; 40.61 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 79.3 კვ.მ მინის ნაკვეთი და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე 130.17 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 350.78 კვ.მ მინის ნაკვეთი; 132.2 კვ.მ. და მასზე ნილობრივად დამაგრებული 350.78 კვ.მ მინის ნაკვეთი. ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე რაიმე ტიპის შეზღუდვები ან/და ვალდებულებები სააუქციონო განაცხადში მითითებული არ ყოფილა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო მოსარჩევე – ო. ბ-ემ, რომელმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დადგენილ ვადაში „ბე“-ს სახით გადაიხადა 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 173 250 ლარი.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 21 ნოემბრის №1142 ბრძანებით დამტკიცდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2006 წლის 16 ნოემბერს ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის – 115.75 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 234.3 კვ.მ მინის ნაკვეთის; 45.1 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 93.72 კვ.მ მინის ნაკვეთის; 40.61 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 79.3 კვ.მ მინის ნაკვეთის და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე 130.17 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 350.78 კვ.მ მინის ნაკვეთის; 132.2 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული 350.78 კვ.მ მინის ნაკვეთის პრივატიზებისათვის ჩატარებული სააუქციონო გაჭრობის ოქმი; სააუქციონო ვაჭრობაში გამარჯვებულად გამოცხადდა ფიზიკური პირი – ო. ბ-ე და ობიექტის საბოლოო ფასი განისაზღვრა 720 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. ამავე ბრძანებით სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს დაევალა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყო სააუქციონო ვაჭრობაში გამარჯვებულ ფიზიკურ პირთან – ო. ბ-ესთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და თანხის დაფარვის შემდეგ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2006 წლის 20 და 22 დეკემბერს ო. ბ-ემ განცხადებებით მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (ასევე ქ. ბათუმის მერიას). განცხადებელმა მის მიერ აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების – სასურსათო მაღაზიის, ომის ვეტერანთა საბჭოს, იურიდიული კონსულტაციის და მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურისაგან გამონთავისუფლება, გასაყიდ შენობებზე საერთო საკუთრებიდან მიკუთვნებული წილის რეალურად გამიჯვნა, აქტით დადასტურება და მასზე უკანონო მშენებლობის დემონტაჟი ანუ უძრავი წივთის უფლებრივად და წივთობრივად უნაკლ მდგომარეობაში გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თანხის გადახდის გადავადება მოითხოვა. აღნიშნული განცხადების მიუხედავად, გამყიდველს – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გასხვისებულ უძრავ წივთზე არსებული უფლებრივი თუ წივთობრივი ნაკლის გამოსწორების მიზნით არანაირი ქმედითი ლონისძიება არ გაუტარებია. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი აჭარის ა/რ რესპუბლიკის აჭარის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს 2007 წლის 2 თებერვლის №1 ცნობა და ი/θ „...“ 2007 წლის 30 იანვრის განცხადება, რომელთა თანახმადაც, ქ. ბათუმში ... ქ. №...-ში განთავსებუ-

ლი მაღაზის და ვეტერანთა საბჭოს მიერ დაკავებული ფართის გამონთავისუფლების მოთხოვნით მათვების არავის მიუმართავს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებზე, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 ბრძანებით, ო. ბ-ის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო, ძალადაკარგულად გამოცხადდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 21 ნოემბრის №1142 ბრძანება და გაუქმდა 2006 წლის 21 ნოემბრის სააუქციონო ვაჭრობის შედეგები. ამავე ბრძანების მეორე პუნქტით მოქალაქე ო. ბ-ეს ჩამოერთვა გამარჯვებულის სტატუსი და მის მიერ შეტანილი „ბე“ – 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უკან არ დაუბრუნდა. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №01 ბრძანებით კი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2006 წლის 25 დეკემბრის №1275 ბრძანებაში შეტანილი იქნა დაზუსტება, რომლის თანახმად, „2006 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული აუქციონის“ ნაცვლად ჩაიწერა „2006 წლის 16 ნოემბერს ჩატარებული აუქციონი“.

ამასთან, რაც შეეხება ო. ბ-ის 2006 წლის 20 და 22 დეკემბრის განცხადებებს თანხის გადახდის გადავადების თაობაზე, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №01-17/31 ნერილით განმცხადებელს განემარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არსებობდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ა. ბ-ის მიერ გადახდილი „ბე“-ს თანხის – 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადავო საკითხს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში გადაცემის საკითხებს

არეგულირებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც, ქონებას დადგენილი წესით განკარგავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“, ხოლო პირდაპირი განკარგების უფლებით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი. ამასთან, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო „აჭარის ა/რ ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ა/რ კანონის თანახმად, უფლებამოსილი არის აჭარის ა/რ ქონება დადგენილი წესით განკარგოს აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით. სადაც პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველს საბოლოო თანხა უნდა გადაეხსადა აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამარჯვებული პირი ვალდებული იყო აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში კი – აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში გადაეხსადა სრული/საბოლოო თანხა. თანხის გადახდის შემდეგ გამარჯვებულ პირზე გაიცემოდა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, სადაც პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონის შედეგები უქმდებოდა და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდებოდა, თუ გამარჯვებული პირი დათქმულ ვადაში არ გადაიხდიდა სრულ/საბოლოო თანხას, მაგრამ აღნიშნული დათქმა ბუნებრივია, თავის მხრივ არ გამორიცხავდა გამყიდველის ვალდებულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლიდან გამომდინარე, მყიდველისათვის გადაეცა ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გამოცხადებული აუქციონის პირობებში არ არსებობდა არანაირი აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რა შეზღუდვა ან ვალდებულება ჰქონდა აუქციონზე გატანილ უძრავ ქონებას. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლობის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ო. ბ-ის მიერ შექმნილი ქონება იყო ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და მასზე მესამე პირები არანაირ პრეტენზიას არ აცხადებდნენ.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ოქტომბრის განჩინებაზე. აღნიშნული განჩინების შინაარსიდან ცალსახად ირკვევა ის გარემოება, რომ ქ. ბათუმში ... ქ. №...-ში მდებარე 115.75 კვ. არასაცხოვრებელ ფართზე და მასზე წილობრივად მიმაგრებულ 234.3 კვ.მ მინის ნაკვეთზე პრეტენზიას აცხადებდა – მ. ვ-ე, აღნიშნულ ფართში იგი სამენარმეო საქმიანობას ეწეოდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სადაც მინის ნაკვეთის ნანილზე კერძო საკუთრება, კერძოდ, გ. ი-ის საცხოვრებელი სახლი იყო განთავსებული, რასაც ადასტურებს აღნიშნული სახლის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ 1999 წლის 10 სექტემბრის №54 აქტი, ქ. ბათუმის მერიის 1998 წლის 13 მაისის და 1999 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება და მინის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის გეგმა-ნახაზები.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2010 წლის 28 ოქტომბრის გამართულ პირობებიან აუქციონზე სადაც უძრავი ქონების ახალი მესაკუთრე გახდა შპს „...“, რომელსაც აუქციონის პირობების შესაბამისად, სხვა ვალდებულებებთან ერთად ქ. ბათუმში ... (ყოფილი ... ქ.) ქ. №...-ში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართების საერთო საკუთრების მინის ნაკვეთში მდებარე კერძო საკუთრების გამოსყიდვა დაევალა. ამდენად, ნათელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მესამე პირთა კერძო საკუთრება, ო. ბ-ის მიერ აუქციონზე სადაც ქონების შეძენის ეტაპზეც არსებობდა, თუმცა აღნიშნულის შესახებ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან მითითება არც სააუქციონო განაცხადში და არც სხვა დოკუმენტში არ გაკეთებულა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადაც პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და

სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველსა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი წერილობით ხელშეკრულებას წარმოადგენდა. ამდენად, დადგნონ ვადაში, მყიდველისათვის უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთის გადაუცემლობა, გამყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევად მიიჩნეოდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია „ბეს“ მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან „ბე“ უკან უნდა დააპრუნოს. ამასთან, „ბეს“ მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ამდენად, ვალდებულებების დარღვევა უარყოფით სამართლებრივ შედეგს იწვევს იმ მხარის მიმართ, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულების პირობები, წინამდებარე შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დარღვევას შესაძლებელია ადგილი პქონდეს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან, რომელიც, როგორც ქონების მესაკუთრე ვალდებული იყო, სცოდნოდა ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა და უზრუნველყო მყიდველისათვის მისი თავისუფალ მდგომარებაში გადაცემა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ო. ბ-ემ აღნიშნული მოითხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოს არაერთგზის მიმართა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს ის გარემოება, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, როგორც გამყიდველმა, რამდენად უზრუნველყო მყიდველისათვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა და გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის პირობებში, რამდენად ეკისრებოდა მყიდველს უძრავი ქონების ღირებულების სრულად გადახდის ვალდებულება ანუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვეული იყო თუ არა „ბე“-ს მიმღების ბრალეული ქმედებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევის შედეგად სწორი შეფასება უნდა მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ამავე კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ო. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპირელო

ფართის მოსარგებლედ ცნობა	
აფთიაქის სადავო ფართის მოსარგებლედ მითითების საფუძველი	3
კანონიერი მოსარგებლებისათვის ფართის	
უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა 19;39	
უძრავი ქონების რეგისტრაცია 54;65;92;116;130;143;158	
კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა 192	
სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია 242	